

# სხანი ჟურნალი

ნოემბერი 2009 №54  
ფასი 5 ლარი

ისტორიები

## კოკა ამირეჯიბი

ნინო ლომაძე

## ქრევი და ოლიგარქები

სუზანა ვედერიუსი

## ალტრანაციონალი თბილისი

სანდრო ნავარიანი

საავტორო

## ვადიმი

ლევან ბერძენიშვილი

ფოტოპროექტი

## უხმო კარალებები

ლევან კაკაბაძე

კომენტარი

## ფანატიზმი VS ანტიფანატიზმი

თეო სატინაშვილი

ისაქართველო

## დეკადანსი

პაატა შურლაძე

## ლიტერატურა

უმბერტო ეკო

ბუსტავო მარტინ გარსო

მარიამ შიქლაური

ვანო მოსიაშვილი

ISSN 1512-2220



მუტი დამ  
ცხოვრებისათვის



ჯეოსანი

# BlackBerry®



BlackBerry® BOLD™ 9000 smartphone

BlackBerry, RIM, Research In Motion, SureType, SurePress და სხვა დაცემული საყარო ნიშნები,  
სახელწოდება და ლოგოები ნაშრომდგენს Research In Motion Limited - ის სააქციონას და ხელისაწილებელი  
დანა გამოყოფენს აშშ-სა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. გამოყოფენს Research In Motion Limited - ის ლიცენზიით.



**გარეკანზე:** კოკა ამირეჯიბი  
**ფოტო:** დავით მესხი

# სხალი შოკოლადი

N54, ნოემბერი 2009

**მთავარი რედაქტორი:**

ნინო ლომაძე

**აღმასრულებელი რედაქტორები:**

ნინო ჯაფიაშვილი, სალომე

კიკაღიშვილი

**არტ-რედაქტორი:** გიორგი ნადირაძე

**რედაქტორ-სტილისტი:** ნინო სვანიძე

**კორექტორი:** ნინო საითიძე

**ნომერზე მუშაობდნენ:** სალომე

კიკაღიშვილი, დავით ბუხრიკიძე, ანა

კორძია-სამადაშვილი, დავით ჩიხლაძე,

ლევან ბერძენიშვილი, სანდრო ნავერიანი,

ნინო ლომაძე, გიგო მესხიშვილი, დათო

ტურაშვილი, თამარ ბაბუაძე, ლელა

გაფრინდაშვილი, მაია ცეცაძე, მალხაზ

ხარბედია, თეო ხატიაშვილი, გიორგი

მაისურაძე, სოფო ჩადუნელი, ნინო

რობაქიძე

**ფოტო:** დავით მესხი, ლევან კაკაბაძე,

ქეთო ცაავა

**ილუსტრაცია:** მარიამ ზაღდასტანიშვილი,

მაია სუმბაძე

**დიზაინი:** თორნიკე ლორთქიფანიძე

**საზოგადოებასთან ურთიერთობა:**

ლელა შუბითიძე

**სარეკლამო გაყიდვები:** შალვა ჩუბინიძე

**დისტრიბუცია:** ზვიად შენგელია

**გამომცემელი:** შორენა შავერდაშვილი

**გამომცემლობა:**

შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105,

ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: 912326

ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net

**სხვა გამომცემები:** ლიბერალი, ბიზნესი-

ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები,

დიალოგი, თიბისი და თიბისელეტი.

**სტამბა:** შპს „სეზანი“, თბილისი,

ნერეთლის გამზ. 140, ტელ.: 357002

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© "M Publishing" საავტორო უფლებები

დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული

მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი

გამოყენება გამომცემლობის ნებართვის

გარეშე აკრძალულია.

- 6 რედაქტორის წერილი
- 8 ჩვენი ავტორები
- მიმოხილვა** 10 არტისტერიუმი – ისტერიის დამალვისა და კულტურული ეგზალტაციის ზღვარზე *დავით ჩიხლაძე*
- 16 ბეთლემის უხმოდ არტისტული მანიფესტი *დავით ბუხრიკიძე*
- 20 ნახტომი სიცარიელეში *დავით ბუხრიკიძე*
- ტაიმაუტი** 24 კაფე Belle de Jour ორი წლისაა! *მაია ცეცაძე*
- 26 ნაბიჯ-ნაბიჯ „მედიტერანეაში“ *გიგო მესხიშვილი*
- აქცენტი** 30 მაჩვზღარბა *სოფო ჩადუნელი*
- კომენტარი** 32 ფანატიზმი VS ანტიფანატიზმი  
თუ ფანატიკური ანტიფანატიზმი *თეო ხატიაშვილი*
- რეპორტაჟი** 34 „ბენდუქიზმის“ საზაფხულო სკოლა *ნინო რობაქიძე*
- იმოგზაურე საქართველოში** 36 ზარების ხმა ფშავის ხევში  
*მალხაზ ხარბედია*
- წერილები** 38 „ინდუსტრიული“ ქალაქი მიშკოლცი  
*სალომე კიკაღიშვილი*
- 42 შუქურა *დათო ტურაშვილი*
- ისტორიები** 46 კოკა ამირეჯიბი  
ქალაქი – თვითონ საზოგადოება *ნინო ლომაძე*
- 52 ალტერნატიული თბილისი *სანდრო ნავერიანი*
- 56 ქვრივი და ოლიგარქები *სუზანა ენდრიუსი ინგლისურიდან თარგმნა თამარ ბაბუაძემ*
- ფოტოპროექტი** 60 უხმო პარალელები *ბესო უზნაძე*
- ისაქართველო** 70 დეკადანსი *პაატა ქურდაძე*
- ესეი** 76 სადა ხარ, ჩემო ვარინკა?! *ლელა გაფრინდაშვილი*
- საავტორო** 81 პანთეონიდან პანთეონამდე და უკან *გიორგი მაისურაძე*
- 86 ვადიმი *ლევან ბერძენიშვილი*

**შესწორება**  
„ცხელი შოკოლადის“ ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა გიორგი ხასაიას კომენტარი „იავნანამ რა ქნას?“. ტექსტში შეცდომით იყო მოხსენიებული ჟურნალისტის სახელი, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით ირინა ხიზანიშვილს.

გათამაშება ჯი ჰი სი-ს და ნითელი ა-ს აფთიაქებში!

დააბროვე რაც შეიძლება მეტი ვაჭლი  
5 ოქტომბრიდან 5 დეკემბრამდე და მოიგა:



სამჯანსო საგზური  
პარიზის დისნეი ლენდში



MCBook



სახლის კინოთეატრი



მუსიკალური ცენტრი



კლასიკური ტელევიზორი



საახალწლო შოპინგი  
ტანსაცმლის საუკეთესო  
მაღაზიებში



10 დღიანი დასვენება  
ბაკურიანში ორისათვის



ნაძვის ხე  
სათამაშოებთან  
ერთად



Ipod Touch



რამდენიმე დღის წინ, ჩემი შვილი ბალში რომ მიმყავდა, ვაჟა-ფშაველას გამზირზე გაურკვეველი დანიშნულების (ვერსად ამოვიკითხე რისი რეკლამა იყო) სარეკლამო ბანერი მომხვდა თვალში, ასეთი წარწერით – „დაინახე სიშიშვლე“. ფოტოზე, ერთმანეთის პირის-პირ ორი შიშველი ქალის ტორსი იყო გამოსახული. ასობედ დანაწევრებული სიტყვების ფრაგმენტები ქალებს ძუძუებს, ყბას და გენიტალიებს უფარავდა. მთელი სარეკლამო იმიჯი კი შავი საღებავის ლაქებით იყო დაფარული. კონცეპტუალურ ჩანაფიქრს ნამდვილად არ ჰგავდა. როგორც ჩანს, ვილაცამ ეს გამიზნულად გააკეთა. დიდხანს ვიფიქრეთ როგორ შეიძლებოდა ამ „ოპერაციის“ ჩატარება და ბოლოს შევთანხმდით, რომ სარეკლამო ბანერს, სავარაუდოდ, შავი საღებავებით სავსე ბუშტები დაუშინეს.

ამ ფიქრს ისე შევეყვი, ამ ადამიანის ლოგიკაშიც კი შევეცადე გარკვევას (რატომღაც ასე გადავწყვიტე, რომ ჩემი „გმირი“ ახალგაზრდა ბიჭია) – როგორ გამიბედეს სახლის წინ ამ გარყვნილების დაკიდება; ან, ჩემი პატარა დაიკო სკოლაში რომ მიდის ამ „პახაბნ“ ბანერს უნდა უყურებდეს?; ან, დედაჩემთან ერთად ველარ გამივლია ქუჩაში; და კიდევ ბევრი ასეთი.

უცნაურია, სიშიშვლეზე გამბედაობა და სითამამე რომ გამახსენდა, მაგრამ სწორედ ამაზე დავფიქრდი. და ერთი ჰოლანდიელის სიტყვები გამახსენდა: „ამ ისტორიული მომენტის პარადოქსი ის არის, რომ იმის მაგივრად ზუსტად განვსაზღვროთ რას ნიშნავს იყო თანამედროვე, ცვლილებების შიშით თითქმის ყველა იმ ნოსტალგიურ იდეებს ეპოტინება, რომელიც სინამდვილეში არასდროს არსებობდა. ჯეიმსონი ამ მოვლენას „ანწყოს ნოსტალგიას“ უწოდებს. დღეს ის სამყარო რეკონსტრუირდება, რომელიც სინამდვილეში არც არასდროს დაგვიკარგავს. ვილაცებს ეს წარსული ჰგონიათ, მაგრამ ეს მხოლოდ ნოსტალგიაა მესხიერების გარეშე. რატომღაც ვაიდეალიზებთ სამყაროს, რომელიც არასდროს არსებობდა. სამყარო, სინამდვილეში, მხოლოდ ახლა და აქ არსებობს“.

ალბათ იფიქრეთ სარეკლამო ბანერი სამყაროს მყოფობასთან რა შუაშიაო. მაგრამ მგონი შავი ლაქებით მოთხუპნული შიშველი სხეულები ჩვენი რეალობის ზუსტი ილუსტრაციაა. რეალობის, რომელშიც ყველაზე ძლიერი და გულწრფელი პროტესტი ამ სამყაროს მხოლოდ ყველაზე ბუნებრივი ფორმების მიმართ გვიჩნდება.

არ ვიცი ბუნებრიობა როდის გახდა ამ სამყაროსათვის ასეთი უცხო. სამწუხაროდ, ჩვენთვის ნაცნობი მხოლოდ ის წარსულია, რომელიც „სინამდვილეში არასდროს არსებობდა“. წარსული, რომელიც არ გვაძლევს უფლებას შევიგრძნოთ დრო და ვიცხოვროთ ახლა და აქ.

ნინო ლომაძე  
მოგვწერეთ, editor@shokoladi.ge

გახსენი ანაბარი...

მოიგა ყოველთვა ბინა... და...

წლის ბოლოს 1.000.000



მინიმალური შენატანი

500 ლარი

☎ 27 27 27 | 📠 • 27 27 | [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge)



თიბისი ბანკი  
T B C B A N K

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



### ლათო ტურაშვილი

ისეთი რთული ზაფხული მქონდა, რომ საყვარელ სვეტებსაც კი ველარ ვწერდი, მაგრამ ყველაფერს მხოლოდ ფინანსურ პრობლემებს ნამდვილად ვერ დავაბრალებ.

მიუხედავად იმისა, რომ გაჭირვებისას აღმართში, ერთი კი არა, მგონი რამდენიმე ქვა ზედიზედ დამენია, ალბათ მაინც დამთხვევაა, რომ ყველანი ერთდროულად დამემშვიდობნენ და ერთადერთი, ვინც არ მიმატოვა, დიეგო მარადონა იყო. აგვისტოს ბოლოს კი იყო ლოდევით გულზე დანოლილი დამატებითი სევდა – „რედისოპედის“ გამაზული კონცერტი, რომლის ბილეთიც უკვე მქონდა, მაგრამ აღარ მქონდა ძალა და შესაძლებლობა ჩეხეთის დედაქალაქში ჩასაღწევად და იმის შანსიც დავკარგე, რომ მუსიკალური თერაპიით დამეძლია შავი დეპრესია.

სხვათა შორის, მეტის მიღწევაც შეიძლებოდა, რადგან ნამდვილი მუსიკის დადებითი გავლენის შემთხვევები საქართველოშიც არსებობს და მაგალითად ნინო ჟიჟილაშვილი, სწორედ იმიტომ ჯობია ბევრ ქართველს ფურნალისტს, რომ მიკ ჯეგერის კონცერტზეა ნამყოფი. მართალია მისი უპირატესობა, თანდაყოლილი და გზადაგზა შექმნილი ცოდნითაც არის განპირობებული, მაგრამ იგი მაინც ვერაფრით ამოშლის საკუთარი ბიოგრაფიიდან ამ ბედნიერ შემთხვევას.

რაც შეეხება უბედურ შემთხვევებს (ვთქვათ კახი კალაძის ორ აუტოგოლს), მათგან დაზღვეული არავინაა და ამის გამო, შესაძლოა სრულიად ჯანმრთელ ადამიანებსაც კი დაერღვეთ ნერვული სიმშვიდე.

თუმცა თბილისსა და საქართველოში, როგორც წესი (გვიანი შემოდგომისაგან განსხვავებით), ადრეული შემოდგომა უფრო მშვიდია, ტკბილია და წყნარი.

თანაც სექტემბრის ბოლოს ბათუმის კინოფესტივალზე აღმოვჩნდი და ზღვაზეც ისე დამამშვიდა, რომ დიდ ავიაციამში დაბრუნება მაინც გადავწყვიტე.

და ისევ ვწერ.



### ლავით ჩიხლაძე

„საქართველოს ბანკში“ ჩემს რიგს ველოდები და წინ მდგომმა ქალმა ფაილში საგულდაგულოდ შენახული კომპაქტური დისკი იქვე ჩამოღო, თვითონ კი რაღაც ქალაღებებს აწერდა ხელს. თან ეკითხება, – ასე რომ იყოს? – დიახ. – ისე ხომ არ დაშვებდებო? დაგვიანდება? – არა, არა. გმადლობთ. მე საათს ვუყურებ მალა, კედელზე, ვფიქრობ, – მალე მომიწევს? რამდენ ხანში? მერე ისევ იმ დისკს ვხედავ, იქვე დევს. ნეტავ რად უნდა, რა უნდა ეწეროს მასში, მექანიკური ფიქრია. მერე აიღო საკუთარი დოკუმენტაციის შეკვრა ამ დისკიანად, ხელში მსუბუქად შეათამაშა, როდესაც მოლარე ოპერატორი ცდილობდა, ჩქარა დაეხეჭდა რაღაც, მალე გათავისუფლებულიყო კლიენტისგან, თითქოს ამით საერთოდ თავისუფლდებოდა სამსახურის ყოველდღიური სტრესისგან, თითქოს ადგებოდა და სადმე კურორტზე წავიდოდა.

ხელში შეათამაშა კიდევ და მე უკვე ვიცოდი, დავინახე მაშინაც – ეს კომპაქტური დისკი გაბრწყინდა ნათურის შუქზე. მწვანე, ყვითელი, ვარდისფერი, თეთრი გადავიდა ერთმანეთში – მერე უკვე სადღაც, ტიბეტში, შიმალაებში, განგას ნაპირებზე, წიგნების პეიზაჟებში, რომლებიც ყოველთვის არარსებული მეგონა. ეს შუქი იყო, ამ პატარა დისკის უნებლიე შუქი, ბანკის ნეიტრალურ ოფისში რომ შემოაბიჯა, სავარძელზე ჩამოჯდა, გაანათა ისევ და მას კი ალბათ ვერავინ ამჩნევს. მეც ხომ შემთხვევით დავინახე, შემთხვევით გამახსენა სადღაც არსებული სიმშვიდე და ბუნებრივი მშვენიერება.

მიუხედავად იმისა, ამ დისკზე სიმღერაა ჩანერილი თუ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, ის მაინც ასე მოუსვენრად აირეკლავს შუქს. იქნებ კულტურაც ასევეა. მთავარია, ცხოვრებას აზრი ჰქონდეს, სადღაც იყოს სინათლე, მისი ანარეკლი მაინც. პიონერთა სასახლის კედელზე, მეტროს მხარეს ვიღაცებს წაუნეროათ დიდი ასოებით: „გვშია“. მერე კიდევ მეორე: ჩვენც გვშია“. შემდეგ კი თვალებს არ ვუჯერებ: „კულტურა გვშია, განათლება გვშია“.

წარმოუდგენელია, – ვფიქრობ, – ეს ხომ ბავშვებმა დაწერეს, ქუჩის ბავშვებმა.

ქუჩის ბავშვები არ არსებობენ. ჩვენ ყველა ქუჩის ბავშვები ვართ სინამდვილეში და შუქი ყველას გვშია – ნამდვილი თუ წარმოდგენილი.





## ... და ერთი ჭიქა ღვინო

თბილღვინოს კლასიკური კოლექციიდან

დააგემოვნეთ არაჩვეულებრივი ღვინო  
თბილღვინოს კლასიკური კოლექციიდან  
და გაიხანგრძლივეთ ურთიერთობით  
მიღებული სიამოვნება.



**TBILVINO**



# არტისტერიუმი – ისტერიის დამალვისა და კულტურული ებზალტაციის ზღვარზე

ავტორი: დავით ჩიხლაძე  
ფოტო: ქეთო სავა

თანამედროვე ხელოვნების თბილისის საერთაშორისო გამოფენა „არტისტერიუმი“ წელს, 9 ოქტომბერს უკვე მეორედ გაიხსნა ახალი სამუშაო დევიზით – „ცვლილებების მანიფესტი და შინაგანი გამოცდილება“. გამოფენაზე 23 ქვეყანა იყო წარმოდგენილი და 11 კურატორი ხელმძღვანელობდა. საქართველოსთვის უპრეცედენტო მასშტაბის გამოფენა, რომელიც თანამედროვე ხელოვნების განვითარებას და საერთაშორისო გამოცდილების ურთიერთგაზიარებას ემსახურება, ნაწილობრივ მაინც გვიქმნის დასავლურ სახელოვნებო ესთეტიკასთან ინტეგრირების შთაბეჭდილებას. ტექნიკურად, ეს გამოფენა უფრო სამხატვრო იდეების და არაკომერციული პროექტების თავმოყრა და ალბათ ეს

საქართველოსთვის ხელოვნების პოსტმოდერნისტულ ეპოქასთან ადაპტირების ერთადერთი შესაძლებლობაც გახლავთ. ასეთ გამოფენაზე კი ყოველთვის უნდა ველოდოთ ისეთ არაკომერციულ მიმდინარეობებს, როგორცაა პერფორმანს-არტი, კონცეპტუალიზმი და ვიდეო-არტი, რადგან საქართველოში დღეს კომერციული პოსტმოდერნისტული გლამურის განვითარება, უკეთეს შემთხვევაში, უტოპიაა. როგორც პროექტის დირექტორი ილიკო ზაუტაშვილი და კურატორი მაგდა გურული ამბობენ, წლევანდელი გამოფენა მსოფლიოში დღეს მიმდინარე უხილავ, ძირეულ ცვლილებებს ემსაუბრება.



იმ დრომ, როდესაც თანამედროვე ხელოვნება ამერიკულ აბსტრაქტულ ექსპრესიონიზმს, მინიმალისტურ ხელოვნებას და ჰეპენინგს გულისხმობდა, ცივ ომთან და რკინის კედელთან ერთად, ისტორიის ფურცლებზე გადაინაცვლა.

საბჭოთა პერიოდში გამოთქმა – „ხელოვნება ხელოვნებისთვის“ – მხოლოდ რუსი მკვლევრებისგან ვიცოდით, რომლებიც, ერთი მხრივ, თანამედროვე ბურჟუაზიული კულტურის ავანგარდისტულ მიმდინარეობებს აკრიტიკებდნენ, როგორც ფორმალისტურს, დეკადენტურს და ამდენად სოციალურად უუნაროს, მეორე მხრივ კი, სამომხმარებლო ბურჟუაზიული კულტურის წინააღმდეგ სწორედ მას იყენებდნენ იდეოლოგიურ მოკავშირედ.

დღეს ნიუ-იორკელი კურატორი ბენჯამინ გოდსილი, რომელიც „არტისტერიუმზე“ „ნიუ მუზეუმს“ წარმოადგენს მსოფლიო იმპერიის დედაქალაქიდან, სწორედ იგივე ღირებულებებზე ამახვილებს ყურადღებას, როდესაც საკუთარ საპროგრამო ტექსტში აცხადებს, რომ ამერიკული საუკუნე დასრულდა და ამერიკელების მდგომარეობა ნაბახუსევზე გადაიქცევა ჰგავს, როდესაც გახსენდება, როგორი უბრინციპო, თავმეუკავებელი და ზედმეტად უდარდელი ყოფილხარ წინა ღამეს. ჩვენ ვიცოდით, რომ დასავლური ავანგარდისტული ხელოვნება, რასაც დღეს თანამედროვე ხელოვნების სახელით მოიხსენიებენ, ყოველთვის ნეომარქსისტული და ანტიკაპიტალისტური იყო. ახალგაზრდა ამერიკელ არტისტებს ანტიკაპიტალისტური ტრადიციისთვის არც ამჯერად უღალატიათ. „არტისტერიუმზე“ წარმოდგენილი პროექტი – „დილის ვარსკვლავი“ ამის დასტური გახლდათ. თუმცა, კომუნისტურ რეჟიმში ნაცხოვრები ადამიანებისთვის შეიძლება რთული გასაგები იყოს, თუ როგორ შეიძლება, მსოფლიო კაპიტალისტური იმპერიის დედაქალაქს დღესაც ასეთი მდიდარი ანტი-ბურჟუაზიული კულტურა ჰქონდეს. უბრალოდ სამწუხაროა, როდესაც ყოველთვის ასე ვიგვიანებთ და სწორედ მაშინ, როდესაც თავი გამარჯვებული გგვონია, მსოფლიო ისტორიის საჭე ისევ სხვა მხარეს იწყებს მოულოდნელად შებრუნებას.

ნაცნობი პარადოქსია, როდესაც „არტისტერიუმის“ კურატორი, მაგდა გურული კატალოგის წინასიტყვაობაში საქართველოში დემოკრატიულობის მაღალ ხარისხზე ლაპა-

რაკობს, ნიუ-იორკის ცნობილი „ნიუ მუზეუმის“ კურატორი, ბენჯამინ გოდსილი კი წერს, რომ მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელების ამერიკული უტოპიური იდეა სრულ მარცხად შეიძლება მივიჩნიოთ.

შემთხვევითი არ არის, რომ მსჯელობას ამერიკელების საგამოფენო ოთახიდან ვიწყებ. ეს მართლაც ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და საინტერესო ექსპოზიცია იყო ქარვასლაში; პირველ რიგში იმით, რომ აქ სწორედ ისევ ის მყარი პოსტმოდერნისტული იმპულსი ვიგრძენით, რასაც მარშალ მაკლუენი ასე გამოხატავდა, – „საშუალება თვითონ არის შინაარსი“. მიუხედავად ამერიკელების პოლიტიკური ანგაჟირებულობისა, ამ ნამუშევრების ფორმალისტური ესთეტიურობა, რაღაც ჯადოქრობით, ბუნებრივად გამოიყურებოდა. ალბათ არ არის ადვილი, კონკრეტული პოლიტიკური განაცხადი ღამაზე და დრამატულ აბსტრაქციად აქციო. სწორედ ეს უნარია, მეგაპოლისში ცხოვრებას ასატანს რომ ხდის.

დარბაზში ცენტრალური ადგილი ეკავა შონ რასპეტის კომერციულ ვინილზე დაბეჭდილ სხვადასხვა ზომის ბანერების დაკიდებულ ინსტალაციას, რომელშიც მხატვრის საბანკო საკრედიტო დავალიანებების წუსებები მოჩანდა, ქართულ ჯვრებთან, საოჯახო გერბებთან და შუასაუკუნეების სურათ-ხატებთან შერეული. ეს თანამედროვე აბსტრაქციონისტული ნამუშევარი თემატურად მიანიშნებდა, რომ ოჯახი და პიროვნება უსუსურია იმ სისტემის წინაშე, რომელიც ყველაფერს დეტალურად აღრიცხავს და აკონტროლებს.

შესაძლოა, სწორედ შონ რასპეტის ამ ნამუშევრით აიხსნება, თუ როგორ ახერხებს ამერიკული თანამედროვე ხელოვნება, არ უღალატოს ხელოვნების სტანდარტებს და, ამავე დროს, ყოველთვის ბურჟუაზიული საღი აზრის ფარგლებში დარჩეს. შინაგანი სწრაფვა ჰუმანური რეალიზმისადმი, როდესაც სათქმელი ნამდვილია და არა მხოლოდ მიმდინარე აქტუალური ლოზუნგიდან ან პროგრამიდან გამომდინარე, სწორედ ამერიკული ხელოვნებისთვისაა დამახასიათებელი. და ასეთი სინამდვილე ჩანდა როგორც შონ რასპეტის, ისე დანარჩენი მისი კოლეგა მხატვრების ექსპონატებში.

მეთიუ ჩამბერსმა დარბაზის მეორე მხარეს მისთვის განკუთვნილი საგამოფენო სივრცე საწარმო კუთხედ აქცია. მან აქ



მაისურები და ქსოვილის საღებავები მოიტანა და დამთვალიერებლების თვალწინ მაისურებზე სხვადასხვა ნიშნებს და კონტურებს ხატავდა, შემდეგ კი მათ დამთვალიერებელს ჩუქნიდა. ტანსაცმლის სერიული და კომერციული წარმოების ნაცვლად, აქ მხატვარმა შემოგვთავაზა უშუალო, ადამიანური გაცვლის მაგალითი, რაც კაპიტალიზმის ერთგვარი კრიტიკაც იყო და იმ უნებლიე სამხატვრო სნობიზმისაც, რაც არტისტს ერთგული პუბლიკისგან ამორებს. ეს კომუნისტური უტოპია მიმზიდველი აღმოჩნდა დამთვალიერებლებისთვის, რომლებიც, შეიძლება სულაც არ საჭიროებდნენ უფასო მაისურს, როგორც მესამე მსოფლიოს წარმომადგენლები, მაგრამ მოუთმენლად ელოდნენ, როდის დამთავრდებოდა მათთვის განკუთვნილი მაისურის ხატვა, რადგან ეს მათთვის ავტორის შემოქმედებასთან უშუალო შეხებას ნიშნავდა.

დანარჩენი ამერიკული ექსპოზიცია მთლიანად ტელევიზორის მონიტორებზე ნაჩვენები ვიდეო-არტი იყო. ამ ვიდეო კოლექციიდან გამოირჩეოდა ლიზ მეჯიკ ლეიზერის „ფლობა“ – როგორ ერთობიან არტისტი და მისი მეგობრები ცოცხალი კიბორჩხალებით ავტომობილში. ეს ნამუშევარი შავიუმორიანი გროტესკია განებივრებულ, მომხმარებლურ საზოგადოებაზე, რომელსაც ყველაფერი საჭიროზე გაცილებით მეტი აქვს.

ჯგუფ „ბულიონის“ პერფორმანსი 2009 წლის 9 ოქტომბრის საღამოს თანამედროვე ხელოვნების თბილისის საერთაშორისო გამოფენის, „არტისტერიუმის“ ხალხმრავალ გასსნაზე ერთ-ერთი გამორჩეული მოვლენა იყო. აქ მხატვრები, როგორც სპორტსმენები, მონაცვლეობით წევდნენ შტანგას ნამდვილი მწვრთნელის მეთვალყურეობის ქვეშ. ქვედა სართულზე გამართული ეს დოკუმენტალისტურ-არტისტული მოქმედება ფართო ეკრანებზეც აისახებოდა, რისი თვალყურის დევნება ქარვასლაში მყოფ დამთვალიერებელს ყველა კუთხიდან შეეძლო. თანამედროვე ხელოვნებაში გაუთვითცნობიერებელი დამთვალიერებელი შეიძლება ვერც კი მიმხვდარიყო, თუ რა შუაში იყო გამოფენაზე სპორტსმენების გამოსვლა. სწორედ ასეთი სტრატეგია აირჩია „ბულიონმა“ – ხელოვნება ცხოვრებისთვის მიემსგავსებინა, როგორც

ეს ერთ დროს წარმატებით განახორციელა პოპ-არტმა. თანამედროვე ცხოვრება, რომელსაც თანამედროვე ხელოვნება აღარ სჭირდება, ან სჭირდება ის უკვე მხოლოდდა კულტურის სახით, კულტურის, რაც, მეოცე საუკუნის მკვეთრად გამორჩეული და ტრაგიკულად უგულებელყოფილი ფილოსოფოსი ქალის, სიმონა ვეილის ციტატით თუ ვიტყვით, არის უნივერსიტეტის პროფესორების იარაღი უნივერსიტეტის პროფესორების სანარმოებლად.

„ბულიონის“ ეს პერფორმანსი კურატორმა ნატუკა ვანაძემ წარმოადგინა და აქ ის, როგორც წესი, თვითონვე მონაწილეობდა შტანგის აწევაში ქალ კოლეგასთან, მხატვარ კატია ქეცბაიასთან ერთად. როგორც ჯგუფის კრედოში ვკითხულობთ, „შტანგისტების პროექტი“ მესამე მსოფლიოს ქვეყნების დასავლური გაერთიანებებისკენ – ნატო-სა და ევროკავშირისაკენ სწრაფვისთვის გამიზნული თვალშისაცემი ფუსფუსის პაროდირებას ახდენს. ერთთვისანი მომზადების შედეგად ჯგუფის არტისტებმა პროფესიონალი შტანგისტებივით შეძლეს სიმძიმეების აწევა. მათი განცხადებით, ეს აქცია სიმბოლურად მიანიშნებს ევროკავშირის არანეგრი ქვეყნების მცდელობას, მოკლე დროში დაენიონ საერთაშორისო დასავლურ სტანდარტებს. ისინი ასევე ეხებიან დასავლური სამყაროს კორპორაციულ ეთიკას, რაც სპორტული თამაშის ათლეტურ წესებს ჰგავს. პროექტი რალაცნაირად ამკრთავს საზღვრებს ხელოვნებას, სპორტსა და პოლიტიკას შორის და გვთავაზობს კომბინირებულ კულტურულ ბულიონს, სადაც მეტად აღარ არსებობს გამყოფი სივრცე. ჯგუფ „ბულიონში“ 7 ხელოვანია გაერთიანებული: ნატუკა ვანაძე, კატია ქეცბაია, ვასილ მაჭარაძე, თემო ქართლელიშვილი, ლადო ხარატიშვილი, კოკა ქიტიაშვილი და ზურა კიკვაძე.

მამუკა ჯაფარიძემ რადიო „მწვანე ტალღასთან“ თანამშრომლობით კონცეპტუალური პერფორმანსი, სახელწოდებით „რადიოქუდი“ (radiohat) შემოგვთავაზა, რომელიც „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ მოდელის ტიპურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. მოქმედება აბანოთუბანში, ჭრელი



აბანოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ მიდიოდა. მხატვარს თან ჰქონდა რამდენიმე ყურსასმენი, რომლებსაც სურვილის შემთხვევაში მაყურებელს უკეთებდა და თავზე რომბისებურ, ყვითელი ქაღალდის ჩაჩს ახურავდა, რომელსაც მხოლოდ თვალების ადგილას ჰქონდა მცირე ზომის ნახვრეტები გაკეთებული. ყურსასმენებში თბილისის, მადრიდის და რომის ხმაური ისმოდა. მაყურებელს შეეძლო ევლო გადაძვებებს შორის და ის ხან ერთი ქალაქის ხმას წააწყდებოდა და ხან მეორისას, გადაცემის არეალიდან გასვლის შემთხვევაში კი, მხოლოდ შიშინის ხმას გაიგებდა. მამუკა ჯაფარიძის ეს პერფორმანსი ასევე გამოფენის ერთ საუკეთესო ნამუშევრად უნდა ჩაითვალოს, რომელიც ამართლებდა როგორც გამოფენის დასახელებას, ასევე თანამედროვე ხელოვნების პურიტანულ მოთხოვნილებას არაკომერციულობასა და არამასობრიობაზე.

გამოფენილი ექსპონატებიდან სემანტიკურად ძალზე საინტერესო აღმოჩნდა სოფია ჩერქეზიშვილის საშუალო ზომის ტილოები სახელწოდებით „სად ხარ ეხლა“, 2008 წლით დათარიღებული. ეს მართლაც საუკეთესო ნამუშევრები იყო („მეძინა“, „ვკარგავ მოთმინებას“) იმ ნამუშევრებს შორის, სადაც მხატვრებს ტექსტი აქვთ გამოყენებული. ერთზე ვკითხულობთ: „ერთხელ დამესიზმრა, რომ მეძინა. ყველაფერი, რაც ცარიელია, სიზმარია“. მეორე ნამუშევარი კი შედგება ტექსტისგან: „მე ვკარგავ მოთმინებას ამ სითეთრეში, მაპოვნინეთ ის, რასაც დავკარგავ“. იისფერის და თეთრის კომბინაცია, საზღვარი ტექსტსა და ფერს შორის, ავტორის ხმა და მისი მომლოდინე დიალოგი მაყურებელთან, ადამიანის ფიგურის კონტურები, რომლებიც ტექსტით არის სავსე – ყველა ეს

კომპონენტი იმ დიქოტომიურ დისკურსს წარმოქმნიდა, რაც სოფია ჩერქეზიშვილის ფერწერულ ტილოებს სიღრმესა და ესთეტიკური მოუხელთებლობის განცდას სძენდა.

ორბელიანის 31-ში მდებარე „ნიუ არტ კაფეში“ წარმოდგენილი იყო ახალგაზრდა მხატვრების ჯგუფი სახელწოდებით „მაფ“ – მედია არტ ფარმი, რომელიც რუსიკო ოატისა და ხათუნა ხაბულიანის კურატორობით შედგა. ახალგაზრდა მხატვრები თბილისის სახელმწიფო აკადემიასთან არსებული ოპტიკური წარმოსახვის ინსტიტუტის სტუდენტები არიან, რომელსაც ვატო წერეთელი ხელმძღვანელობს და სადაც ფოტოგრაფიას და ახალ მედიას შეისწავლიან. ექსპოზიცია იმდენად უზაოდ და სასაიმპონოდ იყო აწყობილი, ისევე როგორც ამ ნამუშევრის ყოველი ცალკეული კომპოზიცია, რომ თითქმის უკვე ინტერიერის და გამოყენებითი ხელოვნების ფუნქციას ითავსებდა. ჯგუფში 6 ახალგაზრდა მხატვარია გაერთიანებული: გიორგი მახნიაშვილი, ნატალია ლლონტი, ნატა ყიფიანი, გიორგი დადიანი, ლევან კაპანაძე და ნინო ალაგიძე.

„არტისტერიუმის“ მთავარ საექსპოზიციო დარბაზში კი სომეხ მწერალს, ფილოსოფოსსა და არტისტს მისაკ ხოსტიკიანს საინტერესო ინსტალაცია და კონცეფცია ჰქონდა, რომ ხელოვნება ვერასოდეს დაენევა იმ რეალობას, რასაც ნიუსები ყოველთვის ინტენსიურად ფარავს და მასობრივად ავრცელებს. ეს ერთი მხრივ სიმართლეა – ხელოვნება ხომ ყოველდღიური პროცესებით აქტუალური არ არის და მისი პროპაგანდისტულ-ჰუმანური მოტივაციები პოლიტიკურად უსარგებლოა. მისაკ ხოსტიკიანი გამოფენაში მონაწილეობის მოწვევის დღიდან ყიდულობდა გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ ნომრებს და სხვადასხვა საღებავით შლიდა იქ დაბეჭდილ

## მიმოხილვა

ტექსტებს, ტოვებდა მხოლოდ ფოტოებს, რომლებიც უკვე კონტექსტიდან სრულიად ამოვარდნილი ახალ ისტორიებად შეიძლება გაერთიანებულიყვნენ. მისი ინსტალაცია ამ გაზეთებით, რომელიც გაღებულ ფანჯარაში გარეთაც გადიოდა, სადაც უკულმა მხრიდან (ანუ მესამე სართულზე გარედან ვილაცისთვის დასანახად, ალბათ ანგელოზისთვის, როგორც თვითონ ვარაუდობს) ქალაქი იყო მიკრული ფართის გაქირავების შესახებ ინფორმაციით და მოსახვეი ტელეფონის ნომრებით.

ბესას და ლალოსელის (კოკა ვაშაკიძე, ბესა ქართლელიშვილი) ობიექტი „სიყვარული ფეხსაცმლით“, რომელიც ადრე ღია ცის ქვეშ იყო ექსპონირებული, არც საგამოფენო დარბაზში კარგავდა აქტუალობას. პირიქით, ეს ერთ-ერთი იმ ნამუშევართაგანი იყო, რომელმაც „არტისტერიუმს“ შესამჩნევი გრავიტაცია შეუქმნა, ისევე სწორედ ნამდვილი სათქმელისა და სიმბოლური არაინტერპრეტირებადობის გამო. საერთოდ კი, აქ ბევრი ნამუშევარი იყო ფსიქოლოგიური, ილუსტრაციული და სიმბოლური, რასაც სიუზან ზონტაგი თანამედროვე ხელოვნების ნაკლად მიიჩნევს. ასევე როლან ბარტიც, დანარჩენ მკვლევრებთან ერთად ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ნიშანთაგან სწორედ სიმბოლო არ არის ის, რაც თანამედროვე ხელოვნებას ახასიათებს. თანამედროვე ხელოვნების მახასიათებელი პარადიგმა და სინტაგმაა. ხოლო ზონტაგი ასეთ კრიტიკრიუმად არაინტერპრეტაციულობას ასახელებს. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ კოკა ვაშაკიძემ და ბესა ქართლელიშვილმა კატალოგში პროექტის ადრინდელი კონცეფცია საჯარო განხილვისათვის საერთოდ აღარ გამოიტანეს და მხოლოდ თვით ობიექტი და სათაური დატოვეს.

დღეს მხატვრები იკვლევენ ყველაფერს – ეკოლოგიას, სოციოლოგიას, პოლიტიკას, ფსიქონალიზს და სემიოტიკას და მერე თითქოს ამ კვლევების ილუსტრაციებს გვთავაზობენ. ამის შემდეგ კი კრიტიკას (რომელიც, როგორც თანამედროვე ხელოვნების ერთი მთავარი სამუშაო თეზისი, „არტისტერიუმზე“ არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით თითქმის ცარიელ დარბაზში ხატუნა ხაბულიანის მოხსენებას) თითქმის არავითარი სამუშაო აღარ რჩება. მას წინ უკვე ნამუშევრის გაშიფრული შინაარსი აქვს. ნამუშევრის, რომელიც, პარადოქსულად, იმ ტრადიციის ნაწილად აცხადებს თავს, სადაც ავტორი დომინანტი აღარ არის.

სოფო ტაბატაძესთანაც ნამუშევარი საკუთარ კონცეფციაზეა მთლიანად დამოკიდებული და მასთანაც ეს ნამუშევარი არასოდეს არის ილუსტრაცია. აქ კონცეფციაც და ნამუშევარიც თანაბარფუნქციანი დეტალებია, საერთო სივრცეში ექცევა. შეიძლება, პირიქითაც კი ხდება. მასთან სათქმელი, ტექსტია მთავარი კომპონენტი, დანარჩენი კი მხოლოდ დეკორატიული გაფორმებაა, იმპერსონალისტური ფონია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – ილუსტრაცია. სწორედ ეს მახასიათებელი გამოარჩევს სოფო ტაბატაძის ხელნერას, როგორც ახალი კონცეპტუალიზმის ორიგინალურ წარმომადგენელს.

მან „არტისტერიუმზე“ შემოგვთავაზა მინიმალისტური, მონოტონური და სერიული ელემენტებისგან შემდგარი ტექსტილური დიზაინის სასიამოვნო ინსტალაცია და თანმხლები ვიდეო „დროშებიდან ყვავილებამდე“, სადაც წამოჭრილია სოციალური პრობლემა, რომ იდეოლოგიური ცხოვრებიდან სახელმწიფო რეალურ მონესრიგებულ ყოფით დონემდე ამაღლდეს.



წლევანდელი გამოფენა იმითაც იყო საინტერესო, რომ მან საკუთარ ფარგლებში მთელი არტისტულ ორგანიზაციასაც გაუწია მასპინძლობა. წელს თბილისში წარმოდგენილი იყო და ცალკე დარბაზი ჰქონდა დათმობილი „ჩეჩნეთის საგანგაშო ბიენალეს“, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში ახორციელებს ტურნეს და თბილისი მისთვის მე-12 გაჩერება აღმოჩნდა. პროექტს ხელმძღვანელობს ამერიკაში მცხოვრები ფრანგი კურატორი ეველინ ჟუანო. ეს არის აქტივისტური ხელოვნების პროექტი, რომელიც ცდილობს, ჩეჩნეთის პოლიტიკური სიტუაციის პრობლემა და მისი განადგურებული კულტურის საგანგაშო მდგომარეობა მსოფლიოს ყურადღების არეალში მოაქციოს, რაც სხვადასხვა ქვეყანაში ხელოვანთა თანადგომით და კოლექტიურ გამოფენებში თანამონაწილეობით ხორციელდება. ყოველი ასეთი გამოფენის შემდეგ კი ჩეჩნეთში იგზავნება ერთი ჩემოდანი გამოფენის ექსპონატებით.

„ჩეჩნეთის საგანგაშო ბიენალეს“ თბილისურ პროექტს წინ ვალტერ ბენჯამინის ციტატა უძღვის: „საგანგაშო მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, გამონაკლისი კი არ არის, არამედ წესია“. თუმცა, საეჭვოა, ეს წესი მართლაც მისაღები იყოს იმ ქვეყნების მაცხოვრებლებისთვის, სადაც ეს გამოფენა უსაფრთხოდ მოგზაურობს და რომელსაც 2009 წლიდან ორი ქართველი არტისტიც შეუერთდა – ნიკო ცეცხლაძე და ილიკო ზაუტაშვილი.

გამოფენის ფარგლებში გაიმართა კონფერენცია კავკასიის რეგიონში თანამედროვე ხელოვნების განვითარების პრობლემატიკასთან დაკავშირებით, სადაც საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს სოფო ტაბატაძემ („რატომ არ წერენ მხატვრები საკუთარი ზარალისა და მარცხის შესახებ, ნაცვლად კრედოებისა“), ალენა ბოიკამ („მსუბუქად გაკონტროლებული ანარქია“), ხათუნა ხაბულიანმა (თანამედროვე ხელოვნების კრიტიკის პრობლემების შესახებ).

ავსტრალიელმა მხატვარმა ჩარლზ მერვეზერმა მსმენელს გაცნო სოლომონ რ. გუგენჰაიმის მუზეუმის ახალი ფილია-

ლის შესახებ, რომელიც არაბეთის გაერთიანებული ემირატების ქალაქში, აბუ დაბიში შენდება და რომელიც თანამედროვე ხელოვნების გლობალიზაციის გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება. ამასთან, ეს ყველაზე დიდი შენობაა გუგენჰაიმის მუზეუმებს შორის მსოფლიოში, რომელიც 30,000 კვადრატულ მეტრს დაიკავებს, და ეს თანამედროვე ხელოვნების პირველი სერიოზული მუზეუმია არაბულ სამყაროში.

ცუდია ეს თუ კარგი, თანამედროვე ხელოვნებას მუდმივად თან სდევს დილემა – იმყოფებოდეს არტისტული ისტერიის დამალვისა და კულტურული ეგზალტირების ზღვარზე, და როცა ხელოვნება ბიზნესია, სწორედ ეს დილემაა მისი კორპორაციული სავაჭრო ნიშანი.

„არტისტიერიუმს“ რამდენიმე გალერეა და სივრცე მასპინძლობდა – ქარვასლა, „ნიუ არტ კაფე“, გოეთეს ინსტიტუტი, კავკასიური სახლი, გარიყულას სამხატვრო სახელოსნო და საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიუმი.

8 ოქტომბერს ასევე „არტისტიერიუმის“ ფარგლებში საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიხსნა ილია და კირილ ზდანევიჩების ვრცელი ექსპოზიცია, სადაც წარმოდგენილია საუკუნის დასაწყისის თბილისელი მხატვრების მრავალი საინტერესო ექსპონატი. მაყურებელს შეეძლო ენახა ილიაზდის (ილია ზდანევიჩის) პაბლო პიკასოსთან და ხუან მიროსთან თანამშრომლობის ამსახველი ნახატები, მის მიერ გაფორმებული პოეტური საღამოების აფიშები ტერენტეივის და კრუჩინის მონაწილეობით, სხვადასხვა პერიოდის პოეტური ექსპერიმენტები და კირილ ზდანევიჩის ფერწერული ტილოები.

ზდანევიჩებმა აღმოაჩინეს ფიროსმანი. აღმოაჩენს თუ არა დღეს საქართველო იმ ტრადიციას (და არამხოლოდ სამუზეუმო ან სწოებურ დისკურსში), რომელსაც ერთ-ერთ კორიფედ ილიაზდი ჰყავს, ამას მომავალი წლების „არტისტიერიუმი“ გვიჩვენებს.





# ბეთლემის უხმოდ არტისტული მანიფესტი

ანუ როგორ შევთხზათ ხელოვნების სოციალური ენა

ავტორი: დავით ბუხრაიძე  
ფოტო: ქეთო საავა

თუ საბჭოთა ეპოქის ტიპურ, მრავალსართულიან მიკრორაიონში გაიზარდეთ (გლდანი, ვაზისუბანი, თემქა ან საბურთალო), ძნელად თუ შეეგუებით ტაატი მცხოვრები ავლაბრის ან მეიდანის რითმს. თავის დროზე მიკრორაიონში ცხოვრება პროპაგანდისტულ მითს ჰგავდა: სასიამოვნო, მოსახერხებელი და კომფორტული საცხოვრებელი პირობები, რომელშიც ლე კორბუზიეს არქიტექტურის ჰარმონიული თანაცხოვრების უტოპია განხორციელდა. მაგრამ ამავე დროს თბილისის ძველი უბნები თავისი არქიტექტურული და სოციალური გარემოთი თითქოს სხვა დროში დარჩა.

ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით ბეთლემი იქცევს, რომელიც ალბათ ყველაზე ჰერმეტიულ, თვითმყოფად, საკუთარ თავზე კონცენტრირებულ უბნად რჩება თბილისში. ერთდროულად ღია და დახურული ქალაქის იდეა აქ უცნაურადაა შერწყმული. მრავალეროვანი, ქრელი და მულტიკულტურული სამყარო სოციალური გაუცხოებისაგან აშკარად შორსაა: იშვიათად ნახავთ ძვირფას მანქანებს, არ არის თვალისმომჭრელი და მოდური მაღაზიები, არ შენდება ოფისები და ძნელად მუშაობს კაპიტალისტური ურთიერთობის ლოგიკა. მოკლედ, ბეთლემში, რომელიც ციკაბო ფერდობზეა შეფენილი, ყველაფერი თვითორგანიზებულ რითმსა და ცხოვრების წესს ემორჩილება.

ქართულ-პოლონური ერთობლივი საზოგადოებრივი ხელოვნების პროექტი ბეთლემის უბანში – „არტზონა“, სწორედ ძველი თბილისის უბნის სტრუქტურულ გარემოს და მასთან ცხოვრებისეულ კავშირებს იკვლევს. პროექტის კურატორია ხელოვნების თეორეტიკოსი და არქიტექტორი იონა ვარშა (პოლონეთი),

ხოლო კოორდინატორი – მხატვარი და ხელოვანი ანა ტაბატაძე. სწორედ ისინი ურიგებდნენ სპეციალურ რუკებს მნახველებს, რომელზეც ბეთლემის ღირსშესანიშნაობანი და სპეციალური „არტ-კერები“ დატანილი. ცნობილი „ცისფერი აივანი“, ათეშგა, ცენტრალური ეზო, კერძო მუზეუმი, „ფანტასტიკური დუქანი“ და ა.შ.

საზოგადოებრივი ხელოვნების პროექტი რუკაზე დატანილი ნივთიეი ხაზებით მოხაზავს ბეთლემის მიკრორაიონის უძველეს, უხმო და თვითმყოფად არტ-სამყაროს. ეს სიძველის ერთგვარ ინტერვენციას ჰგავს, სადაც ახალი სამყაროს კერები თითქოს უძველესი უბნის ცხოვრებაში მოულოდნელად იჭრება, მაგრამ მის ყოველდღიურ ნაწილად იქცევა. მაგალითად, ერთ-ერთი ქალბატონის ბინა მასპინძლობს მარგო კორაბლიოვას პერფორმანს-ჯგუფს, რომლის დამაარსებელი დავით ჩიხლაძე შემდეგ ამოცანას ისახავს მიზნად: „ჩვენ ვიმყოფებით ბინაში, მაგრამ ყოველი წუთი არტისტული თამაშით და იმპროვიზაციით არის ნაკარნახევი. ნებისმიერი მოქმედება სინამდვილეში თეატრალურია და ამავე დროს მოულოდნელობის ეფექტით გამოირჩევა. და თუ ქუჩაში ფანჯრიდან ჩამოშვებულ ანკესზე წამოცმულ პურს დაინახავთ, არ მოგერიდოთ, მოტყუებთ. იქნებ გშიათ? და ეს ჩვენი ღია თამაშის გაგრძელება იქნება. თუ გინდათ, ჩაერთეთ ამ თამაშში“.

იქვე, ახლოს „ცისფერ აივანზე“ სოფო ჩერქეზიშვილის ერთნუთიან ვიდეოარტს უჩვენებენ. კიბეებზე ახვალთ და ძველ სავარძელში მოკალათებას ვერ მოასწრებთ, რომ ახალგაზრდა თუ ასაკიანი ქალების დაუცველობა-სიძლიერის 58-ნამიანი, მჭა-





ხე მონოლოგი ჩათავდება. ავტორი გვაფრთხილებს, რომ ვიდეო-არტი „ეძღვნება ქალებს, რომლებიც არ ტირიან“. თუმცა მშვენიერი, ოქროსფერი შემოდგომის ამინდია და მოტირალნი არ შეგვხვედრიან...

ბეთლემის შედარებით ზემო უბანში სომეხი ხელოვანის კარგად ანდრეასიანის ვირტუალურ სოფელ გოგჩაბერდს წააწყდებით, რომელიც ერევანთან ახლოს მდებარეობდა. საბჭოთა ეპოქის აყვავებული სოფელი მენყერის შედეგად თითქმის განადგურდა. მხატვარი და კონსტრუქტორი ვიდეოსა და მაკეტის დახმარებით აღადგენს ამ სოფელს, რომელსაც გეოფიზიკურ და პოლიტიკურ დატვირთვას ანიჭებს. „ცენტრალურ ეზოში“ კი გერმანელი ხელოვანები – პირ შულცი და დიანა მაკარტი „ბექიარდრადოს“ ქმნიან. მიტოვებულ ეზოში რადიოდან შემომავალი სხვადასხვა ხმა ქმნის ძლიერ და აუდიოვიზუალურ სამყაროს, რომელშიც თითქოს სამყაროს დამანგრეველი ცვლილებები აისახება. ამ არაკომერციული რადიოს საშუალებით თქვენ დავიწყებულ ხმებსა და შეგრძნებებს იბრუნებთ.

მხატვარი, ფერმწერი და ინსტალატორი მამუკა ჯავაროძე ცეცხლთაყვანისმცემელთა მიერ მეხუთე საუკუნეში აგებულ ათეშვას ტაძარში (რომელიც მოგვიანებით მეჩეთად იქცა) ცდილობს, სემიოტიკური სავარჯიშო და რიტუალი გარემოს მოარგოს. სიძველის პატივისცემის მიღმა კი თანამედროვე ხელოვანის დაუცხრომელი სურვილი იმალება – შეცვალოს სამყარო და თავადაც შეიცვალოს; ისევე, როგორც ბერლინში მცხოვრები ქართველი ხელოვანი სოფო ტაბაჭაძე ცდილობს, პლასტმასის ყვავილებისა და ძველი ბალკონების ირონიული გათამაშებით

დაგვანახოს 2003 წლის შემდეგ მომხდარი მენტალური ცვლილებები: სიცოცხლე და სინამდვილე იქ არსებობს, სადაც რეალობისადმი ხელოვანს არაერთმნიშვნელოვანი, კრიტიკული და აუცილებლად საკუთარი დამოკიდებულება აქვს. დღევანდელ რთულ, სოციალურ ვითარებაში არტ-კონტექსტი სულ უფრო მნიშვნელოვანია.

სრულიად მოულოდნელ განზომილებას იძენს პოლონელი მხატვრისა და პერფორმატორის, პაველ ალტამერის ვიდეო-პერფორმანსი „ბრუნდო“, რომელიც ასახავს თანამედროვე ხელოვანის როლს და ადგილს ურბანისტულ გარემოში. ვარშავის ერთ-ერთ მიკრორაიონში მან მოსახლეობას სთხოვა, ჩაბნელებულ ფანჯრებში სინათლის დახმარებით დაენერათ ციფრი 2000, რასაც მოგვიანებით მილენიუმის პროექტი ეწოდა. 2005 წელს კი იგი სამას მოხალისესთან ერთად ვენაში, ევროპარლამენტის შენობის წინ კოსმონავტის ფორმაში გამონწყობილი მივიდა... მთელი დედამინის სახელით და პატარა ეკოლოგიური პერფორმანსი ჩაატარა.

შვედმა ხელოვნების კურატორმა სერგეი ჩერეპინიმ (რომელიც, სხვათა შორის, თბილისში 20-იან წლებში მცხოვრები რუსი კომპოზიტორის, ნიკოლაი ჩერეპინის შვილიშვილია) მხატვარ გელა პატაშურის სტუდიაში ორიგინალური პარფორმანსი მოაწყო – ლეპტოპის საშუალებით თბილისური გარეუბნებისა და მობილურ ტელეფონებზე ჩაწერილი მუსიკა გააერთიანა. და ვიდრე პუბლიკა ყოველდღიური ბანალურობის დავიწყებას ჩერეპინის „ცისარტყელას სპირალების“ საშუალებით ცდილობდა, პერფორმანსით არცთუ დიდი ხნის წინ მოხიბლული ჯგუფი „ბუ-ლიონი“ ბეთლემის ერთ მიტოვებულ, დანგრევის პირას მისულ



სახლში ავეჯის ნარჩენებს მონდომებით ანადგურებდა. არტ-ჯგუფი „ბულიონი“ 2008 წელს შეიქმნა და მალე გარკვეულ არტისტულ წრეში პოპულარულიც გახდა. „ბულიონელები“ (ორი გოგონა და სუთი ვაჟი) წარმოადგენდნენ პროექტს „ბინა“, სადაც ისინი ცდილობენ, გამოავლინონ კონფლიქტი ნივთებსა და ადამიანებს, კონფორმიზმსა და ნონკონფორმიზმს შორის.

ღია სივრცე წარმატებით აითვისა პერფორმატორულმა თეატრმა სახელწოდებით „ოსმეგო დნია“ („მერვე დღის“ თეატრი), რომელმაც დაღამებისას გიგანტური, ცეცხლოვანი ხომალდით „ვარდების მოედანზე“ სასიამოვნო შოკი მოჰგვარა უბლიკას. ეს ქუჩისა და რიტუალის თეატრის დღესასწაული იყო, რაც სამწუხაროდ ასე იშვიათია ქართულ კულტურულ სივრცეში. ხოლო თუ გარკვეულ ანალოგიებზე მიდგება საქმე, პოლონური თეატრი უფრო ბაკურ ბაკურაძის „მოძრაობის თეატრს“ მოგვაგონებს. მცირე თეატრალური „გამონათება“ შემოგვთავაზა ასევე პოლონურმა პერფორმანს-ჯგუფმა „ფატა მორგანა“, რომლის წარმოდგენა საცურაო აუზზე შებინდებისას გაიმართა. რეკლამისა და ილუზიის რითმაზე აგებული ეს სანახაობა ნიშნების მაცდურ ცვალებადობას ასახავს: საკმარისია თეთრი ნაჭერი კონტრასტით განათდეს, რომ წარწერა სხვა შინაარსს იძენს. ანუ უბლიკა სინათლისა და ჩრდილის მონაცვლეობით სამყაროს ილუზიის მონმე ხდება... როგორც ცირკში.

ოქტომბრის დღეების არტ-ქრონიკამ ბეთლემში დაგვანახა, რომ თანამედროვე ხელოვნება, დიდი ხანია, გასცდა ვიწრო სოციალურ თუ ნაციონალურ ჩარჩოებს და უდიდესი კომუნიკაციური ფუნქცია შეიძინა. სწორედ ამ იდეას ემსახურება

პროექტი „არტზონა“, რომელიც პოლონური კულტურისა და ურთიერთობის ცენტრმა, პოლონეთის კულტურის სამინისტროსა და თბილისის მერიის მხარდაჭერით განახორციელა. როგორც პროექტის კოორდინატორი ანა ტაბატაძე ამბობს, „პარადოქსულია, მაგრამ სწორედ ძველი ქალაქის განუმეორებელი ლანდშაფტი და ისტორია აძლევს ხელოვანს შთაგონების იმპულსებს, რომელიც ეხმარება მას სიახლის გაცნობიერების აუცილებლობაში“.


ცხადია, როცა ქალაქის უბნები მხოლოდ ვიწრო ისტორიულ, უტილიტარულ ან სოციალურ დატვირთვას არ ატარებს და იგი ხელოვნების (არქიტექტურის) ნაწილადაც აღიქმება, მისადმი დამოკიდებულება და პერსპექტივაც იცვლება. ბეთლემი სწორედ ის უბანია, რომელიც ძველი თბილისის იერს განსაზღვრავს და ეს ნიშნავს, რომ მისადმი ინტერესი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. შთაგონების წყაროს კი ხელოვანი სწორედ ამგვარ გარემოში ეძებს. თბილისის ისტორიული ქუჩები და მოედნები ხომ უნიკალური წარსულის, ყოფის, არტიისა და სოციალური გარემოს გადაკვეთას ბუნებრივად გულისხმობს. ყოველგვარი ხელოვნური შენება-შეღებვის გარეშე. „არტ-ზონა“ ამ შემთხვევაში მხოლოდ დახმარების საშუალებაა. იმედია პოლონურ-ქართული პროექტები სხვა ზონებზეც გავრცელდება. ბოლოს და ბოლოს, ყველგან ხომ ვერ წააწყდებით „ფანტასტიკურ დუქანს“, სადაც მეოცე საუკუნის 20-იანი წლების თბილისურ ავანგარდს შეიგრძნობთ? ან ცნობილ „ფუტურისტულ სინდიკატზე“ მოგიტხრობთ ვინმე, „ცისფერყანწელებზე“ რომ არაფერი ვთქვათ.

ყოველი ასეთი „არტ-ზონა“ კარგი საშუალებაა, რათა წლების განმავლობაში დაკარგული ან ნაშლილი წარსული დავიბრუნოთ.

# ცოცხალი მუსიკის მოყვარეებს!

განტვირთვა კარგია. თანაც კარგი განტვირთვა. მით უმეტეს, თუკი ეს ხანგრძლივი სამუშაო პერიოდის შემდეგ ხდება, თან რაც შეიძლება საინტერესო ადგილას, მრავალფეროვანი შთაბეჭდილებების და ემოციის ფონზე... მაგალითად, ეკლექტური ინტერეირის მქონე სივრცეში, პიკანტურ სამზარეულოსა და მრავალფეროვანი კოქტეილების თანხლებით. ხოლო თუ ამ ყველაფერს ცოცხალი, გემოვნებიანი მუსიკა ერთვის, მაშინ ხომ, ერთი ცნობილი გამოთქმის არ იყოს – „შეუთავსე სასიამოვნო სასარგებლოსო“, მთლად ისე ყოფილა შენი საქმე! ასეთი ადგილი თბილისის ერთ-ერთ კოლორიტულ უბანში და ბოლო დროს თანამედროვედ რეკონსტრუირებულ ბაზმის რიგის 7 ნომერში კლუბ-რესტორანი **Two Side Party Club**-ია, სადაც კვირის თითოეულ დღეს წინასწარ იცი, თუ როგორ მუსიკას მოისმენ. ცოცხალი შემოქმედებითი საღამოებიდან გამომდინარე, ისიც ადვილი მისახვედრია, რომ კლუბ-რესტორნის მთავარი ღირსება მხოლოდ ინტერეირი და გემრიელი კერძები არ გახლავთ.

... ქალაქის მონოტონური რიტმისგან თავის დასაღწევად, კლუბის მრავალფეროვან სივრცეში, **Two Side Party Club** -ისთვის განსაზღვრული ასაკობრივი კატეგორიის (25 წლის ზევით) პუბლიკა, 6 საათიდან იყრის თავს. ოდნავ მოგვიანებით კი სტუმრების ყურთასმენას ვარსკვლავური ხმები იპყრობენ. უსმენ **Two Side Party Club**-ის სავტორო **Live** ბენდის მიერ აუღერებულ კომპოზიციებს და ცნობილ მომღერლებს, რომლებიც რეპერტუარს ამოფარებული ვარსკვლავები გეგონა, მაგრამ გრძნობ, რომ ახლა, სწორედ ამ წუთას საგანგებოდ შენთვის იხარჯებიან... ჯაზი, ბლუზი, სამბა, პოპმუსიკა **Two Side Party Club**-ში მხოლოდ განსაზღვრულ მუსიკალურ რეპერტუარს, განსაზღვრული პროგრამითა და თემატური საღამოებით გთავაზობენ. პოპულარულ ჰიტებს საგანგებოდ კლუბ-რესტორანში თავმოყრილი აუდიტორიისთვის კვირის სხვადასხვა დღეს: დუეტი „ჯორჯია“, ქეთი ფარესაშვილი, ლევან ლაზარიშვილი, ნოდiko ტატიშვილი, ანანო მყავია, ხათუნა ჯალაღონია, მკა გამყრელიძე, თინა ჯანელიძე და სხვები ასრულებენ დავით ილურიძის, ჯარჯი მალალაშვილის ან მოძრაობის თეატრის ბენდის თანხლებით. გაციმხელთ იმასაც, რომ რომელიმე თემატურ საღამოზე მოხვედრისას, კლუბ-რესტორანი ოდნავ სახეცვლილი დეკორაციით, შესაბამისი მენიუთი და თემასთან მისადაგებული განწყობით გიმასპინძლებთ. ეს ყველაფერი კი მსმენელისთვის სერიოზული არგუმენტია საიმი-სოდ, რომ განწყობისთვის შესაფერისი მუსიკა შეარჩიო, **Two Side Party Club**-ს ესტუმრო, მოგვიანებით კი DJ-ს მიერ შემოთავაზებული მუსიკალური პროგრამაც (80-იანი წლებიდან დღემდე მოყოლებული პოპულარული ჰიტები) მოისმინო და დილამდე დადებითი მუსიკალური ენერჯით დაიმუხტო. ემოციის გამოსახატავად **Two Side Party Club**-ში დროც ბევრია და ადგილიც.



# ნახტომი სისარჩელეში

## თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი – პოლიტიკური უზიწოზიდან – ესთეტიკურ წინდასვითადა


ლავით ბუხრიკიძე

„ჩვენ უკვე ვიცით, რომ დრო, რომელშიც ვცხოვრობთ, პოლიტიკურად თუ სოციალურად სწრაფად ცვალებადია და შეუნიღბავად სასტიკი; რომ სამყაროში რაღაც უფრო საშიში გაჩნდა და ადამიანურობის ცნება წარსულს ჩაბარდა. ამიტომაც მომავალი აღარ გეწყალობს და აღარ გვლოცავს... თეატრის საშუალებით უბრალოდ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენ დაფარულ შიშებს, დიდი ხანია, ფარდა აეხადა. ხოლო სოფოკლეს, შექსპირის, მოლიერის ან გოეთეს კითხვისას ხელახლა აღმოვაჩინებთ, რომ ისინი ღმერთმა გვაჩუქა, რათა საკუთარი თავი უკეთ შევიცნოთ. ალელვებულნი და შეშინებულნი, ჩვენი სათქმელის უკეთ გამოსახატად შესაფერის ფორმას ვეძებთ... და ამ დროს თეატრის ეს დიდებული „წინაპრები“ ერთ უმნიშვნელოვანეს შეკითხვაზე პასუხის გაცემისკენ გვაქეზებენ და გვიბიძგებენ: რა შეგვიძლია, სიყვარულის გარდა, ამ ქვეყნად დაეჭვების გარეშე მივიღოთ?!“

ეს არის ფრაგმენტი პოლონელი რეჟისორის, იანუშ ვიშნიევსკის გამოსვლიდან, რომელიც მან თესალონიკში, „ევროპული თეატრის კონვენციის“ ასამბლეაზე წაიკითხა. მოარული მოსაზრება, რომ აღმზრდელობით-ჰუმანისტური თეატრის დრო დასრულდა და ახლა მეტატექსტისა და ცინიკური მედიის დროა, მის მიერ დადგმულმა შექსპირის „ქარნიზხალმაც“ დაადასტურა. საკმაოდ ხმაურიანი პრელუდითა და მსუყე ბიუჯეტით გამორჩეულ, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე რთულ და მრავალუცხოვანი სპექტაკლში, რომელიც ვიშნიევსკიმ პოზნანის „ნოვი თეატრში“ დადგა, შეუძლებელია, გაიგო, ვინ არის მთავარი პერსონაჟი, პროსპერო – კეთილი ჯადოქარი თუ გროტესკული სიზმრის საშიში მთხრობელი, ფერადი მეზღაპრე თუ შავ-თეთრი იმიტატორი, ვნებებით დატვირთული დრამისა თუ მსუბუქი ბურლესკის პერსონაჟი...

იქნებ ეს სიმბოლურიცაა. შექსპირის უკანასკნელი, ყველაზე გამოუცნობი და მისტიკური პიესის სამყარო თითქოს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დასაწყისის აირეკლავს – დაახლოებით ისეთივე აბსურდული, სიზმრისეული, დრამატული თუ გროტესკული სამყაროთი. აბსურდული იმიტომ, რომ მსხვილი და უკვე მოთელილი თეატრალური ფესტივალი (მიხეილ თუმანიშვილის სახელობის) უკვე არსებობდა და რა საჭირო იყო დაახლოებით იმავე პერიოდში პარალელური ფესტივალის ჩატარება. ტოტალური კრიზისის უამს, როცა ლამისაა, „ქამრები“ ქვეყნის რჩეულბმაც ნებაყოფლობით თუ სხვათა დასანახად შემოიჭირონ, ორმილიონიანი ბიუჯეტი ცოტათი გროტესკს ჰგავს და უფრო მეტად სიზმარს. დრამატული კი იმიტომ, რომ გვინდა თუ არა, ვხედავთ თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ ახალდარსებულმა, უდავოდ კარგმა და ხარისხიანმა თეატრალურმა ფესტივალმა (რომელიც ორ ძირითად ეგზაპს – კულტურის სამინისტროსა და ქალაქის მერიას ეყრდნობა) არსებობა, სხვა ფესტივალის პოლიტიკური ანგარიშსწორებით თუ არა, მასზე გადაბიჯებით დაიწყო... და ეს ოდნავ ცინიკურია და უფრო მეტად გულსატკეპნი.

სხვათა შორის, თუმანიშვილის სახელობის ფესტივალი დაახლოებით ათჯერ უფრო მცირე ბიუჯეტით დაახლოებით იმავე დონის სპე-



1. „ფაუსტი“
2. „ფაუსტი“
3. „პოიუსაჟი“
4. „რომიო და ჯულიეტა“
5. „ჩიგოვდის ოინებაი“

ქტაკლების ჩამოტანას მანც ახერხებდა. ცხადია, არა ყოველთვის და არა ბოლო წლებში. მაგრამ დღეს ამგვარი დრამატული პარალელები თუ დისკურსი, უკვე უნაყოფოა და სხვა ჟანრისკენ ნაგვიყვანს. ამიტომ მივიღოთ რაც მოხდა და შევაფასოთ, რაც დავინახეთ. პირველ რიგში ის, რომ თბილისის საერთაშორისო ფესტივალმა მოახერხა გავლენიანი ევროპული თეატრალური ორგანიზაციებისა და ფესტივალების დირექტორთა ყურადღების მიპყრობა. ის უკვე საერთაშორისო-საფესტივალო სივრცეში მოექცა და პერსპექტივა აშკარად აქვს.

ევროსაბჭომ თბილისის ფესტივალი „კულტურულ მოვლენად“ აღიარა, რასაც მხოლოდ გავლენიანი და კულტურული ინოვაციებით გამორჩეული პროექტები იმსახურებენ. ეს კი ფესტივალის დირექტორის და მრჩეველთა საბჭოს წევრის, ეკა მაზმიშვილის დამსახურებაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ევროსაბჭოს გენერალური მდივნის, ტერი დევისის შეფასება და უცხოელ თეატრალურ ექსპერტთა მსხვილი „დესანტის“ შემოსევა ქართულ თეატრებში. ევროპული და აზიური ქვეყნების 14 და სხვადასხვა ქართულ თეატრში დადგმული 28 სპექტაკლი – ასეთია თბილისის პირველი ფესტივალის ერთი შეხედვით მარტივი არითმეტიკა, რომლის მიღმა რთული და ქრელი თეატრალური რეალობა ირეკლება.

პირველ რიგში საუკეთესო უცხოური სპექტაკლების და ცხადია, ხარისხიანი ლიტველების შესახებ – პირქუმი კლასიკოსი ეიმუნტას ნეკროშიუსი და „ახალი ევროპული თეატრის“ იმედი არტურას კორშუნოვასი. ნეკროშიუსმა გოეთეს „ფაუსტის“ მიხედვით დადგმულ 5-საათიან სპექტაკლში გასაღებს ისევ ავტორისეულ მეტაფორებში მიაგნო. განწირულია ფაუსტის (ნეკროშიუსის თეატრის მუზა, ცნობილი მსახიობი ვლადას ბადონასი) სწრაფვა საკუთარ გახლეჩილ გონებაში სამყაროს მთლიანობა აღადგინოს. გიგანტურ ძვლებზე შემომჯდარი გრეტჰენი (ბრწყინვალე ელჟებეტა ლატენაიტე) მისი შეცდომისა და მარტოსულობის მსხვერპლი უფროა, ვიდრე მეფისტოფელის (სალვიუს ტრუპელისი) ტრაგიკულ-დამცინავი ოინაზობისა. რეჟისორი ფაუსტის ისტორიას საკუთარ „კოორდინატთა სისტემაში“, ანუ სცენურ მეტაფორებში აქცევს. ნეკროშიუსის თეატრი განსაკუთრებული მოვლენაა, სცენური მატერიის ქსოვის განსაცვიფრებელი ხელოვნება, რომლის გარემუცვ ნარმოუდგენელია თავად თეატრალური მაგია. მის სპექტაკლებში ადამიანი თითქოს სამყაროს წინაშე, უფრო ზუსტად, სტიქიების წინაშე მარტო რჩება. მიწა, ცეცხლი თუ ჰაერი ქმნის ცივილიზაციას მოწყვეტილი ადამიანის ეგზისტენციის მეტაფორას. ნელი, განელილი რიტმი და ეპიკური მასშტაბი უსათუოდ დიდ დროს და სივრცეს საჭიროებს, რაც ცაიტნოტში მყოფი დღევანდელი ადამიანისთვის ხშირად ნარმოუდგენელია.

არტურას კორშუნოვასი „რომეო და ჯულიეტაში“ პიცერიაში დატრიალებულ ტრაგედიას ფქვილის სითეთრითა და ცომის ელასტიკურობით გაათამაშებს. პლუს ნეორეალისტური ფილმების პაროდია, 50-იანი წლების კინოს ხმაურიანი და კომუნიკაბელური პერსონაჟები და ნეაპოლური სიმღერების ატმოსფერო. მონტეგებისა და კაპულეტების „ცომეულის ომი“, ცხადია, პაროდიაა, მაგრამ გარკვეულ დრომდე, ვიდრე ნარმოდგენის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი – დანიელს კაზლაუსკასი (მერკუციო) დაწვებით დუელს არ გაუმართავს კოჭლ და დაკომპლექსებულ ტიბალტს (დარიუს გუმაუსკასი).

და მხოლოდ მეორე აქტში, როცა პირველ ვნებასა და პოეტურ უშუალობას სიკვდილი შეცვლის, ფქვილი – ანუ სიცოცხლის საწყისი, სამყაროს მტვრად ანუ სიკვდილად იქცევა. საუკუნოვან ზიზლსა და დაპირისპირებას მხოლოდ გამანადგურებელი ირონია და გულწრფე-


ლი, ახირებული სიყვარული ამარცხებს და ეს ოდნავ უხეში მესიჯი ცხადად გაისმის ფინალში. ავანსცენაზე ჩამწკრივებული პერსონაჟები ისევ ფქვილს ცრიან, ხოლო უკვე გარდაცვლილი რომეო და ჯულიეტა (გიედრიუს სავიჩკასი და რასა სამუოლიტე) გიგანტურ საცომე ქვაბში პატარა ბავშვებით ტრიალებენ... ალბათ ასეთი სიკვდილი და სიყვარული ამოძრავებს სამყაროს.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა ახალგაზრდა ლიტვეური თეატრის ლია გაკვეთილივით უშუალო და იმპროვიზაციაზე აგებული პატარა ნარმოდგენა „ლია წრე“, რომელიც ძირითადად მსახიობთა ავტობიოგრაფიულ ფაქტებს ეყრდნობა. ეს არის პატარა ისტორიები, რომლებსაც წრეში ჩამწკრივებული, სკამებზე მოკალათებული მხიარული მსახიობები ლირიკული აღსარებასავით გვიზიარებენ. სამყარო დაუნდობელია, მაგრამ პოეტურიც. უნდა შეეცადო შეცვალო, მაგრამ არავის ებრძოლო... უნდა იმკურნალო, მაგრამ არ გაბრაზდე, შთააგონო, მაგრამ ჭკუა არავის დაარიგო. რაც მთავარია, მსახიობები არ გაურბიან თამამ იმპროვიზაციულ თამაშებს და სრულიად გამორჩეულ თეატრალურ ენაზე მეტყველებენ, რომელიც მიხეილ თუმანიშვილის ერთ დროს ბრწყინვალე თეატრალური სახელოსნოს პირველ ნაბიჯებს ვგავანებს. ამ სპექტაკლით კიდევ ერთი ახალგაზრდა ლიტველი რეჟისორი, აიდას გინიოტისი აღმოსავლეთ ევროპაში ერთობ პოპულარული გახდა, ხოლო „ლია წრეს“ ნაციონალური პრემია – „ოქროს სცენის გზაჯვარედინი“ მიენიჭა.

ვიდრე მარჯანიშვილის თეატრში ქალაქ პოზნანის დასი შექსპირის „ქარიშხალს“ შავ-თეთრი გრაფიკითა და პაროდით აზავებდა, ხოლო რეჟისორი ვიშნიევსკი შექსპირს „დასახმარებლად შეაშველებდა“ ელიოტს, ოდენსა და ფსალმუნთა ტექსტს, მუსიკალურ ცენტრში „მოცეკვავე დერვიშები“ როკავდნენ. ექვსი მოცეკვავე მამაკაცი „სემა ჯგუფიდან“ (სტამბოლის ცეკვისა და ხელოვნების ცენტრი) სუფის ტრადიციებსა და კლასიკური თურქული მუსიკის ტრადიციებს ახალ განზომილებას ანიჭებს. ცხადია, „ეს არ არის თეატრი“, როგორც სპექტაკლიდან გამოსული და ოდნავ იმედგაცრუებული მაყურებელი აღნიშნავდა. მაგრამ რიტუალური ცეკვა ზანზალაკებით და თავბრუდამხვევი, რელიგიასთან ცოტათი გართობული სანახაობა არც ისე ხშირი სანახავია, რომ ერთ საათში მოგებზრდეს. არადა, პრეტენზიულ მაყურებელს თავისუფლად შეეძლო, დერვიშების ცეკვა მალე დაევიწყებინა ევროპული ლაივ-სპექტაკლების შემდეგ.

მამ ასე, თეატრალური პროექტები სასტუმროებში – ფრანგულ-ხორვატული „ისე რა“ „თბილისი მერიოტის“ ნომერში და შვედური „პეტროფილი“ „ქორთიად მერიოტის“ ინტერიერში. პირველი ნარმოდგენა ფრანგი ავტორის, სოფი კალეს ინტიმური ფანტაზიისა და ფსიქოანალიტიკური აზროვნების ნაყოფია. ქორწინების, განქორწინებისა თუ ინტიმური ცხოვრების სცენები „მერიოტის“ ნომერში თამაშდება. დაახლოებით ოცი-ოცდახუთი მაყურებელი გაშლილი ლოგინისა და უწყსრიგოდ მიმოყრილი ნივთების ფონზე ორი ქალისა და ერთი მამაკაცის ისტორიას ადევნებს თვალყურს. მართალია, ავტორსაც (სოფი კალე) და რეჟისორსაც (ბრანკო ბრეზოვიჩი) ცოტა გემოვნება და იუმორის გრძნობა ღალატობთ, მაგრამ თანამონაწილეობისა თუ მიჩქმალული „ლაივ-ინტიმის“ განცდა მანც გუფულებათ.

უფრო უკეთესია შვედური სპექტაკლი „პეტროფილი“, რომელიც ქალი-რეჟისორის კრისტინა ოზოუნიდის ინტიმურ აღსარებას ერთგვარ სკანდალური ჩანაწერებისა თუ ლინგვისტური თამაშის ელფერს ანიჭებს. ქალები, ჰომოსექსუალიზმი და ძალადობა ის პოპულარული თემებია, რომლის ანალიზსაც რეჟისორი „ენჯელომნიკური“



1. „პოისაჟი“
2. „ქალბანის ისტორია“
3. „შინელი“
4. „პარიზხალი“

ენოსივითა და პროვოკაციულობით ახერხებს. იქნებ ჩვენ გაცილებით ირონიული დამოკიდებულება გვაქვს ამგვარი ინტიმური პერფორმანსის მიმართ, მაგრამ ობიექტურობისთვის ერთი შედეგი თეატრალური კრიტიკოსის მოსაზრებასაც გაგაცნობთ: „ეს არის ფეთქებადი სიტყვები, ვნებების კასკადი და ფილოსოფიური დინამიტი. სპექტაკლის შესავალში რეალობა ფოტოფიზის ნეგატივზეა ასახული... ეს შესანიშნავი და ძლიერი სანახაობაა, ეს თავისუფლების მანიფესტია“.

ფორმისა და შინაარსის თავისუფლება, ყოველგვარი მანიფესტისა და სექსუალური ძალადობის გარეშე, უფრო კარგად იგრძნობა ფილიპ ჟანტის ცნობილ სპექტაკლში „ზიგმუნდის ოინები“. ამ რეჟისორის შემოქმედებას საქართველოში პირველად გაეცნენ. ჟანტის თეატრალური კომპანია ბევრს მოგზაურობს და თითქოს ყველა ქვეყნის კულტურის გამოცდილებას აგროვებს. ფილიპ ჟანტი პოეტური ილუზიის და ჩრდილების იმიტატორია. ხელებით, სხეულის ნაწილებითა და აპლიკაციით შექმნილი მისი პერსონაჟები უსასრულობაში ისე დაქრან, როგორც სიზმარში. ისხენებენ დაფიქსურულ წარსულს, ემოციებს, შიშებს, სიყვარულს, რომელიც მხოლოდ სუსტად გაკრთება შორეული ვარსკვლავივით და მერე ქრება... თეატრი, რომელშიც სამყარო და მსახიობი მატერიალურ საგნებსა და ნივთებს უპირისპირდება; თეატრი, სადაც ილუზია ხელშესახები და საგნობრივია, პოეტური და პოეტურად მარტივი. რალაცით ჟანტის სპექტაკლები რუზო გაბრიადის სპექტაკლებს მოგაგონებთ, რომლებშიც მოშლილია რეალობისა და ლოგიკის საზღვრები და მაყურებელიც ამ საზღვრებს მიღმა სიამოვნებით მოგზაურობს, უფრო ზუსტად – დაფრინავს.

ცეკვისა და ფიზიკური თეატრის მოდური ტენდენციები თბილისურ ფესტივალზეც გარკვეულწილად აისახა. მაგალითად ბრიტანული კომპანია Gecko ცდილობს, გოგოლის გენიალურ „შინელი“ ერთ-ერთ კომპანიაში მომუშავე აკაკი აკაკიევიჩის (ამიტ ლაშავი – თეატრალური კომპანიის რეჟისორი და მსახიობი) სურვილები ამოიკითხოს. საოცნებო ქალის – ნატალიას მოხიბვლას დიდი ძალისხმევა და, რაც მთავარია, კონკურენტების დამარცხება სჭირდება. „შინელი“ სურვილების მისტიკური ობიექტი კი არა, სოციალურ საფეხურზე გამარჯვებისათვის დაწესებული ჯილდოა. სწორედ რეალობას და სურვილებს შორის კონფლიქტს გამოხატავენ მსახიობთა ნატივად მოძრავი სხეულები. ისევე, როგორც ზუსტია და ირონიული ეროტიული მიზანსცენები, დახვეწილი კოსტიუმები და თითქმის იდეალური სინქრონულობა. 20-იანი წლებისა და მუნჯი კინოს ატმოსფერო ხაზს უსვამს სასცენო ენის გროტესკულობას და გამომსახველობით სიმდიდრეს.

აღმოსავლური აქცენტი ფესტივალზე პოლიტორექტულად და სანიშნუში ევროპული სიზუსტით დაიცვა კორეულმა კომპანია „სადარმა“, რომლის დამფუძნებელი და რეჟისორი დო-ვან იმი გვთავაზობს გეორგ ბიუნენის „ვოიცეკის“ სრულიად განსხვავებულ ვერსიას. სცენურ რეკვიზიტს მხოლოდ ხის სკამები წარმოადგენს, რაც რეჟისორის ქორეო-ფანტაზიას მხოლოდ ახელებს. საათისა და ოცი წუთის განმავლობაში მოქნილი სხეულების ნამდვილ პოლიფონიას „მოისმენთ“, რომლის მიღმა საკმაოდ ძნელია „ვოიცეკის“ სიუჟეტის ამოკითხვა. სამაგიეროდ სპექტაკლში უხვადაა გაბნეული ფეიქტური ნომრები ბროდვეის სტილში: სკამზე გათამაშებული სცენებითა და სინქრონული მალაყებით, რაც თავის დროზე გენიალურმა ბობ ფოსმა კლასიკად აქცია. ევროპულ-აღმოსავლური გამოცდილება და ფრანგული ქორეოგრაფიის გაკვეთილები ძალიან ეხმარება რეჟისორს საერთაშორისო თეატრალური კონიუნქტურა აითვისოს. მარდ

# Tbilisi JAZZ Festival 2009



## Marcus Miller

Tutu Revisited - The Music of Miles Davis  
Featuring Christian Scott



27.10.09

## James Carter Quintet



27.10.09

## Medeski, Martin and Wood



28.10.09

## Scott Kinsey Group



30.10.09

Dedicated To You  
Kurt Elling Sings Coltrane/Hartman  
Featuring Ernie Watts  
With The Laurance Hobgood Trio



30.10.09



## Kool & The Gang



01.11.09

ბანკი რესპუბლიკა  
BANK REPUBLIC  
SOCIETE GENERALE GROUP Presents



# თბილისის ჯაზ ფესტივალი 2009


მიმოხილვა



1



2



3

1. „პარიზხალი“
2. „ღია წრა“
3. „იხა რა“

აღმოსავლურ სხეულებს, ტრენინგისა და ევროპული რეპერტუარის წყალობით, მრავალ საერთაშორისო ფესტივალზე წააწყდებით. მისა-საღმებელია, რომ ამ გეოგრაფიულ წუსხაში საქართველოც მოხვდა.

არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა მხოლოდ ქალებისგან შემდგარი კორეული დასის „Knua-სა კომპანიის“ მიერ წარმოდგენილი „ქალების ისტორია“, რომელშიც სხეულების მოძრაობები ღამის მომთენთავ სიგრილეს შეერწყა. ამისთვის მათ მხოლოდ 40 წუთი სჭირდებოდათ. ეს არის უძველესი კორეული ტრადიციის მიხედვით გათამაშებული ისტორიის ქორეოგრაფია. ქის ირგვლივ ქალები იკრებიან, სარეცხს ავლებენ და უბრალო, ღამის არაფრისმთქმელ და ასინქრონულ მოძრაობებს ნამდვილ პოეზიად აქცევენ. ისინი თითქოს ამ სარეცხით ბედისწერასა და საკუთარ სხეულებს ეთამაშებიან. ჩვენი აზრით, ეს პატარა ქორეოგრაფიული ოპუსი ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოვლენა იყო. ცხადია, სხვა სპექტაკლებთან ერთად.

საერთაშორისო სტარტი ანუ ფესტივალის ნახტომი სიცარიელეში, ევრაზიული თეატრალური სივრცის ასათვისებლად არცთუ უიღბლო გამოდგა. ცხადია, შეიძლება უკეთესად ორგანიზებული და უფრო მეტად რეკლამირებულიც ყოფილიყო. და მაინც, პირველი პური ძვირად, მაგრამ მაინც გამოცხვდა. თეატრალური კი უკვე მეორე ფესტივალს ელიან – უფრო კარგსა და საინტერესოს. ქართული პროგრამა თავისი პრემიერებით (სრულიად შეგნებულად) ცალკე შემოვიწინახეთ. მათ შესახებ ვრცელ ოპუსს მკითხველს სხვა დროს შევთავაზებთ.

განიხილვა

კაფე BELLE DE JOUR ორი წლისა!

ისინი, ვისაც ფრანგული გარემო იზიდავს, ან უბრალოდ გემრიელი კერძების დაგემოვნების სურვილი უჩნდებათ, უკვე ორი წელია, აბაშიძის ქუჩაზე მდებარე კაფე Belle de Jour-ს სტუმრობენ. მათ კი, ვინც ამ კაფეს არსებობის შესახებ ახლახან შეიტყვეთ, გირჩევთ პარიზულ კაფეს მისადაგებულ ინტერიერში სალათი ან სტიეკი „ბელ დე ჟური“, გნებავთ, გამომცხვარი ახალზელანდიური მიდია მიირთვათ... ანდა ეგზოტიკური ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილოთ და შემწვარ ბაყაყს გრებუძის სოუსით გაუსინჯოთ გემო. თუმცაღა, კაფეს მთავარი ღირსება მხოლოდ ინტერიერი და კულინარიული მიღწევები არ გახლავთ. ორწლიანი არსებობის მანძილზე Belle de Jour-მა საზოგადოებას თავი რამდენიმე საავტორო კულტურული პროექტითაც დაამახსოვრა. გამოსცა სამი (DJ Taho-ს, ნიკაკოსა და ნასთიას) კომპაქტ დისკი. მიმდინარე წლის ზაფხულში კი კაფეში ფოტოგამოფენა გაიხსნა, რომელშიც სხვადასხვა ავტორებმა (ანა ნიჟარაძემ, გოგა დევედარიანმა, ტატო კოტეტიშვილმა, სამონაზენე რებეკა ხოსიტაშვილმა, დიმა ჩიკვაძემ და სხვებმა) მიიღეს მონაწილეობა და ჯავახეთსა და სამაჩაბლოში ასახული დოკუმენტური კადრები გამოფენის თემატიკას მიუსადაგეს.



ამგვარი შემოქმედებითი ცხოვრების მქონე კაფეს თამამად შეეძლო 2 წლის იუბილე ისევ კულტურულ მოვლენად ექცია და 13 ოქტომბერს საიუბილეო თარიღი პომპეზურადაც აღენიშნა, თუმცა კაფეს მესვეურებმა იმ საღამოს ამჯობინეს მხოლოდ „შინაურული წრე“ – ყველაზე ერთგული და მუდმივი კლიენტურა შეეკრიბათ. საიუბილეო საღამოს დიჯეი Taho-ს მიერ აუღერებული მუსიკის ჰანგები გაისმოდა. ელექტრონული რითმები, მსუბუქი ალკოჰოლი და საგანგებოდ დაჯავშნულ მაგიდებზე მეგობრებთან ერთად ჩამჯდარი აუდიტორია – ასეთი გახლდათ Belle de Jour-ის მოკრძალებული იუბილე. არატრადიციულ დაბადების დღეს კი ერთი ტრადიციული სადღესასწაულო ატრიბუტი მაინც ახლდა – აბა, დაბადების დღე ტორტის გარეშე ვის გაუგია!

აზომორი: მაია ხუციანი





# ბაზანიჭვიბუდი საქანიტვიდოლს ბანკი

ბანსადოთი ანაბანი,  
ჩიხითი ბათიბაბუბანი,  
ბოობი ფიდალი ვიოვი  
და ბიბი



საქანიტვიდოლს ბანკი  
BANK OF GEORGIA





# ნახიჯ-ნახიჯ „მედიტერანეაში“

## რესტორანი ვაკეში ვაკური ამაოების ბარაში

ავტორი: გიგო მისიხვილი  
ფოტო: ლიზი მარკოვილი

ახელედინისა (პეროვსკაიას) და შარდენის ქუჩების გარდა, ბოლო 2 წლის მანძილზე აშკარად გამოიკვეთა აბაშიძის (ბარნოვის) ქუჩის როლიც ქართული სარესტორნო საქმის განვითარებაში. მართალია, ამ „განვითარებაში“ რაიმე განსაკუთრებული ძვრები არ შეინიშნება, მით უმეტეს კრიზისის ფონზე, თუმცა აშკარაა, რომ ზოგიერთი რესტორანი ინდომებს და არ სურს მხოლოდ რაღაც სწობური თბილისური აურის ხარჯზე არსებობა.

ვაკეში რამდენიმე კაფე თუ რესტორანია ასეთი აურით შემოსილი, რომელსაც სრულიად უფერული სამზარეულო აქვს და ვერც მომსახურებით დაიკვეხნის. აქ მხოლოდ პერსონალური ლეგენდები ითხზება და გასტრონომიასთან, მით უმეტეს, გასტრონომიულ კულტურასთან, მათ ცოტა რამ აქვთ საერთო. ამ ტიპის დანესებულებებზე სხვაგან შევეჩვედებით, იმედოვნებ, მოვა დრო, როცა ბოლომდე ამოვიკითხავთ მათი „ხიზის“ მიზეზებს და იქაური ფილოსოფიის ძირითად ცნებებსაც ჩამოვაცალიებთ. ამით გარდა, აბაშიძის ქუჩაზე და მის პარალელურ ფალიაშვილზე მაინც შეიძლება რამდენიმე საინტე-

რესესო, გემოვნებიანი და მრავალფეროვანი რესტორნის გამორჩევა, სადაც აშკარად ცდილობენ ჭირვეული ქართული პირის გემოს მორჯულებას. ერთ-ერთი ასეთი რესტორანია „მედიტერანეა“, რომელიც, როგორც სახელიდან ჩანს, მილიანად ხმელთაშუაზღვისპირულ სამზარეულოს მოიცავს და ფრანგულ ან იტალიურ სამზარეულოსთან ერთად აქ ბერძნული და ესპანური კულინარიის კვალსაც იპოვით.

რესტორნის ადგილმდებარეობაში არაფერია ხმელთაშუაზღვისპირული – 50-60-იან წლებში აშენებული საბჭოთა სახლის პირველი სართული, გრძივი, გაერთიანებული ოთახებით და შიდა ეზოში გასასვლელით, რომელიც, გარეგნობა რომ არ უშლიდეს ხელს, უფრო ამსტერდამული სახლისთვის შეგვეძლო შეგვედარებინა, ვიდრე მედიტერანულიისთვის. ამ მყუდრო რესტორანში ვერ ნახავთ დარბაზს, ვერც ხედებით დატკბებით, რესტორანი ერთი ვინრო გასასვლელია, კედლებთან მაგიდებით, თუმცა სწორედ ამის გამო და კიდევ ერთი-ორი ატრიბუტის წყალობით, იქმნება ის შინაურული ატმოსფერო, რომელიც რესტორანში შესვლისთანავე იგრძნობა.

ამ რესტორნისთვის ასევე უცხოა ის „ვაკური ამაოება“, რომელიც ზოგჯერ ძალიან თვალში საცემია ხოლმე სხვაგან. მე პირველ რიგში სიგრძელ ვიგრძენი, რადგან ჯერ კიდევ 17:00 იყო, როცა „მედიტერანეაში“ შევაბიჯე და იმდღევანდელი სიცხით დაქანცულმა ვრცელი მენიუს თვალიერებით დავინყე ძაღვების აღდგენა, რადგან ინტერიერში არაფერი იყო განსაკუთრებული, ისეთი, რომ ყურადღება მიექცია და ცოტა ხნით მაინც გავეტაცებინე.

რესტორანში საკმაოდ მკრთალი განათებაა, სადაც ქალაქის სანათურებიდან წითელი ფერი იღვრება. არის ადამატებითი შუქიც, თუმცა მაინც აჯობებს სინათლის ბუნებრივ წყაროსთან ახლოს დაიკავოთ ადგილი. სწორედ ასეთი აღმოჩნდა ის მაგიდა, რომელთანაც ჩვენ მოვხვდით, ფანჯარასთან.

„მედიტერანეაში“ ძალიან კარგი მენიუა, რომელიც à la carte მენიუს პრინციპითაა გაკეთებული და საქმის ცოდნითაა შედგენილი, სადაც ამა თუ იმ კერძის თუ ღვინის დასახელების ქვეშ მოკლე დახასიათებებიც შეგიძლიათ ნაიკითხოთ, ძირითადი შემადგენლები, მთავარი საკმაოები. მენიუში შეცდომებიც არის (მაგ. სუფრის ღვინის ნაცვლად, მაგიდის ღვინო წერია რამდენიმეგან, და სხვ.), თუმცა მისი თვალიერება იმდენად საინტერესოა, რომ ამ უმნიშვნელო დეტალებს აღარ აქცევ ყურადღებას.

პირველ რიგში აღნიშვნის ღირსია სპეციალური შემოთავაზებები, ორიბიჯიანი ბიზნეს-ლანჩ პაკეტი (11.95 ლარად), სადაც შესაბამისად სტარტერსა (წვინანი ან სალათი) და ძირითად კერძს გთავაზობენ და სამბიჯიანი ლანჩ-პაკეტი (14.95 ლარად), დესერტის თანხლებით. შეგიძლიათ არჩევანი შეაჩეროთ ლანჩ-რაპიდოზე (4.75 ლარიდან – 12.95 ლარამდე) ან მენიუ-ფიქსზე, რომელიც ძირითად, à la carte მენიუზე დაყრდნობით დგება და ისიც, ასევე შეიძლება იყოს ორიბიჯიანი (25.55 ლარად) და სამბიჯიანი (29.95 ლარად). მენიუსვე ერთვის დესერტების ჩამონათვალი და ღვინის ბარათი, სამარხვო მენიუ კი ცალკე მოაქვთ.

რა კერძს არ ნახავთ აქ: სხვადასხვა წვინანს, სალათ კაპრეზეს მოცარელას ყველით, პომიდვრით, პესტო ჯენოვეზეს სოუსით და ბაზილიკით, მოცარელას სალათს ტკბილი წითელი და მწვანე წინაკით, ზეთიუნის ზეთითა და ბაზილიკით. მრავალნაირ პიცას, რომელსაც შეუ პიცა „მედიტერანეა“ აგვირგვინებს, მდნარი ყველით, სულგუნით, გაუდათი, პარმეზანით, შებოლილი სამეფო ორაგულით, კრევეტებით, ფრანგული მდოგვითა და ლიმონით, კარტოფილის ტკბილი სალათი თაფლში შემწვარი კარტოფილით, ტკბილი წითელი წინაკით, თეთრი ლობიოთი,

ისპანახით, ჭარხლით, ნაღების დრესინგით და გოგრის თესლით განყო-  
ბილი. შეგიძლიათ ასევე შეუკვეთოთ ეგზოტიკური **Niçoise salad** სა-  
ლათის ფურცლებით, შემწვარი კარტოფილით, კიტრით, პომიდვრით,  
მწვანე ხახვით, თინუსით, თეთრი ლობიოთი, მოხარშული კვერცხით,  
ანჩოუსებით, შავი ზეთისხილითა და მდოგვი-ბალზამიკოს დრესინგით  
განყოფილი.

არის სენდვიჩების დიდი არჩევანიც, თუმცა აბა რა ნამუსით უნდა  
გაიხედო სენდვიჩებისკენ, როცა გრეიპფრუტიან ან ავოკადოიან კრევე-  
ტების კოკტეილს მოკრავ თვალს, ბრენდის, ტაბასკოსა და ვორჩესტერ-  
ის ნაღების დრესინგით განყოფილს, ანდა ფრანგულად მომზადებულ  
ბაყაყის ბარკლებზე გაგექცევა მზერა, რომელიც კარაქშია შემწვარი  
და ტარხუნინი ნაღების დრესინგთან და ორთქლზე მოთუშულ ვაშლ-  
თან ერთად მოაქვთ. იგივე შეიძლება ითქვას პასტების დიდ არჩევანზე:  
**Farfalle con pancetta** – ბეკონით, ნუსით, სავიოს კომბოსტოთი, სულ-  
გუნით, პარმეზანითა და ნივრით შეკაზმული, **Lasagna al Forno** ისპანა-  
ხითა და ხაჭოთი, ოთხი ყველის სოუსით შეკაზმული, ბოლონიეზეს რა-  
გუთი, ბეშამელის სოუსით, სულგუნითა და პარმეზანით. ხორციელის  
გვერდებმა გასტროტერორიზმის მსხვერპლად შეიძლება გაქციოს:  
შემწვარი ქათმის ღვიძლი – ტუბლი და ცხარე წითელ წინაკასთან, ხა-  
ხვთან, მწვანე ხახვთან, ფორთოხალსა და არაყთან ერთად. ნაირნა-  
რი სტეიკები, კარაქთან და სულგუნის ყველთან ერთად, ბადრიჯნით,  
ბეკონით, ფრანგული ყავისფერი სოუსითა და ბადაგით შეკაზმული,  
ნივრიანი კარაქით დარბილებული, გრილზე შემწვარი ბოსტნეულისა  
და კარტოფილ ფრის გარნირთან ერთად და მრავალი სხვ.

როგორც ხედავთ, უზარმაზარი არჩევანის წინაშე დავდევით და გა-  
რწმუნებთ, ჩემ მიერ ჩამოთვლილი, მხოლოდ ნაწილი გახლავთ იმისა,  
რისი თვალის გადავლებაც ჩვენ მოვასწარით. ამიტომ, კიდევ უფრო  
დიდხანს რომ არ გაგრძელებულიყო ნაკითხვა-გამოკითხვები, გადა-  
ვწყვიტეთ, სასწრაფოდ შეგვეკვითა.

აპერიტივზე მწვანეს ჯიშისა და ყვინებული ღვინო შეუკვეთეთ, თუ-  
მცა დამთავრებულაც არ მქონდა იმის თქმა, რომ **GWS**-ის მწვანე მო-  
ეტანა, ოფიციალტი გავარდა და ცოტა ხანში უკვე გახსნილი ბოთლით  
დაბრუნდა, ხელში კი, როგორც ვეჭვობდი, „თელავის მარნის მწვანე“  
ექირა, რომელიც 7 ლარით უფრო ძვირი ღირდა **GWS**-ისაზე. თან **GWS**-  
ის „მწვანე“ ორი დღის წინ მქონდა დალუული, კარგი შთაბეჭდილება  
დატოვა და ახლა კიდევ მინდოდა გადამემოწმებინა ცალკე პირის გემო  
და ცალკე „ჩამოსხმა“. სხვათა შორის, ეს სუფრის ღვინო („თელავის  
მარნის მწვანე“) არასდროს ასეთი უინტერესო არ მომჩვენებია, არა-  
და აქამდე ხშირად ამართლებდა ხოლმე ცოცხალი სიმჟავითა და საღი  
ხილის არომატებით. დასაწყისისთვის ნივრიანი კარაქი, მდნარი ყველი  
და რვანარი პურეული მოგვიტანეს, თბილი, ფუმფულა და გემრიელი.  
აქაც, შეკვეთისას, ტრადიციულად ყველაზე ძვირიან კერძებს გვიჩვენ-  
დნენ, ისევე, როგორც სხვა თბილისურ მაღალი კლასის რესტორნებ-  
ში. სხვათა შორის, ამაზე ადრეც ვწერდი და, როგორც ჩანს, ეს ჩვეულებ-  
ა კიდევ დიდხანს დარჩება ქართველი მიმტანების მარაგში.

17.30 წუთზე შეკვეთის მიცემაც დავასრულეთ და 15 წუთში პირველი  
კერძიც მოიტანეს, წვნიანი.

#### სოკოს კრემ-სუპი (7,75 ლარი)

ეს იყო სოკოს კრემ-სუპი, იტალიური სოკო პორჩინით, ალუბიდან,  
რომელიც ძალიან ჰგავს ქართულ დათვის სოკოს. მოტანისთანავე  
ნაღების სუნი დატრიალდა გარშემო, თუმცა გემოზე ისეთი პიკანტუ-  
რი იყო წვნიანი და სოკოს გემო იმდენად ეფექტურად იკითხებოდა

(განსხვავებით ქამა ან ზოგიერთი სხვა სოკოს წვნიანებისგან), რომ ვე-  
რანაირმა ნაღებმა თუ მწვანილ-სუნელულმა ვერ გადაფარა. წვნიანი  
ძალიან მდიდრული, მთის გემოებით ხასიათდებოდა, და დასავლური  
ეგზოტიკის გარდა, რალაც ნაცნობი და მშობლიურიც ჩანდა კერძში.  
ვი ვისურვებდი, რომ სამომავლოდ რაჭული სამზარეულო გამდიდრე-  
ბულიყოს ამ ტიპის კრემ-სუპებით. კერძს საკმაოდ მოუხდა „თელავის  
მარნის მწვანე“, თუმცა უფრო კარგად წავიდა **GWS**-ის „მწვანეზე“, რო-  
მელიც სავე იყო მუხის ტონებით და შესაბამისად, მეტი საერთო ნახა  
სოკოს სპეციფიკურ, მძაფრ გემოსთან. სხვათა შორის, **GWS**-ის „მწვა-  
ნემ“ ცოტათი გამაკვირვა, რადგან ორი დღის წინ რომელიც დავლიე, ის  
მწვანე აბსოლუტურად სხვა ღვინო იყო, უფრო ცოცხალი, მეტი ხილის  
ტონებით, ხალასი მჟავიანობით, აქ კი ძალიან ბევრი მუხა იგრძნობო-  
და, რომელიც, მართალია, მოუხდა სოკოს სუპს, მაგრამ მაინც დამაფი-  
ქრა იმ ფაქტმა, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ერთი ეტიკეტით  
ჩამოსხმული ორი აბსოლუტურად განსხვავებული ღვინის დალევა  
მომიწია.

#### შეშის დელიკატესი (22,95 ლარი)

ზღვის ნობათის ეს სტარტერი არაჩვეულებრივი გაგრძელება აღ-  
მოჩნდა. თბილი კრეპი შებოლილი ნორვეგიული ორაგულით, კრე-  
ვეტებით, მდოგვით, მდნარი ყველით, ლიმონის ცედრით, წითელი  
ხიზილალით, ორი ყველითა და ნაღების სოუსით განყოფილი. კრეპის  
ტომისკაში მოქცეული და დაუნანებლად ხიზილალით გაფორმებული  
ეს კერძი პირველივე გემოზე გატყვევებს, განსაკუთრებით, თუკი პირ-  
ველივე ლუკმაზე ერთად მოგვხდათ ლიმონის ცედრის სიმწარე, ორა-  
გულის თუ კრევეტების სინაზე და კიდევ ობიანი იტალიური ყველის  
სილრმე და პიკანტურობა. ამას დაუმატეთ მცირეოდენი მდოგვი და  
ფეფქტი სახეზეა. მუხამრავალი **GWS**-ის „მწვანე“ ნაკლებად მოუხდა,  
სამაგიეროდ ექსტრამშრალი ღვინოები წავა კარგად. ქართულებიდან  
თელავის მარნის „კონდოლი“ მოუხდა თავიდან, თუმცა, როცა ხიზი-  
ლალა შეერია, ღვინო მოდუნდა და დაიჯაბნა, რასაც ვერ ვიტყვით „შა-  
ბლიზე“ ან ძალიან მშრალ „სოვინიონ ბლანზე“.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ნაღებისა და გორგონცოლას არაჩვეულებ-  
რივი სოუსი, ამ ლომბარდიული ობიანი ყველით შეგემებულმა საწვ-  
ბელმა სრულიად სხვა კუთხით დავგანახა ეს კერძი.

#### ურშტი ღი მარე (19,95)

მართალია ცურვა არ ვიცი, მაგრამ ყველაფერი ძალიან მიყვარს,  
რაც ზღვაში დაცურავს, ამიტომ მიდიების, კრევეტების, კალმარების,





მოლუსკებისა და რვაფუნას პასტა პომიდვრის კლასიკური სოუსით, ისპანახის და ტომატის ფეტუჩინებით, თეთრ ღვინოსთან ერთად, ჩემი საყვარელი კერძების რიცხვს მიეკუთვნება. ესაა კლასიკური სპაგეტი ზღვის პროდუქტებით. კერძი სასიამოვნო სიმწარის იყო, ღვინოსაც ბლომად იტანდა და თან სხვადასხვანაირ ღვინოს ითხოვდა შესაჯერებლად. მუხაში დავარგებული თეთრი მშრალი ღვინოებიც მოუხდა და ცოცხალიც. თბილღვინოს „წინანდალი“, თელავის მარნის „წინანდალი“, „კონდოლი“. ამ კერძთან სპეციალისტები თეთრ იტალიურებს გვირჩევენ, საუკეთესოა „პინო გრიჯიო“, ასევე შესაძლებელია ზოგიერთი წითლებიც, ნაკლებტანინიანი და შედარებით მაღალმჟავიანი, მაგ. „ბარბერა“.

რიზოტო თხის ყველით (18,95)

თხის ყველი და პარმეზანი არბორიოს ჯიშის ბრინჯით, პარმული ლორით, ლიმონის ცედრითა და ბეკონდარათი ყველაზე გვიან გამოიტანეს, თუმცა აჯობებდა, ცოტა ადრე შემოეტანათ, ყოველ შემთხვევაში, სტიკამდე მაინც. ამ კერძს განსაკუთრებულად ველოდი, მე ხომ თხის ყველი ყველა სხვა სახეობის ყველს მირჩევია, მან შეიძლება უკეთესობისკენაც შემიცვალოს კერძზე შთაბეჭდილება და ზოგიერთი წესის დარღვევის შემთხვევაში კი, მთელი შრომა წყალში ჩაყაროს. ეს რიზოტო არაფრით გამოირჩეოდა, თუმცა თხის ყველმა და თელავის მარნის კარგად ჩაცეხულმა ვარდისფერმა ღვინომ მაინც თავისი ქნა. რიზოტო ასევე ძალიან მოუხდებოდა თელიანი ველის ვარდისფერსაც, ღვინის ბარათში რომ ყოფილიყო.

ფილა მინიონი (23,95)

ტაფაზე შემწვარი საქონლის სტიეკი ფლამბირებით – კარაქთან და სოკოსთან ერთად, შეკაზმული ბრენდით და ფრანგული ყავისფერი „ბორდოს“ სოუსით. გარშემო ფრანგული ბოსტნეულის ბაღჩით – ბროკოლი, ბარდა, მწვანილეული, სტაფილო, ყვავილოვანი კომბოსტო. ასევე ინდური ბრინჯი, ფრანგული ქამა სოკოს სოუსი და ზედ მოხეხილი პარმეზანი. ფასიდან და შემადგენლობიდან გამომდინარე, ფილე მინიონი თავი კერძი უნდა ყოფილიყო და დანარჩენები უნდა დაეჩრდილა, მაგრამ სამწუხაროდ ასე არ აღმოჩნდა. საკმაოდ მდორე კერძი იყო, მიუხედავად იმისა, რომ პირველ გასინჯვაზე ნედლი ბროკოლი ძალიან მოუხდა ნედლსავე ხორცს, თუმცა საბოლოოდ ყველა შემადგენელი ცალკე-ცალკე დაიშალა. ერთადერთი, რასაც ყურადღება მივაქციე, ის გახლავთ, რომ ამ კერძთან კახური ტიპის, ქვევრის ღვინოებიც კარგად წავიდოდა, თუმცა ვერც ამ ტიპის ღვინოებს ნახავთ „ბარათში“, არადა იტალიაში უკვე საკმაოდ აქტიურად იყენებენ კახურ ტექნოლო-

გიას, ქვევრებიც ბლომად წაიღეს ჩვენი ქვეყნიდან და, როგორც ჩემმა მეგობრებმა მითხრეს, მედიტერანულ სამზარეულოსაც საკმაოდ ოსტატურად მოარგეს ეს ღვინოები, ჩვენთან კი, სამწუხაროდ, აქ შემოტანილ მედიტერანულ კერძებსაც კი ვერ ვუხამებთ. ფილე მინიონთან „თბილღვინოს საფერავი“ მოვატანინეთ, მაგრამ ღვინო, როგორც ჩანს, წინა დღის გახსნილი იყო, კარგად ვერ შეინახეს და ჩვენამდე უკვე გადაჟანგული მოვიდა.

ღმსმრტი კრემსტაილი (10,75)

სამაგიეროდ საოცარი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენი ნადიმის დამაგვირგვინებელმა კერძმა, ტკბილმა ბლინმა მასკარპონეს ყველთან და ჟოლოს სოუსთან ერთად, რომელსაც თავზე თხლად დაჭრილი მოხალული ნუში ჰქონდა მოყრილი. დესერტი შესანიშნავია მწვანე ჩაისთან, ულუწის ჩაისთანაც შესანიშნავი იქნება, გარდა ამისა, ტკბილი ვარდისფერი ღვინის მიყოლებაც არ აწყენდა ან სოტერნის ტკბილი ღვინოები.


რესტორანი „მედიტერანეა“  
ირაკლი აბაშიძის ქ. 5,  
ტელ: [+995 32] 22 10 15

შეფ-მზარეული: ნანა ჯგუხუაძე  
სამზარეულო: ევროპული, უმეტესად ხმელთაშუაზღვის-პირული, ძალზე მრავალფეროვანი. რესტორანში à la carte მენიუა, საკმაოდ მდიდარი სეზონური კერძებით, სადაც ასევე გათვალისწინებულია ბიზნეს-ლანჩის, ასევე სწრაფი ლანჩის პაკეტი და სხვა სპეცემოთავაზებები.  
ღვინის ბარათი: წარმოდგენილია მხოლოდ სამი ქართული ღვინის კომპანია, რაც ძალიან ცოტაა ასეთი მრავალფეროვანი სამზარეულოსთვის. მით უმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ კარგი ევროპული ღვინის დალევვა ჩვენთან ძალზე ძნელია. მართალია, ბარათში გაცეხილებით მეტია ევროპული თუ ახალი სამყაროს ღვინოები, თუმცა ვერც ერთი უცხოური ღვინო ვერ ვნახე, რომელთაც მაღაზია „ვინოსიმოდან“ ან „ვინოშოკიდან“ არ ვიცნობდი. კარგი იქნება, თუკი რესტორანი თავად იზრუნებს თავისი ღვინოების არჩევაზე და არ იქნება დამოკიდებული ერთადერთ შემომტანზე, რომელიც სულაც არ ითვალისწინებს ამა თუ იმ სარესტორნო სპეციფიკას.  
პარკინგი: რესტორანს, შეიძლება ითქვას, არ აქვს პარკინგისთვის ადგილი, მის წინ მხოლოდ ერთი მანქანა თუ შეიძლება დაეტიოს. შესაბამისად, უმჯობესი იქნება, თუკი მანქანას რომელიმე პარალელურ ქუჩაზე დააყენებთ.  
მუსიკა: ძალიან დაბალ ხმაზე ჩართულია კარგი ევროპული პოპულარული მუსიკა, ხუთშაბათიდან კვირის ჩათვლით კი 8-დან 10 საათამდე სასიამოვნო ცოცხალი მუსიკის მოსმენა შეგიძლიათ. პარასკევე-შაბათს ვიოლინო და არფა პროგრამაში, ხუთშაბათსა და კვირას კი ფორტეპიანო და ფლეიტა.  
ფასი: ზემოთ აღწერილ ვახშამში მე გადავიხადე 180 ლარი.



# მარჯულარბა

სოფო ჩაღუნელი



ბავშვობაში წაკითხული ზღაპრებიდან ერთი ასეთი ზღაპარიც დამამახსოვრდა. ნაცნობი სიუჟეტია, დედინაცვალის გერის თავიდან მოშორებას ცდილობს და ტყეში გადაკარგავს, იმ იმედით, რომ ან შიმშილით აღმოხდება სული, ანდა მხეცები დაგლეჯენ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ზღაპრის გმირ ბოროტ დედინაცვალს კოვზი ნაცარში ჩაუფარდება. პატარა ბიჭს მსხნელად უცნაური ცხოველი – გრძელეკლებიანი მარჯულარბა მოეველინება და ბიჭი და მარჯულარბა დიდი მეგობრები გახდებიან.

ალარ მახსოვს, რომელი ხალხის ფოლკლორიდანაა ეს ზღაპარი, მაგრამ, რა თქმა უნდა, იმ ხალხის მოგონილია, ვისთვისაც მარჯულარბა ჩვენსავით უცხო სტუმარი არ არის.

ამირკავკასიის ტერიტორიაზე გვხვდება ერთი სახეობა – ინდური მარჯულარბა; საქართველოში არ არის, – ვკითხულობთ ენციკლოპედიაში.

ამიტომაც ვერ ნახავთ მარჯულარბას ქართულ ზღაპრებში.

1999 წელს სახეობათა კონსერვაციის ცენტრის – „ნაკრესის“ წევრები ივრის ზეგანზე უცნაურ კვალს წააწყდნენ. ეს კვალი ამ ტერიტორიაზე მობინადრე ცხოველების კვალს არ ჰგავდა. ფიქრობდნენ, რომ მარჯულარბა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს მხოლოდ ვარაუდი იყო. „ნაკრესის“ შემდგომი კვლევების დროს თავის ანაბეჭდებთან ერთად მარჯულარბას არსებობის სხვა კვალიც გამოჩნდა: ეკლები და ექსკრემენტი.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე მუშაობის დროს მარჯულარბას კვალს რამდენჯერმე წავაწყდით, თუმცა თვითონ ცხოველი თვალთ არ გვინახავს. მარჯულარბა ძირითადად ღამითაა აქტიური და უმთავრესად მიუვალ ადგილებში სახლობს, – ამბობენ „ნაკრესში“.

მას შემდეგ თითქმის ათი წელი გავიდა, მაგრამ იღუმალი

ცხოვრების მოყვარულმა ცხოველმა ადამიანებთან გამოჩენა არ მოისურვა. არადა, კვალი, რომელსაც „ნაკრესი“ დროდადრო ექსპედიციების დროს პოულობდა, გვეუბნება, რომ მარჯულარბა უკვე წლებია ცხოვრობს ვაშლოვანში.

და აი, როგორც იქნა, ჩვენი ახალი სტუმარიც გამოჩნდა. ზაფხულში ალაზნის ჭალაში დაყენებულმა ციფრულმა ვიოდეზაფანგმა გადაიღო, როგორ გაირბინა კამერის წინ მარჯულარბამ და როგორ მიიმალა ღამის სიბნელეში. ასე გაჩნდა პირველი დოკუმენტური მასალა, რომელიც საქართველოში მარჯულარბას არსებობას ადასტურებს.

„ნაკრესში“ არ გამორიცხავენ, რომ მარჯულარბას „მოგზაურობა“ შესაძლოა კლიმატის ცვლილების ბრალი იყოს. ეს თუ ასეა, მაშინ მისი გამოჩენა მაინცდამაინც კარგს არას მოასწავებს, თუმცა წინასწარ ძნელია რამის თქმა. ახალი ტერიტორიების ათვისების მიზეზი შეიძლება სხვაც ბევრი იყოს. თუნდაც ის, რომ ჩვენთან უფრო კომფორტულად იგრძნო თავი და აქეთ გადმოსახლდა.

საინტერესოა, მარტომ გადაწყვიტა მარჯულარბამ აქეთ გადმოსახლება თუ სხვებთან ერთად, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ფოტოზაფანგების ერთ-ერთი ფუნქცია სწორედ ცხოველების რაოდენობის დადგენაა, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჭირს, რადგან მარჯულარბების განსხვავება ადვილი საქმე არ არის. ისინი ერთმანეთს ძალიან ჰგვანან და მათი გარჩევა მხოლოდ ფოტოების მეშვეობით შეუძლებელია. თუმცა „ნაკრესში“ ამბობენ, რომ რაოდენობაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, უფრო მნიშვნელოვანი მისი საქართველოში შემოსვლის მიზეზის დადგენაა.

მანამდე კი ცხოვრობს მარჯულარბა ვაშლოვანში და, როგორც ჩანს, ამ ცხოვრებით კმაყოფილია.

# ბეჩმანიის ხედი დღეები საქართველოში

გერმანიის საელჩო საქართველოში და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი წარმოგიდგენენ: თანამედროვე გერმანულ ხელოვნებას, ლიტერატურას, თეატრს, გამოფენებს, კინოს და საფორტეპიანო მარათონს. პროგრამა იკითხეთ გოეთეს ინსტიტუტში: ტ. 93 89 45

*Bewegte Welt – Erzählte Zeit*  
1989–2009



## 1989-2009: ეპოქა სვან საქართველოსა და ბეჩმანიაში

### 1989-2009: ცვლილებები სამეარო - დროის ანარქული

თანამედროვე ფოტო და ვიდეოხელოვნები აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის 8 ქვეყნიდან. საქართველოდან გამოფენაში მონაწილეობენ ირინა აბენაძე და კოკა რამიშვილი.

გამოფენის გახსნა: 2009 წ. 4 ნოემბერი, 18 საათი  
გამოფენის ხანგრძლივობა: 4 - 30.11.2009  
თბილისის ისტორიის მუზეუმში  
სიონის ქ. 8 (ქარვასლის შენობა)

### დისკუსია

იულე როიტერის (გამოფენის მთავარი კურატორი/ბერლინი), ნინო ქოლოშვილის (კურატორი/თბილისი), ირინა აბენაძის და კოკა რამიშვილის მონაწილეობით

2009 წ. 24 ნოემბერი, 16 საათი  
თბილისის ისტორიის მუზეუმში  
სიონის ქ. 8 (ქარვასლის შენობა)

### ეპოქა მომხრენი - ადამიანები და ადგილები

მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროგრამა: ახალგაზრდა რეჟისორების, სალომე ჯაშის და რუსუდან პირველის დოკუმენტური ფილმების პრეზენტაცია. რა ცვლილებები განიცადეს უშუალოდ ადამიანებმა დასავლური დემოკრატიის გზაზე - ქართველი რეჟისორების თვალთ დანახული უკანასკნელი 20 წელიწადი.

2009 წ. 18 ნოემბერი, 18 საათი  
საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი, ზანდუკელის ქ. 16

### ლიტერატურული სიმპოზიუმი: 1989 - 2009

ლიტერატურული საღამო და დისკუსია გერმანელი (კლაუდია რუს/Clauia Rusch) და ქართველი ავტორების (კოტე ჯანდიერი, ლამა ბულაძე, შოთა იათაშვილი, აკა მორჩილაძე, ლევან ბერიძე) მონაწილეობით მოდერაცია: რატი ამაღლობელი

2009 წ. 20 ნოემბერი, 18 საათი  
საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი, ზანდუკელის ქ. 16



Botschaft der  
Bundesrepublik Deutschland  
Tiflis



GOETHE-INSTITUT  
GEORGIEN



არ მიყვარს  
აღამიანები, რომლებიც  
ჭეშმარიტების  
ასოდნელ მიიჩნევიან  
თავს. ვინც უნდა  
იყვანდნ, ამათთან  
მზავრდება და  
შიშს მგვრიან.  
მე (ფანატიკური)  
ანტიფანატიკოსი ვარ.  
ლუის ბუნუელი

## ფანატიზმი VS ანტიფანატიზმი თუ ფანატიკური ანტიფანატიზმი

ავტორი: თეო ხატიაშვილი

ამ სიტყვების ავტორის, ეკლესიისა და ფეოდალური ტრადიციების ზენოლის ქვეშ მყოფი ესპანეთიდან პარიზში ჩასული ბუნუელის ყურადღება სიურრეალისტებმა „რეველუსიონ სიურრეალისტში“ დაბეჭდილი ფოტოთი და წარწერით მიიპყრო – „ბენჟამენ პერე მღვდელს შეურაცხყოფს“. აქედან მოყოლებული ის ამ ჯგუფის აქტიური წევრი ხდება და თავის ფილმებში არაერთხელ დასცინებს მღვდლებს, წმინდანებს, წმინდანობის და საკრალურის იდეას საერთოდ... XXს.-ის კულტურაში ასეთ მაგალითებს ხშირად შეიძლება წააწყდეთ, თუნდაც უფრო ადრე, რენესანსში რომ არ დაიწყეთ ქექვა. დავანებოთ თავი ისტორიას და სულ ახლო წარსულში „გავისეირნოთ“: სკანდალური საღმარე რუმდი და სატანური ლექსები; კიდევ უფრო ახლოს და კიდევ უფრო სკანდალური – მუჰამედის კარიკატურები... ალარაფერს ვამბობ დასავლურ მასკულურაში ფართოდ ტირაჟირებულ პოსტკარდებზე, სადაც ყველაფერი დასაშვებია, მათ შორის რომის პაპის გაშარება და, რასაკვირველია, YouTube-ის „უხამს“ რგოლებზე, რომელიც ნებისმიერ ვიდეომოყვარულს შეუძლია განათავსოს. ეს ადამიანების მოთხოვნილება და მათი უფლება – იყვნენ, იფიქრონ, აკეთონ, იმოქმედონ და მოსწონდეთ ის, რაც მათ მიაჩნიათ სწორად; დაფიქრდნენ, დაეჭვდნენ, საზოგადოებრივი (რელიგიური, იდეოლოგიური და ა.შ.) ნორმიდან და წესრიგიდან გადაუხვიონ, როცა შეიძლება ვილაცისთვის საკრალური მათთვის მხოლოდ ცარიელი ფორმა ან სიტყვები აღმოჩნდეს.

\* \* \*

ოჰ, როგორ არ მიყვარს „გაპიარებულ“ თემებზე წერა, არადა ორი დღეა, ჩემ გარშემო ყველა და მათ შორის მეც მხოლოდ ამაზე ვლაპარაკობთ. თუმცა მხოლოდ ამაზე არა – ორი თემაა დღეს აქტუალური: 1. ენდი გარსია და გრანდიოზული პიარ(კინო)კამპანია და 2. თეა თუთბერიძე და საპატრიარქოს თუ პატრიარქის სანინალმდეგო კამპანია.

პირველზე უკვე იმდენ ჟურნალისტს მივეცი ინტერვიუ, რომ მცირე კომენტარის გაკეთებაც აღარ მინდა; სხვათა შორის, BBC-ის ჟურნალისტმა ისიც მკითხა, – როგორ გგონიათ, სააკაშვილს გაუხარდება, ენდი გარსია რომ ასრულებს მის როლსო? BBC-სგან ნამდვილად არ ველოდი ღირსეული ქართველი ჟურნალისტისეულ კითხვას?!. ქართული ჟურნალისტიკის პრობლემურობა კი მეორე აქტუალური თემის მთავარმა ინსპირატორმა ნანა ლეჟავამ თავის ყოველკვირეულ გადაცემაში კვლავ აშკარად დაგვანახა. დამოუკიდებელ ჟურნალისტად წოდებული, მედიისა და გამოხატვის თავისუფლებისთვის „მებრძოლი“, რომელსაც პოლიტიკისა და ტელევიზიის თანამშრომლობის შესანიშნავი სკოლა აქვს გავლილი, უეცრად (ეს ისე, მხატვრულ ხერხად, თორემ „უეცრად“ არ მომხდარა, ყველაფერს თავისი წინაპირობები აქვს) სრულ მენტორად და ცენზორად გვევლინება.

მის მიერ გაშუქებულმა თეა თუთბერიძის facebook-ზე დადებულმა ვიდეო-რგოლებმა აღშფოთების მძლავრი ტალღა გამოიწვია, რომელიც შეფასდა, როგორც პატრიარქის დისკრედიტაციის მცდელობა, რომლის უკანაც ხელისუფლება დგას და ზოგადად მართლმადიდებლების შეურაცხყოფა. სტუდენტებმა აქცია მოაწყვეს, რომელსაც „თანასწორობის ინსტიტუტიც“ შეუერთდა; მართლმადიდებლობის სახელით „მებრძოლ ათეისტებთან“ დაუღალავი მორკინალი გიორგი თარგამაძე ხელისუფლებისგან პასუხს ითხოვს. მისი თქმით, „ამის მიზანი საზოგადოებრივი ასპარეზიდან ეკლესიის, როგორც ავტორიტეტული (რატომღაც „ავტორიტარულს“ ვკითხულობ, ოღონდ მერნ-მუნეთ, განსხვავება ამ ორ ტერმინს შორის ნამდვილად ვიცი – თ.ხ.) საზოგადოებრივი აზრის განმსაზღვრელი ინსტიტუტის გარიყვა და გაძევებაა. „სახეზეა, ლიბერალურ და სამოქალაქო აზროვნებას ამოფარებული კლასიკური ბოლშევიკური სიმპტომები...“ (საინფორმაციო სააგენტო „პირველი“). „კლასიკურ ბოლშევიკური“, „ნეობოლშევიკური“... ამ შეფასებებს არცთუ იშვიათად გაიგონებთ ხელისუფლებასა



და მათთან ასოცირებულ (როგორც მოიხსენიებენ თეა თუთბერიძეს) ადამიანებზე (ისევე, როგორც ამ უკანასკნელებისგან – „კომუნისტურს“), თუმცა შეფასება უმეტესად ისეთივე მეთოდებით ხდება (ერთი და მეორე მხრიდანაც), რასაც საპირისპირო მხარეს უჩივიან ხოლმე.

ორი ფრაგმენტი სტუდენტური აქციის მონაწილეთა განცხადებებიდან:

**თეა თუთბერიძემ ქართველი ქალი ცუდად წარმოაჩინა. ქართველ ქალს არ შეეფერება, რაც მან ჩაიდინა და ის საქართველოს სამარცხვინო წარმომადგენელია.**

**ჩვენი სახელმწიფო და ეკლესია არის ერთი ცნება და არავის მიცემთ უფლებას, ისინი ერთმანეთისგან გამოიჯნოს.**

არ დაგავიწყდეთ, ესენი ახალგაზრდა გოგო-ბიჭები არიან. იმ თაობის გოგო-ბიჭები, რომლებშიც სულ მინდა ლექციაზე (თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში) გამოვიწვიო რაიმე ცოცხალი, კრეატიული, პროვოკაციული... რომლებისგანაც სულ ველოდები რაიმე ეპატაჟურს, არა ეკლესიებზე და წირვა-ლოცვაზე დაუსრულებლად გადაღებულ სადიპლომო ფილმებს (ნებისმიერ არხზე ანა თუ იმ საეკლესიო დღესასწაულის პირდაპირი ტრანსლაციისგან რომ ვერ გარჩევი), არამედ თუნდაც „სველი წრის“ მსგავს უბადრუკ პერფორმანსს. დიდი იმედი მაქვს, ჩემ აუდიტორიაში ჯერჯერობით მართლმადიდებელ მშობელთა ახალგაზრდა წევრები არ არიან და უფრო მეტად კი ჩვენი რექტორის იმედი მაქვს, რომ სტუდენტებში „მკრეხელური“ აზრების გენერირებისთვის უნივერსიტეტიდან არ გამაგდებს. აი, კიდევ ერთი ახალი ინფორმაცია, რომელიც ამჯერად ბასილ კობახიძემ განათავსა ინტერნეტში: „2009 წლის ოქტომბრის დასაწყისში თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლიტურგიკის (მეცნიერება ღვთისმსახურებაზე) პედაგოგმა დიაკონმა მირიან სხირტლაძემ სტუდენტებს უთხრა, რომ უახლოეს მომავალში ისინი წავიდოდნენ სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიის ტაძრებში, რათა უშუალოდ ენახათ არამართლმადიდებლების ღვთისმსახურება. სემინარიის სტუდენტებმა... რომლებიც ამავე დროს არიან „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრები, ამის შესახებ შეატყობინეს აღნიშნული ორგანიზაციის ლიდერს დეკანოზ დავით ისაკაძეს... უწმინდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა... მმკ-ს მოთხოვნის შესაბამისად, დიაკონი მირიან სხირტლაძე გაათავისუფლა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგიიდან“. „ტოტალური ტაბუ“ – ასე ახასიათებს წერილის დასასრულს ბასილ კობახიძე იმ დამოკიდებულებას, რაც საქართველოში საპატრიარქოსა და მართლმადიდებლობასთან დაკავშირებით დამკვიდრდა. ტაბუსთან უწყინარი შეხებაც კი მძაფრ რეაქციას იწვევს, ყველანაირ ბრალდებას ღვთისმშობლის მორჩილი ახსნა აქვს: ბაჩო ახალაიას კორუმპირებული მამის დაჯილდოება პატრიარქის მხრიდან არა ახალაიას ღირსებების აღიარებაა, არამედ ამ უკანასკნელისთვის მითითება, რომ დაფიქრდეს და გამოსწორდეს (!); ჯიპები კი – „გადაადგილების საშუალება და არა ფუფუნების საგანი“ (როგორც რომელიღაც ღირსი მამა განგვიმარტავს) – საპატრიარქოს სულაც არ მოუთხოვია, ეს თავად ხელისუფლების კეთილი ნება იყო... ხელისუფლება, რომელიც სეკულარიზმის იდეებით მოვიდა, „კეთილ ნებას“, დიდი ხანია, იჩენს ეკლესიის მიმართ; ეს პოპულიზტური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. ეკლესიაც სიამოვნებით ეკეკლუცება ხელისუფლებას, რომლის რელიგიურმა პოპულიზმმა მისი ავტორიტეტის განმტკიცებასა და შეუვადლობას შეუწყო ხელი. რასაკვირველია, მათ შორის,

როგორც ორ სხვადასხვა ტიპის ინსტიტუციას შორის, ფარული თუ აშკარა ბრძოლა ძალაუფლებისთვის ყოველთვის მიმდინარეობს და ამ შემთხვევაშიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თეა თუთბერიძის ინტერნეტ-კამპანიას ზურგს ხელისუფლება უმაგრებს. ვივარაუდოთ, მაგრამ არ გამოვირიცხოთ „კლასიკურ ბოლშევიკურად“ თუ „ნეობოლშევიკურად“, რომ თეა თუთბერიძეს პარტიული კუთვნილების, ინტერესების, შეხედულებების იქით შეიძლება ჰქონდეს პრივატულიც, მით უმეტეს, facebook-ზე თავისი გემოვნებით დადოს, რაც უნდა.

ჰო, მართლა – გემოვნება თუ უგემოვნება ამ თემაზე საუბრის ერთ-ერთი მთავარი (რასაკვირველია, შეურაცხყოფისა და მკრეხელობის შემდეგ) ასპექტია. რატომღაც ყველა ესთეტი გახდა... რატომღაც არც ერთ არხზე, და მათ შორის არც „კავკასიაზე“, არავის უგრძნვია უხერხულობა იმ „ქრესტომათიული უგემოვნობისა“ და შეურაცხყოფელი თუ დისკრიმინაციული „იუმორის“ გამო, როცა ფილმ „ყველაფერი კარგად იქნებას“ საგანგებო გადაცემებს უთმობდნენ. ალბათ სომხების (მით უმეტეს ინდოელების – ისინი ჩვენგან ისე შორს იმყოფებიან) გამარჯვება შეიძლება – ისინი ხომ მართლმადიდებლები არ არიან? ის კი, ვინც მართლმადიდებლებსა და მართლმადიდებლობას შეეხება, „უნდა გაატყავო და მარილი წაუსვა“ (თეა თუთბერიძის მისამართით გამოთქმული ქრისტიანისთვის შესაბამისი მუქარათაგანი).

„თუკი თეა თუთბერიძეს აქვს გამოხატვის უფლება, მართლმადიდებლებსაც ხომ აქვთ იმის უფლება, რომ თავიანთი აღშფოთება გამოხატონ?“ – ასეთი კითხვაც ბევრჯერ გაისმა. რასაკვირველია, აქვთ... ისევე, როგორც კათოლიკებს, რომელთა ტაძრებშიც მართლმადიდებელურ ეკლესიას ვხსნით, ებრაელებსაც, რომელთა სასაფლაოს ვბილწავთ, მუსლიმებსაც, რომლებსაც მეჩეთს ვუნგრევთ... ისინიც გამოხატავენ აღშფოთებას საკრალურის ხელყოფის გამო, შესაძლოა – კიდევ უფრო მწვავე და მასშტაბური ფორმით, მაგალითად როგორც მუჰამედის კარიკატურების გამოქვეყნებას მოჰყვა. აქციებს საყოველთაო მხარდაჭერა ჰქონდა მანამდე, სანამ პროტესტი აგრესიაში გადაიზარდებოდა...

P.S. ისევ ჟურნალისტების შესახებ. ნანა ლეჟავას თეა თუთბერიძის მიერ სახელისუფლებო დავალების შესრულების უტყუარობას ის ფაქტიც უდასტურებს, რომ სწორედ თეამ „აღმოაჩინა“ ეს ვიდეორგოლები. თუ არ იცი ამ შინაარსის ვიდეოს არსებობა, როგორ უნდა იპოვო ისინი? – რა თქმა უნდა, დასვამს „გონიერულ“ კითხვას გამოცდილი ჟურნალისტი, რომელმაც მხოლოდ წესების მიხედვით მოქმედება იცის (ამ წესების მიმითიებული კი ყოველთვის გამოჩნდება ხან ხელისუფლების, ხან ოპოზიციური პარტიების, ხან ეკლესიის სახით); ინტერნეტის უსასრულო სივრცე კი სადაურსა სად წაიყვანს... (ამ) უსასრულობაში ორიენტირებისას ხომ უნდა დაიგინო, რომ ქვშმარიტება უკვე იცი, და ახალ-ახალი ქვშმარიტებების აღმოსაჩენად გამართო.

P.P.S. და ისევ ეკლესია-ხელისუფლების მეზალანსზე ეს მინანერი უკვე დამთავრებულ სტატუსს ლამის სტამბაში დავანეი, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სასწრაფოდ გააკეთა: „პრეზიდენტისთვის მიუღებელია ამგვარი ქმედებები და გამოინათქვამები. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დიდი ღვაწლისა და დამსახურების მქონე მოღვაწეა და საზოგადოების, მათ შორის პრეზიდენტის მხრიდან დიდი მხარდაჭერით და პატივისცემით სარგებლობს. ჩვენ ყველა დემოკრატიულ პოლიტიკურ საშუალებას მივმართავთ, რათა დავიცვათ მისი რეპუტაცია და არავის მივცეთ თავისუფლების პრინციპების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა“.

# „ბენდუქიშის“ საზაფხულო სკოლა

ავტორი: ნინო რიბაქიძე



ამ ზაფხულს სრულიად შემთხვევით თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საზაფხულო სკოლაში აღმოვჩნდი, რომელში მონაწილეობა ათას რვაას რალაც ლარი ღირდა, თუმცა თითქმის ყველა მონაწილის ხარჯი თავის თავზე ქართულმა „ცოდნის ფონდმა“ აიღო.

ვინც ჯერ კიდევ არ იცის, თავისუფალი უნივერსიტეტი ყოფილი სახელმწიფო მინისტრის, კახა ბენდუქიძის დაარსებულია. რამდენიმე ცნობილი უმაღლესი სასწავლებლის გაერთიანება დღეს ქართული უნივერსიტეტების სიაში რეიტინგით ერთ-ერთი პირველია. თუმცა, კახა ბენდუქიძის მიზანი, არა მგონია, მხოლოდ პრესტიჟული უნივერსიტეტის დაფუძნება ყოფილიყო. ყოფილი მინისტრი ამ გზით საქართველოში ულტრამემარჯვენე იდეების „იმპორტს“ და თანამოაზრეების მომზადებას ცდილობს.

– მთავრობის და მისი როლის მაქსიმალური შემცირება

– თავისუფალი საბანკო სისტემა

მსგავსი ულტრალიბერალური იდეების მიღება უჭირთ დასავლეთის ქვეყნებშიც, მათ შორის თვით ამერიკაში, სადაც მთავრობის ჩაურევლობა ისტორიულად ბევრად უფრო გათავისებული აქვს მოსახლეობას, ვიდრე კომუნისტური წარსულის მქონე საქართველოში. ქვეყანაში, სადაც მუდმივად ჭკვიან ლიდერს, ბრძენ წინამძღოლს ელოდებიან, ძნელია იმაზე საუბარი, რომ მთავრობას არ სჭირდება დიდი ჭკუა-განათლება. მთავარია, უბრალოდ სწორი ინტუიცია, რომ ხელისუფლებამ არ შეაფერხოს საზოგადოების ფუნქციონირება. ასეთი იდეების მქონე ადამიანები, როგორც წესი, ვერ მოდიან მთავრობაში საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილის სიმპათიის გამო. კახა ბენდუქიძე კი მოხვდა მთავრობაში, მაგრამ საზოგადოების მხარდაჭერა ვერც თავისი მოღვაწეობის დასაწყისში, და ვერც ბოლოს ვერ დაიმსახურა. თუმცა ბენდუქიძის მინისტრობის პერიოდში საზოგადოებისათვის

არ აუხსნია, რატომ აკეთებდა იმას, რასაც აკეთებდა. საზოგადოებამ კი ბენდუქიძის იდეების დამოუკიდებელი ინტერპრეტაციით იგი სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადა.

დღეს ყოფილი სახელმწიფო მინისტრის მიერ მხარდაჭერილ, ინიცირებულ და თითქმის ბოლომდე მიყვანილი რეფორმების დიდ ნაწილს უკუქცევა და დავინწყება ემუქრება. ერთხელ დამკვიდრებული შეცდომა რომ აღარ განმეორებულიყო, ვფიქრობ, ფსონი ბენდუქიძემ ულტრამემარჯვენე იდეების მომავალზე დადო და შექმნა უნივერსიტეტი, რომელიც ირგვლივ თანამოაზრეების შეკრებაში დაეხმარება.

უნივერსიტეტის იდეოლოგია და დამფუძნებლის მიზანი საუნივერსიტეტო აქტივობებშიც ჩანს და ბაკურიანის საზაფხულო სკოლაც ერთ-ერთი მორიგი მოთელვა იყო. მე და კიდევ ორმოცდაათამდე მონაწილე, მათ შორის სტუმრები სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, თავისუფალი უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლის მოსწავლეები ვიყავით და ერთი კვირა 5 პროფესორთან და სკოლის ორგანიზატორებთან ერთად განვიხილავდით პოლიტიკურ ეკონომიას გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში. თანაც უწყვეტად: ლექციებზე, დისკუსიებზე და ლექციებს შორის შესვენებებზეც, ანუ Coffe Break-ებზე, როგორც ამას სემინარებზე ეძახიან.

სკოლის მონვეული სტუმრები ევროპის და ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები იყვნენ და კიდევ ანდრეი ილარიონოვი CATO ინსტიტუტიდან, რომელიც ქართველი ჟურნალისტებისთვის ყველაზე საინტერესო იყო მთელი ამ ამბიდან. პუტინის ყოფილი მრჩეველი პრესას სწყალობდა – ბაკურიანიდან პირდაპირი ჩართვა კი ჰქონდა, თუმცა, სხვა პროფესორებისგან განსხვავებით, გრძელი სასემინარო დღის შემდეგ სკოლის მონაწილეებთან ნაკლებ დროს ატარებდა. არადა, საღამოს ცხრა საათზე ვახშამი იყო მთელი ცერემონია. უკვე სემინარის მეორე

დღეს გაერთიანდა მაგიდები, გამოჩნდა სუფრაზე წითელი ღვინო და თან, არც მეტი არც ნაკლები, ჯორჯ სელჯინის ინიციატივით.

ვესტ ვირჯინიის უნივერსიტეტის პროფესორი სელჯინი სემინარის მონაწილეებმა ყველაზე მაგარ ლექტორად მისი პირველივე ლექციის შემდეგ აღიარეს. სელჯინის ლექციის მანერა ისეთია, რომ ის ერთსაათიან ლექციაზე ალბათ მინიმუმ ერთ კილოგრამს იკლებს წონაში. მთელი ლექცია იყო დინამიური პერფორმანსი ფულის არსზე და როლზე და არავის ეგონა, თუ სელჯინი საერთოდ რამე სხვაზეც ილაპარაკებდა. არადა, ვახშამობისას ის ჰყვებოდა თავის მეგობრებზე, ოჯახის წევრებზე, პენილოპზე – მის ძალზე და ბედნიერი იყო ჩვენთან ყოფნით მხოლოდ იმიტომ, რომ შეეძლო ფეხბურთის, ტენისის და ეკონომიკის გარდა, კიდევ რამეზე ელაპარაკა და კარგი წითელი ღვინო დაეღია. ლექციებზე კი პროფესორი სელჯინი ისევ თავისუფალი საბანკო სისტემის იდეალურობაზე მსჯელობდა და ჰყვებოდა რატომ ვერ იტანს ცენტრალურ და ეროვნულ ბანკებს და ბოლოს, სემინარის ერთ-ერთი მონაწილე, ეროვნული ბანკის თანამშრომელიც დაითანხმა მისი სამსახურის უსარგებლობაში.

ჯორჯ სელჯინი ფაქტობრივად უნიკალური მონეტარული ეკონომისტი. მსოფლიოში ისედაც ერთი მუჭა თავისუფალი საბანკო სისტემის მხარდამჭერი ეკონომისტები, მაგრამ სელჯინი მათ შორისაც გამოირჩევა ულტრამემარჯვენეობით. სელჯინს სჯერა, რომ თავისუფალ ბანკებს საკუთარი დაურეზერვებული ფულის გამოშვების უფლება უნდა ჰქონდეთ, ანუ ბანკს უნდა შეეძლოს სურვილისამებრ ფულის ბეჭდვა, მისი რამე ღირებულებით გამაგრების გარეშე. ერთი შეხედვით, ეს იდეა გიჟურად უღერს, მაგრამ სელჯინი და მისი კოლეგა Lawrence H. White ძალიან აქტიურად და დამაჯერებლად ასაბუთებენ ამ იდეას მრავალი პუბლიკაციითა და წიგნით.

როგორც სელჯინს, ისე სემინარზე



მონვეულ სხვა პროფესორებსაც ჰქონდათ ერთი საკუთარი იდეა და საოცარი აზარტით ცდილობდნენ სემინარის მონაწილეებისთვის ეს იდეა გადაეცათ. დაახლოებით ისე, ძალიან დარწმუნებული რომ ხარ შენს სიმართლეში, განცდა რომ გაქვს, თითქოს სხვას არავის ესმის შენი, და თუ ერთი თანამოაზრე მაინც შეიძინე, სულ სხვა აზრი და სტიმული რომ ეძლევა შენ ბრძოლას. თუ სელჯინი ცენტრალურ ბანკებს ებრძოდა, მარბურგის უნივერსიტეტის პროფესორი სტეფან ვოიგტი ერთი კვირა ლაპარაკობდა კანონის უზენაესობის და ფულის კავშირზე, სასამართლოს დამოუკიდებლობის და პირდაპირი დემოკრატიის ეკონომიკურ ეფექტებზე; ჯორჯ მესონის უნივერსიტეტის პროფესორი დონალდ ბოდრო – შრომის დანაწილების და ვაჭრობის სიკეთეზე; ეკონომიკურ მეცნიერებათა ევროპული ინსტიტუტის დირექტორი პიერ გარელი – საზოგადოებრივ დოვლათსა და სახელმწიფო კომპანიების კონტროლზე. თუმცა ყველა ამ ლექციის და, შესაბამისად, მთელი საზაფხულო სკოლის იდეა იყო ერთი – უფრო პატარა მთავრობა, ნაკლები რეგულაციები, თავისუფალი ვაჭრობა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ლექციას ბევრი კითხვა მოჰყვებოდა, მომეჩვენა, რომ აუდიტორია ძალიან კარგად იცნობდა ამ იდეებს და მის საფუძვლებსაც ინგლისური ლიბერტარიანელებით დანყებულნი. არ ვიცი ეს მერამდენე სემინარი იყო ლიბერალური ეკონომიკის თემაზე, რომელსაც მე დავსწრებივარ, მაგრამ სულ მიჩნდება ხოლმე ეს გრძნობა – თითქოს ყველა ყველას იცნობს, ყველა თანხმდება ამ ულტრალიბერალურ იდეებზე და ეს წრე ჩაკეტილი არ არის, მაგრამ წლების განმავლობაში დიდად არც ფართოვდება.

ზოგადად კრიტიკიკოსები, რომელთაც სემინარის მონაწილეები ირჩევიან, ხშირად არ არის ერთი და იგივე, მაგრამ ფაქტია, რომ საზაფხულო სკოლების მოსწავლეები წარმატებული სტუდენტები, წარმატებული

საჯარო მოხელეები ან მკვლევრები არიან. ხშირად პოლიტიკური პარტიების აქტივისტებიც ანუ ადამიანები, ვინც ან ახლა ჩართული ქვეყნის ეკონომიკურ პროცესებში რაღაც დოზით ან პოტენციურად შეიძლება ასეთად იქცეს. ასე იყო თავისუფალი უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლის შემთხვევაშიც: ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ეროვნული ბანკის, იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლები, წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტები, პარლამენტის აპარატის თანამშრომლები – ადამიანები, რომლებიც ან უკვე არიან, ან მომავალში იქნებიან გადაწყვეტილების მიმღები პირები.

თავისთავად თავისუფალი ეკონომიკა თუ კარგად ფლერს და შეიძლება ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ გამვლელს მოსწონდეს ის, ამ იდეას თუ კონკრეტულ შემადგენელ ნაწილებად დაეშლით, დარწმუნებული ვარ, მის გაყიდვას საქართველოში ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ შეძლებს. ვინ მოგცემს ხმას, თუ იტყვი, რომ განათლება ფასიანი უნდა იყოს მთლიანად, რომ პენსიას არავინ არ მოგცემს – შენ თვითონ უნდა გადაიხაზო სიბერისთვის, რომ არავინ არ გადაიხდის შენს მკურნალობაში ფულს – ამისთვის არსებობს კერძო სამედიცინო დაზღვევა, რომ არავინ არ გადაგიხურავთ საცხოვრებელ კორპუსს – მეზობლებმა უნდა იზრუნონ. კერძო საბანკო სისტემა, რეალური დეცენტრალიზაცია, მინუმუმამდე დაყვანილი მთავრობის ფუნქციები – ყველაფერ ამას ჯერ ქართველი ამომრჩევლისთვის პოლიტიკური სახელი არ ჰქვია.

თუმცა საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. მართალია მეტ-ნაკლებად, მაგრამ ლიბერტარიანული იდეებით პოლიტიკური მოძრაობები განსაკუთრებული პოპულარობით იშვიათად სარგებლობენ. მთელი ეს მსოფლიო მოძრაობა თავისუფლების ლიბერტარიანული თეორიის გასავრცელებლად იდეაში ქვეყნების გამდიდრებას ისახავს მიზნად. რაღაც მისიონერული მოძრაო-

ბის მსგავსია და ისეთი შთაბეჭდილება რჩება ადამიანს, თითქოს ეს საქვეყნოდ ცნობილი პროფესორები, რომლებიც მსოფლიოს წამყვანი გამოცემებისთვის წერენ და წამყვან სამეცნიერო ინსტიტუტებში მოღვაწეობენ, მხოლოდ იმიტომ მიდიან სადღაც საქართველოში, სადღაც ბაკურიანში, რომ უბრალოდ უფრო მეტ ადამიანს მიანდონ საზოგადო კეთილდღეობის მიღწევის მათეული იდეა.

P.S. ლაშა ჟვანიას ეკონომიკის მინისტრობიდან გათავისუფლებისას ლადო პაპავამ „რეზონანსთან“ ინტერვიუში განაცხადა: „ბენდუქიზმმა, როგორც იდეოლოგიამ, გაიმარჯვა!“ (ინტერვიუ / ლ. პაპავა; ესაუბრა რ. მაჩაიძე // „რეზონანსი“, თბ., 2009, 22 აგვისტო, N224, გვ.1,16). ბენდუქიზმის მიმდევრებმაც არ დააყოვნეს და უპასუხეს, ოღონდ თავისებურად – ისევე სასაცილოდ, როგორი სასაცილოც ეს ინტერვიუ მოეჩვენათ.

„ვითვალისწინებთ რა საზოგადოებრივ ინტერესს, რომელიც ექსპერტმა პაპავამ ჩვენ მიმართ ყოველკვირეული საგაზეთო სტატიებით, ფართო წრეებში ჩვენი წყველარულით გააღვივა, გადაწყვიტეთ, ერთად შევქუჩდეთ“.

ასეთი ანოტაცია ახლავს facebook-ზე ჯგუფს, რომელსაც „ბენდუქები“ ჰქვია. ჯგუფს ზუსტად ასი წევრი ჰყავს – ყურნალისტები, კახა ბენდუქიძის მეგობრები, თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები და საზაფხულო სკოლების მონაწილეები. ჯგუფში, რომელშიც წევრების ნახევარი ჩემი მეგობარია, მე არ ვარ. არ ვიცი, კონკრეტულად რა მიზეზის გამო, მაგრამ რატომღაც არასდროს არ დავაჭირე ბრძანებას „Join this Group!“ თუმცა ჯგუფის დევიზს: „ბენდუქებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით! გახსოვდეთ: ჩვენი ძალა ჩვენ ერთობაშია“, აბსოლუტურად ვეთანხმები – იდეის ძალა მის ირგვლივ გაერთიანებულ ადამიანებშია, თუ, რა თქმა უნდა, „ბენდუქიზმს“ დავარქმევთ იმ იდეოლოგიას, რომელსაც ეს ხალხი ერთგულობს.



# ზარების ხმა ფშავის ხევში

ავტორი: მალხაზ ხარბელია  
ფოტო: გობიჯა ბუსხაიძე

დღეს ფშავი არც ინვესტორებს იზიდავს და არც რაიმე ახლისა და გრანდიოზულის წამოწყებას აპირებენ იქ. ფშავში დღეს ტურიზმიც კი არ არსებობს. იგი მხოლოდ ბარში ჩამოსულ ხატის ყმებს, რამდენიმე ფოლკლორისტა და უბრალოდ ამ მხარეზე შეყვარებულ ადამიანებს ასსოვთ. ჩემთვის ნამდვილი ფშავი ყოველთვის ორწყალიდან იწყებოდა, გადაუხვევდი მარჯვნივ და ერთმანეთის მიყოლებით გამოჩნდებოდა სოფლები: თხილიანა, ცაბაურთა, შუაფხო, გოგოლაურთა, ბინდაურთა, მუქო, ჭიჩო, ხოშარა, ახადი, უკანაფშავი. 90-იანების დასაწყისიდან დავდივარ ამ მხარეში და შემიძლია ვთქვა, რომ ფშავში არაფერი იცვლება, მხოლოდ გზები თუ გაქრებიან ხოლმე. ჩახვალ და ნახავ, რომ შარშანდელი გზა უკვე მდინარის პირასაა ჩასული, წლებიდანელი კი ეს-ესაა მოწყდა მთას და წელწელა ცდილობს გზას დაემსგავსოს.

ფშავში ასვლა წელსაც ხატობის პერიოდში მომინია. პეტრე-პავლობის მარხვა დასრულდება თუ არა, ამ მხარეში ათენგენობა იწყება, ხატობებისა და დღესასწაულების გაბმულა ხევისბერით, დასტურებით, საკლავებით, სადიდებლებითა და ფერხისათი. 4 წლის წინ მეც შევწირე ცხვარი იახსრის ხატს, ჩათქმულიც ამისრულდა,

წელს კი უკვე ლაშარის ჯვარს ვესტუმრე ქადა-პურებით, არყითა და სანთელით.

ადრე ფშავის ხევი 12 თემად იყოფოდა და ეს თემური დაყოფა დღესაც ნარჩუნდება. ადრე იმაზეც საუბრობდნენ ხოლმე, თუ რითი იყო განთქმული თითოეული ეს თემი: გოგოლაურებისა თურმე შაირობითა და მოსწრებული სიტყვით გამოირჩეოდა, ჭიჩოელები – ხვნა-თესვით, ნონკურაულები – ბოროტებით (მათ თურმე მუცელგველიანებსაც უწოდებდნენ), უკანაფშავლები – სიცებით, გაბილოურები – გულგრილობით, მათურლები – სიმამაცით, ქისტაურები – სილამაზით, უძილაურები – სისასტიკით და ჩარგლები კი ნადირობით. როგორც გითხარით, თემის პრინციპები დღესაც ძლიერია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სოფელი მთლიანად დაცარიელებულია, ზოგიერთში კი ერთი ან ორი კომლია თუ ცხოვრობს. ამ სიძლიერეს პირველ რიგში სალოცავი უზრუნველყოფს, იგი აერთიანებს „ოქროს ლილვებს“ (ლეგენდის მიხედვით, ასე იწოდებიან ხატების მიერ ფშავლები). ფშავში დღესაც ყველა ხატი მოქმედებს, დღეობებზე ყველგან გაისმის დროშის ზანზალაკების წკრიალი, ხევისბერების დალოცვა, საკლავის ხმა.

ფშავი თითქოს ახლოა თბილისთან, მაგრამ მინც ძალიან შორია. სულ რაღაც ორ სა-

ათში შეგიძლია შუაფხომდე მისვლა, მაგრამ ამის მიუხედავად, იქაურების ცხოვრება და დარდები მინც ძალიან განსხვავდება ჩვენი ფიქრებისგან და საზრუნავისგან. იქ არავინ განიცდის მედია-ტერორს, არავინ კამათობს პოლიტიკაზე, ახლო წარსულში მომხდარ რამე მნიშვნელოვან მოვლენაზე კი იგავ-არაკავით ჰყვებიან. იქ ადვილად მისხვებით, რა უფრო საინტერესო და დაძაბულია, ობამასა და მედვედევის შეხვედრა თუ ნაცარაშვილისა და შეთეს (წარსულის ცნობილი მოკაფიეების) სიტყვიერი პაექრობა? რომელი უფრო ნაღია, გასტრონომში, ათასი საკმაზით ჩაბასტურმებული ბრაზილიური სამწვადე თუ თხილის შამფურზე აცმული ცვრიანი მწვადი? უბრალო და მართალი სიტყვა ჯობია თუ მიკიბულ-მოკიბული? ერთხელ ნათქვამი ლექსი ჯობია თუ ტელესერიალი?

ჰენრი დევიდ ტორო მახსენდება, რომელიც 170 წლის წინ დაწერილ თავის საუკეთესო წიგნში სიმარტივეს ასხამდა ხოტბას და ცდილობდა დავერწმუნებინეთ, ათასი საქმის მაგიერ, ორი ან სამისთვის მოგვეკიდა ხელი, მილიონობანასთვის თავი დაგვეწებებინა და ათამდე თვლას დავეწერებოდით, რადგან ხელისგულზე ყველაფერი კარგად ჩანს. ფშაველსაც ასე, ხელისგულზე აქვს ყველაფერი, ერთი საქმის კეთება ურჩევნია ბევრის გა-



ფუჭებას, მცირე ამოცანებს წყვეტს და ამიტომაც ყოველთვის კარგ ხასიათზეა.

ამ სიტყვების წერისას ძველი „დროებისა“ და „ივერიის“ ის ავტორები გამახსენდნენ, რომლებიც საქართველოს რეგიონების შესახებ წერდნენ, ხალხს ახასიათებდნენ, წესჩვეულებებზე მოგვითხრობდნენ, დანარჩენ ქვეყანას აცნობდნენ ამა თუ იმ კუთხეს. ისინი მაშინ პირველები იყვნენ და მათი ნაწერიდან იგებდნენ ქალაქელები, რომ რაჭაში თურმე ღორები ძირითადად ქართლიდან აპყავდათ, რომ სოფელ მუხრანში ერთი ვინმე მახრჩობელა ვაჭრის ხელში იყო ყველაფერი, რომ კარდენახი და ბაკურციხე დუქნებს მიჰქონდათ. ალბათ ასეთივე ახალი ამბავი იყო 1888 წელს ვაჟას სტატია „ლაშარობის“ შესახებ, სადაც ტფილისლები ბევრ ახალ ამბავს აღმოაჩენდნენ. სამწუხაროდ, დღესაც ასეა, დღესაც ბევრი რამ რჩება ისეთი საქართველოში, რაზეც ჩვენკენ არც არაფერი იციან და არც ინტერესდებიან. ბევრმა არც იცის, რითი ცხოვრობს ფშაველი, არ იციან რა არის კვირიკი, საჯარე, ხატის ქალი, მონმინდარი, ნასხეპი, დამბალ-ხაჭო. ბევრს ჰგონია, რომ ფშაველები ბლომად ტარხუნით და ახალი ტყემლით აკეთებენ ჩაქაფულს და რომ ღამის გათენება უკანა ფშავეში სასტუმროში შეიძლება. გასაგებია, რომ თუშეთში უკვე რამდენიმე

სასტუმრო აშენდა, სადაც გადაიხდი 50 ან 100 ლარს და ღამეს გაათენებ ორჯერადი კვებით, ფშავეში კი ისევ ისე, ძველებურად მიგიღებენ, უგასამრჯელოდ და ისევ უხერხულია დასვა კითხვა: „ყველს ხო არ მომყიდოდი?“. თუშეთიდან უკვე მინისტრები ერთვებიან პირდაპირ ეთერში, ფშავეში კი პირდაპირ გეტყვიან თავიანთ აზრს ამ მინისტრებზე. ზოგიერთ სოფელში სატელეფონური თუფშებიც უდგათ, მოვლენების საქმის კურსშიც არიან, თუმცა, ბევრისგან განსხვავებით, აქ წუნუნს იშვიათად გაიგონებთ, განსაკუთრებით ხატობაში. რამდენჯერმე მინახავს ხატში ამოსული რომელიმე პარლამენტარი, ან მხარის გუბერნატორი, მაგრამ არ მახსოვს ვინმეს რამე ეთხოვოს მისთვის, ანდა თავის სუფრაზე მხოლოდ იმისთვის გადაეპატიებინოს, რომ იქ საკუთარ გასაჭირზე ელაპარაკოს. ხატში ყველა დროს ატარებს, ძალზე ზუსტია ვაჟა-ფშაველა, როცა წერს: „ფშაველი ისე არც ერთს დღეობაში, ხატობაში არ არის განებივრებული, როგორც ღამის დღეობაში. ყველაფერი ხელს უწყობს ამ სინებერეს...“. ხოდა, წარმოიდგინეთ, ადამიანი, რომელიც ცოტა ხნის წინ ღმერთს ახვეწებდა, წყალობას შესთხოვდა და ამის მერე პარლამენტარს რაღა უნდა შესთხოვოს, რისთვის უნდა შეიმოკლოს ნებივრობა?

ფშაველს კიდევ ერთი ძალიან არქაული და ამავე დროს თანამედროვე ნიშანი გამოარჩევს. ეს მანძილების დაძლევაა, პრობლემა, რომელიც ბარში მხოლოდ თანამედროვე კომუნიკაციებმა და სისწრაფემ დაძლია, მთაში კი იქაურებს არასდროს უჭირდათ დიდი მანძილების დაფარვა. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ღამისგან ფშაველი ფეხით უფრო მალე გადავათიანებთ, ვიდრე ნებისმიერი ჩვენგანი რომელიმე ჯიპით. იგი გადაგვასწრებს თუშეთშიც და ხევსურეთშიც, ფშაველი სწრაფია და მოქნილი, ზუსტად იცის ბილიკები და თავისი შესაძლებლობები. სწორედ ამიტომაც, მას სრულყოფილი წარმოდგენა აქვს ჩვენზე. დრო მოვიდა, ჩვენც კარგად გავიცნოთ ფშაველი და ფშაველები.





# „ინდუსტრიული“ ქალაქი მიშკოლცი

ავტორი, ფოტო: სალომე კიკალაიშვილი

რატომ მიყვარს კინოფესტივალებზე სიარული? ფილმების ნახვის სურვილით ვარ შეპყრობილი-თქო, – რომ გითხრათ, იმედია დამიჯერებთ. მართლა ასეა. მაგრამ, თან მგონია, ჩემი ცხოვრება უფრო მდიდრდება, როდესაც უცხო ქვეყანაში 7-10 დღის მანძილზე დამკვირვებლად გადავიქცევი ხოლმე. უცხო ქვეყანა, ახალი პერსონაჟები, შენთვის უჩვეულო დეტალები და თითქოს მოზებრებული, ყოველდღიური ამბები, რომელსაც სულ სხვა კუთხით აკვირდები. ყოველდღე ახალ ადამიანს იცნობ, იმასსოვრებ მათ სახელებს და ქვეყნებს. ზოგჯერ სასაუბროდ ქვეყნის მიხედვითაც არჩევ ადამიანს და ელაპარაკები, ჰყვები რაღაცებს... მერე ჰოპ, და გვერდზე რომელიღაც კომპანიას შეუერთდები. არ მოგეწონება? გამოხვალ და სასაუბრო მსხვერპლს უცებვე ამოიღებ მიზანში. მომწონს, რომ არანაირი ვალდებულება არ განუხებს. მთავარია, რომ დღეს იქ ხარ, სადაც ყველა ცდილობს, კარგ ხასიათზე იყოს და პრობლემები იქ, შორს, სახლში დატოვოს. ამ დროს მარტო, სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხით გარშემორტყმული ბევრ აღმოჩენას აკეთებ. მერე უკან ბრუნდები და ნანახი თუ

მოსმენილი კიდევ დიდხანს გრჩება მეხსიერებაში.

\* \* \*

მიშკოლცი უნგრეთის პატარა და ლამაზი ქალაქია. 2-3-სართულიანი სახლებით, ტრამვაის გრძელი ლიანდაგებით, განათების ბოძებზე დაკიდული ხასხასა წითელი ფერის ყვავილებით და სრული სიჩუმით; სადაც ადამიანები აქა-იქ, კანტიკუნტად დადიან და 5 წუთში ერთხელ დანახული მანქანა, რატომღაც, ბედნიერების შეგრძნებას გიტოვებს. ამიტომ დღემდე მგონია, რომ მიშკოლცში, ყველაზე მეტი, 100 ადამიანი უნდა ცხოვრობდეს, რადგან ეს არის ქალაქი, სადაც დღის ნებისმიერ მონაკვეთში საკუთარი ნაბიჯების ექოს გაიგონებ.

ბარგი ფართხაფურთხით ამოყვარე და ორნელას დაფურეკე, – 20 წუთში „დოლჩე ვიტაში“ შეგხვდები-თქო. კონსიერუს მიშკოლცის რუკაზე რესტორნის ადგილი სქელი წითელი კალმით შემოვხაზინე, მერე სასტუმროს ადგილზეც წითელი რგოლი დავახატინე და გაფერადებული რუკით ხელში გარეთ გავედი. უკვე ბნელოდა. ორნელაზე ბევრი არაფერი

ვიცოდი, იმ დღეს გავიცანი აეროპორტში. მაგრამ იმ მომენტისთვის ის ჩემთვის ერთადერთი ნაცნობი ადამიანი იყო და ამიტომ, ამჯერად დედასავით ვუყურებდი. თუმცა, სიცილიელი ორნელა სულ არ ჰგავდა დე-ს – საშუალო სიმაღლის, გემრიელად ჩაპუტკუნებული, აბრდღვიალებული ცისფერი თვალებით და გამელოტების პირველი ნიშნებით. ორნელა საოცარი აქცენტით მელაპარაკებოდა ხოლმე ინგლისურად და შიგადაშიგ იტალიურ სიტყვებსაც ურთავდა, უფრო სწორად – სიტყვებს კი არა, აღშფოთებულ-აღფრთოვანებულ ნამოძახილებს, რასაც ხელების უმისამართო სავსავს აყოლებდა. „დოლჩე ვიტაში“ დიდი მონდომებით დავთვალიერეთ საფესტივალო ფილმების პროგრამა, ქართულ-იტალიურადაც დაფურთეთ მოკლე კომენტარები და არ ვიცი, საიდან მოვიტანე, უცებ „რვაფენა“ გამახსენდა – იტალიური სერიალი, აი ის, კორადო კატანი კარგად რომ კვდებოდა ბოლოში. აუუ, რამდენჯერ მქონდა ნანახი ეს სიკვდილის სცენა... რამდენი მითირია უდროოდ ნასულ შეჭარბებულ გამოძიებულზე... ფილმი ვახსენე თუ არა – „ნოო, მიქელე პლანიო?“ – უცებ



წამოიყვინრა ორნელამ და ხელები ზე-  
ცისკენ ალაპყრო. მივხვდი, დღევანდელი  
სასაუბრო თემა პლაჩიდოსა და იტალიურ  
მაფიას ვერ გაცდებოდა. ასეც მოხდა.  
სიმართლე რომ ვთქვა, ბევრი არაფერი  
დამამახსოვრდა. თბილისი-სტამბოლი-  
ბუდაპეშტი-მიშკოლცის საჰაერო სივრ-  
ცეში ნამგზავრი, ისეთი დაღლილი ვიყავი,  
რომ თვალები პერიოდულად მეხუჭებოდა  
და მხოლოდ იტალიური წამოძახილები  
მაბრუნებდა რეალობასთან. მაგიდაზე  
ერთმანეთზე მიკრული გაციებული სპა-  
გეტი მედო, მგზავრობისგან დასიებული  
ფეხის თითებს პერიოდულად ვათამაშებ-  
დი და წინიდან შემელოტებული ორნელას  
დამტვრეული ინგლისური მოდიოდა, –  
იაკუძა, რუსული მაფია, იაკუძა, რუსული  
მაფია, იაკუძა... აბა, მარტო ჩვენ კი არა...

მაგრამ წინასწარ რა ვიცოდი, თუ ფეს-  
ტივალზე ჩასულს თემა იაკუძა-რუსული  
მაფია სანატრელი გამიხდებოდა. პირვე-  
ლივე დღეს ფესტივალის მთავარი თემა  
გამოიკვეთა – ღორები. ღორები, რომე-  
ლიც უნგრული ფილმების უმეტესობის  
მთავარი თემა იყო, ერთი ტრადიციის შე-  
სახებ გვიყვებოდა – სოფლებში იკრიბება  
რალაც ჯგუფი, რომელიც სპეციალურად  
ასუქებს ღორს, უფლის, ზოგი ეფერება კი-  
დეც, დევიზით – სიყვარულში გაზრდილს  
ასე უფრო კარგი ხორცი ექნებაო და მერე

კარგად გამოკვებულ ღორთან ერთად  
ჭამა-სმის ფესტივალზე მიდიან. მოკლედ  
მთელი თავგადასავალია. ფესტივალზე,  
რომელიც უნგრეთის სხვადასხვა ადგი-  
ლას ტარდება, სოფლიდან ჩამოდის ხალ-  
ხის ჯგუფები, რომელთაც კონკრეტულ  
დროში უნდა მოასწონ ღორის დაკვლა  
და მისგან კერძების, სოსისების, სარდე-  
ლების დამზადება. იქვე, იქვე, ყველაფერი  
იქვე ხდება. მერე სპეციალური კომისია ამ  
ყველაფერს მიირთმევს და გამარჯვებულ  
გუნდსაც ასახელებს. გამარჯვებულები  
საჩუქრად იღებენ მცირედ თანხას და  
დიიდ ოქროსფერ მედლებს. ნუ, ტრადი-  
ციაა და! ჰოდა ეს პირველი ფესტივალი  
იყო, სადაც ყოველდღე მაინც ვნახულო-  
ბდით ანიმაციურ, მხატვრულ თუ დოკუ-  
მენტურ ფილმებს ღორების **before/after**  
ისტორიებზე, რომელთა რეჟისორები,  
მგონი, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იმაში,  
თუ ვინ უფრო ნატურალისტურად ასა-  
ხავდა დაკვლის სცენას. ბუნებრივია, ეს  
სანახაობა დარბაზში მსხომი ევროპელე-  
ბის აღშფოთებას იწვევდა, ხოლო ჟიურის  
წევრებისგან გამუდმებით ისმოდა – **Oh,  
nooo more piigs, pleaseee**. სწორედ ერთ-  
ერთი ასეთი **before/after** ისტორიის ყურე-  
ბის დროს შემთხვევით სონიას გაცხედე-  
ხელები თვალეზე ჰქონდა აფარებული  
და ჩაბნელებულ დარბაზში მარტო მისი

გაფითრებული სახე მოჩანდა. ფინელი  
სონია ბევრს არ ლაპარაკობდა. სულ ახ-  
სენებდა მის ორ შვილს ანტონს და მარ-  
ლონს და მის პარტნიორს, ანუ ჩვენ ენაზე  
– ქმარს, რომელიც ახლა ბავშვებს უვლი-  
და და რომელსაც სონია ძალიან ენა-  
ტრებოდა. სონია ყოველ დილას 1 საათი  
ყირაზე დგომით იწყებდა და სულ მიმო-  
რებდა, – იოგამ დამაწყნარა, გამწმინდაო.  
იოგასთან ერთად სონია ვეგეტარიანე-  
ლიც იყო, არ სვამდა, არ ეწეოდა, ცოტას  
ლაპარაკობდა და ღორებზე ფილმებს  
განსაკუთრებულად მწვავედ აღიქვამდა.  
სახეზე ეტყობოდა. „ეს ყველაფერი ვე-  
ლურობა და წარმოუდგენელი ტკივილია,  
– მითხრა მორიგი სეანსის შემდეგ, – იცი,  
დამავინყდა, სად მოხდა, მაგრამ ღორების  
ფერმაში ექსპერიმენტი ჩაატარეს. აინტე-  
რესებდათ, რას გრძნობდა ღორი სიკვდი-  
ლის დროს. თითოეულს სენსორები მია-  
მაგრეს და გამგუდავი ჰაერის გაშვების  
შემდეგ ტესტის პასუხებიც მიიღეს, რის  
შემდეგაც იქაურმა პერსონალმა შვებით  
ამოისუნთქა. სენსორებით დაფიქსირდა,  
რომ ღორი ბედნიერად კვდებოდა. აი, ასე  
უნდა ხდებოდეს, თუმცა საერთოდ... არა,  
მაინც ველურობაა – გაახსენდა თავი-  
სი ვეგეტარიანელობა. უკვე სასტუმროს  
ვუახლოვდებოდით, რომ სრულიად დაუ-  
ფიქრებლად დავამატე, – სიონში ბავშვო-



ბაში ბევრჯერ მინახავს, როგორც კლავდენ ლორს, და აი ქათმებიც მინახავს და ძროხაც-თქო... რასაც სონიას ისეთი გამოხედვა მოჰყვა, რომ მივხვდი, ჯობდა უცებ გამოვმშვიდობებოდი და სასწრაფოდ დამეძინა. მეორე დღეს კი საუზმისას სულ თავჩახრილი ვცლაპავდი წვრილად დაქუცმაცებულ ლორს.

– ოო, ღმერთო ჩემო, რას აკეთებს ეს ქალი, – წამოიძახა დარბაზში ჟიურის პრეზიდენტის რონალდ ბერგანის ცოლმა, მას შემდეგ რაც 5 წუთი მსხვილი ხედით გვაყურებინებდნენ ახალგაზრდა ქალის ისტერიულ მასტურბაციას. რონალდმა, როგორც ჭეშმარიტმა ბრიტანელმა ჯენტლმენმა, ვარდიფერი შლაპით, ხანში შესულ ცოლს მკლავი გაუყარა და, – წამო, წამო, ვივასშმოთო, – გაიყვანა დარბაზიდან. მე, სონია და ერიკი (ჟიურის კიდევ ერთი წევრი – ახალგაზრდა და ძალიან სიმპათიური ფრანგი მსახიობი, რომელსაც თმები რაღაცნაირად ჰეირში ჰქონდა გაშვებული და სულ გაიძახოდა, – მე მალე ვბრუნდები პარიზში, ბერტრან ბლიესთან ვმუშაობ, არ მცალია, არ მცალიაო) კიდევ დავრჩით იმ იმედით, იქნებდა ამის გარდა რაიმე მომხდარიყო ფილმში. სულ მალე კი ვახშამზე გასულ წყვილს შევუერთდით. „დღეს მენიუში არის კარტოფილი ფრი და შემწვარი ლორი“, – გაგვახარა

ოფიცინტმა. „ისევ ლორი“, – ამოიგმინა ყველამ ერთხმად. მერე, როგორც ხდება ხოლმე, დავსხედით დიდ მაგიდასთან და ყველამ თავის ქვეყანაზე მორიგეობით დაიწყო მოყოლა. როდესაც ჩემი ჯერი დადგა და გარკვეულ კითხვებს პასუხები გავეცი, მერე მონოლოგის დრო დადგა, ანუ როცა გარშემო მყოფი ხალხის ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებ და შენ კომენტარს თუ გულისნადებს დასკვნის სახით აკეთებ. სწორედ ამ დასკვნის დროს თვალწინ დამიდგა წითელ პომადიანი ნაილი მასწავლებელი, რომელიც დღემდე 20-ჯერ მაინც გვიმეორებდა, – რა გაცილებით? ორი აგური უნდა გეჭიროთ ხელში და თავში ირტყამდეთო. ეტყობა ბოლოს რაღაც ისეთი ხმით ვთქვი, რომ ყველა გაისუსა და აქეთ-იქით დაიწყეს ყურება. ჰეი, – ჩემი სენტიმენტალური მდგომარეობა უცებ გამოაცოცხლა ორნელამ თავისი იტალიური აქცენტით. იღიმებოდა და რაღაც განსაკუთრებულად ბედნიერად გამოიყურებოდა. მომეჩვენა, რომ თმაც სხვანაირად ჰქონდა, უფრო აფუებულად. „დაკარგული ბარგი ჩამოუფიდა“, – მითხრა ვიღაცამ. იმ დღეს თურმე ბუდაპეშტიდან სულ პიპინ-პიპინით ჩამოუტანიათ ორნელას ძლივსძლივობით ნაპოვნი ბარგი, რის შემდეგაც ბუნებრივად ბედნიერი გამომეტყველების მქონე ორნელა, დღეში

სამჯერ მაინც იცვლიდა სამოსს. „ეს ჩვენი წევრია, ფრიდრიხი“, – გამაცნო ასე 80 წლის ყურებამდე გაღიმებული გერმანელი. „სასიამოვნო“, – მითხრა გერმანელმა კბილის პროთეზების 2-3-წუთიანი გასწორების შემდეგ და გაზუბის გამოშვების ხმაც დააყოლა. ოპ... დაბნეულმა იძულებით გაუღიმიე და მივესალმე. მაგრამ როდესაც სულ ცოტა ხანში მივხვდი, რომ უცნაური ხმები ფრიდრიხის უცვლელი თანმხლები იქნებოდა, სტუმრებს მალევე დავემშვიდობე და სონიასთან ერთად ქალაქის მარკეტებში ბიოსაკვების ძებნა დავიწყე. მას მერე კი, გულახდილად უნდა ვითხრა, რამდენჯერაც ფრიდრიხის დავინახავდი, მაშინვე სულ გვერდზე ქუჩაზე გადავდიოდი ხოლმე. შეიძლება უზრდელობაა, მაგრამ მაინც ასე ვარჩიე.

იმ დღეს საღამოს სეანსები, სულ გულის ამარყუებელ ფილმებს დაეთმო. ევროპა ხომ, უკვე დიდი ხანია, გიჟდება: ლანდშაფტი – უდაბნო, ფილმის გმირები – 40-ს მიტანებული, ერთმანეთისგან გაუცხოებული წყვილი, დიალოგი – მინიმუმამდე დაყვანილი, კამერა – ცახცახებს... მოკლედ, სონიასთან ერთად ნაყიდ ბიოპროდუქტებს ჩუმად ვახრამუნებდი და ვუყურებდი ფილმებს უკაცრიელი ადგილებით, გზაბნეული ადამიანებით, გამჭოლ მზერებს, მშობლების უყურა-





დღეობით გაბოროტებულ ბავშვებს და ბახ, ბახ, სისხლიან ფინალებს. კინოდან რომ გამოვედით, სონიას ხმა არ ამოუღია. მივხვდი, ეკრანზე ნანახმა სასტიკმა „რეალობამ“ ისევ იმოქმედა. გვერდზე კმაყოფილი სახით მეგობარ გოგონებთან ერთად აბანოში ნაჭყუმპალაგები ერიკი მოგვეყვებოდა. „აი, ჩვენთან ეს დიდი პრობლემაა, – გაახსენდა უცებ სონიას, – მაგალითად, როდესაც ადამიანები ავტობუსში ადიან, თუ ცარიელი სკამი ნახეს, ჯდება, თუ არადა, არავის მიუჯდება გვერდით. მარტოები არიან და ცივები – ასეთები ვართ. და რომ იცოდე, ჩვენთან ყველაზე ხშირია თვითმკვლელობები“, – მითხრა და ჩაბნელებულ სკვერში შეგროვილ ხალხს გახედა, სადაც ყოველ შაბათ-კვირას ლათინო მუსიკას რთავდნენ და სახალხო ცეკვები იმართებოდა.

ეტყობა იმდენი კითხვა დავეუსვით ფესტივალის ერთ-ერთ ორგანიზატორს ტრანსპორტის შესახებ, რომ ნიკოლასმა ჩვენი გიდობა იძულებით აიღო თავზე და სულ მალე მე და ანონილი სონია ძველი სიტროენის ფანჯრიდან ვათვალიერებდით ქალაქს. ვნახეთ კოშკი, რომელიც ოდესღაც საკმაოდ დიდ ნაგებობას წარმოადგენდა; სადაც მეფე დიდი ლუი წვეულებებს მართავდა, ომებზე გიჟდებოდა და სულ ჩხუბობდაო. მერე ვნახეთ

ის, რის გამოც ვიკიპედიაში მიშკოლცი ინდუსტრიულ ქალაქად მოიხსენიება. უზარმაზარ მეტალურგიულ ქარხანაში, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში აშენებულა, 20 ათასი ადამიანი მუშაობდა. ქარხანაში მომუშავეებისთვის სპეციალურად იყო აშენებული აგურის სახლები, ჰოსპიტალი, სკოლა, ეკლესია... მოკლედ, ეს იყო ქალაქი ქალაქში. თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქარხანაც დაიხურა და 20 ათასი ადამიანიც ქუჩაში აღმოჩნდა. დღეს კი ხავს-მოკიდებული, გაძვალტყავებული რკინის მონსტრი მიშკოლციელებისთვის სტუმრებისთვის საჩვენებელ და ძველი დიდების გასახსენებელ ადგილად იქცა. ესეც ახლად აშენებული უნივერსიტეტი, ესეც მერია, ესეც ჩვენი კაფეები... მოკლედ, ნიკოლასმა სულ ჰოპ-ჰოპით შემოგვატარა პატარა ქალაქი. ჰო, კაფეებზე არ დამავიწყდეს. თუ უნგრეთში ჩამოვრეულ, უპატრონო ძველ ნაგებობას ნახავთ, შეგიძლიათ შეხვიდეთ და კაფე გახსნათ. ანუ სანამ შენობას რაიმეს მოუხერხებენ, თქვენ შეგიძლიათ მისი ბატონ-პატრონი გახდეთ. ჰოდა იცით, რა ლამაზია კარფანჯრის გარეშე, აგურის ძველ შენობებში გახსნილი კაფეები? მარტივი და სადა დიზაინის მყუდრო ადგილები, საიდანაც 5 წუთში ერთხელ ჩამავალ მანქანას ხე-

დავ. ისიც ვიფიქრე, ასეთი რაღაც თბილისში რომ გახსნა, ალბათ არავინ შევა, ასე იტყვიან – რემონტი ჯერ არ დამთავრებულიაო. ეჰ.

„მაპატიეთ, თუ შეიძლება, ერთი წუთით შეგაყოვნებთ“, – ყოველთვის ასე იწყებდა ლაპარაკს ფესტივალის დირექტორი, რომელიც აუცილებლად ჭარხალივით წითლდებოდა და მომდევნო 4 წუთი მაინც ფერს ინტენსიურად ინარჩუნებდა. რონალდმა ისიც კი თქვა – სანთლით რომ ეძებო, ფესტივალის ასეთ მორცხვ დირექტორს ვერსად ნააწყებოო. ტიბორს ხელები მუდამ ფეხების გასწვრივ, მუშტად ჰქონდა შეკრული და თავჩახრილი დადიოდა. შორიდან გადიდებულ მსხალს ნააგავდა და დარბაზის კუთხეში ისე აიტუზებოდა ხოლმე, რომ ძალიან უნდა შეგეკავებინა თავი, ან თავზე არ გადაგესვა ხელი – კარგი ბიჭი, კარგი ბიჭის ძახლით, ან ლოყაზე არ გეჩქმიტა. „ხვალ დილით ჩვენი ცნობილ აბანოებში მივდივართ და წამობრძანდით, გთხოვთ“, – მითხრა და თავჩახრილი გაბრუნდა. ნუუ კარგი, რადგან მთხოვთ-თქო... ნავედი. დილის 8 საათზე იკარუსში აგვეყარეს და სულ მალე მიშკოლცის ღირსშესანიშნაობაც გამოჩნდა.

>>> ბაბრქილია ბვ. 92



# შუქურა

ავტორი: ღათო ტურაშვილი  
ფოტო: ლევან კაკაბაძე

საქართველოს დედაქალაქი უკვე ისე დამძიმდა, რომ თუ საშუალება მაქვს, თბილისიდან მაშინვე, დაუყოვნებლივ გავრბივარ ხოლმე, როგორც კი სადმე, თუნდაც რამდენიმე დღით მეპატიჟებინა და ბათუმში ერთი კვირით მიწვევამ და თანაც საერთაშორისო კინოფესტივალზე, მართლა ძალიან გამახარა. თვითონ სიტყვა დედაქალაქიც კი, ისეთი საშინლად აგრესიული გახდა, რომ თუ მას სხვაგან არ გადაიტანენ, ამდენ უარყოფით ენერჯიას თბილისი ალბათ ვეღარ გაუძლებს და ერთ დღესაც სიძულვილისაგან გასკდება. ბათუმში კი ყველაფერი მიხაროდა ბავშვებით და ყველაფერი ძალიან მომწონდა, რადგან იქ იყო მთავარი, რაც თბილისში აღარ არსებობს და მზეც ისევე მამშვიდებდა, როგორც წვიმა. კინოფესტივალის მთავარ დარბაზში, ფილმების ჩვენებისას (წვიმიან დღეებში), სახურავიდან ჩამოსული წყალიც კი სასიამოვნოდ მანყნარებდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი

ნერვული სისტემა (დანამდვილებით ვიცი) ასეთ წვეთოვან განადგურებას (თანაც ჭერიდან), თბილისის ვერცერთ კინოთეატრში ვერ გაუძლებდა. იქ კი მიხაროდა, თუნდაც იმიტომ, რომ ვიყავი ბათუმში, ვესწრებოდი მშვენიერ კინოფესტივალს და მქონდა იმის შესაძლებლობა, რომ დიდ ეკრანზე მენახა მართლა კარგი ფილმები. ჩასვლისთანავე, როგორც კი ფესტივალის აფიშაზე, ნუმერაციის არაბული ფეხებით აღმნიშვნელი რეკლამა ვნახე, მაშინვე მივხვდი, რომ ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის ორგანიზატორები ნიჭიერი ადამიანები იყვნენ და ოფიციალურად კი მასპინძელ ორგანიზაციას „არტ-ჰაუსი“ ჰქვია. რასაკვირველია მხოლოდ ნიჭი და სურვილი სულაც არ არის საკმარისი ასეთი კინოფესტივალის ჩასატარებლად და „არტ-ჰაუსს“ ბათუმის მერია და კიდევ რამდენიმე ორგანიზაციაც ეხმარებოდა, მაგრამ მთავარი მაინც იმ ადამიანების მონდომება იყო, ვინც გადანყვიტა,

რომ ბათუმს აუცილებლად უნდა ჰქონდეს თავისი კინოფესტივალი. მეტიც, ჩვენი მოკრძალებული აზრით, ბათუმს არათუ უნდა ჰქონდეს კარგი საერთაშორისო ფესტივალი, არამედ ბათუმი უნდა იყოს კიდევ მსოფლიოში განთქმული საერთაშორისო საფესტივალო ქალაქი, რადგან ბათუმი, როგორც ცნობილი კურორტი, სამწუხაროდ ვერასოდეს იარსებებს ვერცერთ საერთაშორისო რუკაზე, თუნდაც იმ მარტივი მიზეზი გამო, რომ კარგი საკურორტო ამინდი სეზონის დროს (როგორც წესი) აქ მხოლოდ ორ კვირას გრძელდება. მართალია ყველა წესს გამონაკლისიც აქვს და წელს (მაგალითად), მზე აჭარაში, უწყვეტად და გადაბმულად, ჩვიდმეტი დღის მანძილზეც კი ანათებდა, მაგრამ ეს იმდენად იშვიათი მოულოდნელობა იყო, რომ ბათუმის კამკაშა მზეს, მხოლოდ მეზობელი სომხეთიდან ჩამოუსწრეს უალტერნატივო დამსვენებლებმა. თუმცა საკურორტო ამინდისაგან განსხვავე-



ბით, აქ მუდმივად არის საფესტივალო ამინდი და ბათუმში უკვე იმდენი და თანაც ისეთი დიდი სასტუმროებია, რომ შეგვიძლია ერთდროულად (მთელი წლის განმავლობაში) რამდენიმე საერთაშორისო ფესტივალსაც კი ვუმასპინძლოთ. თუ ბათუმი მართლაც იქცევა საფესტივალო ქალაქად, იმ გრანდიოზული სასტუმროების აშენებასაც (ნაწილობრივ მაინც) გამართლება ექნება და საქართველოში დეცენტრალიზაციის აუცილებელი პროცესიც ნელ-ნელა დაიწყება. თუ ჩვენს ქვეყანაში არსებული ლიტერატურული თუ სპორტული, კულტურული თუ სოციალური ენერჯის გადანაწილება არ მოხდება იმ საბჭოური კონცენტრაციის დასაშლელად, რომელიც ბოლშევიკებმა დედაქალაქში ხელიწყოვით შექმნეს, ჩვენგან ევროპული ტიპის სახელმწიფოს შექმნა ძალიან ძნელი იქნება. ევროპისკენ მიმავალ გზაზე, რასაკვირველია სხვა კიდევ ბევრი დაბრკოლება და ბარიერი გველოდება, მაგრამ ჩვენი უმთავრესი პრობლემა მაინც მენტალურია და როცა ჩვენი საბჭოური ცნობიერება შეიცვლება, ჩვენი ყოფაც უკეთესი გახდება. ამიტომაც მახარებს ნებისმიერი მშენებლობა (თბილისის

გარდა), მაგრამ იმ ბათუმელებისაც კარგად მესმის, ვისაც ახალი და ასე განახლებული ბათუმი არ მოსწონს – ძველ ბათუმელებს ისეთი ბათუმი ახსოვთ, რომელიც მათთვის ყველაზე ძვირფასი და საყვარელია და მათთვის იმ ქალაქს ველარაფერი შეცვლის. ის ძველი ბათუმი (პირადად) მხოლოდ ფოტოებზე მინახავს და შეიძლება ამის გამოც, ყველანაირი მშენებლობა მაინც მახარებს და მაინც აშენება მირჩევნია დანგრევას და უკეთესი გემოვნების მოლოდინით ცხოვრება, მართლა ძნელია. მათ, ვინც ძველ ბათუმსა თუ ძველ თბილისს აშენებდნენ (დამკვეთებსაც და შემსრულებლებსაც), ჩვენზე უკეთესი გემოვნება ჰქონდათ (თუნდაც იმიტომ რომ საბჭოთა საქართველოში არ უცხოვრიათ) და ჩვენზე პატიოსანი ადამიანებიც იყვნენ (თუნდაც იმავე), ზემოთქმული მიზეზის გამო. საქართველოს შემდეგ ხელისუფლებასაც უკეთესი გემოვნება იმ შემთხვევაში ექნება, თუ მომავალი საქართველოს დამკვეთები (არა მხოლოდ არქიტექტურაში), იმაზე უკეთესები იქნებიან, ვიდრე ჩვენ ვართ. ადამიანი კი, უკეთესი რომ გახდეს (ნიგუნების ნაკითხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ), ბე-

ვრი კარგი ფილმი მაინც უნდა ნახოს (ყოველგვარი ხუმრობის, დიდაქტიკისა და პათეტიკის გარეშე) და ბათუმის მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალზე, მართლა ბევრი კარგი ფილმი იყო. კარგი ფილმით დაიწყო კიდევ ფესტივალი და ეს სიამოვნება, ფესტივალის დასრულებამდე, არც მოგვკლებია და პირველად ჟიურის თავმჯდომარის, ცნობილი ჰოლანდიელი რეჟისორის, იოს სტელინგის არასაკონკურსო ფილმი ვნახეთ. თავად რეჟისორს შეიძლება არც უფიქრია იმის შესახებ, რომ მისი ფილმის სიუჟეტი (რომელსაც „დუშკა“ ჰქვია), ძალიან ჰგავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ორასწლოვან ისტორიას, მაგრამ ფილმისაგან განსხვავებით, ამ ურთიერთობაში არაფერია სასაცილო და ღიმილის მომგვრელი. იოს სტელინგს კი (ალაგ-ალაგ), იუმორის ისეთი მშვენიერი გრძნობა აღმოაჩნდა, რომ დარბაზმაც გულწრფელად ისიამოვნა მისი კინოხუმრობების გამო და პირადად რაც არ მომეწონა, ფილმის პროექციის ხარისხი იყო. შეიძლება მე ვერ გავერკვიე ფესტივალის ტექნიკურ თავისებურებებში და ასევე ზოგიერთი სხვა ფილმის ჩვენებისას შემჩნეული წუნიც, სულაც არ იყო



ცუდი პროექციის ბრალი. თუმცა თავად კინო ისეთი დიდი სიამოვნებაა ჩემთვის, რომ ნებისმიერი ხარვეზის მიუხედავად, ბათუმის ფესტივალი მხოლოდ ძალიან დადებით მოვლენად მიმაჩნია და იმედია რომ მომავალში, არცერთი უმნიშვნელო პრეტენზიაც კი აღარ იარსებებს. ყველაზე პრეტენზიული კი (ამინდის მიმართ), მაინც ლაშა ბაქრაძე იყო, რომელსაც ფესტივალის მესამე დღეს, მობილურ ტელეფონზე მეხი დაეცა. იმ დილით პოლონური ფილმების ჩვენება დაიწყო და ვინაიდან პოლონელებს ისედაც თავი ქუდში აქვთ და ტანი კი ევროკავშირში, ლაშამ შუადღისას გარეთ გასვლა გადანწყვიტა და ადგილობრივმა კლიმატურმა თავისებურებამაც მას, სწორედ ამ დროს უმტყუნა – მეხი პირდაპირ მობილურზე დაეცა. არც ვიცოდი თუ ტელეფონის უწყინარი სიმბარათი მესხ იზიდავდა (თანაც შხუილით) და თურმე ჭექა-ქუხილის შემთხვევაში, მობილური აუცილებლად უნდა გამოერთო. არადა იმ დღეს ისეთი ხმაურით წვიმდა, რომ ციდან მგონი მართლა ბაყაყები ცვიოდნენ და მობილურის ჩართვას კი, აზრი ისედაც არ ჰქონდა. მოკლედ ლაშა ბაქრაძე ძლივს

გადარჩა, რადგან აჭარაში მოგესხენებათ რომ ძირითადად ქვიანი ნაპირია და ლაშას კიდევ ცოტა ხანს რომ ეფართხალა, მეზობელ გურიამი დაგეჭირდებოდა მისი გადაყვანა ქვიშაში ჩასაფლობად. პოლონური ფილმების პროგრამა კი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და ბათუმში პოლონური კინოკლასიკაც აჩვენეს და თანამედროვე კინოპროდუქციაც, რომელსაც თვითონ პოლონეთის საელჩო წარმოადგენდა ხოლმე, და ბათუმში თავად ქვიშტოფ ზანუსიც კი ჩამობრძანდა. ყველაზე საინტერესო პროგრამა, მგონი, მაინც ბრიტანელებს ჰქონდათ, მაგრამ ინგლისურ კინოზე მეტად, აღმოსავლეთი მაინტერესებდა (მაინც) და განსაკუთრებით კი ახალი ირანული ფილმების ნახვა მინდოდა. თვითონ იმ ფილმების რეჟისორებიც ბათუმის ფესტივალის სტუმრები იყვნენ და თანაც ისეთი ლამაზები, რომ მათთან დალაპარაკებაც კი ვერ გავბედე. არადა ირანელი ქალების გაცნობა ძალიან მინდოდა თუნდაც მათი მოსმენის მიზნით და სიამოვნებით მოვუსმენდი კიდევ მათ მრგვალი მაგიდის გარშემო, თუ ამის შესაძლებლობა გვექნებოდა. რასაკვირველია ფესტივალის სტუმრებსა

და მონაწილეებს ბევრჯერ ჰქონდათ კიდევ დიალოგისა და მასლაათის საშუალება, მაგრამ ეს ძირითადად ბანკეტებზე ხდებოდა, მე კი ბანკეტებს ისეთივე მონდომებით ვერიდები, როგორც ქართულ პოლიტიკას. არადა რომ მქონოდა მათთან გასაუბრების საშუალება, ირანელებს ყველაზე ნაკლებად სწორედ პოლიტიკაზე დაველაპარაკებოდი, რადგან სპარსელები იმდენად კარგი პოეტები არიან, რომ ზოგჯერ ცუდი პოლიტიკოსები გამოერევათ ხოლმე და პოეზია კი ყოველთვის საუკეთესო ჰქონდათ. შეიძლება იმ ზღაპრული ლიტერატურის გავლენა განაპირობებს კიდევ ირანული კინოს პოეტურობას, რომელიც საერთაშორისო კლიშეების საპირისპიროდ, ძალიან თანამედროვეა და დღევანდელი ირანელებიც რადიკალურად განსხვავდებიან იმ სტერეოტიპული წარმოდგენისაგან, რომელსაც მათ შესახებ მთელს მსოფლიოში ქმნიან. კინომსოფლიო კი ინტერესს, არა მხოლოდ ირანული, არამედ თურქული ფილმების მიმართაც საკმარისად იჩენს და ამას ალბათ თურქებიც აშკარად გრძნობენ და თურქული კინოს კვირეულიც ბათუმში ისეთი ზარზეიმით გახსნეს, რომ თურქულ ფილმ-





ბს ნამდვილად ვერ გამოვტოვებდი. თითქმის ყველაფერი ვნახე კიდეც და მათ შორის განსაკუთრებით მომეწონა ნური ჯელიანის „სამი მაიმუნი“ და იეშიმ უსტაოღლუს „პანდორას ყუთი“. მომეწონა ოზჩან ალპერის „შემოდგომა“ და ამ ფილმის მიმართ დიდი ინტერესი ჩემსავით უამრავ ბათუმელსაც ჰქონდა, რადგან ამ თურქულ ფილმში მთავარ როლს ახალგაზრდა ქართველი მსახიობი, მშვენიერი მეგი კობალაძე ასრულებს. მისი პერსონაჟი მეზობელ ქვეყანაში მოღვაწე ქართველი პუტანკაა და თურქ რეჟისორს არც არაფერი მოუგონია, რადგან თურქეთის მხოლოდ ერთ-ერთ ვილაიეთში (თანაც არასრული მონაცემებით), ოცდაათი ათასი ქართველი ქალია დაკავებული არაელიტარული პროსტიტუციით. მართალია ჩვენ იმ ქვეყანაში ვიზრდებოდით, სადაც სადღეგრძელოების მიხედვით, ყველაზე კდემამოსილი ქალები ცხოვრობდნენ, მაგრამ როგორც კი რეალობა შეიცვალა, ქართველი ქალებიც შეიცვალნენ და ზოგიერთები გაბოზდნენ კიდეც. აღმოჩნდა, რომ ქართველი ქალიც ადამიანია და ქართველ კაცებს შორის კი ისეთი სამარცხვინოებიც აღმოჩნდნენ, რომლებმაც ოჯახე-

ბზე ზრუნვა მთლიანად ცოლებს მიანდეს და თვითონ კი ტახტებზე წამოწვნენ. რადგან უძველესი პროფესია ვახსენეთ, ბარემ მედეას ამბავსაც აქვე ვიტყვი, რომელსაც უგრძელესი ძეგლი ზუსტად იმ მოედანზე, იმ კინოთეატრის წინ დაუდგეს, სადაც ბათუმის კინოფესტივალი მიმდინარეობდა. თავისთავად ეს მოედანი, მგონი ბევრს მოსწონს თუნდაც იმიტომ, რომ ყველაზე მეტად ჰგავს რომელიმე პატარა ქალაქის მთავარ სასაიერნო ადგილს რომელიმე ევროპულ ქვეყანაში, თუმცა, ჩვენი სუბიექტური აზრით, მედეა აქ, უბრალოდ ზედმეტია. რასაკვირველია ძველი კოლხეთისა და მათ შორის ფაზისის იდენტიფიკაციის შესახებ მეც წამიკითხავს და სხვებიც მეც მიფიქრია, რომ შეიძლება ფაზისი ჭოროხი უფრო იყო, ვიდრე რიონი (და შესაბამისად მედეაც ბათუმელი უფროა, ვიდრე ქუთაისელი), მაგრამ სტრატეგიული თუ არა, პრაგმატული თვალსაზრისით მაინც, მედეას ძეგლი ქუთაისში უნდა დაგვედგა (ვაიდა პარლამენტი არც გადაიტანონ). მით უმეტეს იმ შემთხვევაში, თუ მედეა საერთაშორისო ბრენდია, მისი ადგილი ქუთაისში უფროა, რადგან ბათუმი ზღვისპირა სა-

პორტო ქალაქია და მისი განვითარებაც (თუნდაც ამიტომ, ფოთის არ იყო) მაინც გარდაუვალია. გარდაუვალია ნებისმიერი პროცესიც, რომელსაც სინამდვილეში დრო წარმართავს და ძველი ბათომიც, როგორც ამ ქალაქს კაკო ძნელადის გურული წინაპრები უწოდებდნენ, ისევე ვეღარ იარსებებს, როგორც ძველი ტფილისი, რომლის დაკარგვაც დავით კაკაბაძემ ჯერ კიდევ 1920 წელს იწინასწარმეტყველა. სხვათა შორის, 1921 წლის შემდეგ, მთელი სამოცდაათი წლის განმავლობაში, ყველას თუ არა, უამრავ თურქს მაინც (ხმამალა თუ არა, ჩუმად მაინც) ქართველების შურდათ კიდეც, რადგან მათ ეგონათ, რომ საბჭოთა საქართველოში მართლა სოციალიზმი იყო. ისინი დარწმუნებულებიც იყვნენ, რომ ბედნიერი ქართველები სოციალიზმში ცხოვრობდნენ და როცა საზღვრები გაიხსნა და ამდენი გაუბედურებული ქართველი აღმოაჩინეს, მემარცხენეებს შორის საშინელი იმედგაცრუებაც გაჩნდა თურქეთში და ოზჩან ალპერმა ასეთი ფილმიც გადაიღო.

>>> ბაზრქილიზა გვ. 93

# TBS\_URBAN



INFORMAL **UR**  
 NEW **UR**  
 SELF-SUFFICIENT **URBANISM**  
 SUSTAINABLE **URBANISM**  
 SENTRALIZED OR DESENTRALIZED  
**URBANISM**  
 NED TRADITIONAL **URBANISM**  
 TRADITIONAL **URBANISM**  
 OTHER.....

# ქალაქი – თვითონ საზოგადოება

ავტორი: ნინო ლომაძე

ფოტო: დავით მუსხი

„ქალაქში ცხოვრების უფლება ესაა შეხვედრებისა და აზრთა გაცვლისთვის საჭირო ადგილის ქონის უფლება, ესაა ცხოვრების სხვადასხვა რითმის უფლება; უფლება, რომელიც გაძლევს უნარს, ბოლომდე გამოიყენო სივრცე და მომენტები. ეს არის უფლება და სახლდე, და იცხოვრო ისე, რომ ქალაქს უკან არაფერი დაუბრუნო. ეს არის უფლება, გქონდეს შენი სივრცე და არა მხოლოდ ფლობდე რაღაცას“, - ამბობდა ანრი ლეფვერი.

ლეფვერის თანამედროვე ქალაქის კონცეფცია, რომელიც შეიძლება ზედმეტად რომანტიკული და სენტიმენტალური გეჩვენოთ, ძალიან მყარ და კონკრეტულ იდეას – პიროვნების თავისუფლების დაცვას ეყრდნობა.

როგორია ის გარემო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ? რის უფლებას გვაძლევს ქალაქი, და როგორ იკითხება მასში ჩვენი თავისუფლების ხარისხი? ამ თემაზე კიდევ ერთხელ მაშინ დავფიქრდი, როდესაც „იმელის“ შენობის დახგრევის შესახებ გავიგე. „იმელის“ წინ იმ დღეს საპროტესტო აქცია გაიმართა, რომელზეც ასამდე ადამიანი მივიდა. ბოლო დროს ასეთი რამდენიმე აქცია იყო. თუმცა ურბანული დისკურსი მაინც ვერ ასცდა ლოკალურ ქალაქმშენებლობის შეცდომებს და ნაკლებად ეხება გაცილებით მნიშვნელოვანს, იმ კონტექსტს, რასაც ამ ფაქტების ერთობლიობა ქმნის.

ქალაქი და ზოგადად ურბანული გარემო სოციალურ ინტელექტს გამოხატავს. მოდერნიზმის ხანის ისტორიკოსები ამბობდნენ, რომ არსებობს ძალიან მკვეთრად გამოხატული კავშირი ესთეტიკურ და კულტურულ პროცესებსა და ურბანული გარემოს ცვლილებებს შორის. ქალაქი ფიზიკუ-

რად გამოხატავს დროის, ეპოქების, სახელმწიფო სისტემების, იდეოლოგიების და საზოგადოების ცვლილებებს. სივრცის ორგანიზების სწორი აღქმა კი მხოლოდ იმის გააზრებაა, რომ ქალაქი სხვა არაფერია, თუ არა თვითონ საზოგადოება.

ურბანისტი და არქიტექტურის მეცნიერებათა დოქტორი კოკა ამირეჯიბი ერთდროულად თბილისის განვითარების ისტორიის მკვლევარი და მონაწილე. სწორედ მას ვთხოვე ესაუბრა იმაზე, თუ როგორ იცვლებოდა დედაქალაქის სახე იმის მიხედვით, ქაოსი მართავდა ურბანულ პროცესებს, ადამიანები თუ ეპოქა. მისი ინტერვიუ ერთდროულად ქალაქის და იმ საზოგადოების ისტორიაა, ვინც ეს საარსებო სივრცე შექმნა.

– თბილისი მე-19 საუკუნის დასაწყისში უფრო აზიური ქალაქი იყო. ნარიყალას ფერდზე მიფენილი ბანიანი სახლებით. მაშინ კალა იყო ცენტრალური უბანი. ქალაქში განჯის გზა შემოდიოდა. განჯის კარით ხვდებოდნენ სავაჭრო ქარავნები ნარიყალაზე. და იქიდან აბანოთუბანზე იშლებოდა ხედი, მარჯვენა მხარეს კალას უბანი ხვდებოდა, მარცხნივ ნარიყალა – ბანიანი სახლები, ბალები, სიონი და სამეფო უბანი. თბილისი ულამაზეს ქალაქად ითვლებოდა. ეს გზა დღეს დაკარგულია. მხოლოდ პატარა მონაკვეთია – დღევანდელი გრიშაშვილის ქუჩა. მეორე მონაკვეთი – მირზა შაფის ნაწილი იყო, რომელიც ბოტანიკურ ბაღში იჭრებოდა და რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მირზა შაფის რეაბილიტაციის პროექტმა შეინარა. ერთი სიტყვით, განჯის გზა აღარ არსებობს. გზა, რომლითაც თბილისში აღამაჰმად ხანი თავისი ჯარით ბოლო შემოსევის დროს შემოვიდა.

ძველ თბილისში ბანიანი სახლები იდგა. ერთის ტერასა მომდევნო სახლის სახურავი იყო, მისი კიდევ მომდევნოსი და ასე შემდეგ. სახლების სულ სამი ძირითადი ტიპი შენდებოდა – ბანიანი, დარბაზის ტიპის გვირგვინით და კოშკურა. არც ერთი მათგანი აღარ შემოგვრჩა.

დღემდე შემორჩენილი ძველი თბილისი, ეკლესიების გარდა, მე-19 საუკუნის კაპიტალისტური თბილისია. დროდადრო იცვლებოდა თბილისის განვითარების რითმი და მე ამ ციკლის სამი ძირითადი ფაზა გამოვყავი. ესენია – ინტენსიური განვითარების ფაზა, რომელსაც ევოლუცია ვუნოდე, მერე დგება რევოლუციური გარდატეხის პერიოდი, და მესამე – ინვოლუციური ფაზა, უკუგანვითარება. მე-19 საუკუნის შუა პერიოდში თბილისი უფრო სპარსულ-სომხური ქალაქი იყო და სულ 40-50 ათასი მოსახლე ცხოვრობდა, საუკუნის ბოლოს მოსახლეობის რიცხვმა 200-300 ათასს მიაღწია. მალე თბილისი რეგიონში ეკონომიკურ, ფინანსურ ცენტრად იქცა. გაჩნდა ბაქო-ბათუმი ნავთობსადენი, განვითარდა რკინიგზაც, აშენდა ბაქო-ფოთი და ბაქო-ბათუმის რკინიგზის ხაზი. ამან უზარმაზარი ბიძგი მისცა ქალაქის განვითარებას. თბილისში სახლდებოდა სომხური, აზერბაიჯანული ელიტა, ყალიბდებოდა თბილისური არისტოკრატია. ანუ ეს იყო ძალიან აქტიური განვითარების ფაზა, რომელიც მოსპო პირველმა მსოფლიო ომმა.

## როგორ იცვლება ეს კაპიტალისტური თბილისი საქართველოს სოფიტიზაციასთან ერთად?

ესაა ქალაქის ინვოლუციის ფაზა. მოკვდა ინფრასტრუქტურული ობიექტები, ფინანსური ოპერაციები, ფულის

არსებობს ძალიან მკვეთრად გამოხატული ქვეყნიერი ესთეტიკური და კულტურული პროცესებისა და ურბანული გარემოს სვლილვაებას შორის. ძალაქი ფიზიკურად გამოხატავს დროის, ეპოქების, სახელმწიფო სისტემების, იდეოლოგიების და საზოგადოების სვლილვაებას. სივრცის ორგანიზების სწორი აღქმა კი მხოლოდ იმის გააზრებაა, რომ ძალაქი სხვა არაფერია, თუ არა თვითონ საზოგადოება.

მიმოქცევები, დაიხურა სანარმოები, ხალხი გავიდა ქალაქიდან. ასე გაგრძელდა 1925-1927 წლამდე, სანამ საბჭოთა სისტემამ ძალა მოიკრიბა და დაიწყო უკვე განვითარების საბჭოთა პერიოდი. 30-იან წლებში საბჭოთა ადმინისტრაცია აქტიურად ავითარებდა ქალაქს გენერალური გეგმით – აშენდა დიდი საზოგადოებრივი შენობები, მთავრობის სახლი, „იმელის“ შენობა, ხიდები, სანაპიროები. ყველაფერი იცვლება მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ისევ რევოლუციურად.

შემდეგი რევოლუციური ფაზა უკვე პერესტროიკის დროა. ამ დრომდე თბილისი აქტიურად ვითარდებოდა, განსაკუთრებით 60-70-იან წლებში, როდესაც აშენდა უზარმაზარი საცხოვრებელი მასივები, საბურთალო, გლდანი, დიღმის მასივი, თემქა. კომუნისტები წელიწადში საშუალოდ 2-3 მილიონ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართს აშენებდნენ. მაგრამ 80-იან წლებში საბჭოთა კავშირის კრიზისის გამო უძრავობის პერიოდი იწყება და ქალაქი წყვეტს განვითარებას.

**როგორ იყენებდა კომუნისტური სისტემა სივრცით მოწყობას საკუთარი იდეოლოგიის გასამყარებლად?**

მოკლედ გეტყვი, როგორი თბილისი ჩაიბარა საბჭოთა სისტემამ. სოვიეტიზაციამდე მოსახლეობა პროექტებს ქალაქის უპრავაში ყიდულობდა. ამ დროს არისტოკრატია ინდივიდუალური პროექტებით იშენებდა სახლებს. სწორედ ამიტომ გაჩნდა თბილისში უცხოელი არქიტექტორების მთელი „პლეადა“. ისინი საზოგადოების მდიდარი ფენის სახლებს აპროექტებდნენ – შინკევიცი, ბილფელდი, ზალცმანი, სიმონსონი და ა.შ. ამ ეპოქაში, მასობრივი მშენებლობაც ძალიან საინტერესო იყო. მოსახლეობამ თვითონ მონახა ორგანული და ორიგინალური ფორმა და საცხოვრებ-

ბელ სახლებში სივრცეების ორგანიზების თავისებური იერარქია გაჩნდა. იყო „საცხოვრებელი ოთახი“, საერთო გალერეა, რომელსაც მეზობლებთან იყოფდნენ, იგივე შუშაბანდი და მერე ეზო. ეზოს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სოციალური კონტაქტების სივრცეს. ეზოს მიღმა უკვე ქუჩა იყო. ამ ერთიან სივრცეში იზრდებოდა ძველი თბილისელი. ასეთი რამდენიმე ერთეულის ერთობა აყალიბებდა უბანს. ყველამ იცოდა, სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა უბანი. საბჭოთა პერიოდში ეს ყველაფერი დაიკარგა.

იყო მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, ეთნიკური უბნები. მე-19 საუკუნის თბილისში ეს უბნები ჯერ კიდევ არსებობდა – სეიდაბადი, აბანოთუბანი, ნარიყალა, ისანი, ავლაბარი, კრწანისი, ორთაჭალა. სოლოლაკში მდიდარი სომხები ცხოვრობდნენ, შედარებით ღარიბები – ავლაბარში, თათრები – თათრების მოედანზე, ებრაელები სინაგოგის ირგვლივ, მალაკნების ბაზართან რუსები, გერმანელები პლეხანოვზე, ძველი ალექსანდროპოლის ტერიტორიაზე. ეთნიკური უბნები ნამდვილად იყო დემოკრატიული წყობის ჩანასახი.

საბჭოთა ხელისუფლებისთვის უბნური სოლიდარობა და ადგილობრივი ინიციატივები საშიში ტენდენცია იყო. ადმინისტრაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოსახლეობის კონტროლი იყო და სივრცით ორგანიზებასაც ამისთვის იყენებდა. კომუნისტურ იდეოლოგიას არაფერი სოციალური არ უნდა დაპირისპირებოდა. ეთნიკური უბანი მათთვის სწორედ ამ საშიშროებას წარმოადგენდა. უბანში ადამიანები სივრცეს აკონტროლებდნენ. იქ არსებობდა თვითორგანიზების და თვითმმართველობის ელემენტები. ამიტომ კომუნისტებმა, ხალხის დეზინტეგრაციის მიზნით, მასობრივი მშენებლობა დაიწყეს –

აშენდა ახალი რაიონები და სხვადასხვა ეთნოსის ხალხი იქ გაფანტულად დაასახლეს. ეთნიკური უბნები დაიკარგა.

**იმას, რასაც ჰოლანდიელი ურბანისტი კონსტანტი აკულტურაციის ზონებს უწოდებს, აქტიური, სოციალური სივრცეებია. ძირითადად ქალაქის ძველი უბნებია, სადაც არ არსებობს საზღვარი სოციალურ ფენებს შორის, სადაც ამ მრავალფეროვან ხალხის მასას ძალიან ინტენსიური კომუნიკაცია აქვს. კონსტანტი ამბობს, რომ სწორედ ეს კონტაქტია ახალი კულტურული და სოციალური პროცესების მთავარი მამოძრავებელი მუხტი. ამიტომაც, ბიუროკრატების უმეტესობა (რადგან ბიუროკრატები მართავენ საზოგადოებას) მუდამ ერჩოდა ამ ტერიტორიებს. მაგალითად მარსელში, ნაცისტებმა ძველი პორტი დაანგრიეს, რომ ამ სივრცით შეკრულ მოსახლეობას ნაკლები წინააღმდეგობა გაენია. საბჭოთა ადმინისტრაცია თუ ცდილობდა ძველი თბილისის უბნების განადგურებას – იგივე მიზნით, ანუ თბილისის ურბანული ქსოვილის ხელოვნურად დაშლას?**

დღეს რომ ვფიქრობ, ვხვდები, რომ კომუნისტები ცდილობდნენ ძველი თბილისის უბნები თავისი ბუნებრივი სიკვდილით მომკვდარიყო. ხალხს არ აძლევდნენ საშუალებას, საკუთარი სახლი შეეკეთებინათ, უკრძალავდნენ. ცხადია, თვითონაც არაფერს აკეთებდნენ. რამდენჯერმე მოხდა ფასადების გადაღებვა – რეკონსტრუქციის იმიტაცია, საზოგადოებისთვის იმის შთაბეჭდილების შესაქმნელად, რომ ადმინისტრაციამ ძველ ქალაქზე იზრუნა. ამიტომ, შესაძლოა, სწორედ ამას ცდილობდნენ.

**შეიქმნა თუ არა რაიმე ფასეული საბჭოთა პერიოდის არქიტექტურაში?**

სტალინური პერიოდის არქიტექტურა საბჭოთა იდეოლოგიის გამარჯვების







DISFIGURED CITY



ილუსტრაცია: სალომე სისარულიძე  
[www.beatmagazine.com](http://www.beatmagazine.com)



საქართველოს კონსტიტუციაში წერია, რომ ქვეყნის სივრცითი მოწყობის კონსეფსია გვექნება მაშინ, როცა დავიბრუნებთ აფხაზეთს და სამაჩაბლოს. ქვეყანა ვითარდება სტიქიური ურბანული კანონებით, რომლის კონტროლის უზრალოდ შეუძლებელია. არ არსებობს არანაირი ურბანული განვითარების განვითარება, გადაწყვეტილებები მიიღება ვოლუნტარისტულად, იმპულსურად. შესაბამისად, ეს გადაწყვეტილებები ვულგარულია და ვერ ჭრის ქალაქის პრობლემებს.

დემონსტრირება იყო – შენობები ნაციონალისტური იერიითა და სოციალისტური შინაარსით. არქიტექტურის ამ სტილს ნახევრად ჟანგონით სტალინურ ამპირს ვეძახით. ამპირი ფრანგულად იმპერიას ნიშნავს. ეს არის ადამიანის ინდივიდუალურობის უგულვებლყოფა, სივრცით ფორმებში არავითარი პირადი ელემენტების გამოვლენა. ყველაფერი უნდა ყოფილიყო მასობრივი. ადამიანი იყო ჭანჭიკი მილიონ მისნაირთან ერთად, რომელთა ერთიანობაც შეადგენდა მონოლითურ მთლიანობას და იმართებოდა ერთი მძლავრი ძალით, ბელადით. აქედან მოდის პიროვნების კულტი, როგორც ნაციისტურ არქიტექტურაში, ისე საბჭოურ არქიტექტურაში. ამ დროს ნაგებობების გრანდიოზული იერიც მნიშვნელოვანი იყო. სამუდამოდ აშენებულის შთაბეჭდილება უნდა დაეტოვებინა. განწყობა – ენერგიული და ოპტიმისტური. არავითარი რეფლექსია, ეჭვიანობა, სკეპტიციზმი, იუმორი, ირონია. ეს ყველაფერი გამორიცხული იყო ტოტალიტარული არქიტექტურის სტილში.

სტალინური ამპირის ნიმუშებია მთავრობის სასახლე, აკადემია, „იმელი“. „იმელი“ უნიკალური არტეფაქტია. ეს ეპოქა დამთავრდა და აღარასოდეს დაბრუნდება. „იმელი“ ცნობილმა არქიტექტორმა, შუსევემა დააგეგმარა. მისი არქიტექტურის მხოლოდ ორი ნიმუში გვაქვს – ინტურისტი ბათუმში, რომელიც დავამახინჯეთ და „იმელი“, რომელსაც ვანგრევთ. იმელი უკვე რუსთაველის განაშენიანების განუყოფელი ნაწილია. თვითონ შენობაც ღირებულია, როგორც ხელოვნების ნაწარმოები. მის გამო, რომ ეს იყო სტალინური სისხლიანი რეჟიმის ნაშიერი და ატარებს ამ იმპერიალისტურ ნიშნებს, არ შეიძლება მისი დანგრევა გავამართლოთ. მის გამო, რომ მონათმფლობელობა ცუდია, არავის მოსდის აზრად პირამიდე-

ბის დანგრევა. მემორიალურ ცენტრებად აქციეს საკონცენტრაციო ბანაკები ოსვენციმი, დაჰაუ, ტრებლინკა და ბუჰენვალდი. იქ ხალხი დადის იმის სანახავად, რომ არ დაავინყდეს წარსული და იგივე არ გაიმეოროს. „იმელი“ ისტორიული შენობაა, იქ ქართული პარლამენტი მუშაობდა. ბევრი ისტორიული გადაწყვეტილება იყო მიღებული. სამწუხაროდ, აშენებულია ძალიან სუსტად. ეს შენობა ვერ გაუძლებს სერიოზულ ზიდას. სარდაფებში წყალი დგას. რადგან გამოჩნდა ინვესტორი, რომელსაც მის ადგილას სასტუმროს აშენება უნდა, ეს არის ერთადერთი შესაძლებლობა ძეგლის გადარჩენის. თუ ჩვენ ვეტყვით, რომ ააშენონ სასტუმრო, დაშალონ „იმელი“, მაგრამ აღადგინონ პირვანდელი სახით, ძეგლი არ დაიკარგება. დღეს არქიტექტურის სამსახურში მხოლოდ მის დემონტაჟზეა შეტანილი განცხადება.

**ხრუშჩოვის პერიოდში სტალინურ ამპირს უკვე აღარ აშენებდნენ. რა იყო საბჭოთა ადმინისტრაციის ახალი პროგატივა?**

არქიტექტურული ზედმეტობების ეპოქას ბოლო მოუღო ხრუშჩოვმა. მან თქვა, – ძალიან ცოტას და ზედმეტად გრანდიოზულს ვაშენებთო, – და დაიწყო მასობრივი მშენებლობა ტიპური პროექტებით. აი, მაშინ გაჩნდა საბურთალო, თეშქა, მესამე მასივი, აფრიკა და სხვა უბნები. საცხოვრებელი უბნების იდეოლოგიური პრერეგატივა იყო სივრცის ანონიმურობა, უსახობა. გრძელდებოდა იგივე პოლიტიკა ეთნიკური უბნების მიმართ, საზოგადოების დეზინტეგრაციის მიზნით. მშენებლობის ხარისხი ძალიან დაბალი იყო. ათწელწინადაც უკვე ჩამოირეცხა საღებავი, ჩამოეცალა ბათქაში, სახურავები დაზიანდა. თუ შენობების მორალური

ცვეთა 25 წელი იყო, ფიზიკური ცვეთა კიდევ უფრო ნაკლები, 10-15 წელი აღმოჩნდა. დღეს ეს ე.წ. ხრუშჩოვები აბსოლუტურად ამორტიზებულია. ამ უმძიმესი მემკვიდრეობის ექსპლუატაცია და რემონტი ძალიან ძნელია.

**როგორ გამოხატა თანამედროვე, 90-იანი წლების ქაოსური, გარდამავალი პერიოდი ქალაქმა? სოციალისტური წყობის კაპიტალისტური სისტემით ჩანაცვლებამ თავისთავად შეცვალა კოლექტივიზმის გაგება და კოლექტივის წევრები კერძო მესაკუთრებად იქცნენ. ეს ცვლილება აისახა ქალაქში?**

ურბანული პროცესებიც ისეთივე ქაოტური იყო, როგორც სოციალური, თუ პოლიტიკური სიტუაცია. მოსახლეობა არ აღმოჩნდა მზად პრივატიზაციისთვის. არ გვექნდა გააზრებული, რას ნიშნავდა კოლექტივის კერძო მესაკუთრის იდეით ჩანაცვლება. მოსახლეობამ ეზოებში დაიწყო ტერიტორიების პასტერიზაცია და გაჩნდა ბოსტნები, ვაზი, ქათმები, ცუხები, ფარეხები და აშ. გაჩნდა მიშენება-დაშენებები. იმან, რაც მანამდე ყველასი და ამავე დროს არავისი იყო, გაუგებრობა გააჩინა. საკუთარი ტერიტორია მოსახლეობამ სახლის ზღურბლამდე მონიშნა, მის გარეთ უკვე „მისი“ აღარ იყო. არ ზრუნავდა სადარბაზოზე, ეზოზე, რასაც ადრე ცენტრალიზებული საქალაქო სამსახურები აკეთებდნენ. ეს სიმახინჯე დღემდე გრძელდება.


ხელისუფლებამ ხელი დაიბანა და მოსახლეობას უთხრა, რომ საკუთარი ტერიტორიისთვის ამიერიდან თვითონ უნდა მიეხედა. ჩვენი გარემო ძალიან პრიმიტიული აღმოჩნდა და ამიტომ ვერ განიცადა დროსთან ადეკვატური მეტამორფოზა.





CITY BEATS.....

.....



# ალტერნატიული თბილისი

ავტორი: სანდრო ნავერიანი  
ილუსტრაცია: მაია სუმბაძე

სტატიის გამოქვეყნებულია მასალაში „თბილისის ფორუმი“ გაბარებული დისკუსიიდან – „ალტერნატიული თბილისის ისტორია“

საქართველოში თვითმფრინავით ჩავფრინდი. თბილისის „დედოფალი ანას“ საერთაშორისო აეროპორტიდან ძლივს გამოვალნიე. უზარმაზარია და თან ძალიან საინტერესო – თბილისის მუნიციპალიტეტმა სწორად გათვალა, როდესაც აეროპორტში 21-ე საუკუნის საზღვარზე აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე დიდი საინფორმაციო ცენტრი გახსნა. აქ შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია არა მხოლოდ საქართველოზე, არამედ მთელ ევროპაზე. აეროპორტის გასასვლელში დიდი წარწერაა – ევროპა იწყება აქ. როდესაც გამოვედი, შენობას გარედან შევხედე. აეროპორტის სახელწოდების ქვეშ დიდი ასოებით აწერია – აზია მთავრდება აქ. ანუ, მე თავი ამოვყავი იქ, სადაც იწყება ევროპა და მთავრდება აზია.

ქალაქში მატარებლით წავედი. ეს არის სპეციალური ხაზი, რომელიც აეროპორტს და თბილისის (მთელი საქართველოსი და ევროპა-აზიის) მთავარ სარკინიგზო მაგისტრალს ერთმანეთთან აკავშირებს. საერთოდ, თბილისის რკინიგზა და მეტროპოლიტენი მსოფლიოშია განთქმული.

ის მეტროპოლიტენი, მერვე კი არა, პირველი საოცრება უნდა იყოს. ეს არის სისტემა, რომელიც ქართველმა ინჟინრებმა შექმნეს და რომლის ანალოგიც მსოფლიოში არ არსებობს. თბილისის მეტროპოლიტენში დილის ექვს საათზე დაძრული მატარებელი ღამის ორ საათამდე არ ჩერდება.

სისტემა ისეა მოწყობილი, რომ როდესაც მატარებელი ბაქანს უახლოვდება, ბაქანი ზუსტად მატარებლის სიჩქარით იწყებს პარალელურ მოძრაობას. მგზავრები გამოდიან და ბაქანიც ნელ-ნელა ჩერდება, მატარებელი კი სიჩქარეს უმატებს და გზას აგრძელებს. პარალელურად ბაქანი იწყებს უკუსვლას და სადგურში ბრუნდება. ქართველმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ამ სისტემის შედეგად მგზავრები დროს ვერ იგებენ – იგივე დრო ეხარჯებათ, რაც ჩვეულებრივ მეტროპოლიტენებში, მაგრამ სისტემას აქვს ერთი მნიშვნელოვანი მხარე – ის ორჯერ ნაკლებ ენერგიას მოითხოვს, ვიდრე სხვა ნებისმიერი. საქმე ისაა, რომ მატარებლის დაძვრას მიაქვს იმ ენერგიის 60%, რასაც მთელი სამუშაო დღის განმავლობაში თითო მატარებელი იყენებს. ასე კი დღეში ერთხელ დაძრული მატარებელი 60%-ით ნაკლებ ენერგიას მოიხმარს. გარდა ამისა, გამოკვლეულია, რომ თბილისში კონკრეტულად მეტროპოლიტენის სანახავად ყოველწლიურად 100 000-ზე მეტი ტურისტი ჩადის, რაც ქალაქის ბიუჯეტისთვის დამატებით შემოსავალს წარმოადგენს. პროექტის ავტორები კი, რომლებიც ანალოგიურ სისტემას დღემდე ამონტაჟებენ მსოფლიოს სხვადასხვა მეგაპოლისებში, Hi-Tech Millenium-მა ახალი ათასწლეულის გამომგონებლებად დაასახელა.

საქართველოს რკინიგზის განვითარება 1972 წელს

დაიწყო, მაშინ ქართულმა მხარემ Sinkanzen-ის ქსელის გასავითარებლად თანამშრომლობის ხელშეკრულება დადო Kawasaki Heavy Industries-თან და Japan railways-თან.

პირველ ეტაპზე დაიგეგმა თბილისის და ფოთის დაკავშირება სწრაფი მატარებლით. ხაზის ექსპლუატაცია 1974 წელს დაიწყო. Sinkanzen თბილისიდან ფოთში ჩასვლას 3 საათს ანდომებდა. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა ფრანგული TGV და გერმანული ICE. 80-იან წლებში ახალი ხაზები დაემატა: თბილისი-ბათუმი, თბილისი-სოხუმი, თბილისი-ვალე, თბილისი-ახალქალაქი და თბილისი-თელავი. სისწრაფეც, ბუნებრივია, გაიზარდა და ახლა უკვე, საშუალოდ, 300 კმ/სთ-ს მიაღწია. ამის გამო, სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად არის ქცეული საცხოვრებელი ადგილიდან 100-200 კილომეტრით დაშორებულ ადგილას მუშაობა:

მაგალითად, ხაშურელს (აღმოსავლეთ საქართველო, თბილისიდან 120კმ) უპრობლემოდ შეუძლია დილაობით თბილისში ან ფოთში (საპორტო ქალაქი შავ ზღვაზე) სამსახურში იაროს და საღამოობით სახლში დაბრუნდეს. უნივერსიტეტის პროფესორს შეუძლია დილით ვაკეში ჩატაროს ლექცია, შუადღისას თელავში (აღმოსავლეთ საქართველო თბილისიდან 200კმ) წავიდეს სემინარზე და საღამოს თბილისში დაბრუნდეს კოლოკვიუმზე. ერთი სიტყვით, მთელი საქართველოს გადასერვა სულ რაღაც ოთხ საათშია შესაძლებელი და ამიტომაც არის, რომ თბილისში ფაქტობრივად აღარ არიან მუდმივი მოსახლეები. ქალაქის მოსახლეობას ძირითადად სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები წარმოადგენენ, უმრავლესობას კი – გამგლელები, ანუ ტურისტები და სახელმწიფო მოხელეები. ეს უკანასკნელნი ძალიანაც კი ითხოვენ სახელმწიფო სტრუქტურების დეცენტრალიზაციას და ქვეყნის მასშტაბით მიმოფანტვას, მაგრამ ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, რომელმაც მთელი ქვეყანა მოიცვა, ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს არ სურს საკუთარ ქალაქში/სოფელში იხილოს ესა თუ ის სახელმწიფო სტრუქტურა. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კი სწორედ თბილისს გარეთ ცხოვრობს. ამან განაპირობა, რომ თბილისის დროთა განმავლობაში საუნივერსიტეტო ქალაქი დაერქვა, მიუხედავად იმისა, რომ თბილისი საქართველოს ოფიციალური დედაქალაქია.

ოფიციალური საუნივერსიტეტო ქალაქი ვაკეში, ვარაზის ხევიდან ყიფშიძის ქუჩამდე თავლისფერი ბოლნური ტუ-

ფთი მოპირკეთებული კოლეჯებით არის გაშენებული. ვაკის საუნივერსიტეტო ქალაქად გადაკეთება 1911 წელს დაიწყო. სწორედ იმ წელს, როდესაც საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობამ აღიარა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ განათლება სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო. უკანასკნელი კამპუსი 1962 წელს აშენდა. მას შემდეგ UniverCITY (სწორედ ასე იცნობენ მსოფლიოში ვაკის საუნივერსიტეტო ქალაქს) მსოფლიოს ნამყვან რამდენიმე უნივერსიტეტს ითვლის. საოცარია, მაგრამ განათლების/მეცნიერების სფერო იმდენად განვითარებულია (მთელ საქართველოში), რომ ამ სფეროში ინვესტიციების ჩადება ბიზნესმენტათვის ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი საქმეა და უცხოელი ინვესტორები არაფერს იშურებენ, ოღონდ რამეს ჩაავლონ ხელი.

თბილისელ სტუდენტებზე ბევრი რამ მსმენია: მეამბოხეები, პაციფისტები, თავისუფლებისთვის მებრძოლები... თითქმის ყველა სტუდენტური მოძრაობა, რომელმაც სამყაროში ცვლილებები მოიტანა, შეცვალა ფასეულობები და ზოგადად აზროვნება, სწორედ თბილისში იწყებოდა. სწორედ თბილისში, 1930 წელს, გერმანელმა სტუდენტმა ოტო ლიტბარსკიმ წამოიწყო საპროტესტო მოძრაობა ლოზუნგით „დიქტატურა უნიფორმებით იწყება“. საპროტესტო ტალღამ ერთ წელს გასტანა და აზიის ყველაზე ჯუნგლებამდეც კი მიაღწია – თბილისელ სტუდენტებს, და კერძოდ ოტო ლიტბარსკის, მთელი მსოფლიოდან მილიონობით სტუდენტი უცხადებდა სოლიდარობას. 1931 წლიდან კი თბილისის უნივერსიტეტებში ხელმძღვანელებმა გააუქმეს უნიფორმების ტარების წესი. შემდეგ ანალოგიური ნაბიჯი გადადგეს სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებმაც. ოტო ლიტბარსკის კი 1979 წელს ირანელმა სტუდენტებმა ძეგლი დაუდგეს. ოტოს შიშველი გამოსახულება აღმოსავლურ უბანში, ფალიაშვილის და რიგის ქუჩების კუთხეში, გოლი თარაყისა და ჯიბრან ხალილ ჯიბრანის სახლებს შორის დგას.

სხვათა შორის, სწორედ ოტოს ძეგლის შემხედვარეს გაუჩნდა სურვილი ნიკოს მახლასს, ბერძენ სტუდენტს, თბილისში მასობრივი ნუდისტური მსვლელობა მოეწყო, რამაც საბოლოოდ ტრადიციული სახე მიიღო და 1982 წლიდან მოყოლებული ის ყველაზე მასშტაბურ ნუდისტურ ალღუმად ითვლება – იწყება ოტოს ძეგლიდან და მთავრდება სანტიაგო კალატრავას მიერ აგებული ბარათაშვილის ხიდის ქვეშ, მტკვრის ნაპირას, სადაც პირველად გაშიშვლდა ფოტოკამერის წინ მერლინ მონრო.



## ისტორია

ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და იქაური ხალხიც კარგად ვიცი, ძველი და ახალი თაობაც. მე მინახავს ახალგაზრდები, სტუდენტები, რომლებისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვან ფასეულობას ძვირფასი ნივთები წარმოადგენს: მანქანა, სამკაულები, სახლი, იახტა... ამ ახალგაზრდებს ეს ატრიბუტიკა იმისთვის სჭირდებათ, რომ საზოგადოებაში ადგილი დაიმკვიდრონ და იმკვიდრებენ კიდევ იმიტომ, რომ ეგეთ გარემოში ცხოვრობენ. ახალგაზრდა ბიჭები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ მყოფს უფრო დიდი შანსი აქვს მაგარი გოგოს დაბმის და იქ ასეც არის, იმიტომ, რომ ის გოგოებიც ასე ფიქრობენ – თუ მისი ბიჭი ხულიგანი იქნება, ნარკოტიკებსაც მიიღებს და მისი გულისთვის ვინმეს ტყვიასაც დაუშენს, მაშინ ის ყველაზე მაგარი გოგო იქნება თავის წრეში. ასეთი ახალგაზრდების შემყურე სულ ვფიქრობდი, – ყველა ასეთია ყველა ქვეყანაში, მეც ასეთი ვიყავი? მაგრამ არა, თბილისში ვერ ნახავთ ახალგაზრდას, რომელიც მოლუშული შემოგხედავს იმის გამო, რომ თმა იისფრად გაქვს შეღებილი. აქ შენ არ იქნები დისკრედიტირებული შენი პირსინგების ან ორიენტაციის გამო. აქ არ აინტერესებთ შენი რასა, წარმომავლობა, გვარიშვილობა, რელიგიური აღმსარებლობა თუ პოლიტიკური მრწამსი – თბილისელი სტუდენტები არიან ადამიანები, რომლებიც მსოფლიოში ყველაზე მეტად აფასებენ თავისუფლებას, იბრძვიან თავისუფლებისთვის და ამიტომაც არიან ყველაზე თავისუფლები.

საუნივერსიტეტო ქალაქში ოცზე მეტი სტუდენტური საზოგადოება და კლუბია: „იხვისტოლმელები“, „მწვერები და სეტერები“, „რიჩარდ უილბრემის ფიაკრი“, „ოთარა ძიას ხინკალი და მწვადი“, „ჰენრი მორგანის საზოგადოება“, „რაცათ ლუხუმით განეპილი თითები“, „საზოგადოება ქედანი“, „ვისკის კლუბი“, „პანტა რა ხილია“, „საფერაველები“, „ქვევრისტები“, „ხურმა და კარალიოკი“, „გარგანტუელები“ და „ოჰ, შენცა ბრუტუს?!“... მათ დროთა განმავლობაში საიდენტიფიკაციო დამახასიათებელი თვისებები ჩამოუყალიბდათ. ისინი ყველაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, გარდა ერთისა – თავისუფლების სიყვარულით.

ამ საზოგადოებებს შორის ხშირად იმართება შეჯიბრებები. მე გამიმართლა, რომ წნორედ ყველაზე საინტერესო დღეს შევესწარი – მთელი სტუდენტობა კუსტბის მთას იყო შესული და ყოველწლიურ სტუდენტურ კრივში იღებდა მონაწილეობას, რომელიც ყველიერში იმართება. უამრავი სტუდენტი ერთმანეთშია არეული, ვინ ვის ურტყამს, კაცმა

არ იცის. თუმცა არსებობს წესები, რომელსაც სტუდენტები თავისივე უსაფრთხოების მიზნით იცავენ. ტრადიციად არის ქცეული კრივში პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობაც. ამ ტრადიციას საფუძველი 40-იან წლებში მარტინ ჰაიდენგერმა ჩაუყარა. მან იცოდა, მის ერთ-ერთ სტუდენტს ბოლმა ახრჩობდა იმის გამო, რომ იოანე პეტრინის კურსი შეაწყვეტინა. ამას ყოველდღე ხედავდა და ამიტომაც გადაწყვიტა, კრივში მიელო მონაწილეობა და სტუდენტისთვის საშუალება მიეცა, ჯავრი ეყარა. იმ დღის შემდეგ ჰაიდენგერს თურმე ორი კვირით ყველასთვის შეუწყვიტავს იოანე პეტრინის კურსი, რადგან ტვინის შერყევა მიუღია და სანოლიდან ვერ დგებოდა. მას შემდეგ პროფესორ-მასწავლებლები იმავე მიზეზით იღებენ შეჯიბრში მონაწილეობას, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობას ძალიანაც არ უნდა. სტუდენტები კი მთელი წელი ამ დღეს ელოდებიან და დიდ სიამოვნებასაც იღებენ.

ბიბინა მოლზე სხვა მაყურებლებთან ერთად ვიჯექი და სეირს ვუყურებდი. მარჯვნივ, მარცხნივ, ყველგან დაგადუგი მიდიოდა. უცებ, ჩემ ფეხებთან საკმაოდ ზორბა, წვერებიანი კაცი დაეცა. წამოდგა, ბოდიში მომიხადა და გატეხილი სათვალის ასაღებად დაიხარა. ეს უმბერტო ეკო იყო, რომელიც სხვა პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად კრივში იღებდა მონაწილეობას. ეს უკვე მეოთხე სათვალეა, – ქოშინით ამოთქვა უმბერტომ და გვერდზე ჩამომიჯდა, – დავიღალე... დავბერდი... – თქვა მან და სიგარეტი მთხოვა. ეს შემთხვევა ხელიდან არ გამიშვია და კრივის დასრულებამდე ვსაუბრობდით.

უმბერტო ეკო Gold corn field-ში, ოქროყანაში ცხოვრობს. ოქროყანა თბილისის დაჰყურებს და მის ყველაზე ახლო გარეუბნად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ეკუთვნის. ოქროყანა დროთა განმავლობაში ემიგრანტების დასახლებად გადაიქცა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მუდმივი ბინადარი დღეს უკვე ძალიან ცოტაა. სახლების ძირითადი ნაწილი ქირავდება მდიდარ უცხოელებზე, რომლებიც თბილისში დასასვენებლად ჩამოდიან წლის ამა თუ იმ პერიოდში. თუმცა, არიან მუდმივი ბინადრებიც, მაგალითად ჰენრი კისინჯერი, რომელიც ემიგრაციაშია. ის აფრიკელ დიქტატორთან, ჟან ბედელ ბოკასასთან თანამშრომლობაში დაადანაშაულებს და აშშ-დან გამოქცევა მოუწია. აქვე ცხოვრობს დესმონდ ტუტუ, რომელიც სამხრეთ აფრიკიდან რასიზმის გამოვლინების ახალ ტალღას გამოექცა. საქვეყნოდ



ცნობილი ადამიანებიდან აქ კიდევ ერთი, რომან პოლანსკი ცხოვრობს, რომელზეც FBI-ს, ინტერპოლს და ევროპოლს საქმე აქვს აღძრული. გაგიკვირდებათ, მაგრამ მას კუბის პოლიციაც ექვს. თუმცა, საქართველოს ხელისუფლებას ეს

ზეს – თბილისში უნდა ჩამოეყვანათ მსოფლიოს ცნობილი არქიტექტორები, რომელთა მიზანიც შემდეგი უნდა ყოფილიყო: ყველა სახლი იყოს ინდივიდუალური, განსხვავებული სტილის, სხვადასხვა ეპოქის. ამიტომაც ოქროყანას

სწორედ თბილისში, 1930 წელს, გირგინელმა სტუდენტმა ოტო ლიტბარსკიმ წამოიწყო საპროტესტო მოძრაობა ლოზუნებით „ლიტბარსკი უნიფორმებით იწყება“. საპროტესტო ტალღამ ერთ წელს გასტანა და აზიის ყველაზე დრამა ჯუნგლებადმდე კი მიადნია – თბილისელ სტუდენტებს, და კარძოდ ოტო ლიტბარსკის, მთელი მსოფლიოდან მილიონობით სტუდენტი უხსნაღება სოლიდარობას.

ნაკლებად ადარდებს, რადგან, მიუხედავად ყველაფრისა, პოლანსკის ფილმებს მაინც მთელი მსოფლიო უყურებს, ის კი ფილმებს საქართველოში იღებს და, შესაბამისად, საქართველოს სახელით. პენრი კისინჯერი, როგორი გასვრილიც უნდა ჰქონდეს სისხლიან აღმასებში ხელი, მაინც ძალიან საჭირო ადამიანია. სწორედ მისი ჩამოსვლის შემდეგ გაშიფრა ქართულმა უშიშროებამ რუსული ეფესბეს (ყოფილი „კაგებე“) აგენტები. რაც შეეხება დესმონდ ტუტუს, მან ძალიან დიდი პოპულარობა მოუტანა საქართველოს და კონკრეტულად თბილისს. კერძოდ, გლდანში აშენდა „მსოფლიოს შავკანიან დევნილ ბავშვთა ბანაკი“. სიმართლე ითქვას, თბილისის მუნიციპალიტეტის ამ ნაბიჯმა საგრძნობლად განმუხტა კისინ-

არაოფიციალურად მსოფლიოს არქიტექტურის მუზეუმს უწოდებენ.

საერთოდ, თბილისის არქიტექტურა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. გასული საუკუნის დასაწყისში თბილისში ე.წ. ქართული მოდერნის სტილი გაბატონდა, რომელიც კლასიკურ მოდერნზე დაყრდნობით ქართველმა არქიტექტორებმა და დიზაინერებმა შექმნეს. ამ სტილითაა ნაგები ალექსანდრეს ბაღს ჩაყოლებული სასტუმროების უმეტესობა, სოლოლაკის და ვერის სახლები, უნივერსიტეტები და საშუალო სკოლები. მიწისქვეშა ღვინის გვირაბებიც ამ სტილითაა ნაგებ-მომშენებული... თუმცა ამაზე ცოტა ქვევით მოგახსენებთ. ამ სტილის რამდენიმე მიმდინარეობა არსებობს:

„მღაზიო“ პროსტიტუციაში სოტა ხნით პირდაპირ კახეთის ბზატკაცილზე გადაინაცვლა, შემდგომი კი ევროპულ ყაიდაზე, ღიად „დარბაზულირდა“: დღეს თბილისში არსაზოგს სასაქონლო ქუჩა, ოღონდ, ამსტერდამისგან განსხვავებით, ფანჯრები მხოლოდ „გობონების“ ფოტოსურათების გამოფხაურობას დაშვებულნი, და პისუარების გარეთ არ დგას.

ჯერის და პოლანსკის გამო შექმნილი დაძაბული ურთიერთობა საქართველოსა და აშშ/ევროკავშირს შორის.

ოქროყანას 70-იანი წლების ბოლოს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. თბილისის მერამ არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებს შესთავაზა, დაეპროექტებინათ ახალი ოქროყანა, თუმცა სტუდენტებმა უკეთესი გეგმა შესთავა-

იმერული არ ნუვო, სვანური იუგენდსტილი და ოდნავ მოგვიანებით – ხევსურული არ დეკო.

ქალაქის ცენტრში, სადაც ასეთი სიჭრელე წარმოუდგენელია, ფასადები ან ქვით არის მოპირკეთებული, ან ბუნებრივი ქვის სპექტრშია შეღებილი.

>>> ბაზრქილება გვ. 104



ინა ბულაბაძე



# ქვეყნიერება და ოლიგარქები

ავტორი: სუზანა ენდრიუსი,  
ინტელისურიდან თარგმანა თამარ ბაზუაძე  
სტატია პირველად დაიბეჭდა ჟურნალში VANITY FAIR ოქტომბერი, 2009

2008 წლის თებერვალში საქართველოს უმდიდრესი ადამიანის, ბადრი პატარკაციშვილის უეცარმა სიკვდილმა რუსული ოლიგარქების უღმრთო სამყარო ერთიანად შეაზანზარა. ინა გუდავაძე მეუღლის საქმიან პარტნიორს, რუსეთიდან გაქცეულ მილიარდერს, ბორის ბერეზოვსკის დაუპირისპირდა და მემკვიდრეობის გარშემო ატეხილ უდიდეს დავაში ჩაერთო, ამერიკელი ადვოკატი კი ბელარუსის შრომა-გასწორებით კოლონიაში მოხვდა.

ლონდონსა და ნიუ იორკში ისტორიის მთავარ მოთამაშეებთან შეხვედრების შემდეგ ავტორი გვიამბობს ამბავს გაყალბებისა და საიდუმლო ქორწინების, თვითმფრინავით გატაცებისა და ათასგვარი მაქანიციების შესახებ.

2008 წლის 14 თებერვლის დილას დაუნსაიდ მენორთან ქვით მოკირწყლული, წრიული სამანქანო ბილიკი უკვე მერსედესისა და ბმვ-ს ლიმუზინებით იყო სავსე. მძღოლები და დაცვის ბიჭები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ლაპარაკობდნენ და სიგარეტს ეწოდნენ, შავებში ჩაცმული სტუმრები კი მარმარილოს კიბეებზე მიიკვლევდნენ გზას სახლისკენ, რომელიც ქართველ მილიარდერს არკადი, ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნოდა.

სტუმრების დიდი ნაწილი სარეის რეზიდენციაში ლონდონიდან ჩავიდა, სხვები ნიუ იორკიდან, თბილისიდან და მოსკოვიდან ჩაფრინდნენ თითქმის მაშინვე, როგორც კი 52 წლის ბადრი პატარკაციშვილის სიკვდილის შესახებ შეიტყვეს.

პატარკაციშვილი ორი დღით ადრე საკუთარ საძინებელში, ოჯახური სადილის შემდეგ გარდაიცვალა. ეს ამბავი ინა გუდავაძეს ისე მოულოდნელად დაატყდა თავს, რომ დაკრძალვის ცერემონიალის დასაგეგმად დრო თითქმის არ დარჩა. სამაგიეროდ, ბადრის გარდაცვალების შესახებ ცნობა სწრაფად გავრცელდა. საქართველოში 14 თებერვალს უკვე დაწყებული იყო სამგლოვიარო რიტუალი საქართველოს უმდიდრესი მოქალაქისა და ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფილანტროპის პატივსაცემად, რომელმაც, როგორც ამბობენ, 2001 წელს მთელ თბილისს გადაუხადა გაზის გადასახადი. სა-

ქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ტელესადგურის მფლობელი პატარკაციშვილი სააკაშვილის პოლიტიკური ოპოზიციის მსხვილი დამფინანსებელიც იყო, ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში კი – პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატიც.

უცნობი საინფორმაციო არხების საშუალებით ახალი ამბავი უმალ მოედო რუსეთიდან გაქცეული მილიარდერი ოლიგარქების სამყაროსაც. ვიდრე 2001 წელს პუტინმა ოლიგარქების დიდი ნაწილი ქვეყნიდან არ გააქცია, პატარკაციშვილი მოსკოვში ერთ-ერთ ყველაზე ძლევამოსილ საქმოსნად ითვლებოდა, რომელიც პირადად დაეხმარა ინჟინერ პუტინს გაპრეზიდენტებაში. პარტნიორებთან, ბორის ბერეზოვსკისა და რომან აბრამოვიჩთან ერთად, პატარკაციშვილი იყო კაცი, რომელიც საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ უცვლელად მოვარდნილი კაპიტალიზმის ხანაში დაეპატრონა უზარმაზარ მედია, ინდუსტრიულ და ბიზნესპოლდინგებს. პატარკაციშვილმა მოიხვეჭა უსაზღვრო იმპერია, რომელსაც 12 მილიარდ დოლარად აფასებდნენ.

სარეიში, პატარკაციშვილის მამულში აბრამოვიჩი არ ჩასულა, მაგრამ იქ იყო ბერეზოვსკი – ბადრის უახლოესი მეგობარი. იქ იყვნენ პოლიტიკოსები, მედიის წარმომადგენლები, ბანკირები, ადვოკატები და ოჯახის მეგობრები თბილისიდან. დაუნსაიდ მენორის ორ სასადილო ოთახში მდგარ მაგიდებზე

ქართული და რუსული დელიკატესებით სავსე თევზების ტევა აღარ იყო, მაგრამ სტუმრები კერძებს არ ეტანებოდნენ. მგლოვიარეები ორ უდაბნოსავით თვალუწვდნელ ოთახში დადიოდნენ და დაბალ ხმაზე საუბრობდნენ, ზოგიც ტერასაზე იდგა, საიდანაც 20 მილიონ დოლარად შეფასებული მამული და გაკრეჭილი გაზონების ვრცელი მწკრივები იმლებოდა.

ზუსტად არავის ახსოვს, როდის გამოჩნდა მამულში ორი სტუმარი. იქ შეკრებილი საზოგადოება ბადრის სიკვდილის გამო ჯერაც ვერ მოსულიყო გონს, ამიტომ მათი გამოჩენა არც შეუმჩნევიათ. ბადრი მათთვის იყო გამორჩეულად ხელგამილი ადამიანი, რომელიც ყოველთვის ყველაზე ზრუნავდა, და როგორც ოჯახის ერთმა მეგობარმა თქვა, მისი სიკვდილი „დიდი დანაკარგი იყო“.

როცა სასტუმრო ოთახში შეკრებილებს ორი მამაკაცი შეერია, ეჭვი არაფერზე აუღიათ. ერთ-ერთ მათგანს, ჯოზეფ კეის სტუმრების დიდი ნაწილი კარგად იცნობდა. კეი – 51 წლის ქართველი-ამერიკელი ნიუ იორკიდან, ბადრის გარემოცავში და ნდობით აღჭურვილი ბიზნეს-მრჩეველი გახლდათ. აი, მეორე მამაკაცი კი, რომელიც კეის ახლდა, არავის ეცნო. ის აღმოჩნდა კეის ნიუ იორკელი ადვოკატი, ემანუელ ზელცერი.

ბადრის 54 წლის ქვრივი, ინა გუდავაძე იხსენებს, რომ ოდნავ შეცბუნდა,

## ისტორია

როცა ზელცერმა სთხოვა, – ბადრის ანდერძის შესახებ ცალკე უნდა დაგე-  
ლაპარაკოთო. ინა ამბობს, რომ ეჭვი  
თავიდან არაფერზე აუღია, მაგრამ რა-  
მდენიმე წუთში ზელცერის სათქმელ-  
მა ყველაფერი შეცვალა. მან ინას გა-  
წუცხადა, რომ ბადრის ადვოკატი იყო  
და რომ სწორედ მასთან ინახებოდა  
მილიარდერი მიცვალებულის უკანასკ-  
ნელი ანდერძი, ქონების განკარგვის შე-  
სახებ საბუთები და სხვა ხელმოწერილი  
დოკუმენტაცია. ეს ყველაფერი კი მას  
და კეის, როგორც ანდერძის აღმასრუ-  
ლებელს, ანიჭებდათ ქონების განკარ-  
გაზე სრული კონტროლის უფლებას.

ინა იხსენებს, რომ ზელცერის გან-  
ცხადებამ თავზარი დასცა: მის მეულ-  
ლეს არასდროს უხსენებია, რომ ჰყავდა  
ადვოკატი, გვარად ზელცერი. თუმცა  
ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. იმან, რაც  
ზელცერმა შემდეგ თქვა, ინას ლაპა-  
რაკის უნარი სულ მთლად დაუკარგა.

მან ინას უთხრა, რომ რადგანაც ის  
და ბადრი 29 წლის ცოლ-ქმარი იყე-  
ნენ, ინას, ანდერძის მიხედვით, ქონე-  
ბის მნიშვნელოვანი ნაწილი ერგებოდა.  
თუმცა, ბადრის ცხოვრებაში იყო სხვა  
ქალიც. ეს ქალი მოსკოვში ცხოვრობდა  
თავის 14 წლის ვაჟთან, დევიდთან ერ-  
თად და დევიდიც ბადრის მემკვიდრე  
იყო. ინამ ამის შესახებ არაფერი იცო-  
და. მართალია, დედა-შვილი ქონებაზე  
პრეტენზიას არ აცხადებდა, მაგრამ ეს  
ისედაც იგულისხმებოდა.

მეორე დღეს ზელცერი და კეი ბა-  
დრის ინვესტიციების მენეჯერებთან  
სასაუბროდ ლონდონის ოფისში მივიდ-  
ნენ. მათ გარდაცვლილი მილიარდერის  
საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორ-  
მაცია მოითხოვეს. დაახლოებით ერთ  
კვირაში კეი უკვე აკონტროლებდა  
ბადრის ტელეარხ „იმედს“, ცოტა ხნის  
შემდეგ კი – ბადრის კუთვნილ ფიშერის  
კუნძულსაც – 216 აკრზე გადაჭიმულ

ულამაზეს ადგილს მაიამისთან ახლოს,  
სადაც მეზობლად ოფრა უინფრისა და  
ჯულია რობერტსის ჰქონდათ სახლები.  
თავზარდაცემულმა პატარკაციშვილე-  
ბმა და ოჯახის მრჩევლებმა მთელი სა-  
ბუთები გადააქოთეს – ჩხრიკებოდნენ  
ფაილებში, ერთმანეთის მიყოლებით  
ხსნიდნენ სეიფებს, მაგრამ ამაოდ. სხვა  
ანდერძს ვერ მიაკვლიეს. თითქოს, ბა-  
დრი ისე გარდაიცვალა, ანდერძი არ  
დატოვა? თუ დატოვა?

ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვა-  
ლებიდან 19 თვის თავზე ეს კითხვა  
კვლავაც აქტუალურია და ისევ მემკვი-  
დრეობის გამო ატეხილი სკანდალის  
მთავარ პრობლემას წარმოადგენს. დრა-  
მა, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა  
სასამართლო დარბაზში განიხილავენ,  
მათ შორის ლონდონში, ნიუ იორკში,  
თბილისში, მოსკოვსა და გიბრალტარში,  
გაყალბებისა და მაქანიციების სასტიკი  
ურთიერთბრალდებებით არის სავსე.

ზელცერისა და კეის მტკიცებით,  
ბადრიმ გარდასვალაშემდეგ საიმი თვით  
ადრე მოაწერა ანდერძს ხელი, 2007  
წლის 14 ნოემბერს, ნიუ იორკში,  
პირდაპირ ქუჩაში გარეგანათების  
შუქზე. ეს მაშინ მოხდა, როდესაც  
ფრანკლინის ქუჩის კუთხეში  
მღებარე რესტორან Nobu Next Door-  
ში მეგობრებთან ერთად სადილობდა  
და სუფრა სულ რამდენიმე წუთით  
დატოვა, ვითომდა ჰაერზე  
გამოსასვლელად და სიგარეტის  
მოსაწევად.



ბადრი პატარკაციშვილი მუდღეობისთვის,  
ინა ბუდუაშვილისთვის ერთად

ძველი მეგობრები ერთმანეთს გადაეკიდნენ – ახლა სასამართლომ უნდა გადანყვიტოს, არის თუ არა ბერეზოვსკი მართალი, როდესაც ამტკიცებს, რომ ბადრის საერთაშორისო ბიზნესიმპერიის ნახევარი მას ეკუთვნის. რაც უფრო დიდი დრო გადის, მით უფრო იხლართება საქმე, სიუჟეტი კი ისე რთულდება, რომ ცივი ომის დროინდელ შპიონურ ტრილერს ემსგავსება – კერძო თვითმფრინავით გატაცება, ამერიკელი იურისტის ბელარუსულ ციხეში გამომწყვდევა, მის გასათავისუფლებლად საქმეში „ამნესტი ინტერნეშნალის“, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის და კონგრესმენების ჩართვა.

სიცოცხლეში ბადრი პატარკაციშვილი იყო კაცი, რომელსაც ყველა ენდობოდა. ყველასგან გამორჩეული ბიზნესმენი – „ადამიანი, რომელიც გარშემო ყველაფერს აკონტროლებდა“, – ამბობს რუსი ბიზნესმენი ვლადიმირ ვორონოვი, რომელსაც ბადრის-

თან 15 წლის მეგობრობა აკავშირებს.

იმ ადამიანების უმრავლესობა, რომლებიც პატარკაციშვილს კარგად იცნობენ, ამტკიცებს, რომ ემანუელ ზელცერისა და ჯოზეფ კეის მიერ წარმოდგენილი ანდერძი ყალბია. მათ აზრი არც მას შემდეგ შეუცვლიათ, რაც ქართულმა სასამართლომ გაითვალისწინა ჯოზეფ კეის აპელაცია და გადანყვიტა, რომ კეი პატარკაციშვილის მემკვიდრეობის სრულფუნქციონირებელი აღმასრულებელი პირი იყო. ამ ადამიანებმა შეიტყვეს, რომ არსებობდა რაღაც საკითხები, რასაც ბადრი საიდუმლოდ ინახავდა. მაგალითად, გამოჩნდა მოსკოველი ქალი, რომელზეც ბადრის 11 წლის წინ საიდუმლოდ უქორწინია – ზელცერის წყალობით, მალე გავრცელდა ქორწინების მონაწილის ასლი და სანკტ-პეტერბურგში გამართული საქორწინო რიტუალის ამსახველი ფოტოებიც.

როდესაც ბადრის მრჩევლებმა მისი დოკუმენტების შესწავლა დაიწყეს, გაცეხულები დარჩნენ. მოულოდნელად გაირკვა, რომ ბადრის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი არსად ფიქსირდებოდა: საქალაქებში აწყდებოდნენ ცარიელ მინდობილობებს, ცარიელი მინდობილობების შესახებ, ასევე: მსხვილ კონტრაქტებს, რომლებიც წერილობით არასდროს გაფორმებულა. ბადრის სახელით თითქმის არც ერთი ოპერაცია არ ტარდებოდა, ყველაფერს მისი ბავშვობის მეგობრების, ნაცნობების ანდა მეტიც – ვირტუალური უცნობების სახელი ეწერა. მარტინ პომპადურის, „ნიუს კორპ“-ის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორის თქმით, „ეს იყო შოკი ყველასთვის, ვინც ბადრის იცნობდა“. ბადრის ჯოზეფ კეის სახელით ჰქონდა გაფორმებული მილიონობით დოლარით შეფასებული ქონებაც.

>>> ბაზრქილეა გვ. 95



ჯოზეფ კეი



ბორის ბერიკოვსკი



# უხმო პარალელური

ფოტო: ბასო უზნაძე



ფოტოგრაფ ბესო უზნაძეს არაფერი აკავშირებს ქორეოგრაფ პინა ბაუშთან. მაგრამ მგონია, რომ თანამედროვე ქორეოგრაფიის მიერ ზაფხულში გამოტირებული, ცეკვის ყველაზე დიდი დედის ფრაზა: „მე არ მაინტერესებს როგორ მოძრაობენ ადამიანები, მე მაინტერესებს რა ამოძრავებთ მათ“, ბესო უზნაძის პერსონაჟებსაც ეხებათ. არა აქვს მნიშვნელობა ფონიჭალაში ცხოვრობენ ისინი თუ ვარკეთილში, ლონდონის კარგად მოვლილ კენსინგტონში ბინადრობენ თუ ჰაიდ პარკში კვირაობით დააბოტებენ.

ბესოს ფოტოპერსონაჟებს მის ბოლო პროექტში სახელწოდებით „პარალელური ცხოვრება“, ერთი უცნაური სურვილი იპყრობთ: როგორმე მონატრებული სიმშვიდე შეირგონ, გაშლილ ლოგინზე ცოტა ხნით ჩამოსხდნენ, გაირინდონ და მერე ნაირგვარი ლამაზი თუ ენით უთქმელი მამაძაღვლები ჩაიძინონ...

„პარალელური ცხოვრების“ ქალებიც და კაცებიც (გნებავთ პირობითად დავარქვათ „უხმო გადაძახილი ლონდონიდან თბილისში“) იმიტომ არიან საინტერესონი, რომ ვერ ხვდებით რა ფარული სურვილები ამოძრავებთ. ზოგს საკუთარი დანახვა სარკეში აშინებს, ზოგი აშკარად სხეულით ტკბება, ზოგი ეგზისტენციურ ხიფათშია გარეული, ზოგს ბუნებასთან ჰარმონია ეზმანება თუ ეძვირფასება... როგორც მშვიდ მელას ქათამი. ზოგსაც სულ მალე დედობრივი ინსტინქტი გაელვობა.

ძნელია გაიგო რა ხდება ლონდონში მცხოვრები, არცთუ კეთილი პენსიონერების თავს, ან სჭირდება თუ არა „ვიაგრა“ დაშწყებ პორნოვარსკვლავს. ისევე როგორც, რთულია პარალელურების გავლება თბილისში ლამაზად გატრუნულ ანა მაცაშვილთან ან სიძველით და ვალებით გადადილილ გუგა კოტეტიშვილთან.

ახალი პროექტი ბესო უზნაძისთვის უკვე კარგა ხანია დანეჭულია და ნარმატებულიცაა. 2009 წლის ზაფხულში, რომში, „პალაცო დელა კოლეციონეში“ ნარმოდგენილი გამოფენა უკვე ისტორიულია, თუნდაც იმიტომ, რომ ავტორთა პრესტიჟულ ნუსხაში ბესო აღმოსავლეთ ევროპიდან ერთადერთი ფოტოხელოვანი იყო. სამწუხაროდ ვერაფრით მოხერხდა თბილისში ამ გამოფენის მოწყობა, რაც მინიმუმ ჩვენს უნიათობაზე უფრო მეტყველებს.

როგორ არ იყოჩაღა იდებით ანთებულმა ანა კორძაია-სამადაშვილმა, მაგრამ ვერც ძველ უბანში, სადმე დანგრეულ შენობაში და ვერც დაუმთავრებელ ახალ სახლში ვერ მოხერხდა ფოტოპროექტის გამოფენა. მერე ზარმაცი ზაფხული მოვიდა, მერე შემოდგომის ურიცხვი ფესტივალობა და დარჩნენ ბესოს პერსონაჟები თბილისური გამოფენის გარეშე. ოდნავ გლამურული და უფრო არტისტული დასავლური ფოტოჟურნალების ამარა. ვინ იცის, იქნებ იქ უფრო ნარმოჩინდეს პარალელური „სხეულების“ მელანქოლია. ბოლოს და ბოლოს, სადაც არ უნდა დაბეჭდო ეს ფოტოები, სულს ვერ გამოდევნი. ვერც ჯორჯონეს „ვენერას“ მსგავსი ქალის სხეულიდან და ვერც ტატო კოტეტიშვილის თვალებიდან, საიდანაც რეჟისორი მამის „ჰამლეტიც“ იმზირება.

ამ ფოტოების ნახვის შემდეგ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ „პარალელური ცხოვრება“, ასე ვთქვათ, დაუსწრებლადაც გაგრძელდება. მერე რა, რომ ლონდონურ პადინგტონში ნითელი ავტობუსი დადის, ხოლო თბილისურ ვარკეთილში – ყვითელი... და როგორც კი ფოტოებს შეხედავთ (სულერთია სად, ლონდონსა თუ თბილისში), არ შეიძლება ამ უცნაურად სევდიან ადამიანებზე ცოტა ხანს მაინც არ იფიქრო. რომელთაც, პინა ბაუშის სპექტაკლების პერსონაჟებისა არ იყოს, ვერ მიხვდებით რა ამოძრავებთ.

დავით ბუხრიკიძე



















# პაატა ქურდაძე ლექაღანსი

[www.paatakourdadze.blogspot.com](http://www.paatakourdadze.blogspot.com)



2000 – 2010

*„ნუ ვილაპარაკებთ მათზე. მხოლოდ შეხედეთ და გააიარეთ“  
(დანტე. ჯოჯოხეთი)*

როგორც ცნობილია, ქართველები ზედმეტად პოლიტიზირებულები ვართ. ოღონდ სიტყვა „პოლიტიკის“ კლასიკური გაგებით, არც ისე ადვილი გამოსაცნობია, თუ რას ვგულისხმობთ მის ქართულ ინტერპრეტაციაში.

ყოველ შემთხვევაში, საქართველოში დღემდე ელემენტარული, პოლიტიკური მარცხენა და მარჯვენა ფლანგიც კი არ ჩამოყალიბდა: პარტიებს, მმართველის ჩათვლით, საკუთარი იდეოლოგია დღემდე არ გააჩნიათ. თუმცა, მათ სამუშაო ოთახებში ხატების რაოდენობითა და სამშოლოს ხსენებაზე მათი ვიარაგული რეაქციებით თუ ვიმსჯელებთ, ყველანი პირნაწარდნილი ულტრამემარჯვენეები არიან. ლეიბორისტებიც კი, რომლებსაც, პრინციპში, ყველაზე მეტად აქვთ ჩამოყალიბებული პარტიული სახე: წმინდა წყლის ევროპელი მაოისტების, ტროცკისტების, ათასგვარი ანტიმპერიალისტების... მოკლედ, ულტრამემარცხენეების. მაგრამ ისინიც კი, ხანდახან ისეთ მარჯვენა ექსტრემში ვარდებიან, რომ, მათთან შედარებით, ფრანგული „ნაციონალური ფრონტი“ საბავშვო ბაღად გამოიყურება.

ნაციონალური მოძრაობა უკვე თავისი დასახელებით ულტრამემარჯვენის ასოსიაცას იწვევს, თუმცა ამ ბოლო დროს საქართველოში ფეისბუქზე ცოტა ადრე მოდაში შემოსულმა ლიბერალიზმმა, უიდეოლოგიო მმართველ პარტიას სულზე მოუსწრო და დღეს მისი იდეოლო-

გები დაუღალავად ქადაგებენ ნაციონალისტურ-ლიბერალისტულ იდეებს: ანუ ნაციონალისტურს – ქართული, ლიბერალურს კი დასავლური ტრიბუნნიდან.

ამ უცნაურმა პოლიტიკურმა ვირუსმა ქართველი ერის ისედაც დაღლილი და გაზანტყბული გონებრივი და სულიერი განვითარება ჯერ დაამუხრუჭა, შემდეგ უკუსვლით წაიყვანა და დღეს ის, ჩემი აზრით, უფრო მეტ სიბნელეში აღმოჩნდა, ვიდრე ამ გზის დასაწყისში – 20 წლის წინ: დღევანდელი საქართველოს ცივილიზებულიობის ხარისხი უფრო დაბალია, ვიდრე გურამ პეტრიაშვილის აპოკალიპტიური მისტიკების ეპოქაში, რადგან დღეს ასეთ, და კიდევ უარეს, სისულელეებს ყოველ ნაბიჯზე ლაპარაკობენ, ოღონდ მაშინდელისაგან განსხვავებით, ამას აღარავინ აპროტესტებს.

პოლიტიკა კომპრომისის ხელოვნებაა. ეს ბავშვმაც იცის. კონფორმიზმი კი ქართული ურთიერთობების ტრადიციული ეროვნული ხელოვნება, ქართული საზოგადოების სწორედ ის თვისებაა, რომელიც რამდენიც გნებავთ, თავზე საყრელად გვექონდა ყოველთვის.

კონფორმიზმი ჩვენი ეროვნული დიპლომატიის კლასიკაა. და ვინც ამას ვერ მიხვდა, ისევე დაისაჯა, როგორც საბრალო, გულუბრყვილო სულხან-საბა და მოგვიანებით ილია.

საქართველოს ისტორიის ყველა ფურცელი სავსეა სამარცხვინო კონფორმიზმით, ისევე – როგორც ყველა სხვა პატარა ერისა. ეს ბუნებრივი და პოლიტიკური სელექციის ლოგოკაა. კონფორმიზმი ეშმაკობასთან, ეშმაკობა კი ჭკუასთან არის გაიგივებული. სისხლიან შუა საუკუნეებს მხოლოდ ის პატარა ერები გადაურჩნენ, ვისაც ასეთი ვირეშმაკული „ჭკუა“ ეყო. მათ შორის, მაღლობა ღმერთს, ჩვენც აღმოვჩნდით.

2000-2010 წლები ერთ-ერთი ყველაზე არაშემოქმედებითი ხანა საქართველოს ისტორიაში, ყოველ შემთხვევაში – გასული საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, 80-იანებთან და 90-იანებთან შედარებითაც კი. ციფრების კაბალის არასოდეს მჯეროდა, მაგრამ რაღაც საეჭვოდ დაემთხვა ამ ათწლეულის თაობას სამი წელი, და ლოგიკური სახელწოდება: ნოლიანთა, 00 თაობა. ან ეპოქალურ ტერმინს მოვიშველებ – „თაობა Ground Zero“.

დღეს მეამბოხეობა ექსკლუზიურად პოლიტიკურ ტერმინად იქცა. 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ წარმატებამ თავისუფლების იდეის აბსოლუტური უნიფორმიზაცია მოახდინა. მას შემდეგ საქართველოში ნებისმიერი საპროტესტო გამოვლინება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიზირებული და ჩინელი მაოისტებისთვის უგემოვნოდ თეატრალიზებულია: ვარდები, თეთრი ყელსახვევები, წითელი, თეთრი, ლურჯი მაისურები, კარვები, საკნები...

2003-ში საქართველოში თავისუფლება დამყარდა! როდესაც პირველად შევიტყე თავისუფლების ინსტიტუტის შესახებ, ყურადღება არ მიმიქცევია. მოგვიანებით მივხვდი, რომ ეს რაღაც უფრო სერიოზული იყო – რაიკომის მდივნების სამჭედლო ძველი კომკავშირის ცეკასავით. ასეთმა ინსტიტუტებმა თავის დროზე თავისუფლების დიქტატურა ერთხელ უკვე დაამყარეს.

ღმერთო ჩემო! როგორ შეიძლება თავისუფალი იყოს ის, რაც ინსტიტუტია! როგორ შეიძლება თავისუფლების მონოპოლისტი სპეციალისტები მართლაც არსებობდნენ და თანაც თავს ასე სერიოზულად აღიქვამდნენ... როგორ შეიძლება ყველა არსებული და დავინყებული რელიგია თავისუფლების ძებნაში იტანჯებოდეს, ჯვარზე აკრავდეს, წვავდეს, წყევლიდეს, ლოცულობდეს... საქართველოში კი მთელი „სექტა“ გვეყავდეს, რომელმაც ასე უცებ, პოლიტიკური მეცნიერების მსუბუქი შესწავლით იპოვა თავისუფლების გასაღები, აღმართა თავისუფლების შუქურა...

პრინციპში, მათი არსებობა სავსებით გასაგები და მისასაღმებელი იქნებოდა ჩემთვის, დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება-განვითარებაზე რომ მუშაობდნენ, და ამ პრეტენზიული სახელის გასამართლებლად ლიბერალიზმის პარტიულ-იდეოლოგიური ჩვეულებრივი პროპაგანდა რელიგიის რანგში არ ჰქონდეთ აყვანილი. მათგან ვირუსივით გავრცელებული ამ პოლიტიკური იდეოლოგიით რომ არ ცდილობდეს დღეს მთელი საქართველოს ინტელექტუალთა და ხელოვანთა „ავანგარდის“ თითქმის სრული შემადგენლობა ადამიანის დანიშნულების, ბედნიერების, უბედურების, მოკლედ, ჭეშმარიტების გასაღების პოვნას.

თავისუფლების სპეციალისტებისაგან, რა თქმა უნდა, მეტს ველოდები, ვიდრე ჩვეულებრივ პარტიულ თუ მოღურ იდეოლოგიურ პროპაგანდას. თუმცა არც მინისტრთა კაბინეტის მიერ



დღეს მთავრობა ექსკლუზიურად პოლიტიკურ ტერიტორიად იქცა. „ვარდების რევოლუციის“ წარმატებამ თავისუფლების იდეის ახსოვლადი უნიფორმისა და მოხდინა. საქართველოში ნებისმიერი საპროტესტო გამოვლინება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური და ჩინური აპოკალიფსით უგაბონოდ თანადრავილად: ვარდები, თეთრი ყვარლები, ლურჯი მარცხი, კარვები, საქნები...

დანერვილ გამოვლენების მსგავს რაღაც თავისუფლების მასტერკლასს, ან ლიბერტალიანულ ორგანოს არ ვითხოვ პარლამენტის ტანჯული შენობის წინ.

დასაწყისისათვის მხოლოდ პასუხი დამაკმაყოფილებდა ერთ მარტივ კითხვაზე: როგორ ახსნიან, რომ მათი ლიბერალური იდეოლოგიის ოფიციალური და ტრიუმფალური ბატონობის 2000–2010 წლებში საქართველოში თავისუფლების იდეა უფრო და უფრო დისკრედიტირებული გახდა, მათი წრე კი უფრო და უფრო „მასონური“?

რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ მსურს თავისუფლების ინსტიტუტის დიაბოლიზაცია, მით უმეტეს, მათი პერსონიფიკაცია. მე მხოლოდ მეჩვენება, რომ თავისუფლების იდეის მონოპოლიზაცია და უნიფორმირება უგუნური და დამლუპველი ნაბიჯია.

წესით, ჩვენ, ექსპრესიონისტებს, ეს კარგად უნდა გვეხსოვოდეს: ისევე, როგორც წითელ წარსულში, დღესაც დასავლურ იდეას რაღაც უტოპიური ლიბერალური, ხოლო მის ალტერნატივას რელიგიური იპოკრიზმი წარმოადგენს.

ხელოვანებისთვის დამახასიათებელი აზროვნების ექსტრავაგანტურობა – პოლიტიკური ტერმინოლოგიის ცუდი სუნით არის აყროლებული და, რაც ყველაზე საგანგაშოა, ახალი თაობები დღითი დღე, უფრო და უფრო ადრეულ ასაკში ბერდებიან, და თვლიან, რომ ცხოვრება „რუსული რულებითა“, და შეცდომას არ გაბატობს!

ახალგაზრდების უნიფორმისა და მცდელობა, პატრიოტული ბანაკები, სკოლებში დროშის აღმართვა, გულზე ხელდადებული ბეჭელების მიერ ჰიმნის გაუთავებელი მღერა – ამკარად ოვერდოზა არაფანსალი პატრიოტიზმის, რომელიც კლემანსოს პერიფრაზირებით, საქართველოში ათასი გარეწრის უკანასკნელი თავშესაფარი გახდა.

ყველაფერი მოქარბებული ინფლაციასა და ლპობას ინვესს. საქართველოში ახალგაზრდების დიდ ნაწილს ჯარისკაცებად ზრდიან და არა თავისუფალ ადამიანებად! დარჩენილი ნაწილი კი საკუთარი მამების ალტაცებული სახით შესრულებულ „მიშა მაგარის“ უსმენს, და ნელ-ნელა თვითონაც „სვინგავს“ ამ ჩვენი დროის „ბლატნოი“ შიტზე.

ახალგაზრდათა ეს კატეგორია ხან დაუჩოქებს, ხან უმღერებს პრეზიდენტებს, ხანაც მათ ჩამოსაგდებად იმ თავს განირავს, რომელიც არა აქვს...

ყოველთვის მინდოდა ასეთებისათვის მეკითხა: მიშა შეიძლება მართლაც მაგარია, მაგრამ თქვენ? თქვენ ვინ ხართ, მლიქვნელობის ასეთ ტკბილ ქაობში ორცხოზობილასავით ჩამბალნი, სად მოასწარით ასე გარყვნა ასეთ ადრეულ ასაკში?

თუ ყოველივე ამას გაუთავებელი პირჯვრის წერას და თითქმის რელიგიურ ფუნდამენტალიზმს – ეკლესიის მხრიდან თავისუფლების არნახულ დისკრინინაციას დაუფრთხვებთ, სრული პასუხისმგებლობით შევძლებ განვაცხადო, რომ თანამედროვე ქართულ აღზრდას თავისუფლებასთან არავითარი საერთო არ აქვს, და ამაში ერთნაირად იღებს მონაწილეობას ხელისუფლებაც, ოჯახიც, ეკლესიაც და მისი თითქოსდა ალტერნატიული, პროდასავლური ლიბერალური მხარეც.

დღეს, 2009 წელს ინტელექტუალები და არტისტები ისევე მოსისხლე პოლიტიკურ მომხრეებად და მონინააღმდეგეებად არიან დაყოფილნი. ერთიც და მეორეც აბსოლუტურად არაშე-




მოქმედებითი მეთოდებით გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას რეალობის მიმართ, და საბრძოლველად იყენებენ ბლაგვ იარაღს, რომლის ხმარება არ იცინა.

სწორად მეჩვენება, რომ საკუთარი იარაღი არ გააჩნიათ, ამიტომ სესხულობენ ამ ბლაგვ იარაღს უნიჭო პოლიტიკოსებისაგან, და კიდევ უფრო უსახურნი ხდებიან – ხელოვანისათვის ხომ პოლიტიკა, უკეთეს შემთხვევაში, საკუთარი შემოქმედებითი კრიზისის, უარესში კი უნიჭობის შეფუთვის ყველაზე კარგი საშუალებაა, ისევე, როგორც უნიჭო, მაგრამ ამბიციური ადამიანებისათვის – ძალიან სწრაფად ზედაპირზე ამოტივტივების. ადამიანების უმეტესობა კი სწორედ უნიჭო და ამბიციურია. უბრალოდ, საკუთარ უნიჭობას განსაკუთრებით ახალგაზრდულ წლებში განიცდიან და ამის გამო არაადეკვატურები, აგრესიულები არიან, და თუ ეპოქამაც ხელი შეუწყო, რევოლუციონერები ხდებიან. ამის პირველი ნათელი დადასტურებაა – პოეტი იოსებ სტალინი, მხატვარი ადოლფ ჰიტლერი და პროზაიკოსი სადამ ჰუსეინი, ხოლო მეორე – დღევანდელი ქართული ხელისუფლება და მისი ოპოზიცია, რომლებმაც, სტალინისა და ჰიტლერისაგან განსხვავებით, ცუდი ლექსების წერა და აკვარელით თხაპნაც არ იცინა.

რა განსხვავებაა იმ ადამიანებსა და მათ შორის, რომლებსაც არაფერი მოსწონთ საქართველოში და ვისაც ყველაფერი მოსწონს? – არავითარი. ორივე მხარე ექსტრემისტია: ერთი მხრივ ადამიანები, რომლებიც ყველა დაშვებული და დაუშვებელი გზით ცდილობენ ხელისუფლების დამხობას, მეორე მხრივ კი ხელისუფლება, რომლისთვისაც მიზანი ყველა საშუალებას ამართლებს, კანონიერსაც და უკანონოსაც. მიზანი კი ორივესათვის ერთი, დიადი, ნათელი და ძალიან მარტივია: ხელისუფლების მოპოვება-შენარჩუნება.

ნაციონალთა ახალგაზრდული „ფრთის“, თუ ოპოზიციის ახალგაზრდა წარმომადგენლები მხოლოდ იმით განსხვავდებიან ჩემი თაობის კომკავშირელებისგან, რომ მათ „კომკავშირში“ შესვლას არავინ აიძულებს, როგორც ამას კომუნისტები აკეთებდნენ. სხვა მხრივ მათი უმრავლესობა დღეს ისეთივე ინციატივიან, უნიფორმიან პატარა უტიფარ კარიერისტად გამოიყურება, როგორც ყოფილი ამხანაგები „ძველი კეთილი“ კომკავშირის რაიკომის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებიდან.

საფრანგეთშიც კი, ნებისმიერი პარტიული ახალგაზრდული ფრთა, საოცრად წააგავს ქართველ „ნეოკომკავშირელებს“. წააგავს ყველაფრით: გაბრაზებული ქათმისებური გამომეტყველებით, კლონირებული „მებრძოლი“ აზროვნებით, ფარისევლობით, შუბლზე მუნუკებით, და ინდაურივით მხნე შეძახილებით...



ეს ევროპული ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი საცხებით ჩვეულებრივი მოვლენაა; ისევე, როგორც მათთვის მაგალითის მიმცემი კონიუნქტურული არტისტების არსებობა. ასეთები ყოველთვის იყვნენ: გარკვეულწილად კონიუნქტურული იყვნენ თვით რენესანსის „ღმერთებიც“ კი, თორემ სხვანაირად, მხოლოდ ღვთაებრივი ნიჭის წყალობით არავინ ააშენებინებდა მიქელანჯელოს სან პიეტროს ვატიკანში.

რა თქმა უნდა, ქართველი მონუმენტალური ხელოვნების ღვთაების, ზურაბ ნერეთლის შედარება მიქელანჯელოსთან არ არის ადვილი საქმე, მაგრამ სქემა, სისტემა, დაახლოებით იგივეა. განსხვავება მხოლოდ გემოვნების გარყვნილების ხარისხშია: 90-იანი წლების დასაწყისში ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ ოცი წლის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს ლიბერალი და პროდასავლური ახალგაზრდა ხელისუფლება ზუსტად იგივე საბჭოთა სისტემით იხელმძღვანელებდა. ამ სისტემის მახინჯ პროდუქციას უხვად მიმოფანტავდა საქართველოში: წმინდა გიორგი „ლენინის“ მოედანზე, დაუვიწყარი ჰეიდარ ალიევი, ტარას შევჩენკო, ბათუმელი მედეა და სხვ... ეს ქართული მლიქვნელური სულის სამარცხვინო მონუმენტები პირველ რიგში ჩვენი ერის დღევანდელ კულტურულ დონესა და სწორედ თავისუფლების დაბალ ხარისხზე მიუთითებს; დიახ, – ერის, და არა ხელისუფლების. რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ თავისი ხალხის სველ, გულახდილ ანარეკლს წარმოადგენს აბაზანის დაორთქლილ სარკეში – მხოლოდ ოდნავ დაბრეცილს.

მაგალითად, საქართველოს მოსახლეობის ზღვარგადასული რელიგიური ფარისევლობა, აბსოლუტურად აირეკლა მის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილში, რომელმაც 2004 წელს, ჯორჯ ბუშის თბილისში ყოფნისას კაცობრიობას დაუმტკიცა, რომ ღმერთი ნამდვილად არსებობს და ის ხანდახან აბანოთუბანში კინტაურსაც ცეკვავს ხოლმე. ამას წინ უძღოდა ნავთლულში იგივე ღმერთის სახელობის ავენიუს გახსნა.

ეს ალბათ ყველაზე გაბედული და ფარაონული „პერფორმანსი“ იყო ქართული კონიუნქტურული მდიდარი ხელოვნების ისტორიაში.

ასეთი რამ შევარდნაძესაც კი არ მოსვლია აზრად, როდესაც 1980 წელს ბრეჟნევის ნამდვილი იმპერიული ტრიუმფი მოუწყო. მაშინ ლეგენდები დადიოდა, თითქოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინ, ლითონის კონსტრუქციის რაღაც საცოდავი ტრიბუნის ქვეშ მოხუც ბრეჟნევეს პერსონალური ტუალეტი მოუწყვეს, რომ არ ჩაეფსა.

რა სალაპარაკოა პერსონალური ტუალეტი – მთელ ქუჩასთან შედარებით...სალაპარაკო, საოცარი და სატირალი მხოლოდ სტილის და კონცეფციის ასპროცენტიანი იდენტურობაა.

ერის კულტურა მისი სულის მეამბოხეობის ხარისხია. ეს ხარისხი ბრეჟნევის ეპოქაში გა-



ხელოვნებისთვის დამახასიათებელი აზროვნების  
 ექსტრავაგანტურობა – კოლიგიკური ტარიფოლოგიის  
 სუდი სუნით არის აყროლაზული და, რას ყველაზე  
 საგანგაშოა, ახალი თაობები დღითი დღე, უფრო და  
 უფრო ადრეულ ასაკში ბარდაზიან, და თვლიან, რომ  
 ცხოვრება „რუსული რულეტი“ და შეხდომას არ  
 გპატიოხს!

ცილებით მაღალი იყო საქართველოში, ვიდრე დღეს. მის საცოდავ ნარჩენებს, მართლმადიდებლური „ოპიუმის“ ფონზე, 90 წლებში ჯერ ქართველმა ულტრამემარჯვენეებმა მიაყენეს გამანადგურებელი დარტყმა, შემდეგ კი იოსელიანის განგსტერებმა ბინ ლადენის მფრინავი ტერორისტების მითაყიეს ძლიერ შეკონინებული ქართული მეამბოხე სული, 2003 წლის შემდეგ მოსულმა თავისუფლების „პროფესიონალმა სპეციალისტებმა“ კი მორყეული სტრუქტურა ნიუ-იორკის „ტყუპებივით“ საბოლოოდ ჩამოანგრის, და ახალი ადამიანის ძერწვას ბეჯითად შეუდგნენ: საქართველოში გადამწყვეტ ფაზაში შევიდა „დიდი ნულის“ ათწლეული, რომელიც სულ რაღაც სამ თვეში დამთავრდება და, ტრადიციულად, ცრუპენტელა ისტორიაში, თუკი მას მომავალში სინდისის ნატამალი მაინც შემორჩება, ქართული დეკადანსის სახელით შევა.

ბრეჟნევის ეპოქის ახალგაზრდა მეამბოხეთა უმეტესობა – მხატვრები, მწერლები, მუსიკოსები, დღეს თავად გახდნენ კონიუნქტურულნი. კონფორმიზმი ძალიან ადამიანური გრძნობაა და ის ყველაფერთან ერთად ასაკსაც მოაქვს.

ღმერთმა ადამი და ევა კონფორმისტებად შექმნა და ედემში ცხოველებთან ერთად გამოკეტა. ისინი ადამიანად ანარქიის ვაშლმა აქცია. ადამიანის ისტორია სწორედ აქედან იწყება და არა იმ ცნობილი შვიდი დღიდან, რომელიც მხოლოდ ღმერთის ყოველდღიურ საქმიანობას აღწერს.

ანარქიის ვაშლი შემოქმედებაა. შემოქმედება არ შეიძლება იყოს ინსტიტუციონალურ, პოზიციურ თუ ოპოზიციურ ჩარჩოში მოქცეული, როგორც დღევანდელ საქართველოშია. ჩვენი პრობლემა კონიუნქტურული და პოლიტიკურად ანგაჟირებული არტისტების არსებობა კი არა, „ანარქისტების“ არარსებობაა.

რა თქმა უნდა, თუკი გულუბრყვილონი ვიქნებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს საერთო ტენდენციაა მსოფლიოში. ოღონდ მე არ მგონია, ასე იყოს.

სხვების მიერ ბერლინის კედელზე თავის რტყმა, მისი ფრჩხილებით კანვრა, ბულდოზერებით, ჩაქუჩებით, ნიხლებით, შიშველი მუშტებით ნგრევა ჩვენ საკმარისად ჩავთვალეთ და „დამსახურებული არტისტები“ გავხდით.

აქამდე საქართველო, ასე თუ ისე, ნამდვილად ცდილობდა კედლის გასწვრივ, გაღმა მოსიარულეთა რიტმისათვის ბრმად მაინც აეყოლებინა ფეხი. კურიოზულია, მაგრამ 80-იანი წლების ბოლოს დასავლეთის ექო საქართველოში თითქოს ბევრად უფრო ბუნებრივად ისმოდა, ვიდრე დღეს. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ოცი წლის შემდეგ საქართველოში არტისტები კიდევ უფრო მეტად პოლიტიკურად ანგაჟირებულნი და დაპირისპირებულნი გახდებოდნენ, ქართული ხელოვნების ძირითადი თემა ისევ სამშობლო იქნებოდა, ქართული პოპი ისევ ესტრადად დარჩებოდა, სადაც ელექტრო ჩონგურზე დაჭრილ არწივებზე ილილინებდნენ, სადაც ენას, მამულს და სარწმუნოებას სვინგავენ და რეპავენ... სადაც პოეტებს პოლიტიკოსებისაგან განსხვავებული სათქმელი არაფერი აქვთ და ამიტომ ისინიც პოლიტიკოსებისვით ლაპარაკობენ, ისევე, როგორც პოლიციელები, როგორც მხატვრები, მსახიობები, ექიმები, სტუდენტები, მეძავეები... სადაც ყველა ერთი ენით ლაპარაკობს, ვისაც ჯერ კიდევ შეუძლია ლაპარაკი.

სრული ტექსტი იხილეთ მისამართზე: [www.paatakourdadze.blogspot.com](http://www.paatakourdadze.blogspot.com)

# სადა ხარ, ჩემო პარინკა?!

ავტორი: ლალა ბაჟრინდაშვილი

## ხელეების გათბობა / ლაბანა

1949 წელს გამოცემული „დედა ენა“ რომ ნახოთ და იაკობ გოგებაშვილისეულს შეადაროთ, – მაშინვე მიხვდებით, თუ რა საშინელებას აშენებდნენ ბოლშევიკები: ლენინ-სტალინ-ბერიას პორტრეტები, მათი ბავშვობის შესახებ ტყუილ-მართალი, ბელადთა სადიდებელი, ჩამტკბარი ლექსები, ოქტომბრელთა, პიონერთა, კომუნისტთა, საბჭოთა არმიელთა გმირობის ამბები.

მოთხრობაში „ოჯახის სიხარული“ მეოცე საუკუნის ტირანის დაბადება აღწერილი: გორელ მეჩექმეს, ბესარიონს და მის მეუღლეს, კეკეს პირველი ორი ვაჟი დაეღუპათ და შვილის მოლოდინით ედგათ სული. ამიტომ, რომ სანდალა თავისი მეგობრის სახელოსნოსკენ გახარებული გარბის, რათა ვაჟის დაბადება ამცნოს.

– შენ პირს შაქარი, ჩემო სანდალა, შენ პირს შაქარი! წავიდეთ, ვნახოთ ჩვენი ნუკრი და მისი დედა! – პასუხობს ბედნიერი მამა.

ამას მოსდევს პატარა სოსოს კეთილშობილებისა და გულჩვილობის ამბები. ნიშანდობლივია, რომ მას ცხო-

ველები უყვარს, ადამიანების მიმართ მის თბილ გრძნობებზე კი „დედა ენა“ არაფერს გვეუბნება.

ერთი მოთხრობა განსაკუთრებით შემზარავია: ციგაში ცხენივით შებმული ბესარიონი აღმა-დაღმა ასრიალებს შვილს. მალე მას პატარა დარიკო ენაცვლება და შებინდებამდე ანებივრებს ძმობილს. ბოლოს გუნდაობა იმართება ანუ „ნამდვილი ომი“, როგორც ავტორი უწოდებს და იქვე დასძინს:

„სოსომ წინასწარ იცოდა გუნდების მომარაგება. ვაი მას, ვისაც დაუმიზნებდა! არასოდეს არ ააცდენდა. პირველ გუნდას მიაყოლებდა მეორეს, მესამეს... როცა თამაშობით გულს იჯერებდა, თავის ცუგას, გიშერას, ციგაში ჩასვამდა და აჭარხლებული ლოყებით შინისაკენ მივბოდა, სადაც აგუზგუზებულ ბუხარს მიუჯდებოდა ხოლმე და გაყინულ ხელებს ითბობდა“.

ხომ გენიშნათ ტირანის სისასტიკე და „ომის“ შემდეგ „ხელების გათბობა“ ანუ „ხელების დაბანა“?!

თანამედროვე საქართველოში სტალინისა და „სტალინიზმის“ შესახებ

პოლემიკას აშკარად აკლია საბჭოთა ეპოქაში გამეფებულ სისასტიკის, დაუნდობლობის და ვერაგობის მხილება.

ამ წარსულის აღმოჩენის, განათებისა და დაგმობის გარეშე, გამოვა, რომ ჩვენც ხელები დავიბანეთ ყველაფერზე, რაც ბოლშევიკებმა, ჩეკისტებმა და მათმა პირსისხლიანმა მიმდევრებმა ჩაიდინეს.

ჩვენ უნდა შევძლოთ საბჭოთა ისტორიის წიგნიდან მტვრის, ხავსისა და შემხმარი სისხლის გადანმენდა, შემდეგ კი – ამ წიგნის გადაშლა და მასში „ადამიანის“ და ადამიანების აღმოჩენა: დავინყებულთა, იგნორირებულთა, დაჩაგრულთა და განადგურებულთა აღაპარაკება და ისტორიის ისე დანერა, როგორც ტირანისა შენირულნი დანერდნენ.

## სულიკო-პარინკა

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ფართოდ გაიშალა საგანმანათლებლო მოძრაობა, რომელსაც რუსიფიკაციის ტალღა უნდა შეეკავებინა. ამ მოძრაობის



პარინკა წერეთელი მშობლებთან ერთად



მონაწილე იყო გვიტია აგიაშვილი, რომელსაც სოფელ ჭორვილაში საშინაო სკოლა ჰქოდა გამართული. მისი მეუღლე, გენერალი სპირიდონ მაჭავარიანი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი იყო. 1874 წელს ახალგაზრდა წყვილს ქალიშვილი, ბარბარე/ვარინკა, შეეძინა. ქუთაისის ქალთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებული მუსიკალურობის გამო, ზინაიდა ვორობეცს (ფილიმონ ქორიძის მეუღლე) მიაბარეს, რომელიც ფორტეპიანოს გაკვეთილებს ატარებდა ქუთაისში.

ნიჭიერ გოგონას მაჭავარიანების ოჯახის ყველა ახლობელი და სტუმარი შეჰხაროდა: „მოსწონდათ ჩემი სიმღერა და მამხნეებდნენ. განსაკუთრებით მაგულიანებდა აკაკი, რომელსაც, როგორც თვითონ იტყოდა, ჩემი სიმღერა ყველაზე უფრო ტკბილად ესაუბრებოდა. მუსიკას უფრო დაეჯერება, ვინც

სიტყვებსაო, – მეტყოდა პოეტი, და მეც უფრო სშირად მის ლექსებს ვმღეროდი“, – იხსენებს ვარინკა. იგი მალე მგოსნის რძალი გახდა – ჩვიდმეტი წლისამ სერგო წერეთელზე იქორწინა. ორ წელიწადში წყვილს ვაჟი შეეძინა, პატარა სპირიდონი, რომელსაც შინაურობაში „გუგულის“ ეძახდნენ. ერთხელ აკაკი სახლიკაცს გახუმრებია: „შენ რა მოგკლავს, ძამია, ბულბულიც სახლში გყავს და გუგულიც“-ო.

1895 წელს ჟურნალ „კვალში“ დაიბეჭდა აკაკის „სულიკო“, რომელიც პოეტმა მალევე გადასცა ვარინკას და სთხოვა, რამე ჰანგი შეერჩია მისთვის. „საგონებელში ჩავვარდი, რა თქმა უნდა. ლექსის მომზიბლავმა სილამაზემ ჩემში უთვალავი მუსიკალური სახე აღძრა. მე ღრმა ინტერესით მოვკიდე ხელი გიტარას და არსებული კილოების დაუხმარებლად შევექმენი ორიგინალური მუსიკა. ამაში დიდად დამეხმარა თვით ლექსის რიტმულობა, სიმსუბუქე.

დიდ პოეტს ჩემ მიერ შექმნილი მუსიკა ძალიან მოეწონა. იგი მთელი გრძნობით უგდებდა ყურს „სულიკოს“ სიმღერას და მის ნათელ სახეზე უსაზღვრო სიამოვნება იხატებოდა. აღფრთოვანების გამოსახატავად აკაკიმ თავისი სურათი მაჩუქა წარწერით: „ჩემს საყვარელ ბულბულს, სულიკოვარინკას აკაკისაგან“. აკაკის მიერ სიმღერა „სულიკოს“ ასეთი მოწონების შემდეგ ხშირად გამოვიდიოდი საღამოებზე ამ სიმღერით და ამგვარად გავრცელდა იგი ხალხში“.

1898 წელს ინგლისურმა ფირმამ „ფონოგრაფი“ ვარინკას სიმღერა ცვილის ლილვალეებზე ჩანერა, ვანო მაჩაბლის სახლში, ხოლო 1900 წელს კოტე ფოცხვერაშვილმა ნოტებზე გადაიტანა, მეჩონგურეთა გუნდისათვის და ფორტეპიანოსათვის, რომელიც ორკესტრმა 1905 წლის აგვისტოში შეასრულა ქუთაისის საქალაქო თეატრში.

1909 წლიდან ვარინკა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარეა ყვირილის (ზესტაფონი) თემში. რამდენიმე წელიწადში სამკითხველოს გახსნაც მოახერხა და საკუთარ სახლში, სოფელ ცხრანყაროში, სკოლაც გამართა. ეს პატარა განათლების კერა ათამდე სოფელს ემსახურებოდა. მანვე აღადგინა ადგილობრივი თეატრის შენობა, სადაც საქველმოქმედო წარმოდგენებს მართავდა, ქუთაისიდან და თბილისიდან მონვეული შემოქმედებით ჯგუფების დახმარებით.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ, რეაქციის წლებში ალიხანოვ-ავარსკის სადამსჯელო ლაშქრობას სწორედ ზესტაფონის თეატრი შეეწირა, სადაც ოხრანკა დიდი რაოდენობით იარაღს ეძებდა. ახალგაზრდა რევოლუციონერი სტალინი კი ჟანდარმებს სწორედ ვარინკას სახლის სარდაფში ემალებოდა. როგორც ჩანს, აქედან მოდის ტირანის „სულიკოსადმი“ განსაკუთრებული სიყვარული.

ამასობაში ვარინკას ვაჟმა საშუალო სკოლა დაამთავრა და საფრანგეთში, ქალაქ მონპელიეში გაემგზავრა მევენახეობა-მეღვინეობის შესასწავლად. 1919 წელს სამშობლოში მომავალს პე-



ტერბურგში ქლექის უმძიმესი ფორმა შეეყარა. დაულალავი მკურნალობისა და რუდუნების მიუხედავად, იგი მალევე გარდაიცვალა. სასონარკვეთილი დედა კარგა ხნით მოსწყდა გარესამყაროს: ხალიჩებაკრულ ფანჯრებში მზის სხივს არ უშვებდა და დღენიადაგ დასტიროდა დაკარგულ ერთადერთ იმედს.

ახალი ცხოვრების მშენებლობა მართოდ დარჩენილ ვარინკას მისი ქონების დიდი ნაწილი ჩამოართვეს, ხოლო სახლის ნაწილში მეურნეობის საწყობი გამართეს. სასონარკვეთას რომ გამკლავებოდა, მარტოსულმა ქალმა ნათესავის გოგონა იშვილა და მომავლის იმედი დაიბრუნა.

ამ წლების საქართველო სასომიხდილი და დაბეჩავებული ითმენდა ბოლშევიკების უსასტიკეს თარეშს. 1924 წელს სწორედ ზესტაფონში, ანტისაბჭოთა აჯანყებაში მონაწილეობაში ბრალდებული იმერლები რამდენიმე ვაგონში შეყარეს და მსხვილკალიბრიანი იარაღი დაუშინეს, ჯალათები ისროდნენ მანამ, ვიდრე სასაკლაო სისხლისგან არ დაიცალა.

20-იან წლებს ვინც გადაურჩა, მათ წინ 30-იანები ელოდა. ეს არის სტალინ-ბერიას ჯოჯოხეთური ერთობისა და ამიტომ მათი ერთად ხსენების პერიოდი, როგორც ალიო მირცხულავას ამ ლექსშია:

„ჩემო სამშობლო, დღეს შენი ერი განახლებული ქართლის ერია, ასე ხმიერად და ბედნიერად შენ არასოდეს არ გიმღერია. ალისფერია შენი მიდამო, ეგ შენი დროშაც ალისფერია, შენი სიცოცხლე არის სტალინი, შენი მარჯვენა არის ბერია!“

1934 წელს მიხეილ ჭიაურელმა გადაიღო ფილმი „უკანასკნელი მასკარადი“, რომლის საოცარი წარმატება ორმა ფაქტორმა განაპირობა: პირველი იყო – გონებამახვილური სიუჟეტი, სადაც საქართველო შედარებულია პატარძალს, რომელსაც ჯერ მეფის რუსეთის ჩინოვნიკზე, შემდეგ ბურჟუაზე და ბოლოს კი – ბოლშევიკზე გათხოვებას უპირებენ. მთელი თბილისი ალაპარაკდა და ბევრმა ამ ფილმში დრამატურგი ქალის, ნატალია აზიანის სცენარი ამოიცნო. დღემდე არავინ იცის, რომ სწორედ მან უჩივლა სტალინის ფავორიტ შემოქმედს: ფილმის ლიბრეტო მე მეკუთვნის და სამართლიანობის აღდგენას მოვითხოვო. ამოდ გაისარჯა ნატალია – მისი იდეით დაფრთიანებულმა ჭიაურელმა დაუბრკოლებლად გაიკვლია გზა კრემლის და კინემატოგრაფის მწვერვლებისკენ. თავად ნატალიას კი 1943 წელს სიღარიბესა და შიმშილში ამოხდა სული.

ფილმის წარმატების მეორე მიზეზი იყო „სულიკო“, რომელსაც ფილმში თავად რეჟისორი ასრულებს. ადვილი მი-

სახვედრია, თუ ვის უმღერის ჭიაურელი, ვის ვნებებს ელაციცება?! ამისათვის კი სხვის ნაშრომს უშურველად ენაფება და საკუთრებად აქცევს – თავად ხდება აქტორიც, აქტიორიც და ავტორიც.

1937 წლის იანვარში მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პირველი დეკადა გაიმართა. როცა „სულიკოს“ ასრულებდნენ, ბელადი თურმე ფეხზე წამოდგა და ისე უსმინა მომღერლებს. იმ დღიდან მთელმა ქვეყანამ გაიგო სტალინის ამ სიმღერისადმი განსაკუთრებული სიყვარული და ამიტომაც მთელი საბჭოეთის შემოქმედებითი ჯგუფები ერთმანეთს ასწრებდნენ მის შესრულებას, გადამღერებას თუ გადამუშავებას. ვარინკა წერეთელი, ცხადია, არავის უხსენებია, რადგან „სულიკო“ წარმოდგენილი იყო, როგორც ხალხური სიმღერა.

ვარინკას ნათესავი, პაპუნა წერეთელი, რომელიც დეკადაზე რუსთაველის თეატრს ახლდა, სამშობლოში გულდამძიმებული დაბრუნდა: „სულიკოს“ არნახული წარმატება და ვარინკას უნუგემო მდგომარეობა ერთმანეთთან ვერ თავსდებოდა.

მიხვდა ვარინკა, რომ მას ყოველთვის დაივიწყებდნენ, თუ თავად არ გაიხსენებდა საკუთარ არსებობას, ამიტომაც დაინყო „ბრძოლა გახსენებისთვის“: ჩამოვიდა თბილისში და უსაბამის სამინისტროს მიმართა:



სიმღერა „სულიკოს“ უამრავ სანოტო გამოცხადებამ მუსიკის ავტორი მხოლოდ 1939 წლისათვის აღნიშნული, ესეც იმიტომ, რომ ეს საკითხი მაშინ სულ ახალი ბარკვეული იყო. სხვა ყველა გამოცხადება აწერია: „ტაქსტი აქაი წერათლისა, მუსიკა – ხალხური“.

**„საქართველოს სსრ. სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსს ზესტაფონის რაიონის, სოფელ ცხრაწყაროს 26 კომუნარების სახელობის კომპიუტერების წევრის ვარინკა წერეთლის განცხადება“**

სიმღერა „სულიკო“, რომელიც ამჟამად გავრცელებულია მთელ საბჭოთა კავშირში, მისი სიტყვების ავტორის, აკაკი წერეთლის თხოვნით, 1895 წელში ჩემ მიერ არის გამოთქმული და გიტარაზე დასამღერებლად აწყობილი.

ამ სიმღერას აღნიშნულ წლიდან რამდენიმე წლის განმავლობაში მხოლოდ მე ვასრულებდი და სწორედ ამ გზით გავრცელდა იგი მთელ საქართველოში.

ყოველივე ამის დასადასტურებლად მე შემოიძლია წარმოვადგინო როგორც წერილობითი საბუთები, აგრეთვე სანდო მონემებიც, რომელთა ჩვენებით გამოირკვევა ჩემი განცხადების სრული სისწორე. ასეთ მონემებად ჩემის მხრით მე ვასახელებ: საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს წევრს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, ორდენოსანს აკაკი ხორავას და საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, კომპოზიტორს, ორდენოსანს კოტე ფოცხვერაშვილს.

გთხოვთ, მოაწყოთ თქვენი თანდასწრებით ჩემი საბუთების განხილვა, ჩემ მიერ დასახელებული მონემების დაკითხვა და მომცეთ თქვენმიერი საბუთი სიმღერა „სულიკოს“ კილოზე ჩემი ავტორობის დამტკიცების შესახებ“.

**საბჭოთა კომპოზიტორთა კავშირის, 1938 წლის 5 ოქტომბრის სხდომაზე**

**(თავმჯდომარე ვანო გოციელი, ესწრებოდნენ: კოტე ფოცხვერაშვილი, შალვა დადიანი, ავქსენტი მეგრელიძე და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ორდენოსანი სანდრო კავსაძე) დაადგინა, რომ სიმღერა „სულიკოს“ ავტორი ვარინკა წერეთელია.**

მაგრამ ავქსენტი მეგრელიძემ არ ისურვა, რომ შემოსავალი ავტორისთვის გაეყო და თანაავტორობა დაიჩემა. ამიტომ ვარინკა იძულებული შეიქნა, ამ საკითხში მეტი გარკვეულობა შეეტანა და 1939 წლის 3 იანვარს იუსტიციის კომისიას მიმართა:

„მას შემდეგ, რაც სრულიად გამოირკვა და დადასტურდა, რომ სიმღერა „სულიკო“ მე მეკუთვნის, ამ ნაწარმოებზე შემოსული საავტორო ჰონორარი მე უნდა მეძლეოდეს უკლებლივ.“

მაგრამ ეს ასე არ ხდება, რადგან „საუდი“ (ჰონორარის დამრიგებელი ორგანიზაცია) გადაჭრით ვერ ერკვევა იმ ერთადერთი პიროვნების პრეტენზიაში, რომელიც მე ამშემთხვევაში ჰონორარის ნაწილში მედავება.

ეს არის მოქალაქე ავქსენტი მეგრელიძე, რომელიც თავის პრეტენზიას ამყარებს არა კანონიერ საფუძველზე, რომ მას ჩემთან შეთანხმებით არსებითად გადაემუშავებინოს და ახალი, განსხვავებული ფორმა-შინაარსი მიეცეს ჩემი კილოსთვის, არამედ მხოლოდ მასზე, რომ იგი მას არა ჩემგან, არამედ მრავალ უკვე ჩამწერთა შემდეგ, მხოლოდ უბრალოდ ჩაუნერია და ეს ჩანაწერი ჩონგურზე დაუმღერებია.

ასეთი ოპერაციის ჩამტარებელს, ამ შემთხვევაში კი ავქსენტი მეგრელიძეს, ჩემის ცნობით, კანონი არ უნდა ანიჭებდეს თანაავტორობის უფლებას.

თუ ვინმე ჩემს „სულიკოს“ გადაამუშავებს და ახალ განსხვავებულ ფორმა-შინაარსს მისცემს, ეს სხვა საკითხია. ავქსენტი მეგრელიძეს კი გამოქვეყნებული აქვს ჩემი დანამღერის პირდაპირი განმეორება.

გთხოვთ წერილობითი განმარტება მომცეთ ამის შესახებ. ამასთანავე დავსძენ „სულიკოს“ შესახებ რამდენიმე საბუთს (დაურთო ლევან ასათიანის, კოტე ფოცხვერაშვილის, სანდრო კავსაძის წერილები, სადაც ისინი კიდევ ერთხელ ამტკიცებენ ვარინკას ავტორობას, ასე-

ვე კომპოზიტორთა კავშირის 1938 წლის 5 ოქტომბრის დადგენილებას).

1939 წლის 7 აპრილს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე, ლეო ესაკია „საუდა“ უგზავნის წერილს:

„ხელოვნების საქმეთა სამმართველო გაცნობებთ, რომ სიმღერა „სულიკო“-ს ავტორობის საკითხის გარკვევის შემდეგათ, თანახმად წარმოდგენილი ფაქტიური მასალებისა, დადასტურდა, რომ აღნიშნული სიმღერის ავტორთა უნდა ჩათვალოს ვარინკა წერეთელი. ჰონორაროს 75%-ი უნდა მიეცეს ვარინკა წერეთელს და 25% ავქსენტი მეგრელიძეს, ვინაიდან უკანასკნელს ეკუთვნის სიმღერის ჩონგურზე დამუშავება და პოპულარიზაცია“.

ვარინკას ავტორობა სულ მალე მოსკოვშიც გაიგეს. 1939 წელს თბილისში ლენინგრადის კაპელა ჩამოვიდა, ალექსანდრე სვეშნიკოვის ხელმძღვანელობით. რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გამართული კონცერტის ბოლოს მათ „სულიკოც“ შეასრულეს და მისი ავტორი სცენაზე აიყვანეს. ასეთი ყურადღებით გაკვირვებული ვარინკა ალტაცებას ვერ მალავდა. შინ მიმავალმა, როცა მას ტრამვაიში ადგილი დაუთმეს, ნათესავს უჩურჩულა: „ეცყობა, მიცნო ამ ახალგაზრდამ“-ო.

1940 წლიდან ქართულ კულტურას ხალხური და ქალაქური სიმღერის განუმეორებელი შემსრულებლები შეემატნენ – დები იმხნელები. მათი დედა, ვასასი ლოლაძე ვარინკას მეგობარი და საუკეთესო მომღერალი იყო.

იმხნელების რეპერტუარში, „სულიკოს“ გარდა, შედიოდა ვარინკას მეორე არანაკლებ პოპულარული „მუხამბაზი“. სამწუხაროდ, დღეს უკვე ძალიან რთულია მის მიერ შექმნილი სხვა მელოდიების დადგენა, რადგან აღარავინაა ისეთი, ვისაც ამ საკითხზე დაელაპარაკები.

>>> ბაზრქილევა ბპ. 107





# პანთეონიდან პანთეონამდე და უკან

ავტორი: ბიორბი მაისურაძე  
ილუსტრაცია: მაია სუბაძე

*„აქ მკვდრები დაქრიან ზღაპრული  
რაშებით და ბედის ეტლებით,  
ჰაერი სიკვდილით დაფარეს...“  
გალაკტიონ ტაბიძე*

## პადრიანოდან იაკობინელეზამდე

1. ახალი წელთაღრიცხვით 118 წელს მშვიდობისა და ხელოვნების მოტრფიალე რომის იმპერატორმა ჰადრიანემ გადაწყვიტა, აეშენებინა ტაძარი, რომელიც არა ერთი რომელიმე ღვთაებისადმი ლოცვის აღსავლენად, არამედ რომის იმპერიის ყველა ღმერთის თაყვანისცემისათვის იქნებოდა განკუთვნილი. ტაძრის შენობა, რომლის მშენებლობაშიც თავად ჰობი-არქიტექტორი იმპერატორიც მონაწილეობდა, შვიდ წელიწადში დასრულდა და რომაული არქიტექტურის ეს შედევრი ისტორიაში იმითაც შევიდა, რომ მას 15 საუკუნის განმავლობაში ყველაზე დიდი გუმბათი ჰქონდა. ტაძარს პანთეონი ეწოდა, რაც ბერძნულად „ყველა ღმერთს“ ნიშნავს და იგი იმპერიის მთავარ საკულტო ნაგებობად იყო ჩაფიქრებული. მე-5 საუკუნის დამდეგს უკვე ქრისტიანმა იმპერატორმა ჰონორიუსმა, რომელმაც რომაულ მრავალღმერთიანობას ბრძოლა გამოუცხადა, პანთეონის ტაძარი გააუქმა და მის შენობაში მალე ყველა ქრისტიანი მონაწილის სახელზე კათოლიკური ეკლესია განთავსდა. სწორედ ამ ტაძარში დაიბადა „ყველაწმინდას“ დღესასწაული, რომლის კულტიც ადამიანების მეხსიერებაში მრავალღმერთიანობას უნდა ჩანაცვლებოდა.

2. 1436 წელს ფლორენციაში, როგორც იქნა, დასრულდა სანტა მარია დელ ფიორეს ტაძრის გუმბათის მშენებლობა: არქიტექტორმა ფილიპო ბრუნელესკიმ იმისათვის, რომ მოეხერხებინა უზარმაზარი

ტაძრისათვის გუმბათის დადგმა, რაც იმ დროისათვის ევროპაში გავრცელებული გოთიკური თუ რომანული არქიტექტურის პრინციპებით შეუძლებელი იყო, სცადა ახალი ტექნიკის მოძიება და რომის პანთეონის გუმბათის ანალოგიით ააღორძინა ძველი რომაული სამშენებლო მეთოდები, რომელიც მალე მთელ დასავლეთ ევროპაში გავრცელდა. ეს თარიღი ხელოვნების ისტორიაში ახალი ეპოქის – „აღორძინების“, ანუ რენესანსის დაბადების დღედ მიიჩნევა. აღორძინებაში კი არა მხოლოდ წინაქრისტიანული ბერძნულ-რომაული მხატვრული ხერხები, არამედ ღმერთებისა და გმირების სახეებიც აღდგა, რომლებმაც რენესანსის სახვით ხელოვნებაში თანდათანობით ქრისტიანი წმინდანების ადგილები დაიკავეს. „პანთეონი“ კი რენესანსისა და ბაროკოს ტაძრების უდიდესი ნაწილის ნიმუშად იქცა.

3. 1757 წელს საფრანგეთის მეფემ ლუდოვიკო XV-მ გადაწყვიტა პარიზში მე-5 საუკუნეში აგებული პირველი ქრისტიანული ეკლესიის ადგილზე გიგანტური ტაძარი აეშენებინა, რომელიც თავისი სიდიდით თვით პარიზის ღვთისმშობლის ტაძარსაც გადაჩრდილავდა. ამ პროექტის შესრულება დაევათ ფრანგ არქიტექტორს ჟაკ-ჟერმენ სუფლოს, რომელმაც მორიგი ნოვატორული არქიტექტურის შექმნა ისურვა და კიდევ ერთხელ რომის „პანთეონის“ ახალი ვარიაციის მშენებლობას შეუდგა, მაგრამ ტაძრის დასრულებამდე მოხდა საფრანგეთის რევოლუცია და ეკლესიების მშენებლობებიც შეწყდა.

1989 წელს მთაწმინდის კანთონში მერაბ კოსტავა დაიკრძალა და მისი სახით კანთონსაც აქამდე უსწოხი ფუნქციის ფიგურა – „ეროვნული გმირი“ შეემატა. კოსტავა საქართველოს ისტორიაში პირველი ადამიანი იყო, ვინც ეს საკვალი ტიტული მიიღო და ხალხმაც აღიარა იგი, როგორც „ეროვნული გმირი“, თუმცა კი არავის გასჩინა კითხვა, თუ რას ნიშნავს „ეროვნული გმირობა“ ან რატომ იყო კოსტავა გმირი?

4. საფრანგეთის რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოვიდნენ „იაკობინელები“, – რევოლუციონერები, რომლებიც საკუთარ თავს „პატრიოტებს“ უწოდებდნენ და პოლიტიკურ მიზნად „ძველი რეჟიმის“ სრულ განადგურებას ისახავდნენ. მეფის სიკვდილით დასჯითა და ეკლესიისათვის ძალაუფლების ჩამორთმევით მათ ახალი პოლიტიკური წესრიგი დამყარეს, რომელშიც სუვერენი არა ღმერთის მიერ ხელდასმული ერთმართველი მეფე, არამედ მრავალი ადამიანისგან შემდგარი ხალხი უნდა ყოფილიყო. ადამიანების ამ ახალ ერთობას ერი, ნაცია ეწოდებოდა და მის თითოეულ წევრს რელიგიურ ხარისხში აყვანილი საკუთარი სამშობლოს თავგანისცემა აერთიანებდა. ამ მიზნით რელიგიამ, რომლის სასუფეველიც სამშობლო იყო, ქრისტიანული მონოთეიზმის საწინააღმდეგოდ „ნარმართული“ მოძველი გაიმეორა და საკუთარი ღვთაებების – სამშობლოს მამებისა და ეროვნული გმირების შექმნას შეუდგა. იაკობინელებმა გადაწყვიტეს, საკუთარი „ღვთაებები“ ერთად დაეკრძალათ და ამგვარად მათი „პანთეონი“ შექმნათ. ამ მიზნით 1791 წელს პარიზში ახლად დამთავრებული გიგანტური ტაძრის შენობა ეკლესიას ჩამოერთვა და იქ რევოლუციის ერთ-ერთი ბელადი – გრაფი მირაბო დაიკრძალა. იმავე წელს 13 წლის წინ გარდაცვლილი ფრანგი განმანათლებლის ვოლტერის ნეშტიც გადმოასვენეს, შემდეგ კი ჟან-ჟაკ რუსოსი. ვოლტერისა და რუსოს საფლავებით, ერთი მხრივ, საფუძველი ჩაეყარა ფრანგი ნაციის „მამების“ კულტს, მეორე მხრივ კი, იაკობინელებმა საკუთარი თავი ფრანგი ერის შემქმნელი მოაზროვნეების იდეურ მემკვიდრედ და მათი საქმის გამგრძელებლებად გამოაცხადეს.

5. 1793 წელი საფრანგეთის ისტორიაში „იაკობინელთა ტერორის“ სახელით არის ცნობილი, როდესაც რევოლუციურმა მთავრობამ კონსტიტუციით სახელმწიფოს მიზნად „საყოველთაო ბედნიერება“ დაისახა და ამ მიზნის ყველა მოწინააღმდეგის განადგურებას შეუდგა. ტერორმა განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი რევოლუციონერ ჟან-პოლ მარატის მკვლელობის შემდეგ მიიღო. თავად მარატი კი, როგორც რევოლუციის საქმისათვის თავგანწირული, პანთეონში დაიკრძალა.

ტერორის სამიზნე არა მხოლოდ ცოცხალი ადამიანები, არამედ გარდაცვლილებიც აღმოჩნდნენ: როდესაც გაირკვა, რომ გრაფი მირაბო არა მხოლოდ რევოლუციონერი, არამედ ფარული მონარქისტიც იყო, იაკობინელებმა მირაბოს ნეშტი ამოთხარეს და პანთეონიდან რიგით სასა-

ფლაოზე გადასვენეს. რამდენიმე თვის შემდეგ იგივე ბედნიეა მარატსაც, რომლის შეხედულებებიც მისი ყოფილი თანამებრძოლებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამიტომაც დაატოვებინეს მის ნეშტსაც პანთეონი.

1794 წლის ივლისში დაემხო ტერორზე დამყარებული იაკობინელთა რეჟიმი. ფანატიკოს რევოლუციონერთა ლიდერებმა გილიოტინაზე დაასრულეს სიცოცხლე. იმავე წლის 11 ნოემბერს კი ახალმა მთავრობამ იაკობინელთა კლუბი აკრძალა და ამით მათი აბსურდული ფანატიზმისა და სისასტიკის ნაკვალევის ნაშლა სცადა. იაკობინელთა მმართველობისგან კი, ისტორიას, შემზარავი მოგონებების გარდა, პარიზის „პანთეონი“ შემორჩა.

6. მე-19-20 საუკუნეებში პარიზის პანთეონში დაიკრძალა მრავალი როგორც ცნობილი ფრანგი მეცნიერი, მწერალი, ხელოვანი, პოლიტიკური მოღვაწე, მაგალითად, ვიქტორ ჰიუგო, ემილ ზოლა, პიერ და მარია კიურები, ჟან ჟორესი და ა.შ., ასევე ნაკლებადცნობილი პიროვნება, მაგალითად, წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლი ჟან მულანი ან პოლიტიკოსი ჟან მოლე. ასე შეიძინა პანთეონმა ახალი, სეკულარული მნიშვნელობა: იგი ყველა ღმერთის ტაძრიდან ერის ყველაზე სახელოვანი და სანიმუშო შვილების განსასვენებლად გადაიქცა. თუმცა კი ასეთი ინსტიტუტის მიმართ დამოკიდებულება უკვე მე-19 საუკუნეშივე არაერთგვაროვანი იყო: თუკი ფრანგთა ერთი ნაწილი მას ეროვნული იდენტობისა და სინამდის ტაძრად აღიქვამდა, მეორეთათვის ის ნაციონალიზმის იდეოლოგიურ სიმბოლოდ მიიჩნეოდა. ამ მიზეზითაც ზოგიერთმა სახელოვანმა ფრანგმა, მათ შორის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა, საკუთარი ანდერძით არ ისურვა პანთეონში მოხვედრა. მიუხედავად ამისა, ცნობილი ადამიანების საფლავებმა სანახაობრივი ფუნქცია შეიძინა და, ვინაიდან პარიზში ასეთი ადამიანების რიცხვი საკმაოდ დიდი იყო, ქალაქის ყველა ცენტრალური სასაფლაო ერთგვარ თავისებურ „პანთეონად“ გადაიქცა.

7. მე-19 საუკუნეში რევოლუციურ და სეკულარულ იდეებთან ერთად „პანთეონების“ მოდაც პარიზიდან მთელ მსოფლიოს მოედო. ევროპის ქალაქების ცენტრალურმა სასაფლაოებმა, რომლებზეც ცნობილი ადამიანები იყვნენ დაკრძალული, დროთა განმავლობაში ღირსშესანიშნაობისა და ტურისტული ატრაქციონის სახე მიიღო. სოციოლოგების, ისტორიკოსებისა და კულტურის მკვლევრებისათვის

კი ასეთი სასაფლაოები დღესაც სამეცნიერო კვლევა-ძიების საკმაოდ ნაყოფიერი და წარმატებული ობიექტია.

### ქართულ საბჭოთა „ლვთაბათა“ პანთეონი

**8.** პანთეონის, როგორც სეკულარული საკულტო ობიექტის პირვანდელი, „იაკობინური“ მნიშვნელობა საბჭოთა კავშირში, ყველაზე გამოკვეთილად კი საბჭოთა საქართველოში, აღდგა: 1929 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, ოფიციალურად გაიხსნა მთაწმინდის „საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი“. ეს თარიღი მთაწმინდაზე დაკრძალული რუსი პოეტის ალექსანდრე გრიბოედოვის გარდაცვალების 100 წლისთავს დაუკავშირდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის მამა დავითის ეკლესიის ეზოში დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი იყვნენ დაკრძალულები, მთაწმინდას არაფერად არ

ბილი ადამიანების საფლავები დატოვეს, გაიხსნა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონი, რომელიც „მეორე რანგის“ ცნობილ ადამიანთა განსასვენებელი უნდა გამხდარიყო. 70-იან წლებში მას უკვე მესამე რანგის – „საბურთალოს პანთეონიც“ შეემატა. ამით საბჭოთა საქართველოში პანთეონების მთელი კულტურა წარმოიშვა, მთელი თავისი იერარქიული სტრუქტურებითა და პრესტიჟულობის ხარისხებით, რომლებიც „ათეისტურ“ ქვეყანაში მიწიერი დიდებისა და უკვდავების სიმბოლოს განასახიერებდა. ამით „პანთეონებმა“ დაახლოებით იგივე მნიშვნელობა შეიძინეს, როგორიც ამ ტერმინმა XIX საუკუნის ეთნოლოგიასა და რელიგიათმცოდნეობაში მიიღო: მრავალმერტიან რელიგიათა ღმერთების იერარქიული და ფუნქციონალური კლასიფიკაციის ფორმა. პანთეონის მინაზე საკუთარი საფლავით მოხვედრა კი სიცოცხლისათვის აზრის მიმნიჭებელ რელიგიურ სუროგატად ან უფრო „პროფანულად“ რომ ვთქვათ, პრესტიჟულობის აქსესუარად იქცა.

აღიქვამდა. 1935 წელს თბილისის საქალაქო საბჭოს დადგენილებით, მთაწმინდის პანთეონში გადმოსვენეს ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა, რომლებიც აქამდე დიდუბის სასაფლაოზე ესვენენ, 1940 წელს კი იაკობ გოგებაშვილი. ამით მთაწმინდაზე პირველი ქართული „პანთეონი“ შეიქმნა. 30-იან წლებშივე „პანთეონს“ შეემატა ცნობილი ქართველი ბოლშევიკების და ამ პანთეონის იურიდიული დამაარსებლების სილიბისტრო თოდრიას, ფილიპე მახარაძისა და მიხა ცხაკაიას საფლავები.

**9.** „პანთეონის“ შექმნის იდეა საქართველოში პირველად 1892 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გაუჩნდა, როდესაც გარდაცვალებიდან 47 წლის შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი განჯიდან თბილისში გადმოსვენეს და დიდუბის სასაფლაოზე დაკრძალეს. ეს სასაფლაო პირველი ქართული „პანთეონი“ უნდა გამხდარიყო. ამიტომაც მომდევნო წლებში ამ სასაფლაოზე პლატონ იოსელიანის, იეთიმ გურჯის, ეკატერინე გაბაშვილის და სხვათა ნეშტები გადმოსვენეს. მაგრამ ამასობაში ოფიციალურად დაარსებულმა მთაწმინდის პანთეონმა დიდუბის სასაფლაოს პირველობა წაართვა. თუმცა კი მისი გაპანთეონებაც საბჭოთა ხელისუფლებას უკავშირდება: 1938 წელს გაუქმდა დიდუბის სასაფლაო. ერთი წლის შემდეგ კი იმავე ტერიტორიაზე, რომელზეც მხოლოდ ცნო-

**10.** ამ სამ ოფიციალურ პანთეონს დაემატა არაოფიციალური ან ლოკალური პანთეონებიც: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში ქართული მეცნიერების კორიფეების თუ ოპერის ბაღში ქართული საოპერო ხელოვნების მნიშვნელოვანი წარმომადგენლების საფლავები. 1984 წელს კი მწერალი ნოდარ დუმბაძე დაკრძალეს მისივე ინიციატივით დაარსებულ პიონერულ ქალაქ „მზიურში“, რასაც ერთგვარი ინდივიდუალური პანთეონის სახე ჰქონდა.

ასეთი სასაფლაოები არ ყოფილა უბრალოდ ხსოვნისა და პატივის მიგების ადგილი: თბილისის პანთეონებზე ყოველი საფლავის უკან იმალება უკანასკნელი საუკუნე-ნახევრის ქართული საზოგადოების ღირებულებათა მთელი სისტემა, რწმენა-წარმოდგენები და სააზროვნო კრიტერიუმები. სწორედ პანთეონებზე დაიბადა და ოფიციალურად გაფორმდა მწერლების, მსახიობების, მხატვრების, მუსიკოსებისა და მეცნიერების, ანუ, კრებითი სახელით რომ ვთქვათ, ინტელიგენციის კულტი.

შეიძლება ითქვას, რომ იაკობინური პროექტი, რომელიც რელიგიის სანაცვლოდ, პანთეონის სახით ერის საამაყო და სანიმუშო შვილების გალერეისა და მათი თაყვანისცემის ადგილის, როგორც ერთგვარი არარელიგიური საკულტო ობიექტის შექმნას გულისხმობდა, რომელსაც ოფიციალური რელიგიის (ქრისტიანობის) ადგილი უნდა დაეკავებინა,

ვინაიდან საქართველოში პანთეონი არა ისტორიულ ან კულტურულ ფენომენად, არამედ სოცხალ, ღირებულებით რაალობად აღიქმება და რელიგიურ ბრძნობებს აღძრავს, რომლის „ღირსაულთა“ საფლავების თაყვანისცემას და „უღირსების“ ამოთხრა-განგდვას ბულისხმობს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიხვალაბულთა გადასვენება-გადმოსვენების პროცესი 21-ე საუკუნის ახალ თეოლოგიურ სივალაებს შევატავს ამ იაკობინურ რწმენა-წარმოდგენას.



ყველაზე უტრირებული ფორმითაც კი საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საქართველოში განხორციელდა.

**„РАЗВЕ КЭКЭ ПИСАЛА?“ ანუ ბალადისმშობალი**

11. 1937 წელს მთაწმინდის პანთეონს სტალინის დედა ეკატერინე (კეკე) გელაძე-ჯულაშვილისა შეემატა. ერთი ანეკდოტის თანახმად, როდესაც სტალინს ამის შესახებ მოახსენეს, მას ირონიულად უთქვამს: „Разве Кэкэ писала?“ თუმცა კი სტალინის დედის საფლავს ქართველი საბჭოთა ხალხის წარმოსახვით სამყაროში ბევრად უფრო დიდი სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ამას მხოლოდ ბელადისადმი მამებლობა შეიძლება ეწოდოს.

12. 1937 წელს, სტალინის უშუალო მითითებით, საბჭოთა საქართველომ ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავი იხეიმა. ამ თარიღს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა პერიოდის ქართული ცნობიერებისა და კულტურული იდენტობის ჩამოყალიბების საქმეში. ილია ჭავჭავაძე, რომელსაც უკვე სიცოცხლეშივე „საქართველოს უგვირგვინო მეფესა“ და „ქართველი ერის მამას“ უწოდებდნენ, საბჭოთა საქართველოს ეროვნული იდენტობის მთავარი სიმბოლოც უნდა გამხდარიყო. ამისათვის კი საჭირო იყო ილიას „გასაბჭოება“, მისი გადაყვანა იმ დროს შექმნის პროცესში მყოფ ქართულ საბჭოთა წარაციაში.

13. თავდაპირველად ილია ჭავჭავაძე სტალინის ქართული ლიტერატურისათვის აღმოჩენი ხდება: სწორედ მისი მეშვეობით იღებს სტალინი პირველ ინიციატივას როგორც პოეტი, ანუ, ილიასავე განსაზღვრებით, ადამიანი, რომელსაც ერის

გასაძლოად ღმერთთან საუბარი უხდება. მაგრამ სტალინი შორს გასცდა მხოლოდ ერის სულიერი წინამძლოლისა თუ „უგვირგვინო მეფის“ სტატუსს. ამიტომაც მისი მასშტაბები უფრო დიდ მითოსს საჭიროებდა. ასეთი მითოსის ავტორი-ზაცია კი მხოლოდ ილიას ავტორიტეტს თუ შეეძლო. თანაც იდეალურ სიუჟეტს ამგვარი მითოლოგიისათვის მისი ლექსი „ბაზალეთის ტბა“ იძლეოდა. ილია ჭავჭავაძის „გასაბჭოებით“ წრე შეიკრა, „წინასწარმეტყველება“ ასრულდა და ბაზალეთის ტბის ძირას მდგარ ოქროს აკენიდან ამოვიდა უსახელო ყრმა, მესია, ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობდა ჩუმის ნატვრითა ქართველი და მას სახელად სტალინი ეწოდა, რითიც თავად ამ წინასწარმეტყველების ჭეშმარიტებაც დადასტურდა.

14. მაგრამ ქართველ მესიასაც ჰყავდა მშობელი დედა, რომელმაც 1937 წელს მიიძინა და სრულიად ბუნებრივი იყო მისი მთაწმინდის პანთეონში ამაღლება. ეკატერინე ჯულაშვილი არა მხოლოდ მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაიკრძალა, არამედ იგი ქართულ საბჭოთა „ღვთაებათა“ პანთეონში იქნა შეყვანილი, როგორც „ქართველის დედა“, როგორც ბელადისმშობელი, რომელსაც ამ სეკულარულ ღვთაებათა ანსამბლში ღვთისმშობლის ფუნქცია ენიჭებოდა. ასე აღიქვამდნენ და თავყანს სცემდნენ მის საფლავს ქართველი პედაგოგები და ინჟინრები, ექიმები და მუშა-მოსამსახურეები, კოლმეურნეები და პარტიული ფუნქციონრები – მოკლედ, ის ხალხი, ვინც ქართული საბჭოთა საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენდა.

თუმცა სტალინის კულტის ოფიციალურად აკრძალვის შემდეგ ეს მითოლოგიური სიუჟეტიც დაიკარგა, დაიწყო ახალი სიუჟეტებისა და სიმბოლოების გამოგონების პრო-

ცესი. უცვლელი კი მხოლოდ თავად პანთეონი და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები დარჩა.

**ქართული პოსტსაქულარული სიურრეალიზმი**

*„ყორღანებიდან გნოლი აფრინდა...“ გიორგი ლეონიძე*

**15.** 1989 წელს მთაწმინდის პანთეონზე მერაბ კოსტავა დაიკრძალა და მისი სახით პანთეონსაც აქამდე უცნობი ფუნქციის ფიგურა – „ეროვნული გმირი“ შეემატა. კოსტავა საქართველოს ისტორიაში პირველი ადამიანი იყო, ვინც ეს საპატიო ტიტული მიიღო და ხალხმაც აღიარა

ნობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს იდეა არა მე-6 საუკუნეში რომის პაპ გრეგორიუს დიდის მოძღვრებიდან, არამედ უფრო სკკპ-ს პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატობის ინსტიტუტიდან უნდა მომდინარეობდეს.

**17.** თუკი იაკობინური პროექტით პანთეონი სეკულარული რელიგიის საკულტო ობიექტი უნდა გამხდარიყო და თავისი მნიშვნელობით ოფიციალურ ეკლესიასაც კი ჩანაცვლებოდა, პოსტსაბჭოთა საქართველოში თავად ეკლესია აქტიურად ჩაება პანთეონების „გაყველანმინდებისა“ და მის გამართლმადიდებლურების პროცესში, რაც ამასთანა-



იგი, როგორც „ეროვნული გმირი“, თუმცაკი არავის გასჩენია კითხვა, თუ რას ნიშნავს „ეროვნული გმირობა“ ან რატომ იყო კოსტავა გმირი? ამით პერესტროიკისა და დემოკრატიზაციის ხანის საქართველოში ახალი, თავისთავად ცხადი ჭეშმარიტებების ხანა დაიწყო. ეს პროცესი კი გარეგნულადაც და შინაარსობრივადაც უფრო რელიგიურ რეფორმას ჰგავს, ვიდრე პოლიტიკურ ტრანსფორმაციას, როდესაც მთელი რეფორმატორული ენერგია ძველი კერპების დანგრევისა და ახალი დოგმების დაწესებისაკენ წარიმართება. იაკობინური პრინციპი კი – პანთეონისადმი რწმენითი, საკულტო-რელიგიური დამოკიდებულება უცვლელი რჩება. ამ რელიგიური მუხტით აუცილებელი გახდა მთაწმინდიდან კომუნისტი ლიდერების – მახარაძის, ცხაკაიასა და თოდრიას გადასვენება, რამდენადაც მათი ადგილი ახალ ქართულ რწმენა-წარმოდგენათა პანთეონში აღარ იყო. სამაგიეროდ სრულიად ლოგიკური იყო პანთეონის პირველი რეფორმატორის ზვიად გამსახურდიას, შემდეგ კი მეორე ეროვნული გმირის – ქაქუცა ჩოლოყაშვილის მთაწმინდაზე გადასვენება.

**16.** პანთეონების რელიგიური დოგმატიკის დახვეწის საქმეში საკუთარი წვლილის შეტანა საქართველოს მეორე პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემაც სცადა, რომლის ინიციატივითაც მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვა მხოლოდ ცნობილი პიროვნების გარდაცვალებიდან 25 წლის გასვლის შემდეგ უნდა გამხდარიყო შესაძლებელი. ანუ გამოჩენილი ქართველი გარდაცვალების შემდეგ ხვდება ერთგვარ „სალხინებელში“, სადაც მას 25 წელი დრო აქვს, რათა „განწმინდოს“ და მთაწმინდის „სამოთხეში“ ამაღლება დაიმსახუროს. რადგანაც მართლმადიდებლობა, კათოლიციზმისგან განსხვავებით, purgatorium-ს, ანუ „სალხინებელს“ არ იც-

ნავე მართლმადიდებლობის გაიაკობინურებასაც ნიშნავს. 2009 წლის სექტემბრის დასაწყისში კათალიკოს-პატრიარქი ილია II გამოვიდა ინიციატივით, რომ მწერალი ნოდარ დუმბაძე იმსახურებს მთაწმინდის პანთეონს. 12 სექტემბერს დაკრძალვიდან 25 წლის შემდეგ საფლავიდან ამოიღეს ნოდარ დუმბაძის ნეშტი და მამა დავითის ტაძარში დაასვენეს, ხოლო ორი დღის შემდეგ უკვე საეკლესიო პანაშვიდით, რომელიც მწერალს 25 წლის წინ არ ღირსებია, მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს. 4 ოქტომბერს კი, მერიისა და საპატრიარქოს ერთობლივი გადაწყვეტილებით, მთაწმინდაზე მწერალი ოთარ ჭილაძე დაიკრძალა, და ამით ეს პანთეონიც, ადგილების შევსების გამო, დახურულად გამოცხადდა. მაგრამ ეს არანაირად არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ „ზეციური საქართველოს“ რჩეულთა საკრებულოს კარი სამუდამოდ გადაიარაზა და მასში მოხვედრის მსურველებისათვის 25 წელი სალხინებელში ლოდინიც ამაო იქნება. იმედის პირველი ნაპერწკალია სულ უფრო გახშირებული მონოდებები, რათა სტალინის დედა – ეკატერინე ჯუღაშვილი გადასვენდეს მთაწმინდის პანთეონიდან! ამით დასრულდებოდა საბჭოთა პანთეონის პოსტ-საბჭოთა რეფორმა და ქართულ იაკობინურ მართლთა მადიდებლობასაც მთაწმინდაზე ვაკანტური ადგილი გამოუთავისუფლდებოდა.

ვინაიდან საქართველოში პანთეონი არა ისტორიულ ან კულტურულ ფენომენად, არამედ ცოცხალ, ღირებულებით რეალობად აღიქმება და რელიგიურ გრძნობებს აღძრავს, რომელიც „ღირსეულთა“ საფლავების თაყვანისცემას და „უღირსების“ ამოთხრა-განგდებას გულისხმობს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიცვალებულთა გადასვენება-გადმოსვენების პროცესი 21-ე საუკუნეშიც ახალ თეოლოგიურ სიმაღლეებს შემატებს ამ იაკობინურ რწმენა-წარმოდგენას.

# ვადიმი

ავტორი: ლევან ბარძენიშვილი  
ილუსტრაცია: მარია ზალდასტანიშვილი

ვადიმი, ანუ ვადიმ ანატოლის ძე იანკოვი, განათლებით მათემატიკოსი, რეალურ ცხოვრებაში კი ერთდროულად დიდი ტოპოლოგოსი, ფილოლოგოსი, ფილოსოფოსი, პოლიგლოტოსი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ტვინიკოსი და, უბრალოდ და სიყვარულით და შემოკლებით – კოსი, ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და ერუდირებული ადამიანი იყო, ვინც კი ცხოვრებაში შემხვედრია. „კოსი“ ჩემმა ძმამ, დათომ დაარქვა და ამ საიდუმლო თიკუნით მხოლოდ ქართველთა შორის მოიხსენიებოდა. დათოს გულწრფელად უყვარდა, მე პოსტნიც-შეანელ ზეადამიანად მიმაჩნდა, ჟორა მუდმივად ეკამათებოდა და ჯონი ჩუმ-ჩუმად დასცილდა.

1982 წელს დაპატიმრებულ ვადიმ იანკოვს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში – 4 წელი და 3 წელი გადასახლება ჰქონდა მისჯილი. საპატიმრო ვადა სრულად მოიხადა და გადასახლებაში ბურიატიის ასსრ-ში გაუშვეს.

ტაგანროგში დაბადებული ვადიმ იანკოვი წარმოადგენდა ჩვენი პოლიტიკური ბანაკის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილის, მოსკოვური კოლონიის ნამდვილ ვარსკვლავს (მაგრამ არა ლიდერს, რადგან პოლიტიკურ პატიმარ მოსკოველებს, ქართველებისა არ იყოს, ერთიანი ლიდერი არც ერთ პოლიტიკურ ბანაკში არასოდეს ჰყოლიათ) სხვა ინტელექტუალებთან, საშა ჩერნოვთან, ჟორა ხომი-ზურთან, მიშა რივკინთან, იაშა ნეფედიევთან ერთად.

იცოდა ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური, იტალიური, ძველი ბერძნული, ლათინური და ძველი ინდური (სანსკრიტი). შესანიშნავად ერკვეოდა ზოგადი და ინდოევროპული ლინგვისტიკის, მათ შორის, რომანული ენების საკითხებში, იცნობდა ძველ და ახალ ქართულ ენათმეცნიერებას, ხშირად ახ-

სენებდა ქართველი ენათმეცნიერების, თამაზ გამყრელიძის, გივი მაჭავარიანის, ბაქარ გიგინეიშვილის ნაშრომებს, შეეძლო საათობით ესაუბრა აბლაუტსა და სონანტთა სისტემაზე უძველეს ქართულში. ძველი ბერძნული იმდენად კარგად იცოდა, რომ ჩვენს ერთობლივ სემინარებზე, რომელსაც მორიგეობით ვატარებდით ხოლმე დაინტერესებულ პირთათვის, ჰომეროსიდან ციტატებს უნაკლო ჰექსამეტრით კითხულობდა და არ მახსოვს, ერთი შეცდომა მაინც დაეშვას (კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტები მიმიხვდებიან, ენის რა დონის ცოდნას აღნიშნავს ეს).

ვადიმი მერაბ მამარდაშვილის მეგობარი და სოკრატეკოსი იყო ამ სიტყვის ყველაზე უფრო ფართო გაგებით. სოკრატესავით წერაზე მაღლა მეტყველებას აყენებდა და ხუმრობით ამბობდა, ცნობილი ლათინური ანდაზა *Nulla dies sine linea* (არც ერთი დღე სტრიქონის გარეშე, ანუ ერთი სტრიქონი მაინც უნდა დაწერო დღეში, პროდუქტიულობის ფორმულა) ჩემთვის სხვაგვარად ჟღერს – *Nulla dies cum linea* (არც ერთი დღე სტრიქონთან ერთად – დღე არ უნდა იყოს, რომ სტრიქონი მაინც დაწერო, არასდროს არაფერი დაწერო). ამ პრინციპით ყველაზე მეტად მისი მეუღლე ზარალდებოდა, რომლის მოზრდილ წერილებს ვადიმი პარადოქსებით სავსე უმოკლესი წერილებით პასუხობდა; ამ სხარტი ფორმით გამოთქმული პარადოქსების მოსაფიქრებლად კი დროს არ იშურებდა.

მრავალგზის გამოცდის შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ ვადიმმა პრაქტიკულად ყველაფერი იცოდა, რაც შეიძლება ჩვენ დაგვჭირვებოდა. ყველა საკამათო საკითხზე მასთან გარბოდა მთელი ზონა. საბჭოთა მულტივიტამინების მამა, არტურ ანდერსონი მასთან

გადიოდა კონსულტაციებს ვიტამინებისა და ბიოლოგიური დანამატების შესახებ; უკრაინული სოციალ-დემოკრატიის ლიდერი, იური ბადიო მასთან არკვევდა ისტორიის საზრისის საკითხს; ჩვენი მთავარი გეოლოგი, გიორგი ხომიზური თავდავიწყებით ეკამათებოდა გეოლოგიისკლინალიებზე; თანამედროვე უკრაინული ნაციონალიზმის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი, დმიტრო მაზური ებასებოდა თავისთვის სრულიად მიუღებელ პოზიტივიზმზე; ფსიქოლოგი და ფსიქიატრი, პოეტი და ფარული სინისტი ბორია მანილოვიჩი დაზურულ ინფორმაციას სთხოვდა ისრაელის არმიის შეიარაღების შესახებ; იაპონიის ჯაშუში და კორეელი კომუნისტი კან-ჩან-ხო ყვითელი ძაღლის, როგორც იდეალური კერძის შესახებ ემასლაათებოდა და ბალყარელი რუსლან კეტენჩივი ფუტუროლოგიურ ანალიზს უკვეთდა ჩრდილოეთ კავკასიის პრობლემებზე. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყოველისმცოდნე და მუდამ დაუზარელი ვადიმ იანკოვი ჩვენი პოლიტიკური ბანაკისთვის იყო ინტერნეტამდელი ეპოქის გუგლი, იაპუ და ვიკიპედია ერთად აღებული.

სომეხი მეუღლე ჰყავდა და სომეხებს პატივს სცემდა, ქართველები, როგორც თვითონ ამბობდა, უანგაროდ უყვარდა; უამრავი ქართველი მეგობარი ჰყავდა როგორც მოსკოვში, ისე თბილისში. ერთხელ ვკითხე, – ამდენი ენა რომ იცი, მეუღლის ხათრით სომხური როგორ არ ისწავლე-მეთქი და მიპასუხა, – სომხური რომ მესწავლა, ქართულიც უნდა მესწავლა, მეგრულიც, სვანურიც, შემდეგ აფხაზურიც, ოსურიც და ჩრდილოეთ კავკასიის ენებიც და ამდენი, აბა, სად შემიძლოო (არ ვიცი, მეუღლესაც ასე უპასუხა თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ სომხური და ქართული ანბანისადმი ინ-



თქვენ თუ საჭმომთა კავშირიდან განვალთ, რუსეთს დამოკრავიული განვითარების შანსი დაეკარგება, სათავეში დარჩავნიები მოვლენ, რუსეთისთვის ერთადერთ გამოსავალს მოძებნიან და, უზრატოდ, ჩვაულებრივ ომს დაზინყებენ, ბუნებრივია, ბირთვული იარაღის ბარებე, მხოლოდ ტანჯებით და ავიასიითო, – ბვაფრთხილებდა მიშა პოლიაკოვი. მე ვაუზნებოდი, – აბა დროისთვის საქართველო უკვე ბაერო-ს და ნატო-ს წევრი იქნება და ომს ვერავინ დაუწყებს-მეთქი. დიდი პრობლემა ბაქვითო, აფხაზეთითო, მებრამ ჩვენი ხაზი, ბუნებრივია, უსვლელი იყო.

ტერესი ზონაში გამოავლინა – მე და რაფაელ პაპაიანს მოსწავლედ დავვიდ-ვა. სამივე ქართული ანბანი სწრაფად ისწავლა და კითხვაში ყორა ხომიზურს გაუსწრო).

კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამას გეგმავდა სპეციალური კომისია (სიტყვა „საბჭოს“ გაგონება არ უნდოდა არავის), რომელშიც ბოლოს მეც შევიდოდი და ყველაზე ახალგაზრდა წევრი ვიყავი; ამ კომისიას ვადიმი ხელმძღვანელობდა. კომისიამ დამავალა ვაჟა-ფშაველაზე მოხსენებათა ციკლის მომზადება. გამიხარდა, – რა კარგია, ვაჟა რომ იცით-მეთქი და კოსმა მისაყვედურა, – როგორ შეიძლება ვაჟა-ფშაველა არ გვცოდნოდა, ის ხომ კოსმოური მასშტაბის პოეტი და სკეფ-სისის თეორეტიკოსი იყო, ხოლო ალუ-და ქეთელაური პირველი დისიდენტიო!

რუსულ კულტურაში ოდნავ ჩახედულმა ადამიანმა ვაჟას შემოქმედება როგორ არ უნდა იცოდეს, როცა მას პასტერნაკი, ზაბოლოცკი და სპასკი თარგმნიდნენო.

როგორც ყველა გამორჩეულად ნიჭიერ ადამიანს, ვადიმ იანკოვსაც უამრავი თავისებურება ახასიათებდა. ერთ-ერთი ყველაზე დიდი უცნაურობა, ვადიმს რომ ახლდა, საკუთარი ეროვნებისადმი დამოკიდებულება იყო. რუსი მამისა და ებრაელი დედის შვილი, კოსი თავს ხან რუსად აღიარებდა და ხან ებრაელად. რაც მთავარია, მის საქციელში ლოგიკას ვერ დაიჭერდი, ვერავინ გამოიცნობდა, როდის გახდებოდა რუსი და როდის – ებრაელი. ავი ენები ავად ხუმრობდნენ, ებრაელების შევიწროება რომ იწყება, მაშინ რუსი ხდება და, პირიქით, ებრაელობა

რომ სასარგებლოა, მაშინ რუსობაზე უარს ამბობსო. კეთილ ენებს კეთილად ეჩვენებოდათ, რომ ვადიმ იანკოვი სწორედ მაშინ დებდა ებრაელობაზე თავს, როდესაც მათი შევიწროება იწყებოდა. ზონის ადმინისტრაცია მებრძოლი ანტისემიტებით იყო დაკომპლექტებული, ნაციონალისტ პატიმრებშიც ანტისემიტები უმრავლესობას შეადგენდნენ (ამ მხრივ უკრაინელი ბენდერელები და ბალტიისპირელი სამხედრო დამნაშავეები ლიდერობდნენ) და ებრაელობის თუნდაც ხანდახან აღიარება გამირობის ტოლფასი იყო.

მე მიყვარდა კოსის დაპატიუება ჩემ მწირ სუფრაზე, მაგრამ სირთულე მქონდა, სიმწრით ნაშოვნ ღორის ქონის, რუსული, უკრაინული ან ლიტვური სალის ნახევარ ნაჭერს ხან დამინუნებდა და ხან დიდი ოხვრით მონატრებდა. ბოლოს და

ბოლოს, თვითმფრინავის გამტაცებლისა და სიონიზმის ღიად მქადაგებლის (სინამდვილეში კი ადმინისტრაციისა და კაგებეს აგენტის), მისი სენისის, ვადიმ არენბერგის აქტიური მოღვაწეობის შედეგად ზონაში ებრაული თავსაბურავი, ე.წ. „ერმოლკა“ გაჩნდა და ვადიმის ეროვნების გამოცნობაც საგრძნობლად გაადვილდა: როცა ებრაელობდა, შენობაშიც ერმოლკას იხურავდა და როცა რუსობდა, ერმოლკას სადღაც მალავდა. არენბერგის ზეობის ხანაში სასადა-

ქართველებს და ვადიმ იანკოვს ერთ საკითხზე განსაკუთრებული უთანხმოება გვექონდა. ვადიმი გაკვირვებული იყო, რატომ ჩქარობთ საბჭოთა კავშირიდან გაქცევას, განა უმჯობესი არ იქნება კომუნიზმი საერთო ძალებით დავამარცხოთ, ლიბერალური დემოკრატია ავაშენოთ და მერე უმტკივნეულოდ დავიშალოთ. ჩვენ ვუუბნებოდით, – ჩვენი ქვეყანა მოგვეცით და ჩვენს ნითლებს თვითონ მივხედავთო. მიშა პოლიაკოვი თავის ცნობილ გამოსავალს

მწვერვალის, საცივის შესახებ. ძველი პატიმრები დღესაც მეუბნებიან ან მწერენ, რომ იმის მსგავსი სექტაკლი, რაც მე და ვადიმ იანკოვმა დავდგით საცივის თაობაზე პოლიტიკურ ბანაკში, არასოდეს უნახავთ. ამ დიალოგში მე, ანუ ვითომდა გულუბრყვილო სოკრატე, კითხვებს ვუსვამდი გამოცდილ სოფისტს, ვადიმ იანკოვს, მსოფლიო კულინარიის ექსპერტს, რომელიც ბოლოს აღიარებდა, რომ არ შეიძლება არსებობდეს რაიმე საცივზე უკეთესი. მთლიანად

**სოკრატე (მე): კულტურაში რას გულისხმობ?**

**ანაქსაგორა: რას ადამიანის ხელით ქმნილა, დამუშავებულა. ლათინურია – სოლო, სოლონი, სულტუმ, სოლირა ვამუშავებ.**

**სოკრატე: კულინარია კულტურაა?**

**ანაქსაგორა: არა გმონია, ჩემო სოკრატე, კულტურა უფრო მატალ მატარიებს მოიცავს.**

ლო დარბაზში ერთ მაგიდასთან ისხდნენ ერმოლკიანი ვადიმ იანკოვი, ვადიმ არენბერგი, იაშა ნეფედიევი და გრიშა ფელდმანი.

ერთხელაც სადილზე შემოიჭრნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, კონტროლიორ ტრიფონოვის ხელმძღვანელობით. ტრიფონოვმა დაიღრიალა: **Снять головные уборы!** ერთი-ორი მუსლიმი გვყავდა და ქუდი მოიხადეს, ვადიმმა, იაშამ და გრიშამ ერმოლკები მოიხსნეს, ხოლო არენბერგმა და რიეკინმა, ტრიფონოვის განმეორებითი მოთხოვნის მიუხედავად, ერმოლკა არ მოიშორეს. პატიმარი მიშა რიეკინი დაუმორჩილებლობისთვის ხელახლა დააპატიმრეს, დამატებით რვა წლის საპრობილე მიუსაჯეს, ჩვენი ზონიდან წაიყვანეს „კრიტიკი“ ანუ საპრობილეში, ხოლო პროფესიონალი პროვოკატორი არენბერგი ზონაში დაგვიტოვეს, სანამ საერთო სიძულვილის ატმოსფერომ არ გადააგვარა და თავი პერმის პოლიტიკურ ბანაკში არ გადააყვანინა. ამ დღის შემდეგ ვადიმ იანკოვს ერმოლკა არ დაუხურავს, მე კი მისთვის სალა აღარ შემითავაზებია, სანამ ერთხელ თვითონ არ დამპატიჟა შავი პურის ნაჭერზე, ლიტვურ შებოლილ საღის ერთ ლუქმასა და მეოთხედ კბილ ნიორზე.

გვთავაზობდა, – რუსეთი გავიყვანოთ საბჭოთა კავშირიდანო. მაგრამ იანკოვისთვის ეს არაფერს ნიშნავდა. თქვენ თუ საბჭოთა კავშირიდან გახვალთ, რუსეთს დემოკრატიული განვითარების შანსი დაეკარგება, სათავეში დერჟავინეები მოვლენ, რუსეთისთვის ერთადერთ გამოსავალს მოძებნიან და, უბრალოდ, ჩვეულებრივ ომს დაგინებენ, ბუნებრივია, ბირთვული იარაღის გარეშე, მხოლოდ ტანკებით და ავიაციითო, – გვაფრთხილებდა. მე ვუუბნებოდი, – მაგ დროისთვის საქართველო უკვე გაეროს და ნატოს წევრი იქნება და ომს ვერავინ დაუწყებს-მეთქი. დიდი პრობლემა გაქვთო, აფხაზეთო, მაგრამ ჩვენი ხაზი, ბუნებრივია, უცვლელი იყო.

მიუხედავად სხვადასხვა ფუტუროლოგიური ხედვისა, იანკოვი მუდმივად ცდილობდა, პოზიტიური და მშვიდობიანი საერთო ნიადაგი გამოეძებნა. ამ გზაზე ექსპერიმენტებსაც არ ერიდებოდა. ბანაკში პოპულარობით სარგებლობდა ვადიმის მიერ ინიცირებული სოკრატული დიალოგები, რომელშიც მომხსენებელი სოკრატეს როლში გვევლინებოდა და მსმენელები მის მეტოქეებად ან მოსწავლეებად. ერთ-ერთი ასეთი სადიალოგო მოხსენება მე წაუფუკითხე მშვიდ ზონას ქართული კულინარიის

ჩვენი დიალოგის აღდგენა არ შემძლია, მაგრამ იგი დაახლოებით ასე მიმდინარეობდა:

**სოკრატე (მე): როგორ ფიქრობ, ანაქსაგორა, მსოფლიოში რამდენი ნაცია არსებობს?**

**ანაქსაგორა (ვადიმ იანკოვი):** აბა როგორ გითხრა, ჩემო სოკრატე, სახელმწიფო-ნაციას თუ გულისხმობ, ორასზე ნაკლებია და ენა-ნაციას თუ გულისხმობ, ხუთი ათასიც კი იქნება.

**სოკრატე:** სახელმწიფო-ნაციაზე შევჩერდეთ, ესე იგი ორასიაო?

**ანაქსაგორა:** ახლა ნაკლებია, მაგრამ ზოგიერთი სეპარატისტი რომ გაიმარჯვებს, ორასიც იქნება და შეიძლება ცოტა გადააჭარბოს კიდევ.

**სოკრატე:** რა ნიშნებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან სახელმწიფო ნაციები?

**ანაქსაგორა:** ერთი ჯგუფი სოფისტის მიხედვით, ენით, რწმენით, ტერიტორიით, კულტურით.

**სოკრატე:** არ მეგონა, თუ მაგ სოფისტს დაესახებოდი, ანაქსაგორა.

**ანაქსაგორა:** თქვენი ფრატრიიდანაა და კიდევ მე მემართლებით?!

**სოკრატე:** კულტურაში რას გულისხმობ?

**ანაქსაგორა:** რაც ადამიანის ხელით





ქმნილა, დამუშავებულა. ლათინურია – ცოლო, ცოლუი, ცულტუმ, ცოლერე ვამუშავებ.

სოკრატე: კულინარია კულტურაა?

ანაქსაგორა: არა მგონია, ჩემო სოკრატე, კულტურა უფრო მაღალ მატერიებს მოიცავს.

სოკრატე: საკვებს ადამიანები ამზადებენ?

ანაქსაგორა: ნამდვილად, სოკრატე.

სოკრატე: ხელით აკეთებენ ამას?

ანაქსაგორა: ძირითადად, ჩემო სოკრატე.

სოკრატე: როგორ თუ ძირითადად?

ანაქსაგორა: ღვინოს ფეხით ნურავენ და ზოგიერთი ტომები ხორცსაც ფეხით ბეგავენ.

სოკრატე: ძირითადად კი ხელით?

ანაქსაგორა: დიახაც, ჩემო ტკბილო სოკრატე.

სოკრატე: მაშ საკვები ადამიანის ხელით ქმნილა და დამზადებულა?

ანაქსაგორა: დიახაც.

სოკრატე: ეგ ხომ კულტურის შენეული განმარტებაა?

ანაქსაგორა: გამოდის, რომ კულინარია კულტურა ყოფილა, ჩემო სოკრატე.

სოკრატე: რამდენი ნაციააო, ჩემო ყოველსმცოდნე ანაქსაგორა?

ანაქსაგორა: ორასზე ნაკლები.

სოკრატე: რამდენი სამზარეულოა

ცნობილი?

ანაქსაგორა: ოცამდე.

სოკრატე: ტაილანდურსა და ჩინურს ერთად ხომ არ ანგარიშობ?

ანაქსაგორა: როგორ გეკადრება, ჩემო სოკრატე!

სოკრატე: იბერიული თუ შეგყავს მაგ ოცეულში?

ანაქსაგორა: ორჯერ, ჩემო სოკრატე. აღმოსავლურიც და დასავლურიც.

სოკრატე: მოსკოვში რამდენი ესპანური რესტორანი გაქვთ?

ანაქსაგორა: არც ერთი, ჩემო სოკრატე.

სოკრატე: არგენტინული?

ანაქსაგორა: არც ერთი.

სოკრატე: აბა მექსიკური?

ანაქსაგორა: არა, ჩემო სოკრატე.

სოკრატე: აღმოსავლურ იბერიული?

ანაქსაგორა: მაგას ვინ მოთვლის, სოკრატე ბატონო? მარტო „არაგვი“ რად ღირს!

პაპიანი: „არაგვის“ მთავარი მზარეული სომეხია.

სოკრატე: მით უმეტეს! მსოფლიო სამზარეულოთა ათეულში ქართული შედის?

ანაქსაგორა: ულაპარაკოდ, ჩემო სოკრატე.

სოკრატე: ერთი ეს მითხარი, ანაქსაგორა, ათეულის ჩამოთვლა შეგიძლია,

ოღონდ ვინმემ რამე რომ არ დაგვნამოს, ანბანური რიგით?

ანაქსაგორა: მაგაზე იოლი რა უნდა იყოს? ავღანური, ესპანური, ინდური, იაპონური, იტალიური, მექსიკური, ტაილანდური, ფრანგული, ქართული, ჩინური.

სოკრატე: ქართველები ამბობენ, რომ მათი საუკეთესო კერძი ხაჭაპურსა და საცივს შორის უნდა ამოვირჩიოთ; დავუშვათ, ეს საცივია, დანარჩენების ჩემპიონ კერძებზე რას იტყვოდი, ანაქსაგორა?

ანაქსაგორა: ავღანელებისთვის ესაა კაბობი კუბიდეჰით, ესპანელებისთვის პელია, ინდოელებისთვის კარი, იაპონელებისთვის – სუში, იტალიელებისთვის პიცა, მექსიკელებისთვის ტაკო, ტაილანდელებისთვის კრევეტის სუფი ტომ კუმ იანი, ფრანგებისთვის ლოკოკინა, ჩინელებისთვის ვეფხვისა და დრაკონის შეტაკება.

სოკრატე: ბოლოდან დავიწყოთ. ვეფხვისა და დრაკონის შეტაკებას რომ ამბობ, დრაკონში გველი ხომ არ იგულისხმება?

ანაქსაგორა: ნამდვილად, ჩემო სოკრატე.

სოკრატე: მსოფლიოში ბევრი იცი ისეთი ხალხი, გველს რომ ეტანებოდეს?

კან-ჩან-ხო: კორეელები ყველაფერს

ვჭამთ, რაც ადამიანზე დაბლა დგას, გველსაც და მაიმუნსაც.

ანაქსაგორა: არა, შორეულ აღმოსავლეთს და მითოსურ ქაჯებს თუ არ ჩავთვლით, არა.

სოკრატე: ესე იგი, ეგ მსოფლიო კერძი ვერ იქნება.

ანაქსაგორა: ასე გამოდის, ჩემო სოკრატე.

კან-ჩან-ხო: არ გიჭამიათ და იმიტომ.

სოკრატე: ლოკოკინას ყველა მიირთმევს?

ანაქსაგორა: ვერც ეგ იქნება მსოფლიო საქმელი.

სოკრატე: უმი ხორცის მოყვარულეებზე რას იტყვი, ანაქსაგორა?

ანაქსაგორა: უმცირესობაში არიან.

იაპონიის ჯაშუში ორლოვი: სუმი უმი არ არის, მთლად უმი არ არის.

სოკრატე: როგორია სუმის შანსები?

ანაქსაგორა: მინიმალური, ჩემო სოკრატე.

სოკრატე: კრევეტებს ვოლგაში იჭერენ?

ანაქსაგორა: მსოფლიოს ნახევარმა საერთოდ არ იცის, რაა კრევეტი.

სოკრატე: უკრევეტოდ და ქოქოსის რძის გარეშე ტომ კუმ იანი წარმოგიდგინია, დიდო გურმანო ანაქსაგორა?

ანაქსაგორა: არა, ჩემო სოკრატე.

სოკრატე: კარგად დაფიქრდი, ჩემო ანაქსაგორა და მიპასუხე, ესპანური პაელია ჯობს თუ კარგი უზბეკური პლოვი?

ანაქსაგორა: რახიმოვის თანდასწრებით ტყვილს ვერ ვიტყვი – უზბეკური პლოვი, რა თქმა უნდა.

სოკრატე: ესე იგი, მსოფლიო კერძად ეგ არ გამოდგება. რალა დაგვრჩა?

ანაქსაგორა: შესანიშნავი ხუთეული: ავღანური კაბობი კუბიდეჰით, ინდური კარი, იტალიური პიცა, მექსიკური ტაკო და ქართული საცივი.

სოკრატე: იტალიური პიცა, ქართული ხაჭაპური, რუსული ვატრუშკა ტიპოლოგიურად ერთნაირი ხომ არ არის?

ანაქსაგორა: შენ იცი, ჩემო სოკრატე ჩემი დამოკიდებულება ხაჭაპურთან; ამოვადოთ პიცა, მაინც არა ვარ დიდი მოყვარული.

სოკრატე: მექსიკური ტაკო რალაა, „სბორნაია სალიანკა“ არ აჯობებს, რომელიც იგივეა, მაგრამ გაცილებით მეტი კომპონენტით?

დონსკოი: „სბორნაია სალიანკა“ აჯობებს, მარტო მყავე კიტრი რად ღირს!

სოკრატე: შეეჩერდეთ ავღანურ ქაბობზე, იგივე ქართულ მწვადზე, სომხურ ხორევაცსა და საკავშირო „შაშლიკზე“. შენ შეგიწვავს მწვადი, ჩემო ანაქსაგორა?

ანაქსაგორა: როგორ არა, პერედელკინოში სულ მწვადებს არ ვწვავდით?!

სოკრატე: აბა კუბიდეჰი, ქართველები რომ საბაბს ვეძახით, ისაა და ეგ აზერბაიჯანელებს რომ აქვთ, ავღანური იმას ვერ აჯობებს.

ანაქსაგორა: მართალი ხარ, ჩემო სოკრატე, მე რომ კარგად გამოძის, ის ვერ იქნება მსოფლიოს საუკეთესო კერძი. თან ყველა მწვადს სომხური ხორევაცი სჯობია.

სოკრატე: ინყება ნიგვზიანების

კონკურსი. კარი თუ საცივი? ანაქსაგორა: გაგვიჭირდება არჩევა, ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

სოკრატე: აბა მითხარი, ანაქსაგორა, ხორცად რა აქვს კარის?

ანაქსაგორა: ქათამი.

სოკრატე: საცივს?

ანაქსაგორა: ინდაური.

სოკრატე: რომელი უფრო დიდია?

ანაქსაგორა: ჩემო სოკრატე, ეს რა არგუმენტია?

სოკრატე: რომელი უფრო სქელია, საცივი თუ კარი?

ანაქსაგორა: საცივი.

სოკრატე: რომელშია მეტი ნიგოზი?

ანაქსაგორა: საცივში.

სოკრატე: ერთი ჯამი საცივი მეტად გაგაძღობს თუ ერთი ჯამი კარი?

ანაქსაგორა: საცივი, ჩემო სოკრატე. ვალიარე, საცივია მსოფლიოს საუკეთესო კერძი და ბარემ გვითხარი, როგორ მზადდება.

ამას მოჰყვა საცივის რეცეპტი და დამზადების წესის აღწერა. მშვიერი ხალხი ტიროდა და დიალოგის წარმატებას გვილოცავდა. მე და იანკოვმა, ემოციურად დაცლილებმა და მსახიობურად დაღლილებმა ორი თერმოსი მაგარი ჩაი დაველით და დავიფიცეთ, რომ თავისუფლებას რომ მივალწვედით, საუკეთესო ინდოელ და ქართველ მზარეულებს, შესაბამისად, კარისა და საცივის დავუკვეთდით და კულინარიული ბრძოლის ველზე გავარკვევდით გამარჯვებულის ვინაობას (ეს მარტივი გასტროცენტრული ოცნება ჯერაც აუსრულებელი გვაქვს).

როგორც უკვე ვთქვით, ძველი ბერძნულის შესანიშნავი მცოდნე იყო, ოლონდ ეს უფრო მოყვარულის ცოდნა იყო, ვიდრე პროფესიონალის. მაგალითად, accusativus cum infinitivo თეორიულად ესმოდა, მაგრამ პრაქტიკაში რომ შეხვედროდა, შეიძლება ვერ ეცნო. ძველი ბერძნული ენის სობოლევსკისეული სახელმძღვანელო ჰქონდა თან, მაგრამ იქაური ტექსტები ათასჯერ გადაღეჭილი ჰქონდა. ამასობაში მისი დაბადების დღე ახლოვდებოდა და მე სერიოზულ საჩუქარს ვუმზადებდი. ნიგნი-ფოსტით სისტემაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელგანთქმული სერია თეუბნერიანა მოხვდა, რომლის წითელი



ნიგნები ძველი ბერძნული ლიტერატურის კლასიკას მოიცავს, ხოლო ლურჯი – რომაულისას. ლენინგრადის ნიგნის სახლმა, ჩემი საეჭვო უკანა მისამართის მიუხედავად, შეკვეთა მიიღო და ევრიპიდეს ნითელი ტომი გამოაგზავნა, რომელიც მისი ერთ-ერთი შედეგის, „ალკესტისის“, ძველ ბერძნულ აკადემიურ გამოცემას წარმოადგენდა. მე არ შემიძლია იმ ემოციის გადმოცემა, რომლითაც იანკოვმა საჩუქარი მიიღო – აუთენტური და არაადაპტირებული ბერძნული ტექსტი, როცა არსებობს

უბრაზდებოდა ევრიპიდეს, რომელიც მისეულ „სიცოცხლის პარადიგმას,“ არ ეთანხმებოდა. ალკესტისი, ანტიგონეს ღვიძლი ლიტერატურული და თუ დედა, თან უცნაური ძალით ხიბლავდა, თან საშინლად აღიზიანებდა. ამბობდა, – ადმეტოსის მოხუცი დედა სწორად მოიქცა, როდესაც შვილის ნაცვლად არ მოკვდა, მოხუცი მამაც სწორად მოიქცა, როდესაც სიცოცხლის პარადიგმით ისარგებლა და შვილის ნაცვლად არ მოკვდა, მაგრამ ცოლი, ალკესტისი, ასე ახალგაზრდა, როგორ არ გაუფრთხილდა ღვთის ნაჩუ-

რომ გულს გაუგმირავს) და პოლიაკოვმა ანა ახმატოვა (რეკვიემი: У меня сегодня много дела...); იდეის ავტორმა მანილოვიჩმა თავისი უსაყვარლესი ოსიპ მანდელშტამი აირჩია (Кому зима – арак и пуш голубоглазый), მე გალაკტიონი (დომინო: „მესმის ამ გამძაფრების წამნამების კანკალი“), რაფიკამ პარუირ სევაკი („სამხმიანი ლიტურგია“), გელი დონსკოიმ ალექსანდრ ბლოკი (თემატური, მაგრამ პესიმისტური: Девушка пела в церковном хоре), საშა ჩერნოვმა ბორის პასტერნაკი (Ты значил все в моей

**ვადიშა, როგორც თვითონ უწოდებდა, „სისოცხლის პარადიგმის“ გამოსდა მომიწყო. მეუბნება, წარმოიდგინე, რომ ღმერთმა მოგცა ზუსტად იმდენი წყალი, რამდენიც უღაბნოს გადასაკვეთად გჭირდება, არც ერთი წვეთით მეტი და არც ერთი წვეთით ნაკლები. მიდიხარ უღაბნოში. გხვდება მწყურვალე ადამიანი, გთხოვს წყალს, რას შვრები? მე ვუპასუხე, რომ წყალს ვასმევ და გზას ერთად განვაგრძობთ. ამ შემთხვევაში ორივე დაილუპებით, წყალი არ გეყოფათ, უღაბნოდან ვერ გამოხვალთ; არაო, ღმერთმა სიცოცხლეს მოგცა წყლის სახით და მას უნდა გაუფრთხილდე, არ უნდა მისცეო. მე მაინც მივცემ-მეთქი, – ვუპასუხე და კამათიც შეწყდა.**

სობოლევსკის სახელმძღვანელოს მოზრდილი ლექსიკონი და ძველი ბერძნული ენის დიპლომირებული და ხარისხის მაძიებელი სპეციალისტი! (ეს ფრაგმენტია მისი სამადლობლო სადღეგრძელოდან, რომელიც, ტრადიციულად, უფრო ხმამაღალ შეფასებებს შეიცავდა და შეისვა ცხელი ჩაით). მანამდე ვადიშა, როგორც თვითონ უწოდებდა, „სიცოცხლის პარადიგმის“ გამოცდა მომიწყო. მეუბნება, წარმოიდგინე, რომ ღმერთმა მოგცა ზუსტად იმდენი წყალი, რამდენიც უღაბნოს გადასაკვეთად გჭირდება, არც ერთი წვეთით მეტი და არც ერთი წვეთით ნაკლები. მიდიხარ უღაბნოში. გხვდება მწყურვალე ადამიანი, გთხოვს წყალს, რას შვრები? მე ვუპასუხე, რომ წყალს ვასმევ და გზას ერთად განვაგრძობთ. ამ შემთხვევაში ორივე დაილუპებით, წყალი არ გეყოფათ, უღაბნოდან ვერ გამოხვალთ; არაო, ღმერთმა სიცოცხლეს მოგცა წყლის სახით და მას უნდა გაუფრთხილდე, არ უნდა მისცეო. მე მაინც მივცემ-მეთქი, – ვუპასუხე და კამათიც შეწყდა.

ქარ სიცოცხლეს? არ მესმის, არ მინდა გავიგო! ალბათ ამიტომ ამბობს არისტოტელე, – ევრიპიდე ყველაზე ტრაგიკულია პოეტებიდანო. ეს რამ დაანერინა, ასე როგორ შეიძლება?! და, თუ შეიძლება, ანტიგონეს ნუ ადარებთ, ანტიგონე იდეისთვის მოკვდაო და ამას მოაყოლა შესანიშნავი ფრანგული სიმღერის, ჟორჟ ბრასანსის Mourir pour des idées – „მოკვდე იდეებისთვის“ დასაწყისი: Mourir pour des idées – l'idée est excellente. მოკვდე იდეებისთვის – მშვენიერი იდეაა. ერთხელ ბორის მანილოვიჩის თაოსნობით პოეზიის საღამო მოეწყო, თითოეულ პატიმარს მხოლოდ ხუთი წუთი ჰქონდა საყვარელი პოეტის წარმოსადგენად: უნდა წაეკითხა ლექსი ან ფრაგმენტი პოემიდან და რამდენიმე სიტყვით წარმოედგინა მისი შემოქმედება ან საკუთარი დამოკიდებულება ამ პოეტისადმი. ქრონომეტრაჟისთვის გამოვიყენეთ ბანაკის მთავარი ხელმძღვრე ოსტატის, რაფაელ პაპაიანის მიერ სახელდახელოდ დამზადებული ქვიშის საათი. ჟორას და მიშას ცოლ-ქმარი მოუწიათ: ხომიზურმა ნიკოლაი გუმილიოვი წარმოადგინა (შედეგრი მუშაზე, რომელმაც ის ტყვია ჩამოასხა, პოეტს

судьне) და ვადიშმა მარინა ცვეტაევა. ამ დღეს ვადიშმა ყველა გაგვაოცა, ჩვეულებრივ ცივმა და ირონიულმა იანკოვმა უჩვეულო მღელვარებით წაიკითხა რამდენიმე სრულიად გენიალური ფრაგმენტი ცვეტაევას პოემიდან Поэма конца და თავისი გამოსვლა დაამთავრა დიდი პოეტის ცხოვრების უკანასკნელი წლის ტრაგიკული მოვლენების გახსენებით, როდესაც სასონარკვეთილ და მშვიერ ცვეტაევას უკანასკნელმა გულშემატკივრებმა სამსახური უშოვეს მწერალთა სახლში – გენიოსის ხვედრი აღმოჩნდა დამლაგებლობა, მაგრამ დიდ პოეტს ეს თანამდებობაც ვერ დაუკავებია: სახელგანთქმულ ილია ერენბურგს უთქვამს, – ამ თანამდებობაზე უფრო ღირსეული კანდიდატი არსებობსო და მარინა ივანოვნას ბედიც გადაწყვეტილა. ვადიშმა ცვეტაევას უკანასკნელი ნაცსაყუდელი, ტრაგიკული ელაბუგა ახსენა და ბრძანა, რუსული გლუბინკის ეს მანამდე უსახელო და დღესაც უზადრუკი ადგილი მარინა ცვეტაევამ უკვდავყო მთელ მსოფლიოში, ისევე, როგორც ნაპოლეონმა ვატერლოო, არა მრავალთაგან ერთ-ერთი გამარჯვებით, არამედ ერთადერთი დამარცხებით.

>>> ბაზრქილება გვ. 108



# „ინდუსტრიული“ ქალაქი მიუკოლსი

<<< ღასაწყისი გვ. 38

აბანოების რიგში ფრიდრიხთან ერთად მოვხვდი. ხელზე საათის მაგვარი რაღაც გამოკეთეს, მითხრეს 12-ზე გარეთ გამოხვალ, თუ არადა, ჩვენ გამოგიყვანთო. კარგი-თქო. უცნაური ადგილი იყო ეს გამოქვაბული აბანოები. კლდეში, სხვადასხვა ტიპის რამდენიმე საცურაო აუზი მკრთალი შუქით ნათებოდა. ჯერ ჩადიოდი ერთ აუზში, იქიდან გაცურავდი ბოლოში და გამოქვაბულში ამოდიოდი. კედლებზე გაკეთებული ისრებით შენ თვითონ ირჩევდი, სად ნახვიდოდი. თუმცა, დიდი არჩევანი არც ყოფილა, სადაც უნდა გაგეხვია, მაინც აუზში ჩადიოდი. ერთადერთი განსხვავებით, ყველა აუზში სხვადასხვა ტემპერატურის წყლი ესხა. წყლით დაფარულ კიბეებზე ჩავდიოდით, რომ სიხარულისგან აკანკალებული ხმით სონიას გადავუჩურჩულე, – აუუ, არ გგონია რომ ტიტანიკში ხარ? აი, ბოლოში უინსლეტი ხელბორკილების გასაღებს რომ ეძებს, მანდ-თქო? სონიამ მზრუნველურად გამიღიმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მსგავსი ფანტაზია მხოლოდ მე მანუხებდა და გატრანსულ უნგრელებს გავხედე, რომლებიც ჩანჩქერთან განაბულეები იდგნენ და ძლიერი ჭავლით მასაჟს იკეთებდნენ. „ნამო, იქით ჩავიდეთ“, – სადაც დამპატიყა სონიამ. უცებ... მოვდუნდი. სონია კედელს მიეყუდა და თვალები დახუჭა, არ მინდოდა, მაგრამ ძალაუნებურად მეც იგივე გავაკეთე. თითქოს სიზმარიც ვნახე... გულის ცემა ყურებში მესმოდა, სისხლი ძარღვებში გიჟურად მოძრაობდა. დავამთქნარე კიდევ... 35 თუ 39? რა წერია? ფოკუსი გავასწორე და კედელზე დიდი თერმომეტრი დავინახე – 39-გრადუსიანი წყალი ასხია ამ აუზში? სონია! – გავხედე ჩემს მეგობარს (ორნელას

შემდეგ), სონიას კედელზე მიყუდებულს ეძინა. გარშემო მიმოვიხედე, აუზში მყოფთაგან ყველაზე ახალგაზრდა 70 წლის ქალბატონი დავინახე, რომელიც ყვავილებიანი ჩაჩით გატრუნული იდგა და ყურადღებით მაკვირდებოდა. საერთოდ, ამ აუზში ყველა იდგა, რადგან ლამის 40-გრადუსიანი წყალში კედელთან მიყუდებას თუ მოასწრებდი. მერე წყლის სკამიც დავინახე ინვალიდებისათვის და – ეე, სონია, ნამო რა, მგონი სხვაგან მოვხვდით-თქო, – ძალიან ნელა და დამარცვლით ძლივს ამოვივლულე. 12 საათზე აბანოებთან ჩამომდგარ იასამინისფერ იკარუსში ძლივსძლივით ავფოფხდით. მთელი უკანა გზა ხმა არავის ამოუღია, ყველას ეძინა. მარტო ფრიდრიხი ხმაურობდა – დედაა, რა კარგი იყოო. ის დღე საერთოდ აღარ მასხოვს. მთელი დღე დახუჭული თვალებით დავდიოდი.

ფესტივალი დასასრულს უახლოვდებოდა. ფინური ფილმი ვნახეთ – „ტომასი“, რომელიც ცხადი იყო, რომ გამიმარჯვებდა. მარტოსული ფინელი, მარტო დადიოდა, მარტო ჭამდა... მოკლედ ის იყო, რაზეც სონია მელაპარაკებოდა ხოლმე. ხორვატული ფილმი დაიწყო თუ არა, უცებ გვერდიდან ვიღაც ქალმა რუსულად ჩამჩურჩულა, – „ვი იზ გრუზიი და? კაკაია კარნინა, ვსო პლანუ ი პლანუ. ი ვაფშე, კაკოე ბილა ვრემია, კაგდა ბილო ნაპისანო „სოიუზ ფილმ პრედსტოვლიაეტ! ოოხ“... რა შუაში იყო?!

„აბა, აბა, ავედით დროზე“, – გაისმა მეორე დღეს უთენია, ისევ იმ იკარუსთან და ფესტივალის სტუმრები გამოუძინებელი სახეებით ციცქნა ქალაქში – რიჩიმი წავედით ექსკურსიაზე. – „ადოლფ ცუკორი დიდი კაცი იყო“, – დაახლოებით ასე დაიწყო ქალაქ რიჩის მერმა გამოსვლა. ადოლფ ცუკორი, რომელიც პოლივუდის ერთ-ერთ მთა-

ვარ „მამად“ ითვლება, უნგრეთში, რიჩიში დაიბადა. 15 წლის იყო, როდესაც სახლი დატოვა და თავგადასავლების საძიებლად ამერიკაში ჩავიდა. ის იყო პირველი, ვინც კინოს სადისტრიბუციო კომპანია შექმნა, დააარსა Paramount pictures... პირველი, ვინც მიხვდა, საჭირო იყო მსახიობებში ვარსკვლავთა სისტემის შემოღება. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაფერი, რაც დღეს პოლივუდში ხდება, სწორედ ადოლფ ცუკორის ბრალია. კაცის, რომელიც მთელი ცხოვრება პოლივუდის ვარსკვლავებს ქმნიდა და რომელიც თავის თანასოფლელებს, ყოველი ბავშვის დაბადებისას, ფულს უგზავნიდა. ნაგვიყვანეს ცუკორის სახელობის, ყვავილებით მორთულ კინოთეატრში, მერე მის სახლთან გაგვატარეს, – აქ ახლა სხვა ოჯახი ცხოვრობს და შიგნით ვერ შევალთო. ბოლოს კი ტურის აუცილებელი დეტალი – სიმწვანეში ჩაფლული ცუკორის დედის საფლავზეც გაგვიყვანეს. თან უკან ჟურნალისტები დაგვეყვებოდნენ ადგილობრივი ტელევიზიის კამერებით. მერე ვიღაცებმა კითხვები დაუსვეს მერს, – დედა თუ ნახა მას მერე, რაც ცნობილი გახდაო... ცუკორის ფული თქვენ ქალაქსაც თუ შეხვდაო; რაზეც მერი უარყოფის ნიშნად თავს შუქრებლად აქნევდა. ვიღაცამ ისიც კი თქვა – მე ვიცო, 100 წლის რომ გახდა, მის დაბადების დღეზე საპატიო სიტყვა თვით პიჩკოკმა წარმოთქვაო. მეც და ორნელამაც ბევრი ფოტოები გადავიღეთ და ბოლოს, მთელმა იკარუსმა დიდ სუფრაზეც ამოვყავით თავი. მაპატიეთ, თუ უნგრული ნაციონალური კერძის, „გულიაპისი“ მოყვარული ხართ, მაგრამ ლიპლია ცხიმში მოცურავე სოსისების, სარდელების და ისევ! ღორის ხორცის დანახვამ, სულ მთლად დამიკარგა მადა და ცარიელი პალინკა (ჩვენებურად ჭაჭა), დიდი ჯღანვის შემდეგ რამდენჯერმე მოვყლუპე. ბოლოს საჩუქრები დაგვირიგეს – ღვინის ჭიქა წარწერით „ადოლფ ცუკორი“ და ისევ იკარუსში ჩავგვსვეს. არ ვიცო, იკარუსის ბრალი იყო თუ არა, მაგრამ უკანა გზაზე ყველას ჩავგვიძინა; ყველას, ფრიდრიხის გარდა. მთელი ეს ფესტივალი, თავისი შეხვედრებით თუ ექსკურსიებით, საზაფხულო სკოლის დამამთავრებელ საღამოს ჰგავდა, ისეთს, რომელიც კიდევ დიდხანს, დიდხანს გემასხოვრება. მერე ზოგჯერ გაგახსენდება და გაგეცინება კიდევ. ისე, რა უბედური გემო ჰქონდა სონიას ბიოკანფეტებს... არადა, სულ ვეუბნებოდი, – უჰ, უჰ, რა კარგია-თქო...



# შუქურა

<<< ღასანყისი ზვ. 42

რასაკვირველია მათთვის არავის აუხსნია, რომ საბჭოთა კავშირში (სინამდვილეში), სულაც არ მომხდარა იმ იდეის განხორციელება, რომელსაც ნამდვილი სოციალიზმი ჰქვია და ამიტომაც ალპერის ფილმში საკმაოდ იგრძნობა ერთგვარი გულდანწყვეტა და ერთგვარი სევდაც ამის გამო. თუმცა პირადად, მხიარული თურქული ფილმი არც მინახავს (არც მანამდე) და შესაძლოა ის სპეციფიური ესთეტიკა, რომელიც უკვე დამახასიათებლად ჩამოყალიბდა თურქულ კინოში, განაპირობებს კიდევ მის მიმართ ასეთ მინორულ განწყობას. არცთუ შორეულ წარსულში, ქართულ კინოსაც ჰქონდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები, რომელიც ჩვენს ფილმებს ათას კინო-ხმებსა და კინო-ფერებში გამოარჩევდა, მაგრამ ჩვენ ასეთი ქართული კინო, სამწუხაროდ, უკვე დავკარგეთ. თუმცა ამავე ბათუმის ფესტივალზე, ის ქართული ფილმიც ვნახე, რომელმაც მშობლიური კინოსადმი სკეპტიკურად განწყობილ ადამიანებსაც კი დააცდენინა ოპტიმისტური შეფასებები. ზაზა ურუშაძის ფილმი ჰქვია „სამი სახლი“ და ნატო მურვანიძე ისეთი მაგარია, რომ თუნდაც მისი ნიჭის გამოსაყენებლად ღირს ქართული კინოს გადარჩენა. შეიძლება უბრალოდ მეჩვენება, მაგრამ თუ ქართულმა კინომ მაინც შეძლო იმ მოვადობელი წრის გარღვევა, რომელ-

შიც სამწუხაროდ აღმოჩნდით, მერე ის ქართულ ლიტერატურასაც გაუკვალავს გზას დიდ საერთაშორისო ასპარეზზე, თეატრსაც და ღვინოსაც. ევროორთქმავლის ფუნქციის შესრულება, ყველაზე სწრაფად, რასაკვირველია ფეხბურთს შეეძლო, მაგრამ ქართველი ფეხბურთელები ისეთი შენელებულები აღმოჩნდნენ, რომ მათი თამაშის შენელებულ გამეორებასაც კი ვერ ახერხებს თანამედროვე ტექნიკა და ამიტომ ახლა, ჩვენი მთავარი იმედი ქართული კინოა.

მთავარი ინტრიგა კი, ბათუმის ფესტივალზე, რა თქმა უნდა, ლარს ფონ ტრიერის „ანტიქრისტე“ იყო, რომელმაც ყველგან დიდი ხმაური გამოიწვია, სადაც ეს ფილმი უკვე აჩვენეს და იმ საღამოს კინოთეატრი „თბილისიც“ ისე იყო ხალხით გადაჭედილი, რომ აუდიტორიას ფილმის დაწყებამდე გოგი გვახარია მიმართა. გასული საუკუნის ველურ ოთხმოცდაათიან წლებში, თავის ტელეგადაცემებით, ისეთი გმირული სიჯიუტით ცდილობდა განსხვავებული აზრისადმი პატივისცემის დამკვიდრებას ჩვენს საზოგადოებაში, რომ გოგი გვახარია იმ მშვენიერი შესავალი სიტყვის წარმოთქმა, რასაკვირველია არ გაუჭირდებოდა. თუმცა ერთხელ, შეიძლება გოგი გვახარიაც კი შეცდეს და მისი ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ ლარს ფონ ტრიერის ფილმის ნახვისას, დაახლოებით მეთხუთმეტე წუთიდან მაყურებლები დარბაზის დატოვებას დაიწყებდნენ (როგორც ეს

მაგალითად კანში მოხდა), ბათუმში არ გამართლდა. ჩვენ, წინასწარ უკვე დაშინებულმა ქართველებმა, ერთმანეთს ხელები ჩავჭიდეთ და გამწარებული დანიელი რეჟისორის ბოლო ფილმს ბოლომდე, სულ ბოლომდე ვუყურეთ. თქვენ ჯვარი გწერიათ და ერთადერთი, ვინც კინოსეანსი ნაადრევად დატოვა, გივი სიხარულიძე იყო, რომელმაც იმ საღამოს, მგონი ისედაც შემთხვევით გამოიარა დარბაზის მისადგომებთან და პირდაპირ „ანტიქრისტეს“ შეეფეთა. ჩვენ კი მაინც ბოლომდე ვისხედით ეკრანის პირისპირ და ჩემს უკან მჯდომი კოტე თაყაიშვილი კი, მაინც პოულობდა ხუმრობის ძალას მაშინაც კი, როცა გვეგონა რომ დანიური მგელი მაინც ნაღდად შეგვჭამდა. მგონი ჩვენი ისტორიაც ეგ არის და ამიტომ ალარაფერს ვიტყვი ავღანელი რეჟისორის სიდიქ ბარმაკის „ოპიუმის ომზე“ ან ფრანსუა ოზონის ფილმზე, რომელსაც „რიკი“ ჰქვია, რადგან კინოზე მართლა უსასრულოდ შემიძლია საუბარი და წიგნის მერე, კინო მგონი კაცობრიობის მეორე მთავარი გამოგონებაა, რომელსაც შეგიძლია თავი მაშინ შეაფარო, როცა ყველაზე ძალიან გიჭირს...

პ.ს. ამ წერილისთვის სულ სხვა სათაური მქონდა შერჩეული („როგორ გაგხდი უკეთესი“), მაგრამ თვითონვე არადამაჯერებლად მეჩვენა ჩემი გამოსწორება და თანაც ალექსანდრიის შუქურა გამახსენდა, რომელიც ბათუმის ყველაზე მაღალი შენობის დანახვისას, ალბათ სხვებსაც აგონდებოდა ხოლმე. თუმცა ეს მხოლოდ ბათუმში კი არა, მგონი საქართველოშიც კი ყველაზე მაღალი შენობაა და ყველასთვის ისეთივე საკამათო ნაგებობაა, როგორც იქვე, გვერდით მდგომი არქიტექტურულად ძალიან ჭრელი და ბრჭყვიალა სახლი, მაგრამ ეს კამათი ნაკლებად მაინტერესებს. მე მაინტერესებს და მინდა ვიცოდე (დაახლოებით მაინც), რომ ოდესმე, მომავალში, თუ ბათუმის კინოფესტივალის მონაწილე-სტუმრები, ბათუმისკენ გემით წამოვლენ, რა მანძილიდან დაინახავენ ისინი შერატონ-შუქურა-სასტუმროს, რადგან როგორც ერთი არგენტინელი კაცი იტყოდა – ვიყოთ რეალისტები და მოვითხოვოთ შეუძლებელი...



# ქალაქი – თვითონ საზოგადოება

<<< დასაწყისი გვ. 46

ქაოტური იყო საინჟინრო საქმეც. ახალ ნაგებობებს ძალიან დაბალი ესთეტიკური დონე ჰქონდათ. მოდაში შემოვიდა „ბრიზგი“, ხსნარით შეღესილი, პრიმიტიული ხორკლიანი ზედაპირი. ეს იყო ერთადერთი მეთოდი შენობების მოპირკეთების – არანაირი ქვა, არანაირი გრანიტი, ან სხვა დეკორატიული ელემენტები. მაშინ მენაშენებისთვის მთავარი ამოცანა იყო მოკლე პერიოდში დიდი მოგების ნახვა. არავის აინტერესებდა შენობების ესთეტიკური ღირებულება. პოლიტიკური სისტემა ამის საშუალებას იძლეოდა. და დაიწყო ტოტალური მშენებლობის ველური პროცესი. ძირითადად მშენებლობა ე.წ. პრესტიჟულ უბნებში მიმდინარეობდა, რადგან იქ უძრავ ქონებას მეტი ფასი ჰქონდა. ამ პროცესმა სავალალო შედეგი გამოიღო. დღეს ამ დასახლებების სიმჭიდროვე აღემატება გონივრულს და იქ ცხოვრება ნაკლებ კომფორტულია. ალბათ მალე დაიწყება ამ ქონების საბაზრო ღირებულების დაცემა.

თუმცა ნორმალიზაცია მაინც შეეცყო ამ ველური მშენებლობის პროცესს. ის, რომ გაჩნდა ცნობილი არქიტექტორების ნამუშევრები – თავდაცვის სამინისტრო, პრეზიდენტის რეზიდენცია, უკვე დადებითი მოვლენაა. შეიძლება მოგწონდეს ან არ მოგწონდეს, მაგრამ მშენებლობის ხარისხი, ახალი მასალების და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება ზრდის არქიტექტურულ კულტურას.

**ერთი თანამედროვე ურბანისტი ამბობს, რომ მკაცრი რეგულაციები აფერხებს ქა-**

**ლაქის განვითარებას და ახშობს ლოკალურ ინოვაციურ პროცესებს. ის ფიქრობს, რომ მაქსიმალური თავისუფლება, ქაოსი ქმნის სწორედ უნიკალურ ურბანულ ნიმუშებს, რომ კაპიტალიზმი მაინც ჰომოგენურ სისტემაზე დგას. რადიკალური ურბანისტი-თვის კი მთავარი დისონანსების შექმნაა. თუ სიმჭიდროვე და მრავალფეროვნება ბაღებს სიცოცხლეს, ის სიცოცხლე უწესრიგობით, დისონანსით იკვებება. ის ამბობს, რომ ხალხს სისტემაზე უკეთ შეუძლია სიასხეების ათვისება და ცვლილებებთან ადაპტირება, თუ ეს ცვლილებები ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება. როდესაც მაღალია მონაწილეობის მომენტი, მეტია პასუხისმგებლობაც. როგორ შეიძლება სივრცითი მოწყობის რეგულირება ისე, რომ თან ბუნებრივ განვითარებას არ შეუშალოს ხელი, ამავე დროს კი, ურბანული პროცესები ისე მართო, რომ ქაოსში არ გადაიზარდოს?**

სტიქიური განვითარება მართლაც ბაღებს ორიგინალურ და განუმეორებელ ფორმებს, რომელიც ქმნის ეგზოტიკას და ინდივიდუალურ სახეს აძლევს ამა თუ იმ დასახლებას. როცა ყველაფერი მშრალად და ხისტად არის განერილი, იქ არანაირი იმპროვიზაცია აღარ არსებობს და ყველაფერი ერთმანეთს ემსგავსება. ეს სენი ჰქონდა საბჭოთა ეპოქის ქალაქებს. ახალი უბნები ტყუპებით ჰგავდა ერთმანეთს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში. მაგრამ ეს ქაოსიც უნდა იყოს მართვადი. საქართველოს კონსტიტუციაში წერია, რომ ქვეყნის სივრცითი მოწყობის კონცეფცია გვექნება მაშინ, როცა დავიზრუნებთ აფხაზეთს და სამაჩაბლოს. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა დღესაც ვითარდება სტიქიური ურბანული კანონებით, რომლის

კონტროლიც უბრალოდ შეუძლებელია. არ არსებობს არანაირი გენერალური განვითარების გეგმა, არც სატრანსპორტო, არც ეკოლოგიური, ცხადია – არც ურბანული. გადანყვეტილებები მიიღება ვოლუნტარისტულად, იმპულსურად. შესაბამისად, ეს გადანყვეტილებები ვულგარულია და ვერ ჭრის ქალაქის პრობლემებს.

აუცილებელია განისაზღვროს, ქალაქური სისტემის რა ელემენტებს შეუძლიათ საკუთარი სტიქიური ბუნებით შექმნან რაღაც განუმეორებელი ფორმები და რა არის უმართავი, რომ არ მოხდეს ურბანული კატასტროფა. სამწუხაროდ, ეს ჩვენ არ ვიცით. ასეთი ურბანული მოდელი ძალიან დახვეწილი საზოგადოების ხვედრია, რადგან ეს არის ქალაქის მართვის ხელოვნება. ჩვენი ქალაქის ადმინისტრაცია მხოლოდ მსხვილი ქალაქმშენებლობითი აქციების „გაპიარებით“ ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, რომ ქალაქი იმართება. სინამდვილეში, ეს ასე არ არის.

**როგორია თანამედროვე ქართული ურბანული გარემო? ის არქიტექტურა, რომელიც იქმნება, ახალი, ორიგინალური ფორმებია, თუ უკვე არსებულის გამეორება?**

ჩვენთან შემოდის ურბანული სუბკულტურის ყველაზე სტანდარტული და შაბლონური ნიმუშები. რკინა-ბეტონის კარკასი, შემოსილი მინის გარეკანით, რომელიც თითქოს ტოვებს სიმუშუპის შთაბეჭდილებას, ირეკლავს გარემოს და არის ულტრათანამედროვე. ეს ეტაპი დასავლეთმა გასული საუკუნის 60-იან წლებში გაიარა. ჩვენთან ეს არა სტილი, არამედ ახალი ტექნოლოგიაა. ძალიან გვიან შემოაღწია მან ქვეყანაში. ზოგადად სტილი არ მომწონს, რადგან ჩემთვის ეს არის ამერიკული არქიტექტურა გადახარშული წინააზიური გონებით და გემოვნებით, რომელიც დღეს მხოლოდ თანამედროვე არქიტექტურის იმიტაციას აკეთებს.

**დღევანდელმა ხელისუფლებამ თუ იცის სივრცითი მოწყობის პოლიტიკური მნიშვნელობა?**

ნებისმიერი ხელისუფლების განუყოფელი თვისებაა, ხელი შეუშალოს ყველა ქვემოდან მომავალ ყველა ინიციატივას. როგორც კი მოსახლეობა თვითონ იკისრებს ამ ფუნქციას, ხელისუფლება იძულებული იქნება, დაემორჩილოს ამ წესრიგს.

**არსებობს საზოგადოებაში ქალაქის მართვაში მონაწილეობის მოთხოვნა?**

სამწუხაროდ არა. თუ გვინდა, რომ ძველი თბილისის სისტემა აღვადგინოთ და გვინდა, ქალაქს ჰქონდეს ჯანსაღი ცხოვრება, საბჭოთა პერიოდის მავნე პრაქტიკა უნდა დავვიწყოთ. ქალაქის რეალური მართვა იწყება ქვემოდან, თვითმმართველობიდან, უბნების დონეზე. ხალხმა თვითონ უნდა აირჩიოს მმართველები და ამ თვითმმართველობებს ჰქონდეს დამოუკიდებელი ფინანსები, რომელსაც განკარგავს მოსახლეობა. ხალხმა ყველაზე კარგად იცის, რა სჭირდება უბანს, საით უნდა მიმართონ ეს თანხები – გზებზე, კომუნიკაციებზე, სახურავებზე თუ ფასადებზე. ეს არ უნდა იყოს მერიის გადასაწყვეტი. დღეს ყველა პრობლემაზე ერთი კაცი ზრუნავს.

მერიაში ჩინოვნიკის ერთადერთი ინტერესია, უპატაკოს ხელმძღვანელობას, რამდენი ლიფტი შეაკეთა, ვთქვათ, გლდანში. ამ დროს, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესია, მოაწესრიგოს ის გარემო, სადაც ცხოვრობს. რადგან კარგად მოვლილ ტერიტორიაზე იზრდება მათი საკუთრების ღირებულება. დემოკრატიის დონე საზოგადოებაში მით უფრო მაღალია, რაც უფრო მაღალია ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობა ცენტრისგან. და ეს დამოუკიდებლობა პირველ რიგში ფინანსური უნდა იყოს. მერია უნდა ზრუნავდეს ზოგად საქალაქო პრობლემებზე – ნყალმომარაგება, ენერჯის სტემაზე, დასუფთავება და ა.შ. დანარჩენს უნდა წყვეტდეს ადგილობრივი ორგანო. მართვის დეცენტრალიზაციით შესაძლებელი

გახდება, უმართავი ურბანული პროცესები გარკვეულ ლოგიკურ ჩარჩოში მოექცეს. როდესაც დღეს მთავრობას მოუწდება და გზას გააკეთებს, ხვალ მოუწდება და ბათუმის რეაბილიტაციას წამოიწყებს, მერე სილნალს გაალამაზებს, მერე აბასთუმანში წავა. ზეგ სად წავა, არავინ იცის. ხელისუფლება აბსოლუტურად უმართავია და ამით, ცხადია, იგებს. ეს პროცესი დამოკიდებულია ვოლუტარისტულ გადაწყვეტილებებზე და არანაირ გეგმას არ მიჰყვება. ამიტომ, ბუნებრივია, ხელისუფლებას ხელს არ აძლევს ამ სფეროს მოწესრიგება. ეს პროცესი ქვემოდან უნდა დაიწყოს და მოსახლეობამ თავად უნდა იზრუნოს საკუთარ გარემოზე. ხელისუფლება ამას არასდროს გააკეთებს. მთავრობას აწყობს ეს თამაშის წესები.



<<< **ლასანყისი გვ. 56**

ბადრის საიდუმლოებები ჰქონია; იმდენი საიდუმლოება ერთად, რომ სრულიად შესაძლებელი იყო, თავისი ანდერძის დასამალი მიზეზებიც ჰქონოდა, როგორც ამას ზელცერისა და კეის ბანაკში ამტკიცებენ. მათივე მტკიცებით, ბადრიმ გარდაცვალებამდე სამი თვით ადრე მოაწერა ანდერძს ხელი, 2007 წლის 14 ნოემბერს, ნიუ იორკში, პირდაპირ ქუჩაში გარეგანათების შუქზე. ეს მაშინ მოხდა, როდესაც ფრანკლინის ქუჩის კუთხეში მდებარე რესტორან Nobu Next Door-ში მეგობრებთან ერთად სადილობდა და სუფრა სულ რამდენიმე წუთით დატოვა, ვითომდა ჰაერზე გამოსასვლელად და სიგარეტის მოსანწევად.

**ორი მამაკაცის ღილი მეგობრობა**

63 წლის ბორის ბერეზოვსკიმ ბოლოს თავისი მეგობარი გარდაცვალებამდე 4 საათით ადრე ნახა. დღე ერთად გაატარეს. ბადრის ადვოკატის, ბრიტანეთის ყოფილი გენერალური პროკურორის, ლორდ პიტერ გოლდსმიტის ოფისში შეხვედრას შეხვედრაზე მართავდნენ. საღამოს შვიდ საათამდე ერთად მოლხენაც

**მემკვიდრეობა**

მოსწრეს, შემდეგ კი დაიშალნენ და სარეიში თავ-თავიანთ სახლებში წავიდნენ, ბადრი 600 ათას დოლარად შეფასებული „მეიბახით“ შინ მძღოლმა წაიყვანა, ბერეზოვსკი კი ევკამში 40 მილიონ დოლარად შეფასებულ მამულში გაემგზავრა. მას ლამის ორ საათზე დაურეკეს. ბერეზოვსკი ბადრის მამულისკენ დაუყოვნებლივ გაემართა, მაგრამ როდესაც მიადგინა, პოლიციას სახლისკენ მისასვლელი გზა უკვე გადაეკეტა და აღარ შეუშვეს. ლამის სამ სათზე მან ლორდ ტიმ ბელს დაურეკა, პიარის გურუსა და მარგარეტ ტეტჩერის საარჩევნო კამპანიის ყოფილ მრჩეველს და აცნობა, რომ ბადრი მოკვდა. როცა ამ სიტყვებს ამბობდა, ბერეზოვსკი ტირიდა.

17 წლის განმავლობაში დღე არ გავიდოდა ისე, რომ მათ ერთმანეთი არ მოეკითხათ. „ძმებივით იყვნენ“, – ამბობს მარტინ პომპადური, რომელიც ორივეს ათ წელზე მეტია, იცნობს. ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებოდნენ. ბერეზოვსკი – დაბალი, შავი თვალებით, რადიაციული ენერგიით – ინტელექტუალი იყო. ბადრი – დიდი და თეთრთმეხა, სქელი, სტალინის სტილის უღვაშით – „ნელი და ფრთხილი“, ყოველთვის მშვიდი და პრაგმატული კაცი, განვითარებული ინტუიციით. მაგრამ ისე ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, – ამბობს ბერეზოვსკის ერთი მეგობარი, – „საყვარლები გეგონებოდა“.

მიუხედავად იმისა, რომ ბერეზოვსკის უზარმაზარი ოჯახი ჰყავდა – ცოლი, დიდი ხნის საყვარელი, ყოფილი ცოლი და ექვსი შვილი – „მისთვის ბადრიზე უფრო ახლო არავინ არსებობდა, თუ არ ჩავთვლით დედამისს“. „ერთმანეთს დღეში 5-6-ჯერ ურეკავდნენ, თითოეულ წვრილმანს ათანხმებდნენ, – იხსენებს ინა, – ეს იყო ორი მამაკაცის გულითადი მეგობრობა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით“.

ერთმანეთი 1987 წელს გაიცნეს, საბჭოთა კავშირისთვის საშინელ პერიოდში. ხელფასიდან ხელფასამდე თავის გატანით ცხოვრობდნენ. მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი ბერეზოვსკი

მოსკოვში, კონტროლის მეცნიერებათა პრესტიჟულ ინსტიტუტში მუშაობდა. ბადრი საინჟინრო ფაკულტეტზე სწავლობდა და თბილისის საბჭოთა საავტომობილო ქარხანა „ავტოვაზში“ მუშაობდა. 1989 წელს ბერეზოვსკიმ და მისმა სამმა მეგობარმა გადანახული თანხა შეაგროვეს და 12 ათასი დოლარით კომპანია „ლოგოვაზი“ დააფუძნეს – ფირმა, რომელიც ბერეზოვსკის ბიზნესიმპერიის საძირკველი გახდა. „ლოგოვაზმა“ პირველი დიდი მოგება დასავლეთ გერმანიიდან ნახმარი ავტომობილების შემოყვანით მოიტანა, რაც მაშინ საკმაოდ სარფიან საქმედ ითვლებოდა. უკვე 1993 წელს კი, „ლოგოვაზში“ ბადრის მისვლიდან ორი წლის თავზე, ჩახლართული ფინანსური მანევრების შედეგად ბერეზოვსკი და პატარკაციშვილი „ავტოვაზსაც“ დაეპატრონენ.

შემდეგი შვიდი წლის განმავლობაში, მთავრობის მიერ გამოცხადებული პრივატიზაციის პერიოდში, აუქციონების საშუალებით, ორმა მეგობარმა მოიპოვა კონტროლი უამრავ სახელმწიფო კომპანიაზე. მათ შორის იყო: ნაციონალური ავიახაზები „აეროფლოტი“, რუსეთის წამყვანი სატელევიზიო არხი „ოერტე“ და საგამომცემლო სახლი „კომერსანტი“.

რომან აბრამოვიჩთან ერთად ისინი დაეპატრონენ ნავთობისა და გაზის კომპანია „სიბნეფტსა“ და რუსეთის ალუმინის ინდუსტრიის უდიდეს ნაწილს. ბოლოს კი ეს საქმეები გააერთიანეს ერთ კომპანიაში სახელად „რუსალი“. ათი წლის განმავლობაში ბერეზოვსკი და ბადრი, რამდენიმე სხვა ოლიგარქთან ერთად, როგორებიც იყვნენ აბრამოვიჩი და მიხეილ ხოდორკოვსკი, რამდენიმეჯერ მილიარდები გახდნენ. კაპიკებად ჩაიგდეს ხელში კომპანიები. ზუსტად ასე მოხდა „სიბნეფტის“ შემთხვევაშიც. ეს კომპანია ბერეზოვსკიმ, აბრამოვიჩმა და ბადრიმ „შეიძინეს“ სულ რაღაც 100 მილიონ დოლარად მთავრობის მიერ გამოცხადებულ აუქციონზე 1995 წელს. როდესაც ორი წლის შემდეგ ღია ბაზარზე „სიბნეფტი“ თავიდან შეაფასეს, აღმოჩნდა, რომ მისი ფასი 5 მილიარდი დოლარი იყო.

უდავო იყო, რომ ბიზნესმენები ერთ აუნერელ სიმდიდრეს ელვის სისწრაფით აგროვებდნენ იმ დროს, როდესაც ეკონომიკა ინგრეოდა, საზოგადოების ნაწილი კი შიმშილის პირას იყო მისული. კრიტიკოსთა დიდი ნაწილისთვის ისინი იყვნენ „ბანდიტი კაპიტალისტები“, რუსი ხალხის ხარჯზე გამდიდრებული „კლუპტოკრატები“, მაგრამ საბოლოოდ, დიდი პოლიტიკური ძალაუფლების გამო, მათ მაინც ტერმინი „ოლიგარქი“ შერჩათ.

ბორის ელცინის პრეზიდენტობის წლებში ოლიგარქები ისე იქცეოდნენ, როგორც ვირტუალური, ჩრდილოვანი მთავრობა. მათი ლიდერი ბერეზოვსკი იყო – ქარიზმული, პოლიტიკურ თამაშებში განვრთნილი და ცბიერი, სხვების გადაბირებისა და შავბნელი ინტრიგების მოწყობის დიდოსტატი, რომელიც დასწრულ და სმას-გადაყოლილ რუსეთის პრეზიდენტისა და მისი კორუპტირებული ვინრო წრის ფინანსურ და პოლიტიკურ სვენგალად იქცა. რასაკვირველია, სწორედ ბერეზოვსკის მაქინაციების დამსახურება იყო, რომ კრიზისის პირას მყოფი პრეზიდენტი 1996 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ყველასათვის მოულოდნელად მაინც პოსტზე დარჩა.

რუსი ოლიგარქების აღზევების ქრონიკებში ბადრი იშვიათად ფიგურირებს. და როცა კი მისი სახელი სადმე წამოტივტივდება, ბადრი მოხსენიებულია მხოლოდ, როგორც ბერეზოვსკის რიგითი პარტნიორი, რომლის მოვალეობა იყო ადრეულ 1990-იანებში კრიმინალურ ბანდებთან ურთიერთობის გარკვევა. სხვათა შორის, სწორედ ამ კრიმინალურ ბანდებს უკავშირდება 1994 წელს იმ ბომბის აფეთქებაც, რომელმაც მძღოლს თავი მოგლიჯა, ბერეზოვსკი კი საავადმყოფოში ორი კვირის განმავლობაში იშუშებდა ჭრილობებს.

თუმცა, როგორც ბერეზოვსკი ჰყვება, 1995 წლიდან სიტუაცია შეიცვალა. როგორც კი მან თითქმის მთელი თავისი ყურადღება პოლიტიკისკენ მიმართა, ბადრი არა მხოლოდ მისი თანასწორუფლებიანი პარტნიორი გახდა, არამედ მათი ბი-



ზნესიმპერიის განკარგვაც დაიწყო. ბერეზოვსკი სტრატეგიულ საკითხებს აგვარებდა – ადგენდა ბიზნესის გაფართოების გეგმებს და მუშაობდა პოლიტიკური მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ბადრი კი აგვარებდა ყველაფერ დანარჩენს. ის აწარმოებდა ფინანსურ მოლაპარაკებებს, ზრდიდა შემოსავლებს, აწესრიგებდა ჰოლდინგის სტრუქტურას.

რა თქმა უნდა, ბადრი იყო ის კაცი, რომელმაც პოლიტიკური გარანტიებითა და პროტექციით უზრუნველყო აბრამოვიჩის შესვლა რუსული ალუმინის ინდუსტრიაში. აბრამოვიჩის სასამართლო დოკუმენტების მიხედვით, რომელთა ნაწყვეტებიც „ლონდონ თაიმსში“ გამოქვეყნდა, ბადრიმ ეს საქმე მილიარდობით დოლარის საფასურად გააკეთა. ეს თანხა აბრამოვიჩმა ბერეზოვსკისა და ბადრის გადაუხადა.

2001 წელს ბადრი აბრამოვიჩის სენტ-მორიცის აეროპორტში დახვდა და ბერეზოვსკისთვის 1.3 მილიარდი დოლარის გადახდა მოსთხოვა. ეს თანხა დღეს ყველაზე აშკარად გამოხატულმა ოლიგარქმა და ბრიტანული საფეხბურთო კლუბის „ჩელსის“ მფლობელმა მაშინვე გადაიხადა; აგრეთვე გადაიხადა 585 მილიონი დოლარი, რომელიც ბადრიმ მას იმის სანაცვლოდ მოსთხოვა, რომ ურთიერთობას ერთმანეთთან საბოლოოდ განწყვეტდნენ. „ფრთხილი და გამჭრიახი გონების მქონე ბადრი მუდამ ჩრდილში იდგა, საზოგადოებაში გამოსაჩენად წინ ყოველთვის ბორისს უშვებდა, მაგრამ ბორისს ზურგს ყველა სიტუაციაში უმაგრებდა“, – ამბობს მარტინ პომპადური.

„ის ჩემთვის იყო მამაც, ძმაც და ვაჟიც – სამივე ერთდროულად“, – იხსენებს ბერეზოვსკი მეიფეარის ერთ-ერთი ოფისის დარბაზში ჩანერილ ინტერვიუში. „ჩვენ იდეალური კომბინაცია გვქონდა. პირველ რიგში, ერთმანეთის ნდობას ვგულისხმობ“, – განაგრძობს საუბარს და წამით ჩერდება, „პარლამენტი 100“-ის ღერს რომ მოუკიდოს – ზუსტად იმავე სიგარეტს, რომელსაც ბადრი ეწეოდა. „კონფლიქტი არასდროს მოგვსვლია.

არც ერთხელ. ზუსტად ვიცი, ხანდახან რალაცაში ვცდებოდი და ცდებოდა ისიც. მაგრამ მის შეცდომებს ვიღებდი ისე, როგორც საკუთარს, ის კი ჩემს შეცდომებს იღებდა საკუთარივით. საოცარი გული ჰქონდა. მე ძალიან – როგორ გითხრათ – ექსტრემალური ვარ. უამრავი მტერი მყავს, უამრავი მეგობარიც. მაგრამ ბადრი ყველას უმეგობრდებოდა, ჩემ მტრებსაც კი. საკმარისი იყო ბადრის გაცნობა და ის მათ მაშინვე განაიარალებდა. მის წინააღმდეგ ბრძოლაზე უარს ამბობდნენ“.

დღეს მტრებს შორის ყველაზე სერიოზული მტერი აბრამოვიჩია, რომელსაც ბერეზოვსკი ლონდონის სასამართლოში უჩივის და მისგან 4.3 მილიარდ დოლარს ითხოვს. საშინლად დაძაბულ ორთაბრძოლაში, რომელიც საჯაროდ მიმდინარეობს (დაცვის ბიჭებთან ერთად ბერეზოვსკიმ ფერნანსულ აბრამოვიჩს თვითონ გადასცა დოკუმენტები სლოუნ სტრიტზე, ჰერმესის ბუტიკში), ბერეზოვსკი ამტკიცებს, რომ 2001 წელს პუტინმა ის და ბადრი აიძულა, საბაზრო ფასზე გაცილებით იაფად მიეყიდათ აბრამოვიჩისთვის საკუთარი წილები „სიბნეფტსა“ და „რუსალში“, ასევე „ოერტეში“. აბრამოვიჩი კი ბრალდებას უარყოფს. სარჩელი ბერეზოვსკიმ მარტომ აღძრა, მას ბადრი არ შეერთებია, მაგრამ დათანხმდა, ბერეზოვსკის მოწმედ დადგომოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ბერეზოვსკიმ, ბადრის სახით, მთავარი მოწმე დაკარგა.

მაგრამ დაკარგა უფრო მეტიც. ერთ-ერთი მეგობრის თქმით, ბადრის სიკვდილმა ბერეზოვსკის ცხოვრება „ჯოჯოხეთად უქცია“. „ბადრი ზრუნავდა ბორისის ცხოვრებაზე. და წარმოიდგინეთ – კვდება ადამიანი, რომელზეც გეგონა, რომ შენს ცხოვრებაში თითოეულ წვრილმანს აგვარებდა, მაგრამ აღმოჩნდება, რომ თურმე არც არაფერი მოუგვარებია“.

ბერეზოვსკი ამბობს, რომ ის გაოგნებული იყო „სრული ქაოსითა“ და აწვნილი საქმეებით, რაც ბადრიმ დატოვა. ბერეზოვსკის მტკიცებით, მათ ყველაფერი, მთელი ქონება ორად გაიყვეს – სახლების, მანქანების, თვითმფრინავებისა და იახტების გამოკლებით. გაიყვეს თანაბრად, 50/50-ზე. მაგრამ ერთმანეთის მიმართ აბსოლუტური ნდობის გამო ეს შეთანხმება ფურცელზე არასდროს გაუფორმებიათ. „არ ვაქცევდი ყურადღებას, რამდენი ფული გვქონდა ერთად, სად გვქონდა ფული გადანაწილებული, ანდა როგორ აწესრიგებდა ბადრი კონტრაქტებს. ამ საქმეების შესახებ მე არაფერი ვიცოდი, – აგრძელებს ბერეზოვსკი და ბრაზისგან ხმას უწევს, – და არასდროს ვიცოდი, რომ ასეთი ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ჯოზეფ კეისთან და რომ მას ასე ძალიან ენდობოდა“.

**ბაქსეული ბრუნდება**

ბადრის ურთიერთობა ჯოზეფ კეისთან გამოცანად რჩება თითქმის ყველასთვის. მათი დედები ნახევარდები იყვნენ და ბავშვობის ნაწილიც თბილისში ერთად ჰქონდათ გატარებული. კეი, რომლის ახალგაზრდობის სახელია იოსებ კაკიაშვილი, ოჯახთან ერთად შტატებში 1970-იანი წლების შუახანებში გადასახლდა და ნიუ იორკში დაბინავდა, სადაც 1991 წლამდე ცხოვრობდა კიდევ, ვიდრე ბადრისთან ხელახლა არ გააბა კონტაქტი.

უკვე ერთ წელიწადში კეიმ „ოერტეში“, მოსკოვში ბადრისთან დაიწყო მუშაობა. მალე მან კომპანია დატოვა, მაგრამ ბადრის მრჩეველის პოსტი მაინც შეინარჩუნა. ხალხი ამ გადწყვეტილებამ გააოცა. ეჭვგარეშე იყო, მათ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ – კეი ყველასთან აღნიშნავდა, რომ აღმერთებდა ბადრის, სამაგიეროდ ბადრის წრეში არ მოსწონდათ ის. „ძალიან უსიამოვნო კაცი იყო“, – იხსენებს ვლადიმერ ვორონოვი. ერთხელ კოლეგებმა ჰკითხეს, თუ რატომ ენდობოდა კეის ასე. „ბორისიც მის წინააღმდეგ იყო, ყველა მის წინააღმდეგ იყო განწყობილი“, – იხსენებს მეორე მეგობარი, მაგრამ „ბადრიმ მათ უპასუხა, – ბიჭებო, შემეშვით, ჩემი მიზეზები მაქვს“.

ამ მიზეზების შესახებ დანამდვილებით არავინ არაფერი იცის, მაგრამ არის ერთი თეორია, რომელიც ბადრის ყოფილ პარტნიორს ეკუთვნის – ბადრის პრობლემები ჰქონდა

## ბაზრქმობა

და კეიზე თანდათან დამოკიდებული ამიტომ გახდა.

2000 წლის შუა პერიოდამდე, ექვსი თვით ადრე, ვიდრე სწორედ ბადრის და ბერეზოვსკის დახმარებით გაპრეზიდენტდებოდა, პუტინმა ოლიგარქებისთვის მოიცალა და სასტიკად გააფრთხილა ისინი, პოლიტიკისგან შორს დაეჭირათ თავი. ბერეზოვსკიმ გაფრთხილება არადა ჩააგდო. მალე ის და პუტინი მოსისხლე მტრებად იქცნენ. 2000 წლის მიწურულს ბერეზოვსკი ბადრისთან ერთად რუსეთიდან გაიქცა. თვითონ ინგლისში დასახლდა, სადაც 2003 წელს მიიღო კიდევ პოლიტიკური თავშესაფარი. ბადრი საქართველოში დაბრუნდა.

შემდეგ ამბავი ისე გაგრძელდა, როგორც ლე კარის რომანშია: რუსული დაზვერვის სამსახურებმა ბადრის და ბერეზოვსკის ბიზნესებს შეუტყეს, გადაუჭრეს დაფინანსების წყაროები, გააქციეს ინვესტორები. საკუთარი ქონების გადასარჩენად, რომელსაც ოლიგარქები წლების განმავლობაში ისედაც ოფშორული ფიქტიური კომპანიების დახმარებით იცავდნენ, ბადრის ახალ-ახალი მინდობილობებით ნამდვილი რუბიკის კუბიკის აწყობა დაიწყო. მხოლოდ ასე თუ გადამაღავდნენ საკუთარ ქონებას. მან დაიწყო საკუთრების სხვა ადამიანების სახელზე გაფორმება, მათ შორის იყო კეი. 2001 წელს, როდესაც რუსეთის მთავრობის გავლენით რამდენიმე დასავლურმა ბანკმა თქვა უარი ბადრის ფულის მიღებაზე, მან დაიწყო ასობით მილიონი დოლარის გადატანა საბანკო ანგარიშებზე, რომლებიც კეის სახელზე იყო. დროთა განმავლობაში, როგორც ინას სასამართლოს დოკუმენტებში წერია, კეი დაეპატრონა არა მხოლოდ ფიშერის კუნძულს, არამედ ნიუ იორკის მეგარესტორან „ბუდა ბარსაც“, მის სახელზე გაფორმდა დასასვენებელი კომპლექსები ესპანეთსა და მაროკოში. ახლა, როდესაც პატარკაცივილის ერთ-ერთი მრჩეველი ამ ამბებს იხსენებს, ბადრის შეცდომად უთვლის, რომ „ეგონა, ჯოზეფის გაკონტროლება იოლი იყო“.

დაუნსაიდ მანოროში, ერთ მზიან

შუადღეს უკანა ტერასაზე ჩანერილ ინტერვიუში ინა ქალიშვილების – ლიანასა და იას, სამი შვილიშვილის და სიძის თანდასწრებით ამბობს, რომ ბადრის სიცოცხლეში კეის დიდ ყურადღებას არ აქცევდა. ზელცერს კი მეუღლის დაკრძალვამდე მხოლოდ ერთხელ შეხვდა.

ბერეზოვსკი კი აცხადებს, რომ ზელცერი ერთი შეხედვისთანავე იცნო. ისინი ერთმანეთს პირველად ნიუ იორკში, 1994 წელს შეხვდნენ. მაშინ ბერეზოვსკი ზელცერის დაქირავებაზეც კი ფიქრობდა, მაგრამ ამბობს, რომ მისი კანდიდატურა არ მოენონა და გადაიფიქრა. თავისი აზრი ზელცერის შესახებ არც ბადრისთვის დაუმალავს, როცა ის დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, ამერიკაში მცხოვრებ რუსულენოვან ადვოკატს ეძებდა. ბერეზოვსკის ახლა სჯერა, რომ ბადრის ზელცერი მაშინ მასთან შეუთანხმებლად დაიქირავა.

ზელცერი საბჭოთა კავშირში დაიბადა და გაიზარდა. შტატებში 21 წლისა გადავიდა, 1974 წელს. სამსახურს სამსახურზე იცვლიდა, ერთი პირობა ჯულიარდის სკოლაში სწავლობდა, ვიდრე 1990 წელს ნიუ იორკში ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩააბარა. თუმცა, მის შესახებ დღემდე დადის ჭორები, რომ საუნივერსიტეტო დიპლომი იურისპრუდენციაში საბჭოთა კავშირში არ მიუღია, როგორც ამას თვითონ ამტკიცებდა.

როცა ბერეზოვსკის პირველად შეხვდა, ზელცერი თავის ყოფილ კლიენტს, რუსულ ბანკ „ინკომბანკს“ სასამართლოში ურჩევდა საქმეს. სასამართლო დოკუმენტების მიხედვით, ზელცერმა ბანკის ოფშორული ანგარიშებიდან 2 მილიონი დოლარი მოხსნა და ნაწილი თავისი ყოფილი მეუღლის, ანას მიერ კონტროლირებად ანგარიშებზე, ნაწილი კი თავისი ბიზნეს-პარტნიორის, პროკურორ ალექსანდრ ფიშკინის ანგარიშებზე გადაიტანა. ზელცერი უარყოფდა, რომ ფული „ინკომბანკს“ მოჰპარა, კლიენტს თვითონ უჩივლა და ის იქით დაადანაშაულა მენილეებისა და დეპოზიტორების თანხების მითვი-

სებაში. პროცესი წარმატებით დასრულდა – „ინკომბანკი“ 1998 წელს სულ დაიხურა.

მომდევნო წელს ზელცერმა შტატებში გარკვეული ავტორიტეტი მოიპოვა იმ როლის გამო, რაც მან Bank of New York-ის თავს გადახდენილ რუსული ფულის გათეთრების სკანდალში შეასრულა. ამერიკულმა მედიამ მაშინ ზელცერს შეუქმნა ფულის გათეთრების ტექნიკისა და რუსული მაფიის ექსპერტის იმიჯი. მედიამ ზელცერი დახატა, როგორც ახალ რუსეთში კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი სამართლიანი იურისტი. მას ჩვენების მიცემა კონგრესის წინაშეც მოუხდა. ამიტომ პრესისთვის მთავარ საინფორმაციო წყაროდ იქცა. თუმცა, პოპულარობამ დიდხანს არ გასტანა. 2000 წელს „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ის მნიშვნელოვანი დოკუმენტების გაყალბებაში დაადანაშაულეს და ზელცერის ვარსკვლავიც ნელ-ნელა ჩაქრა.

როდის გაიცნო ჯოზეფ კეიმ ზელცერი, უცნობია, მაგრამ 2004 წლის ბოლოს ზელცერმა და ალექს ფიშკინმა დელაუერში დაარეგისტრირეს კომპანია სახელად JWL Entertainment Group. როგორც პატარკაცივილის სადავო ანდერძში წერია, ეს იყო ჯოზეფ კეის კომპანია, რომელსაც ბადრის მთელი ქონება უნდა გაეკონტროლებინა. სავარაუდოა, რომ ბადრის ეს წინასწარ იცოდა, ამიტომ ხსენებული კომპანია არასდროს უხსენებია თავის უახლოეს ბიზნეს-მრჩეველებთანაც კი.

ორი წლის შემდეგ, როგორც ფიშკინი ჰყვება, ანუ 2006 წლის 14 დეკემბერს, ნიუ იორკის სასტუმროში Mandarin Oriental ბადრის ხელი მოაწერა მინდობილობის წერილსაც, რითაც ზელცერი აღჭურვა სრული უფლებით, ეკონტროლებინა პატარკაცივილის საქმეები მისი სიკვდილის შემდეგაც კი. ამ უფლებას ბადრი ოფიციალურად ანიჭებდა მაინცდამაინც ზელცერს, როცა პარალელურად დაქირავებული ჰყავდა უმაღლესი კლასის ამერიკელი და ინგლისელი იურისტები. დოკუმენტი ნოტარიულად ფიშკინმა დაამოწმა,

რომელმაც 11 თვის შემდეგ ნოტარიულად გააფორმა უკვე მისი ანდერძი. მან ისევე, როგორც ემანუელ ზელცერმა და ჯოზეფ კეიმ ამ პუბლიკაციისთვის კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადეს.

2006 წლის ბოლოს, რუსეთიდან გამოქცევის ხუთი წლის თავზე ბადრი საქართველოში დიდი გავლენისა და ძალაუფლების მქონე საქმოსანი გახდა. მან დააფინანსა 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“, რომელმაც მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტობა გაუწია. იმავე წელს, ვიდრე სააკაშვილით განიხილებოდა და დაასკვნიდა, რომ მისი მართვის სტილი სულ უფრო მეტად ავტორიტარული ხდებოდა, ბადრიმ დააფუძნა ტელეკომპანია „იმედი“, რომელიც გახდა მთავრობისგან დამოუკიდებელი ერთადერთი ახალი ამბების მაუწყებელი კომპანია. მან ნელ-ნელა დაიწყო პუტინთან ურთიერთობის აღდგენა და არხების გაკვალვა დასავლეთშიც, რის გამოც, ბინა ინგლისში დაიდო. საკუთარი ბიზნესის პრესტიჟის გაზრდა და ამერიკელი და ევროპელი ინვესტორების მოზიდვაც ძალიან სურდა. ამიტომ ამბობს ერთ-ერთი მისი მრჩეველი დღეს, რომ ბადრი იმხანად „საკუთარი იმიჯის აღდგენით“ იყო დაკავებული.

რჩებოდა მხოლოდ ერთი წინაღობა – ბერეზოვსკი. გაქცევის შემდეგ ბერეზოვსკი პუტინის ყველაზე ხმალომობული კრიტიკოსი გახდა, რის გამოც, არა მხოლოდ პუტინის მტრობა დაიშასხურა, არამედ – გაყალბებისა და ფულის გაფლანგვის ოფიციალური ბრალდებაც, რისთვისაც მასზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა.

ბერეზოვსკის ამ პოლიტიკურ თავგადასავლებს ბადრი ენთუზიაზმის გარეშე, მაგრამ მაინც უძლებდა. 2006 წელს კი, როდესაც ბერეზოვსკიმ რუსებს შეიარაღებული რევოლუციის დაწყებისკენ საჯაროდ მოუწოდა, მისი პრობლემები „ბადრისთვის დიდი ფინანსური დარტყმა იყო“, – ამბობს პატარკაციშვილის ერთ-ერთი მთავარი ბიზნეს-მრჩეველი ირაკლი რუსაძე, რომელიც „სელფორდ კაპი-

ტალის“ დირექტორია, ანუ იმ კომპანიის, რომელიც ბადრის მრავალ ინვესტიციას აკონტროლებდა. „ბერეზოვსკისთან კავშირის გამო, მას ეკონომიკური საქმიანობისთვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეეკრა ხელ-ფეხი. საბანკო ანგარიშებსაც ვერ ხსნიდა. არადა, ბიზნესის კეთება დასავლეთ ევროპაში და კიდევ ბევრ სხვა ადგილას სურდა. მჯერა, რომ ის ამით არ ითრგუნებოდა, ბადრი არ ფიქრობდა. რომ ეს იყო მძიმე ჯვარი, რომელიც მთელი დარჩენილი ცხოვრება უნდა ეტარებინა“.

იმავე წლის თებერვალში, ბადრიმ და ბერეზოვსკიმ საჯაროდ განაცხადეს, რომ ფინანსურად მათი გზები იყრებოდა. გეგმა ასეთი იყო, ბადრი გამოისყიდდა საერთო ბიზნესიდან ბერეზოვსკის წილს და სამი წლის განმავლობაში სისტემატურად გადაუხდიდა მას გარკვეულ თანხას. მიუხედავად ამისა, ბადრის ერთ-ერთი მრჩეველი ვარაუდობს, რომ ამ ნაბიჯით ბადრიმ, შესაძლოა, ბერეზოვსკის „რეაქტიული“ გავლენისგან თავის გათავისუფლება სცადა. თუმცა, ბოლომდე ეს მაინც ვერ შეძლო. ინას თქმით, 2007 წლის შემოდგომაზე სწორედ ბერეზოვსკი იყო ის ადამიანი, ვინც ბადრიზე გავლენა მოახდინა და დაარწმუნა, საპრეზიდენტო არჩევნებში მიეღო მონაწილეობა. არადა, პირადად ინასა და ოჯახის მეგობრების აზრით, ეს გადაწყვეტილება დამლუპველი იყო.

„არ მინდა, გამოვიყენო სიტყვა „ძალდატანება“, – ამბობს ბერეზოვსკისა და ბადრის ერთი საერთო მეგობარი, – მაგრამ ბორისმა უთხრა, „მისმინე, ბადრი, ეს შენი ქვეყანაა. როგორ შეგიძლია უყურო (რა დღეში ჰყავს ჩაგდებული სააკაშვილს) შენი სამშობლო? რაღაც გაგებით, ბორისმა სულ ოდნავ ნააქეზა ბადრი“, – იხსენებს მეგობარი და იმასაც დასძენს, რომ ბერეზოვსკისთვის ბადრის გაპრეზიდენტების პერსპექტივა ძალიან „მომხიბვლელი“ იყო. ბერეზოვსკი ახალ დასაყრდენს ეძებდა „რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის“. ბადრიმაც ირწმუნა, რომ ასე სჯობდა. ინა შეეცადა, ქმრის გადა-

წყვეტილებაზე ემოქმედა. „ის ბიზნესმენი იყო, პოლიტიკოსი კი არა, ამისთვის ის ჯერ მზად არ იყო“, – ამბობს ინა.

ბადრი ყოყმანობდა. თან ცდუნებას ვერ უძლებდა, თან ეშინოდა. იმავე სექტემბერში საქართველოს ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, რომ სააკაშვილმა მას ბადრის მოკვლა უბრძანა. სააკაშვილი ამტკიცებდა, რომ მინისტრი ტყუოდა, მაგრამ თვით ბერეზოვსკიც კი – რომელიც დღეს უარყოფს, რომ ბადრი პოლიტიკაში თვითონ შეიტყუა და ამტკიცებს, რომ ეს მისი პირადი გადაწყვეტილება იყო – ამბობს, რომ ბადრის უსაფრთხოება იმხანად მართლაც ძალიან ადარდებდა. ამიტომ მისი დაცვის გაძლიერებაზეც იზრუნა. ერთხანს ბადრის 120 პროფესიონალი იცავდა. მაგრამ 2007 წლის ნოემბერში ბერეზოვსკიმ მეგობარი საქართველოსკენ მაინც გამოისტუმრა. „თუ სამშობლოში არ დაბრუნდებოდა, ყველა იფიქრებდა, რომ ბადრის ეშინია, – ამბობს ბერეზოვსკი, – მას კი წასვლა არ უნდოდა, ამიტომ ვუთხარი, „ბადრი, უნდა წახვიდე. ისიც ადგა, იმიტომ, რომ უკვე გასვლას აპირებდა და მიუთხრა, „ბორის, უჩემოდ რას იზამდი“?

2 ნოემბერს ბადრი თბილისში მრავალრიცხოვანი მომიტინგეების წინაშე გამოვიდა და სიტყვით მიმართა მათ. რომ არა ეს გამოსვლა, მისმა ვიზიტმა საქართველოში შეუმჩნევლად ჩაიარა. თუმცა, მისი წასვლიდან რამდენიმე დღეში, 7 ნოემბერს ქვეყანაში ძალადობითი სავსე ანტისამთავრობო ამბოხი დაიწყო. იმ ღამეს, როდესაც „იმედის“ წამყვანი პირდაპირ ეთერში იჯდა, შენობა პოლიციელებმა აიღეს. ორი დღის შემდეგ საქართველოს გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ ბადრი მთავრობის დამხობის გეგმის შემუშავებაში იყო ეჭვმიტანილი.

**ანდერძი**

ერთი კვირის შემდეგ, როგორც ზელცერი და მისი კოლეგები ამბობენ, ბადრიმ ანდერძს მოაწერა ხელი. არავინ უარყოფს, რომ 14 ნოემბერს ბადრი მართლაც იყო ნიუ იორკში. წასვლა ამერიკაში 14-ში დილას გა-

დანყვიტა. რამდენიმე მრჩეველთან ერთად ლონდონიდან ბერეზოვსკის კუთვნილი Bombardier Global Express თვითმფრინავით ნაშუადღევს გაფრინდა. ბერეზოვსკის თვითმფრინავი იმიტომ აირჩია, რომ ის მისაზე სწრაფი იყო. როგორც ზელცერის 32 წლის მდივანი, ვლადლენა ფანკი ჰყვება, თვითმფრინავის აფრენიდან რამდენიმე წუთში მას ზელცერმა დაურეკა და სთხოვა, ბადრის შეხვედროდა. „ძალიან სწრაფად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ჩანდა. ბადრიმ ემანუელს 14-ში დაურეკა და უთხრა, „მზად ვარ“, – ამბობს ფანკი და დასძენს, რომ ბადრის ზელცერისთვის უკვე ჰქონდა გაგზავნილი ანდერძის რამდენიმე ეგზემპლარი. ფანკი იხსენებს: „ბადრი შეშინებული ჩანდა“. მას თავისი ორი ოჯახის ბედიც ადარებდა. სურდა, „ორივე ცოლი უზრუნველყოფილი დაეტოვებინა“. კეი კი თავისი ანდერძის აღმსრულებლად ნანილობრივ იმიტომაც აირჩია, რომ ეშინოდა, ინა მის მეორე ცოლს მემკვიდრეობიდან არაფერს არგუნებდა. „ეს ყველაფერი ბადრის სურდა ასე. არ უნდოდა, ვინმეს რამე გაეგო“, – ამბობს ფანკი. მისი თქმით, ანდერძს ხელი ბადრიმ ნაჩქარევად მოაწერა. ეს დაახლოებით საღამოს 11 საათზე მოხდა, Nobu Next Door-ში გამართული სადილის პარალელურად. ფანკი ერთ-ერთი ოფიციალურ მოწმეთაგანი იყო. „ბადრი მეგობრულად მექცეოდა. მითხრა, რომ გაეხარდა ჩემი ნახვა და მოგვიბოდიშა, რომ რესტორანში ვერ შეგვიპატიჟებდა“.

როდესაც ბადრის გარდაცვალების დღეებს იხსენებს, ინა ამბობს, რომ ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. 24 საათიც არ იყო გასული, რომ ჯოზეფ კეიმ ბადრის რამდენიმე ფონდიდან 12.8 მილიონი დოლარი მოხსნა. ერთ კვირაში „იმედს“ დაეპატრონა. პარალელურად, საქართველოს ხელისუფლებამ გახსნა არხის გაყინული ანგარიშები და კეისაც „იმედის“ ამოქმედების შანსიც მიეცა. ამასობაში ბერეზოვსკიც გამოჩნდა, რომელიც ინასგან მოითხოვდა, მოეწერა ხელი დოკუმენტებზე და ელიარებინა, რომ ბერეზოვსკი ფლობდა ბა-

დრის ქონების ნახევარს. ჯერ კიდევ შოკში მყოფმა, ხელი დოკუმენტებს მართლაც მოაწერა. იგივე გააკეთეს ბადრის ქალიშვილებმაც. ადვოკატმა ქალაქები მათ პირდაპირ საოჯახო თვითმფრინავის ბორტზე გადასცა, აფრენამდე რამდენიმე წუთით ადრე, როცა დედა და შვილები თბილისში ბადრის დასაკრძალად მიფრინავდნენ.

საჯაროდ გამოცხადებული ფინანსური გაყრიდან ორი წლის შემდეგ ბერეზოვსკი ახლა ამტკიცებდა, რომ „გაყრა“ მხოლოდ ერთგვარი ტრიუკი იყო, რათა როგორმე მას და ბადრის თავიანთი ბიზნესი რუსული სადაზვერვო სამსახურისგან დაეფარათ. ახლა ბერეზოვსკი აცხადებდა, რომ სინამდვილეში არაფერი შეცვლილა, ის და ბადრი ქონების ისევე საერთო მემპატრონეები იყვნენ.

თუმცა, სიმართლის დამტკიცებაში ხელს ორი პრობლემა უშლიდა. პირველი იყო ის, რომ ბადრისთან არასდროს გაუფორმებია კონტრაქტი, ამიტომ დოკუმენტებით საკუთარ სიმართლეს ვერ დაადასტურებდა; მეორე პრობლემა კი ბადრის ანდერძი იყო, რომლის მიხედვითაც, ქონების სრული განმკარგავი ჯოზეფ კეი ხდებოდა, როგორც ანდერძის კანონიერი აღმასრულებელი. ქონების მთავარ ბენეფიციარებად კი ამავე ანდერძში დასახელებულნი იყვნენ ბადრის ორი ცოლი, სამი შვილი და ოჯახის დანარჩენი წევრები – ყველა, ბერეზოვსკის გარდა. თუკი ანდერძი, ანდა როგორც მას ფორმალურად ეძახდნენ, „სურვილების წერილი“ ორიგინალი იყო, გამოდიოდა, რომ ბადრიმ თავის ძველ ბიზნესპარტნიორსა და უახლოეს მეგობარს არაფერი დაუტოვა.

ბერეზოვსკის თავიდანვე სჯეროდა, რომ ანდერძი „გააყალბეს“. მაგრამ თუკი საკუთარ სიმართლეში ოდნავ მაინც ეპარებოდა ეჭვი, ზელცერთან შეხვედრის შემდეგ ეჭვები სულ მთლად გაუქრა. ის ზელცერს მისი დაყინებული და რამდენიმე გზის თხოვნის შემდეგ ბელგარავიაში, სასტუმრო „ჰალკინში“ შეხვდა. ინასა და ბერეზოვსკის სასამართლო ჩვენებების მიხედვით, ზელცერი ბერეზოვსკისთან გარიგების დადებას

შეეცადა. გეგმა ასეთი ჰქონდა: ქონებას სამნი – ბერეზოვსკი, ჯოზეფ კეი და ზელცერი გაიყოფდნენ, ბადრის ოჯახს კი 10-15 პროცენტს დაუტოვებდნენ. ბერეზოვსკი ამბობს, რომ გაცხადებული დარჩა, როცა ზელცერი მოგვიანებით მას და მის იურისტებს ისევე შეხვდა და გარიგების დანერგული ეგზემპლარი მიუტანა. „შუბლის ძაფი ჰქონდა გამწყდარი. არაფრის რცხვენოდა“, – ამბობს ბერეზოვსკი. მაგრამ როგორ შეიძლებოდა მისი შეჩერება? თუ ლეგალურ გზას აირჩევდა, არაფერი გამოვიდოდა, სიტუაცია ისედაც ლაბირინთს ჰგავდა – ბადრი ინგლისში კი ცხოვრობდა, მაგრამ საქართველოს მოქალაქე იყო, რის გამოც მის ქონებაზე საქართველოს იურისდიქცია ვრცელდებოდა. თუკი, დამტკიცდებოდა, რომ მისი ანდერძი მართლაც ყალბი იყო, მაშინ საქმეში შემოდიოდა ამერიკული იურისდიქციის საკითხიც, რადგან ანდერძი მანჰეტენზე გაფორმდა. ბერეზოვსკი ამბობს, „მივხვდი, რომ თუ ამ გზას გავყვებოდი, საქმე წლების განმავლობაში გაინელებოდა“.

**ნაშუალამევს მინსკში**

კონკრეტულად რა დროს დაუკავშირდნენ საჭირო ადამიანებს ბელარუსში ბერეზოვსკის წარმომადგენლები, უცნობია. თუმცა, არსებობს ფოტო, რომელზეც ჩანს მინსკის აეროპორტში დაშვებული ბერეზოვსკის პირადი თვითმფრინავი 2008 წლის 27 თებერვალს – ემანუელ ზელცერისა და ვლადლენა ფანკის გაუჩინარებამდე ორი კვირით ადრე. ბერეზოვსკი ამბობს, რომ მან უბრალოდ აცნობა ბელარუსში თავის ხალხს, რომ მალე მინსკში ჩავიდოდა კაცი, რომელიც შეეცდებოდა, დაემტკიცებინა, რომ „ჩვენი ქონების განკარგვის სრული უფლება“ ჰქონდა.

3 მარტს, ბერეზოვსკის ერთ-ერთმა ადვოკატმა, რომელიც იმავდროულად ინასთვისაც მუშაობდა, ინას სახელით ბელარუსის გენერალურ პროკურორს მისწერა წერილი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ, როგორც ჩანს, ზელცერი და კეი „აპირებენ, განახორციელონ წინასწარ დაგეგ-

მილი მცდელობა და, გაყალბებული დოკუმენტაციის გამოყენებით, მოიპოვონ არაკანონიერი და დაუშვებელი გავლენა პატარკაციშვილის ქონებაზე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში“. პარალელურად, ბერეზოვსკიმ ზელცერს აცნობა, რომ ბადრი ბელარუსში მნიშვნელოვან ქონებას ფლობდა და თუკი ანდერძი მართალი იყო, ზელცერი ბელარუსში უნდა ჩასულიყო და თავისი კლიენტის ქონება იქაც მოეძია.

ფაქტი, რომელზეც არავინ დავობს, გახლავთ ის, რომ 2008 წლის 11 მარტის საღამოს, ბერეზოვსკი ზელცერთან და ფანკთან ერთად საკუთარ ლონდონურ ოფისთან ახლოს, რესტორან Nobu-ში სადილობდა. ფაქტია ისიც, რომ იმავე ღამეს, 1 საათზე ბერეზოვსკის პირადი თვითმფრინავი მინსკში დაფრინდა, ბორტზე კი ზელცერი და ფანკი იმყოფებოდნენ. ისინი დააპატიმრეს და მოგვიანებით ინდუსტრიულ შპიონაჟსა და გაყალბებაში დასდეს ბრალი. დახურულ სასამართლოზე ბრალდება ორივეს დაუმტკიცეს. ზელცერს სამი წლით, ფანკს კი ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ორივენი „კგბ“-ს მიერ კონტროლირებად შრომა-გასწორებით კოლონიაში ჩასვეს. ფანკი შარშან მარტში გაათავისუფლეს, ზელცერს კი პატიმრობის ვადა შეუკვეცეს და 30 ივნისს ისიც გამოუშვეს მას შემდეგ, რაც გავრცელდა ცნობა, რომ ზელცერი ძლიერ ავად იყო და მისი გაათავისუფლების პროცესში ამერიკის მთავრობა ჩაერთო.

ყველა მხარე თანხმდება იმაზეც, რომ ბერეზოვსკიმ ჩვენება მისცა საიდუმლო სასამართლო პროცესზე, რომელიც 2008 წლის აგვისტოში გაიმართა. პროცესს ესწრებოდა ბელარუსის პრეზიდენტის, ალექსანდრ ლუკაშენკოს მთავარი მრჩეველი და ბერეზოვსკის ძველი ნაცნობი. ბერეზოვსკის თქმით, ისიც სიმართლეს შესაბამება, რომ მან ზელცერი ციხეში მოინახულა. „მისი იძულება მინდოდა, იქნებ, როგორმე სიმართლე ეთქვა, – იხსენებს ბერეზოვსკი, – ასე ყველაფერი გაცილებით უფრო გამარტივდებოდა, მაგრამ არაფრით არ ქნა“.

მთელ ამ საქმეში საკითხი, რომელიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, შემდეგია: გაფრინდნენ თუ არა ზელცერი და ფანკი ბელარუსში საკუთარი სურვილით. ზელცერი და ფანკი ამტკიცებენ, რომ ისინი ძალით მიათრიეს ასაფრენ ბილიკამდე და ძალით ჩასვეს თვითმფრინავში – ბრალდება, რომელსაც ბერეზოვსკი უარყოფს. ფანკის ვერსიით კი, ბერეზოვსკისთან სადილის შემდეგ შორიახლო კაფეში ყავის დასალევად შევიდნენ. კაფეს სახელი ფანკს არ ახსოვს, მაგრამ კარგად ახსოვს, როგორ ადგა სუფრიდან ბერეზოვსკი რამდენიმე წუთით და როგორ დაბრუნდა უკან ყავის ორი სასმელით – ერთი ფანკისთვის იყო, მეორე – ზელცერისთვის. „ახლა ვხვდები, რომ შეიძლება Nobu-ში სადილის ბრალიც ყოფილიყო, მაგრამ როგორც კი რამდენიმე ყლუპი კაპუჩინო მოვსვი, უცებ გარშემო ყველაფერი გაბუნდოვანდა. ლაპარაკი სულ უფრო შორიდან ჩამესმოდა, უცნაური ხმები მესმოდა. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს წამი-წამზე გონება უნდა დამეკარგა. შემდეგ აღარაფერი მახსოვს. მახსოვს მხოლოდ, როგორ გავახილე თავი თვითმფრინავში. დარწმუნებული ვარ, რომ რალაც ჩამიყარეს ან კერძში, ან სასმელში, ანდა ყავაში“.

ბერეზოვსკი ამტკიცებს, ფანკის ვერსია სრული სიცრუეაო. ის ამტკიცებს, რომ „ყავა საერთოდ არ ყოფილა“ და რომ ფანკი და ზელცერი ლუტონის აეროპორტისკენ, რომელიც ლონდონიდან 30 მილის მანძილზე მდებარეობს, სადილის დამთავრებისთანავე ნაჩქარევად საკუთარი სურვილით გაემართნენ. ის ადასტურებს იმას, რომ მინსკში ზელცერი და ფანკი მისი თვითმფრინავით ჩავიდნენ, მაგრამ ამტკიცებს, რომ ბორტზე არა ძალდატანების, არამედ საკუთარი სიხარბის გამო სრულიად გააზრებულად ავიდნენ. „როგორ წარმოგიდგენიათ, როგორ გაივლიდნენ პასპორტების შემოწმების პროცესს აეროპორტში? ანდა, როგორ არ მიიქცევდნენ პროფესიონალი პილოტების ყურადღებას? კარგით, რა, გამოფიხილდით“.

უკვე გვიანი საღამოა. თუ არ ჩავთვლით დერეფნის ბოლოს მდგარ ბერეზოვსკის დაცვის ბიჭებს, ოფისში მარტონი ვართ. კიდევ ერთ ღერ „პარლამენტს“ უკიდებს, მერე კი სანთებელას უხეშად აგდებს მაგიდაზე ჩვენ შორის. აშკარად ეტყობა, გაბრაზებულია. მეუბნება, – „მისმინე. რთული ცხოვრება მაქვს. უამრავ ბინძურ ადამიანთან მქონია საქმე, მაგრამ ასეთი რამ არასდროს მინახავს“. ბერეზოვსკი ამბობს, რომ მისი იურისტების მიერ ჩატარებული გამოძიების შემდეგ ის დარწმუნებულია, რომ ბადრის ანდერძი შეითხნეს იმ ადამიანებმა, რომლებიც ძალიან „დახვეწილი მეთოდებით მუშაობენ და რთულია, მათ ტრადიციული ლეგალური საშუალებებით ებრძოლო“.

ანდერძის სიყალბის დადგენას ბერეზოვსკი ახლა ლონდონის სასამართლოში ცდილობს. რა გამოვა ამ საქმიდან, უცნობია, მაგრამ ანდერძის აუთენტურობასთან დაკავშირებით კითხვები მართლა არსებობს. დაეინყოთ იმით, რომ ორიგინალი არავის უნახავს. სასამართლო დოკუმენტაციის მიხედვით, ზელცერმა წარმოადგინა მხოლოდ ანდერძის ასლი, რომელსაც საკუთარ ლეპტოპში ინახავდა. ვლადლენა ფანკი ამბობს, რომ არ არის გამორიცხული, ზელცერს ორიგინალი თან ჰქონოდა, საქალაქში იმ ღამით, როდესაც ორნი ბელარუსში გაიტაცეს. მაგრამ ეს ვერსია ეწინააღმდეგება თავად ზელცერის განცხადებას. დაპატიმრებიდან რამდენიმე ხანში ზელცერმა მინსკში ამერიკის კონსულს უთხრა, რომ ის ციხეში სასტიკად სცემეს და ლონდონის სასტუმროში დაარეკინეს, რათა მის ნომერში დატოვებული ყველა დოკუმენტი ბერეზოვსკისთვის გადაეცათ.

ბუნდოვანებით არიან მოცული მოწმეები, რომლებიც პატარკაციშვილის მიერ ორი დოკუმენტის – ანდერძისა და ე.წ. „აღმასრულებლის საქმიანობის“ – ხელმოწერის პროცესს დაესწრნენ 2007 წლის 14 ნოემბერს. ხელმოწერების გარჩევა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ, როგორც ჩანს, დოკუმენტებს ხელი სამ-

მა სხვადასხვა ადამიანმა მოაწერა. ანდერძის ნოტარიუსის ალექს ფიშკინის წერილობით ჩვენებაში კი აღნიშნულია, რომ ანდერძის გაფორმებას მხოლოდ ორი მოწმე ჰყავდა – ვლადლენა ფანკი და ზლატა სტიპანენკო.

სტიპანენკოს ვინაობა დაუდგენელია. 2008 წლის თებერვლის დასაწყისში კი, ბადრის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ტეხასში გამართულ სასამართლო პროცესზე ზელცერმა ერთ-ერთ მოწმედ ზუსტად ამ სახელისა და გვარის ქალი წარმოადგინა. იმ პროცესზე ზელცერის კლიენტებს ქურდობა და დოკუმენტების გაყალბება ედებოდათ ბრალად. დავაში ჩართული იყო ნავთობისა და გაზის კომპანია, რომლის მფლობელიც რუსი ბიზნესმენი იყო. სტიპანენკომ საკუთარ ჩვენებაში აღნიშნა, რომ მთავარი დოკუმენტის ხელმოწერა მის თვალწინ მოხდა, თუმცა მოსამართლემ ეს ჩვენება „არასარწმუნოდ“ მიიჩნია. სასამართლო პროცესზე ერთ-ერთ მოწმედ დაცვის სასარგებლოდ გამოვიდა ვინმე „ლენა ფოუნკიცი“, რომლის გვარიც ფანკის რუსული ვარიანტი გახლავთ. იმავე პროცესზე კალიგრაფიის ექსპერტმა დაასკვნა, რომ „სასამართლოზე წარმოდგენილი უამრავი დოკუმენტი არ იყო აუთენტური“ და რომ „შტამპები, ხელმოწერები და კორპორატიული ბეჭდები“ ფოტოასლები გახლდათ.

კიდევ უფრო მეტი იდუმალებითაა მოცული ჯოზეფ კეის 27 წლის ვაჟის, დევიდ კეის ამბავი, რომელზეც ამბობენ, რომ 14 ნოემბერს, რესტორან Nobu Next Door-ში იმყოფებოდა. დევიდ კეიმ ჩვენთან საუბარი არ ინება, მაგრამ დანარჩენები ადასტურებენ, რომ იმ ღამით ის მართლაც იქ იყო – ფიშკინიც, ფანკიც და ვლადიმირ ვორონოვიც, რომელიც ასევე ესწრებოდა წვეულებას. ფანკი ამტკიცებს, რომ როდესაც იმ საღამოს, სადილის დასასრულს, რესტორანში დევიდი შევიდა, ეს ბადრისთვის იყო ნიშანი, რომ გარეთ გასულიყო და ხელი ანდერძზე პირდაპირ ქუჩაში მოეწერა. ფანკის მტკიცებით, ეს „დაახლოებით 11 საათზე“ მოხდა.

თუმცა, ვორონოვის სხვაგვარი ვერ-

სია აქვს. ის ამბობს, რომ კეი, მართალია, მივიდა, მაგრამ რესტორანში არ შესულა. „ჩვენ მას ქუჩაში შევხვდით. ეს კარგად მახსოვს, რადგან ბადრიმ მანამდე გვითხრა, – დევიდიც მოვაო, – და ის კი არ მოვიდა“. ვორონოვის ვერსიით, უკვე ღამის პირველი საათი სრულდებოდა, ანუ უკვე დაწყებული იყო სავარაუდოდ ანდერძის ხელმოწერიდან მეორე დღე – 15 ნოემბერი – „როცა რესტორნიდან ქუჩაში გამოვედით. დევიდი იქ იყო. მან ბადრი გადაკოცნა და დიალოგი, თუ არ ვცდები, ქართულად გააბეს. თუმცა, დიდად არც ვუსმენდი, ისე კი, მათგან 2-3 იარზე უფრო შორს არ ვმდგარვარ“. შემდეგ ვორონოვი და ბადრი მანქანაში ჩასხდნენ და სასტუმრო St. Regis-ისკენ გასწიეს. ვორონოვი ამბობს, რომ ვიდრე კეი იქ იყო, ბადრის თანამეინახეები წამითაც არ დაუტოვებია, ხელი არაფრისთვის მოუწერია და არც დევიდ კეისგან მიუღია რამე.

თუმცა, თუკი დავუშვებთ, რომ ანდერძი ყალბია, როდის უნდა გაეყალბებინათ ის? ინას მრჩეველი ირაკლი რუხაძე ეჭვობს, რომ ეს ბადრის გარდაცვალების შემდეგ მოხდა, სულ რამდენიმე დღის განმავლობაში. ზელცერმა ბადრის ანდერძი საკუთარ ლეპტოპში შექმნა. თუმცა, ინას სასამართლო დოკუმენტაციის მიხედვით, სამი საიდუმლო დანართი, რომლებიც ანდერძს თან უნდა ხლებოდა, ზელცერს არ გამოუჩენია. ამ დანართებიდან ორი – ბადრის ნუსხები ქონებისა და ვალის შესახებ დღემდე არავის უნახავს. მესამე კი – ბადრის მემკვიდრეების ნუსხა მხოლოდ მისი გარდაცვალებიდან 11 თვის შემდეგ წამოტივტივდა, როდესაც თბილისის სასამართლოს ალექს ფიშკინმა წარუდგინა ზელცერის ძმის, მარკის ნოტარიულად დამონებული წერილობითი ჩვენება, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ ხსენებული დანართი მან შემთხვევით იპოვა ფლორიდაზე, საკუთარ სახლში, როდესაც სტუმრებისთვის განკუთვნილ საძინებელ ოთახს ალაგებდა. მარკ ზელცერმა, საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული პიანისტი უარი განაცხადა ამ აღმოჩენის შესახებ კომენტარი გაეკე-

თებინა. მან ასევე უარი განაცხადა, ესაუბრა ჩვენთან ნიუ იორკის უზენაეს სასამართლოში ივლისში შეტანილი საჩივრის შესახებ, რომელიც ეკუთვნოდა ფონდს, რომლის უმსხვილესი სპონსორი ბადრი იყო და რომლის წარმომადგენლებიც ამტკიცებდნენ, რომ ბადრის გარდაცვალებიდან ოთხ თვეში მარკ ზელცერმა საბანკო ანგარიშიდან მოხსნა ფონდის კუთვნილი 4.3 მილიონი დოლარი.

„ბორისის მებობარი არასდროს ვყოფილვარ“

ბერეზოვსკის მსგავსად, ინა გუდავაძეც დარწმუნებულია, რომ ანდერძი გაყალბდა. თუმცა, მათ ამ თემაზე არ უსაუბრიათ, რადგან ერთმანეთს უკვე აღარ ელაპარაკებიან. ბერეზოვსკი გამწარდა, როდესაც ბადრის გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ ინამ უარი თქვა, შეესრულებინა ბადრის პირობა და ქონება ბერეზოვსკისთვის გაეყო. ინა ამბობს, რომ იურისტებთან და მრჩეველებთან კონსულტაციების შემდეგ მან მოიპოვა იმის მტკიცებულება, რომ ბერეზოვსკისა და მისი ქმრის საჯარო განცხადება ფინანსური „გაყრის“ შესახებ მართალი ყოფილა და რომ ბადრის უკვე დაწყებული ჰქონდა თავისი ძველი პარტნიორისთვის თანხის გადახდა. ბერეზოვსკიმ პრესას განუცხადა, რომ ინამ პირობა რუსეთის ხელისუფლების მუქარის გამო გატეხა. ინა კი ამბობს, რომ ეს სიმართლეს ბოლომდე არ შეეფერება. მისი მტკიცებით, ბერეზოვსკისთვის ქონების გაყოფაზე მან იმიტომ თქვა უარი, რომ სურდა, ბერეზოვსკი თავისი ოჯახისთვის სამუდამოდ ჩამოეშორებინა.

2007 წლის დეკემბრის მიწურულს, ბადრის გარდაცვალებამდე ექვსი კვირით ადრე, საქართველოს მთავრობამ გაავრცელა ფარული აუდიორჩანანერი, რომელშიც ბადრი საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის მოქრთამვას ცდილობდა. ბადრი მისგან ითხოვდა სააკაშვილის წინააღმდეგ დემონსტრაციების დარბევისგან პოლიცია შეეჩერებინა. მთავრობამ ბადრი პუტჩის მოწყობის

მცდელობაში დაადანაშაულა. ბადრიმ ბრალდება უარყო, მაგრამ მისი რეიტინგი უკვე დაცემული იყო. მის მიმართ ნდობა საზოგადოებაში გაქრა. „პოლიტიკაში მისი მოღვაწეობა ამით დასრულდა“, – ამბობს ახლა მისი ყოფილი კოლეგა. ამ კრახმა კი ბადრიზე საშინლად იმოქმედა. „იცოდა, რომ დიდი შეცდომა დაუშვა“, – ამბობს მეორე მეგობარი. „ერთხელ გვითხრა, თქვენთვის არა უშავს, თუ მამათქვენი ერთი ხელმოცარული კაციაო?“ – იხსენებს ბადრის ქალიშვილი ია. „საშინელება იყო, – ჰყვება ვორონოვი, – ამ ინციდენტმა ბადრის საშინელი მორალური დარტყმა მიაყენა. ეს იყო ბოლო ლურსმანი მის კუბოში. იმ დღის მერე ფერი აღარ მოსვლია, ცოცხალ-მკვარევით დადიოდა. ყველა ნახვაზე სულ უფრო უარესად გამოიყურებოდა“.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ ჯერზე სკოტლანდ იარდმა ბადრის სიკვდილი „საეჭვოდ“ მიიჩნია და პრესაშიც გავრცელდა ხმები, რომ ბადრი მოკლეს, შემდეგ ბრიტანულმა გამოძიებამ დაასკვნა, რომ ბადრი მართლა გულის შეტევით გარდაიცვალა. ბადრის ბევრმა მეგობარმაც და ინამაც ირწმუნა, რომ ბადრი ნაწილობრივ ემსხვერპლა პოლიტიკური მარცხით გამოწვეულ შოკსა და სტრესს. აი, ამაში კი ინა ბერეზოვსკის ადანაშაულებს.

„ბორისი ნამდვილი პოლიტიკური მოთამაშეა და ბადრი პოლიტიკაში სწორედ მან ჩაითრია. ამას ვერასდროს ვაპატიებ, რადგან ბადრი ამას ემსხვერპლა, – ამბობს ინა, – ჩვენ აქ ბედნიერად ვცხოვრობდით. ბადრის, რა თქმა უნდა, ჰქონდა დიდი საიდუმლო და მიმაღავდა იმას, რომ ჰყავდა ვაჟი, მაგრამ ამასაც შევეგუებოდი, ამ პოლიტიკურ ამბებს კი – ვერა“. ბადრი ბერეზოვსკის წლების განმავლობაში არ მოშორებია გვერდიდან და ინა ამბობს, რომ „ეს მისი მხრიდან სწორი ნაბიჯი იყო. მაგრამ თავს ვალდებულად არ ვთვლი, მეც ამ გზას გავყვე. აღარ მინდა, ამ კაცთან ისე რამე მაკავშირებდეს. მგონი, რომ ჩვენმა ოჯახმა საკმარისად იტანჯა მარტო იმიტომ, რომ მასთან

ახლოს იყო, – ინა წამით ჩერდება და შემდეგ აგრძელებს, – სიმართლე რომ გითხრათ, პირადად მე ბორისის მეგობარი არც არასდროს ვყოფილვარ“.

ზუსტად ეს სიტყვები გაუმეორა მან ბერეზოვსკის 2008 წლის აპრილში, სასტუმრო Lanesborough-ში, როდესაც ერთმანეთს უკანასკნელად შეხვდნენ: „მეგობრობა მემკვიდრეობით არ გადადის“. ადვოკატის მაიკლ კოტლიკის თქმით, ბერეზოვსკი ამ სიტყვებმა „გაანადგურა“. ინას სიტყვების გახსენება ბერეზოვსკის დღემდე არ სიამოვნებს. „ეს იყო წუთი, როდესაც მასთან აბსოლუტურად ყველა ძაფი გავწყვიტე. მან კარგად იცოდა ბადრის და ჩემი ურთიერთობა, კარგად იცნობდა ბადრის და ასე გადაუსვა ხაზი ყველაფერს, ასე გაყიდა?“

ინას მეგობრები ამბობენ, რომ ბერეზოვსკისთან კონტაქტის განწყვეტის შემდეგ, ის ძალიან შეიცვალა. თუ წლების განმავლობაში ის იყო „ყურადღებიანი ცოლი, რომელიც ბევრს არ ლაპარაკობდა“, ქალი, „რომელიც ძირითადად უკანა პლანზე ყოფნას არჩევდა“, ახლა ბადრის მეგობრები განცვიფრებულები უყურებდნენ ინას, რომელმაც დარაზმა იურისტები და ფინანსური მრჩევლები და დაიწყო ბრძოლა. მან უჩივლა კეისა და ზელცერს ნიუ იორკში და პროცესი დაიწყო საქართველოს უზენაეს სასამართლოშიც, სადაც ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს დადგენილებას იმის შესახებ, რომ ანდერძი ორიგინალია. ინამ მიზნად დაისახა „იმედის“ დაბრუნება და საქართველოს ხელისუფლებაზე გავლენის მოსახდენად პიარ-კომპანია დაიქირავა ევროკავშირში საქმის ლობირებისთვის. მან თავის საქმეში ჩართო საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ გაერო-ს კომისია. 2008 წლის ზაფხულში მან მოსკოვში მოიგო პროცესი, რომლის შედეგადაც ბადრის მეორე ქორწინება ანულირებულად გამოცხადდა. „სელფორდ კაპიტალის“ დახმარებით, ის დარწმუნებულია, რომ აღწესდება ბადრის ქონების ძირითადი ნაწილი. მაგრამ ანდერძი-

სა და კეის მოთხოვნების გამო, ინასა და მისი ოჯახისთვის რამდენიმე მილიარდ დოლარად შეფასებული ქონების უდიდესი ნაწილი მაინც ხელმიუწვდომელი რჩება.

ინა ახლა ბერეზოვსკისაც ებრძვის, რომელმაც თებერვალში ლონდონში მის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი. ის ცდილობს, რომ ბადრის ქონების შესახებ საკუთარი სიმართლე დაამტკიცოს და ვიდრე პროცესი მიმდინარეობს, მანამდე ინას საბანკო ანგარიშებიც გაყინულია.

დღეს დაუნსაიდ მენორის მამული ინას დაგირავებული აქვს და ნასესხები ფულით ცხოვრობს. პრობლემები აქვს ბერეზოვსკისაც. მართალია, ამტკიცებენ, რომ შეუძლებელია, ბადრის ქონების 50 პროცენტი ბერეზოვსკის ეკუთვნოდეს, მაგრამ ინას მრჩევლები ამბობენ, რომ ბადრის ბორისის გარკვეული თანხა მაინც მართებდა. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, ეს თანხა 300 მილიონ დოლარს აღწევდა. მაგრამ ვინაიდან ჯერჯერობით ანდერძის შესახებ მიმდინარეობს სასამართლო დავა, არც ამ თანხის გამოყენება შეუძლია ვინმეს. ამასობაში ბერეზოვსკის ფულიც შემოაკლდა და ლონდონის სასამართლოში ცოლსაც ეყრება. ამიტომ იძულებული გახდა, ქონების ნაწილი გაეყიდა. გაყიდულ ნივთებს შორის იყო „დარიუსი“ – 358 მილიონ დოლარად შეძენილი იახტა, რომელიც ბერეზოვსკიმ აბრამოვიჩის სუპერ-იახტის „პელორუსის“ ჯინაზე ააგებინა. „დარიუსი“ ყველა დროის ექვს უძვირეს იახტას შორის ერთ-ერთია. მას შვიდი დეკი აქვს, ორი საცურაო აუზი, სავარჯიშო დარბაზი, კინოთეატრი და ინფირმარი. „დარიუსზე“ უპრეცედენტოდ დიდია უსაფრთხოების ზომებიც: სამხედრო წყლის საარტილერიო იარაღი, რომელსაც შეუძლია ნავი 100 იარდის მანძილზე ჩაძიროს. „Escape lunch“ კატერი და აკუსტიკური იარაღი, რომელსაც შეუძლია თავდამსხმელს ყურის მემბრანა გაუხეთქოს.


ინამ საშინელი ბოლო 19 თვე გაატარა. ეს ყველაფერი „ბაროკოს ეპოქის ისტორიას“ უფრო ჰგავდა. ამბები, რაც ბადრის სიკვდილს მო-

ჰყვა, ზედმეტად უცნაურიც კი იყო. ანდერძს, რომლის სანდოობა ეჭვქვეშ დგას, მოქმედად აცხადებს სასამართლო, რომელიც, შესაძლოა, თავის მხრივ, პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყოს; ამერიკელ ადვოკატს ამწყვდევენ „კბ“-ს მიერ მართულ ციხეში; მილიარდერი ოლიგარქი უცებ გაჭირვების გამო ქონებას ჰყიდის; ქონება კი თითქოს თვალსა და ხელს შუა ქრება.

დღეს, როდესაც საფონდო ბირჟაზე არასახარბიელოდ მიდის საქმე, ქონების ნაწილი კი სადღაც გაუჩინარდა, ბადრის ერთ-ერთი მრჩეველის თქმით, მისი მემკვიდრეობა, შესაძლოა, უკვე 2 მილიარდ დოლარს

აღარც აღემატებოდეს. როგორც ჩანს, უცნაური კარმული სამართალი ამოქმედდა. თუკი ზელცერს და ფანკს ანდერძი არ გაუყალბებიათ, გამოვა, რომ უსამართლოდ დაიტანჯნენ. მაგრამ თუკი ანდერძი გაყალბდა, მაშინ, შესაძლოა, ბერეზოვსკის ოლიგარქული გაგების სამართალი არც ისე შორს დგას ჭეშმარიტებისგან. თუკი გავითვალისწინებთ კრიტიკოსთა აზრს, თუ როგორ აკეთებენ ოლიგარქები ფულს – ეს ძირითადად საშუალო სტატისტიკური რუსის ხარჯზე ხდება – მაშინ გამოდის, მათი ქონების კარგა გვარიანი ნაწილი მათ სულაც არ ეკუთვნოდათ. მეგობრები ამბობენ, რომ ბადრის ანდერძი

არ დაუნერია, რადგან გულის სიღრმეში ის მაინც საბჭოთა კავშირის შვილი იყო – „ჰომო სოვეტიკუსი“, როგორც ბერეზოვსკი ამბობს. ანუ იმ სისტემის პროდუქტი, სადაც „არ არსებობდა მიზეზი ანდერძის დასაწერად, რადგან ადამიანებს არაფერი გააჩნდათ, რაც მემკვიდრეებისთვის უნდა გადაეცათ“, – ამბობს ბადრის ერთი მეგობარი. რაღაც გაგებით, ამ მოსაზრებამ ლოგიკური წრე შეკრა. არ აქვს მნიშვნელობა, დატოვა ბადრის ანდერძი თუ არა, როგორც ჩანს, პატარკაციშვილის ქონების დიდ ნაწილს მემკვიდრეებისთვის გადაცემა არ ეწერა.



# ალტერნატიული თბილისი

<<< **ლასანჯინი ბვ. 52**

ზოგიერთები ამბობენ, – ქალაქი ნაცრისფერიყო. მაგრამ ამას პარიზზეც ამბობენ. ნაცრისფერ-ყავისფერებში თბილისი ზამთრის ყველაზე უღიმღამო დღეს თუ გადადის (თან ამაშიც არის თავისებური სილამაზე – სეპიით შესრულებულ ნახატს ემსგავსება). სხვა დროს კი კალა ფლორენციას ჰგავს, მთაწმინდა – ვენას, ვაკე – ოქსფორდს და მარცხენა ნაპირი კი... მარცხენა ნაპირი – პარიზის Rive Gauche-ს.

ასეთ სილამაზეში თითქმის შეუმჩნეველი ხდება სახელმწიფო სტრუქტურების შენობები – პარლამენტი, სამინისტროები, უზენაესი სასამართლო. შეუმჩნეველი ხდება და ეს კარგიც არის, რადგან 1946 წელს, რუსეთ-საქართველოს შორის მეო-

რე გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ ქართველებმა გადანაცვლეს, რუსების კეთილგანწყობა კიდევ უფრო „განემტკიცებინათ“ და ახალი პარლამენტი, სამინისტროები და მსგავსი დაწესებულებების შენობები ააშენებინეს. ასე რომ, საქართველოს ყველა მოქალაქეს, არ აქვს მნიშვნელობა თბილისელია თუ ბორჯომელი, უხარია, რომ თბილისში შეუმჩნეველი რჩება ეს შენობები. თუმცა, მახვილი თვალი ყველაფერს შეამჩნევს და ამიტომაც გირჩევთ, თბილისში მოგზაურობისას ნუ შეეცდებით იმის დანახვას, რასაც იმ წუთას ვერ ხედავთ.

ზემოთ ღვინის მინისქვეშა გვირაბები ვახსენე, ჰოდა აგისხნით, რასაც ვგულისხმობდი. თბილისში განვითარებულია მინისქვეშა გვირაბების ქსელი, სადაც

დაცულია კახეთიდან ჩამოტანილი ღვინოები სახეობების მიხედვით. გვირაბებში ეწყობა ექსკურსიები ტურისტებისთვის და სკოლის მოსწავლეებისთვის. მსურველებს ადგილზევე შეუძლიათ შეიძინონ გამოფენილი ღვინო. ამ გვირაბების ქსელს „მინისქვეშა თბილისი“ ჰქვია. „მინისქვეშა თბილისი“ თავის გარშემო ისეთ გლამურს ქმნის, რომ მეღვინეობის ბიზნესი მეორე ადგილზეა ქალაქში განათლების ბიზნესის შემდეგ. „მინისქვეშა თბილისი“, მინისზე და თბილისის მსგავსად, უბნებად არის დაყოფილი: მუკუზნის უბანი არის ძველ ქალაქში, წინანდლის – ვაკეში, ხვანჭკარის – მტკვრის გაღმა, ატენისა – ვერაზე, ნულეუკიძის თეთრა – იქით, ხუდადოვისკენ და ა.შ.

რახან ღვინო ვახსენე, აქვე ვიტყვი კულინარიაზეც. თბილისში მიშლენის ვარსკვლავიანი 12 რესტორანია. ერთ-ერთ რესტორანს „ცანგალა და გოგონა“ ჰქვია და სწორედ აქ შეიქმნა ხინკლის ახალი, ორჭიპიანი/კუჭიანი ხინკალი. ისე, ორჭიპიანი/კუჭიანი ხინკლის იდეის ავტორი ვუდი ალენი იყო, რომელსაც ხინკლის ძირზე მეორე ხელისთვისაც მოუხდა რამე ჩასაბლაუჭებელი. ქართული ტრადიციული კერძების გარდა, რა თქმა უნდა, თბილისის რესტორნებში ყველაზე პრეტენზიულ ევროპულ, სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკულ და აზიურ კერძებსაც პროფესიონალი კულინარები მოგიზადებენ. ერთი სიტყვით, გემრიელად



სმა-ჭამა თბილისში არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.

თბილისი ერთგვარი კონტრასტულობით გამოირჩევა. უბნის შეცვლისას გიჩნდება განცდა, თითქოს ქვეყანა გამოიცვალე, ან კონტინენტი, ან სულაც ეპოქა.

მეტეხის ციხეს, ვერის ხიდს, ქარვასლებს, გაშენებულ რიყეს, „სობოროსა“ და კირხეს, რამდენიმე შედარებით მყუდრო ადგილის გამოკლებით, ყველაფერს ბურჟუაზიული კეთილდღეობის პრიალი გაუდის. ამას ემატება ერთობ ორიგინალური მუზეუმები და მომავლადობელი მალაზიები. თბილისის ეს ნაწილი სრულიად განსხვავდება ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილისგან. დიდუბის თვალუწვდენელი პარკი ღრმადელეს ცათამბჯენებთან ერთად ნიუ-იორკის ცენტრალ-პარკს მოგაგონებთ. განაპირა უბნებში, სადაც ხალხი ცოტა თავის ნებაზეა მიშვებული, მეტი სიჭრელეა. სხვათა შორის, ამ ყველაფრის გამო თბილისს ზოგჯერ ბუდას ქანდაკებას ადარებენ: სპილოს ძვლის თავით (ცენტრი), რომლის გარშემო განაპირა უბნების ყვავილოვანი გირლანდაა მოთავსებული, ხოლო დანარჩენ სხეულს ფარავს არაჩვეულებრივი სამოსელი, რომელიც წელიწადის დროის მიხედვით იცვლის ფერებს. აქ ვგულისხმობ თბილისის გარემომცველ ვენახებს, ბაღებს და ტყე-პარკებს. ბუდა-თბილისი რიტუალური წყალსატევის (თბილისის ზღვა) წინ ჩამომჯდარა და იახტ-კლუბის ფანტასტიური თეთრი შენობის ლოტოსის ყვავილს შესცქერის. მისი საერთო ხასიათი და განწყობილება ნირვანისეულ ნეტარებას უახლოვდება. თავის მხრივ, დიდუბე-ღრმადელის ცამდე აწვდილი რკინა-ბეტონი დღემდე ვერ მოდის ჰარმონიაში მის მეზობელ ვორონცოვთან. ვორონცოვი – რუსთაველთან, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლდა ბიუროკრატიისგან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველი ერთგვარ ეკლექტიზმს ქმნის თავის გარშემო – იწყება მერიის შენობით, გრძელდება სახელმწიფო მუზეუმით, შემდეგ პარლამენტი და სრულდება გუგენჰაიმის მუზეუმით. პეგი თბილისს 1962 წელს ესტუმრა და ისე მოიხიბლა, რომ იქამდე წვრილ კანტორებზე გაქირავებული მელიქ აზარიანცის სახლი მთლიანად შეისყიდა, რეკონსტრუქცია ჩაუტარა და ქალაქს კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა

შემატა – თბილისის გუგენჰაიმის მუზეუმი, სადაც თავისი სახელგანთქმული კოლექციის ნაწილი გამოფინა.

დიდუბესა და ვორონცოვს შორის (ადრე აქ დეზერტირების ბაზარი ყოფილა) ინდოელების კვარტალია. საქართველო დამოუკიდებლობის მიღებისთანავე ერთ-ერთ მთავარ სატრანზიტო პუნქტად იქცა ინგლის-ინდოეთის გზაზე და ნელ-ნელა ინდოელების პატარა სავაჭრო სათვისტომო ჩამოყალიბდა. როგორც წესი, მათ საქართველოში დიდხანს დარჩენა ეკრძალებოდათ, მაგრამ 1947 წელს ზოგიერთმა ინდოეთ-პაკისტანის დამოუკიდებლობა და კონფლიქტი მოიმიზეზა და საქართველოში თავშესაფარი ითხოვა. რადგან ინდოელების ძირითად საქმიანობას სწორედ აზიური სანელებლებითა და ეგზოტიკური ხარახურით ვაჭრობა წარმოადგენდა (ისევე, როგორც სხვადასხვა ეზოთერული „პრაქტიკები“), ისინი ოდითგანვე დეზერტირების ბაზარს ეტანებოდნენ და ბინეზსაც ახლომახლო შოულობდნენ. შემდეგ ერთიანად შეისყიდეს დეზერტირების ბაზარი, დაანგრიეს და სახლები აიშენეს, სახლების წინ კი პატარა ფარდულები. ასე რომ, ახლა აქ ინდური ბაზარი-კვარტალია. ასე წარმოიშვა თბილისის სულ რაღაც 1,5-2-ათასიანი ინდური კოლონია, რომელიც მთლიანად ერთ პატარა კვარტალში თავსდება. დანარჩენ ქალაქში ინდოელს იშვიათად თუ მოჰკრავთ თვალს, მაგრამ დეზერტირების ბაზრის მიდამოებს მათ სრულიად განსაკუთრებული ელფერი შესძინეს. სათვისტომოს კულტურული ცხოვრების ფოკუსად იქცა ბოლივუდის დესპანი – კინოთეატრი „აიშვარია“ (სიმდიდრე, ბარაქა) ელისაბედის და ვაგზლის ქუჩების კუთხეში, ბორჯომის ქუჩის მოპირდაპირედ. სწორედ „აიშვარიას“ ბნელ, მისტიურ დარბაზებში, სადაც ამოუცნობი სურნელების თავიგული იფრქვეოდა, ეზიარა ქართველი ხალხი შორეული ქვეყნის მგზნებარე, ტემპერამენტულ ხელოვნებას. განურჩევლად იმისა, ჭოპორტის პამიდორი ჩამოჰქონდა კაცს ქალაქში, თუ თუშური გუდის ყველი, მთელი დღე მარტო იმას ნატრობდა, დღის ბოლოს როგორ გაივლიდა ამ ორ ნაბიჯს, შეაღებდა კინოთეატრის კარს, მუყაითი შრომით ნაშოვნ სამ აბაზს გადაიხდიდა ბილეთში, კიდევ ერთხელ როგორ გაოცდებოდა, – ეს უჯიშო ხალხი რა სასაცილოდ ბუჭტურობს ერთმანეთში და

ამ დროს რა კაი კინოს იღებო, – მოკალათდებოდა გაძვალტყავებულ სავარძელში და ნახავდა... ცხოვრებას – ნაღდს, მჩქეფარეს, გულწრფელსა და შეუცდომელს! სამაძულო ფილმებით გათანგულ ინდოელებს კი ხან ქართულ რესტორნებში გადაწყდებით, ხანაც ბორდელებში. ეს ორი რამე მაგრად უყვართ აქაურ ინდოელებს.

ბორდელების რაოდენობით თბილისი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა დასავლეთ აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში. ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ბურჟუაზიული ფარისევლობა ბორდელებს პარადოქსულ „რესპექტაბელობასაც“ კი ანიჭებდა (რადგან თვით მათ არსებობის ფაქტს ვერ უსწორებდა თვალს), ისინი ვორონცოვის მიდამოებში იყო თავმოყრილი (დღეს უკვე ყველგან გვხვდება). სასტუმრო „ლონდონისა“ და „გრანდ-ოტელის“ სალონებს ყველაზე ელიტარული კურტიზანები ამკობდნენ, ხიდის გადაღმა კი უფრო დემოკრატიული „დანესებულებები“ იყო განლაგებული. ხოლო ჩუღურეთის ბორცვებზე მიმოვანტულ „ყავახანების“ მანსარდებს ნებისმიერი ბიუჯეტი სწვდებოდა. უფრო ეგზოტიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად დარსიჭალაში, ე.წ. „კინტორვილიში“ დადიოდნენ ინდოელებიც და ყველანი. მაგრამ 1950-60-იანი წლების სექსუალური რევიოლუციის შემდეგ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა, და ჩუღურეთის რესპექტაბელურ იმიჯთან მსგავსი რამ შეუთავსებელი აღმოჩნდა. ამ დროიდან ჩვეულებრივი ადიულტერი ყველა ჩვეულებრივი სასტუმროს შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ იქცა, ხოლო „მდაბიო“ პროსტიტუციამ ჯერ მოკლე ხნით პირდაპირ კახეთის გზატკეცილზე გადაინაცვლა, შემდეგ კი ევროპულ ყაიდაზე, ლიად „დარეგულირდა“: დღეს თბილისში არსებობს სპეციალური ქუჩა, ოლონდ, ამსტერდამისგან განსხვავებით, ფანჯრებში მხოლოდ „გოგონების“ ფოტოსურათების გამოშვებულებაა დაშვებული, და პისუარებიც გარეთ არ დგას.

თემასთან ახლოს ვარ, ამიტომაც ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც თავადაც არ ვიცოდი და მხოლოდ მაშინ გავიგე, როდესაც თბილისს მეორედ, გვიან ზამთარში, თებერვლის მინურულს ვენვიე. ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე მზადება მიდიოდა, ამონტაჟდნენ სცენებს, ფერად-ფერადი ბუშტებითა და ლენტებით რთავდნენ

ქუჩებს. ვიფიქრე, ჩვეულებრივი, სახალხო ალღუმი უნდა გაიმართოს-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად. აქამდე სულ მეგონა, რომ პირველი გეი-ალღუმი 1979 წელს სიდნეიში (ავსტრალია) გაიმართა და თურმე როგორ ვცდებოდი. თბილისში, 1969 წლის პირველ მარტს მაშინდელმა ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტმა მირზაკარიმ ნორბეკოვმა გეი-ალღუმის ორგანიზება საკუთარ თავზე აიღო და სწორედ ის იყო პირველი, ვინც ჰომოსექსუალებს ხმა მსოფლიოს მასშტაბით აღამაღლებინა. საინტერესო ის იყო, რომ თავად ნორბეკოვი ჰეტეროსექსუალი იყო. წლების შემდეგ ნორბეკოვმა ამის მიზეზი თავის ნაშრომში „მე – ჩემი ძმაცის შეყვარებული“ ახსნა. აღმოჩნდა, რომ მამამისი ჰომოსექსუალი ყოფილა, რის გამოც უზბეკეთიდან ყირგიზეთში გადაუსახლებიათ და მას შემდეგ მამამისი აღარ უნახავს. საზოგადოება თავიდან დაბნეულობით შეხვდა იმას, რომ მისი ელიტის მნიშვნელოვან ნაწილს სოდომისა და გომორის ცოდვები ედგა ფეხი, ამიტომაც პირველ გეი-ალღუმს საკმარისად უარყოფითი გამოხმაურება ჰქონდა, როგორც საზოგადოებაში, ასევე პრესაში. რაც შეეხება სიდნეის ცნობილ მარდიგრას ფესტივალს, ის თურმე მეტწილად თბილისური გეი-ალღუმის მოტივებით იყო ნასაზრდოები.

ამდენი რამ ვთქვი და სიტყვაც არ დამიძრავს თბილისურ ბოჰემაზე, მის წარსულზე და აწმყოზე. არადა, ეს ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ნაწილია თბილისის ისტორიიდან და დღევანდელი დღიდან.

10-20-იან წლებში, როცა აბსენტი ყველგან აკრძალეს, ახლად აღიარებული საქართველოს მთავრობამაც სხვებს მიბაძა, თუმცა ერთი განსხვავებით – თბილისში არ აუკრძალავთ. ესეც ჭკვიანური გათვლა იყო – მთელი მსოფლიოს აბსენტომანები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები და უბრალოდ შეძლებული ადამიანები თბილისს მოაწყდნენ. ყოველ-დღე ახალ-ახალი კლუბები არსდებოდა, რომელთაც ერთი რამ აერთიანებდათ – აბსენტი: „აბსენტის მოყვარულ მონადირეთა კავშირი“, „აბსენტში ჩამხრჩვალნი პოეტები“, „აბსენტის პალიტრა“ და ა.შ. თბილისში იმართება უმნიშვნელოვანესი გამოფენები, ერთი მეორეზე მიყოლებით ჩამოდიან ჩარლი ჩაპლინი, პიკასო, ფლობერი... ასეთი დინამიკის და ხალხმრავლობის შესაბამისად,

ხშირია ტრაგედიებიც, თუმცა ეს არავის ახსოვს, რადგან თბილისში ხელოვნება ყვავის.

ნიკალას ნამუშევრების სანახავად თბილისს მსოფლიოს სახელგანთქმული ხელოვნები სტუმრობდნენ. ნიკალას ნამუშევრები დიდ ინტერესს იწვევდა აშშ-ში ემიგრაციაში ნასულ მდიდარ იტალიელეებში, რის გამოც სანდრო მაცოლამ, ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრე იტალიელმა თბილისში სპეციალურად სააგენტოც კი გახსნა. პიკასო აღფრთოვანებული იყო ნიკალას ნამუშევრებით. მოგვიანებით პიკასომ თავის მეზუარებში მთელი ერთი თავი მიუძღვნა ნიკალას და მის ნამუშევრებს. ნიკალას დამსახურებაა, – წერდა პიკასო, – რომ ერთ დროს თბილისში, მის სახლ-მუზეუმში შემთხვევით შევხვდი ენდი უორჰოლს, ხელოვანს, რომელთან შეხვედრაც წლების განმავლობაში მინდოდა. 1939 წელს პიკასომ დააფინანსა ნიკალას სახლ-მუზეუმის რესტავრაცია მირზაანში. ვინაიდან ნიკალას ზუსტი გარდაცვალების თარიღი არ იცოდა, პიკასომ ტრაურის დღედ 25 ოქტომბერი გამოაცხადა. ამ დღეს იყო დაბადებული თვითონ და ამ დღეს აღნიშნავდა ნიკალას გარდაცვალების თარიღს.

1941 წელს, როცა ოფიციალურად გახურდა მეორე მსოფლიო ომი, თბილისში ერთი მეორეზე მიყოლებით იმართებოდა ლიტერატურული ფესტივალები. და ერთ-ერთი ფესტივალის დროს საუნივერსიტეტო ქალაქში ოფიციალურად გაიხსნა ბუკინისტების უბანი, რომელსაც უმბერტო ეკო და არტურო პერეს რევერტე თავიანთ ყველა „ბიბლიოფილურ დეტექტივში“ ახსენებენ. აქვე გადიოდა სტაჟირებას ხორხე ლუის ბორხესი, ცოტა მოგვიანებით კი – მარკესი.

ამავე წლებში დაარსდა პირველი საგამომცემლო სახლი „თხა და გიგო“, რომელიც დღემდე უწევს კონკურენციას ისეთ გიგანტებს, როგორებიც არის „ბინგვინი“, „თაშენი“ და ა.შ. წელი არ გავა ისე, რომელიმე ქართული საგამომცემლო სახლის პროდუქტმა საერთაშორისო აღიარება არ მოიპოვოს.

ალბათ, კითხულობთ და კითხვა გიჩნდებათ: ვინ გვიყვება ამ ყველაფერს?

საქმე ისაა, რომ 90-იან წლებში თბილისში software industry განვითარდა. თბილისში და მთლიანად საქართველოში არ-

სებობს, როგორც მულტინაციონალური კომპანიების ფილიალები, ისე ქართული პატარა და საშუალო ფირმები, რომლებიც IT-პარკებში არიან გაერთიანებული. IT-პარკებს საერთო მენეჯმენტი აქვთ, რაც მნიშვნელოვანია განსაკუთრებით დამწყები კომპანიებისთვის. პროგრამული პროდუქტი როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე იყიდება. მაგალითად, კომპანია Kukia Software Solutions-ის პროგრამებს მსოფლიოს 23 ქვეყნის 100-ზე მეტი აეროპორტი იყენებს ეგრეთ წოდებული slot coordination-ისთვის; Minashvili & Cousin (მინაშვილი და ბიძაშვილი) ეარბასის ინჟინრებს აწვდის პროდუქტს, რაც ფრთების მოდელირებაში გამოიყენება. ადგილობრივ მსხვილ კლიენტებს შორის არიან სატრანსპორტო კომპანიები (გადაზიდვების ოპტიმიზაციაში დაინტერესებულნი), ალექსანდრელორფის ავტოქარხანა, ქართველიშვილის საკონსტრუქტორო ბიურო, თავდაცვის სამინისტრო და სხვა. ქვეყანაში გახსნილია software engineering-ის რამდენიმე კოლეჯი, რომლებიც ფირმებთან მჭიდროდ თანამშრომლობენ. არსებობს ეგრეთ წოდებული software competence ცენტრებიც, სადაც, ერთი მხრივ, ბიზნეს-კლიენტების შეკვეთებზე მუშაობენ, მეორე მხრივ, კვლევები ტარდება. ბიზნესთან მჭიდრო თანამშრომლობით ყოველწლიურად ეწყობა SE-ESEC (South-East European Software Engineering Conference). მულტინაციონალური კომპანიების ფილიალებიდან აღსანიშნავია Microsoft Research ბაზალეთში და Oracle-ს და SAP-ის ფილიალები დუშეთში. საერთოდ, დუშეთი-ბაზალეთის რეგიონი ქართულ Silicon Valley-დ არის ცნობილი. ევროპაში ირლანდიის შემდეგ საქართველო პროგრამული პროდუქტების ყველაზე დიდი ექსპორტიორი გახლავთ. ჰოდა, მეც ჩემი პატარა კომპანია მაქვს, მაგრამ ამ ქალაქის გადაკვიდე, კონცენტრირებას ვერ ვახდენ ჩემს ბიზნესზე. საერთოდ, რაც ამ ქალაქში ჩამოვივდი, სხვა არაფერი მიკეთებია, გარდა თბილისის შესწავლისა. ჩემი ბიზნესი კი არა, 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალზეც კი არ წავედი, რომელიც ბორის პაიჭაძის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა. არადა, ბილეთი საპატიო ლოჯაში მქონდა. მეგონა, მიყვარდა ფეხბურთი, მაგრამ თურმე თბილისი უფრო მეტად მყვარებია.



# სადა ხარ, ჩემო ვარინკა?!

<<< დასაწყისი გვ. 76

ვარინკა წერეთელი 1948 წლის 21 მარტს გარდაიცვალა. დაკრძალულია სოფელ ცხრანყაროში, მისი ვაჟის გვერდით.

სიმღერა „სულიკოს“ უამრავ სანოტო გამოცემათაგან მუსიკის ავტორი მხოლოდ 1939 წლისაზე აღნიშნული, ესეც იმიტომ, რომ ეს საკითხი მაშინ სულ ახალი გარკვეული იყო. სხვა ყველა გამოცემას აწერია: „ტექსტი აკაკი წერეთლისა, მუსიკა – ხალხური“. მათ შორის არის 1954 წელს ვანო გოკიელის მიერ გუნდისა და ფორტეპიანოსთვის დაბეჭდილი ნოტები. აქ უცნაური ის არის, რომ სწორედ ეს ადამიანი თავმჯდომარეობდა სხდომას, რომელმაც ვარინკას ავტორობა დაადგინა.

დავინყების ამ მისტიკას ეძღვნება ჯაყელის ფილმი „სადა ხარ, ჩემო სულიკო“. რეჟისორი დეტალურად მოგვითხრობს „სულიკოს“ ისტორიას და დემონსტრაციულად აღადგენს სამართლიანობას – ტიტრებში ხაზგასმულად აჩვენებს წარწერას: „კომპოზიტორი ვარინკა წერეთელი“ ანუ აღადგენს სამართლიანობას: ვარინკას უწოდებს „კომპოზიტორს“, რაც აქამდე ვერავის დასცდა.

1981 წლიდან, მამუკა ასლანიკაშვილის ინიციატივით, ვარინკას მშობლიურ ცხრანყაროში „ვარინკობა“ აღინიშნება: იმართება კონკურსი ხალხური და ქალაქური სიმღერის საუკეთესო შემსრულებელთა გამოსავლენად.

წელს პირველად მოგვხვდა ამ ზემზე. მონვეული სტუმრები, ორგანიზატორები, შემსრულებლები, მსმე-

ნელები ერთნაირად კმაყოფილები დარჩნენ, რადგან ბევრი კარგი სიმღერა მოისმინეს და საუკეთესოებიც გამოავლინეს. ვარინკაც მრავალჯერ მოიხსენიეს, მისდამი უდიდესი სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით.

...მაგრამ სულიკო-ვარინკას საფლავი, რომელსაც მთელი საქართველო დღემდე დაეძებს, არავის გახსენებია. არადა, იგი საკონკურსო ეზოდან სულ რაღაც 40-50 მეტრში მდებარეობს.

გაებრაზდი! მარტო წავედი ვარინკას საფლავზე და მისი „სულიკო“ მოვასმენინე – მობილურზე მაქვს ჩანერილი, დები იმხნელების შესრულებით.

კიდევ ერთხელ დავფიქრდი ამ განმანათლებელი ქალის ტრაგიკულ ბედზე. თითქოს სწორედ მას ეძღვნება აკაკის „სულიკო“, 12-კუბლეტიანი ლექსი, სადაც საყვარლის საფლავის საძებნელად მოხეტიალე მგოსანი მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ სატრფოს სული ვარდის, ვარსკვლავების და ბულბულის მშვენიერებას შენივთებია და გახარებული ამბობს:

ბულბულს ყურს ვუგდებ, ვარდს ვყნოსავ, ვარსკვლავს შევეყურებ ლხენითა და, რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს, ვერ გამოითქვამს ენითა! ისევ გამეხსნა სიცოცხლე, დღემდე რომ მწარეთ კრულ იყო, ახლა კი ვიცი, სადა ხარ, სამგან გაქვს ბინა სულიკო!



## იოგა ყოველდღიურ ცხოვრებაში პოპულარული საერთაშორისო სისტემა



### პატიჟა იოგა თბილისში

გაჯანსაღდით, მიაღწიეთ ფიზიკურ და სულიერ ჰარმონიას პატიჟა იოგის კლასიკური ვარჯიშების მეშვეობით. განთავისუფლდით სტრესისგან. მეცადინეობებს ჩაატარებს „იოგა ყოველდღიურ ცხოვრებაში“ სისტემაში სერტიფიცირებული ინსტრუქტორი ოლგა რამერი. სისტემა იოგა ყოველდღიურ ცხოვრებაში შექმნილია ყველასათვის მიუხედავად ასაკისა და აღნაგობისა. მეცადინეობის ხანგრძლივობა 1,5 საათი, კვირაში ორჯერ. და ყოველთვიური გადასახადია 80 ლარი. მეცადინეობა ჩატარდება ინგლისურ და რუსულ ენაზე.

**მისამართი: შვეჩანკოს 5** (1 კლასიკური გიმნაზიის უკან)  
გთხოვთ ჩაენეროთ: [olyaramer@gmail.com](mailto:olyaramer@gmail.com); ტელ.: (8 71) 047 090  
დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართედ საიტს: [www.yogaindailylife.org](http://www.yogaindailylife.org).



# ვადიმი

<<< დასაწყისი გვ. 86

ყველას არ ახსოვს აუსტერლიცი, მარენ-გო, რივოლი და პირამიდები, მაგრამ არავის დაავინყდებდა ვატერლოო. მოსკოვში, კოქტე-ბელში, ბერლინში, პრალასა და პარიზში ცხოვრების გრიალი მთავრდება ჩუმი და ყველას შემარცხვენელი სიკვდილით ელაბუგამი.

This is the way the world ends  
This is the way the world ends  
This is the way the world ends  
Not with a bang but a whimper.

ასე მთავრდება ეს წუთისოფელი  
ასე მთავრდება ეს წუთისოფელი  
ასე მთავრდება ეს წუთისოფელი  
არა გრიალით, არამედ სლუკუნით.  
გამოსვლიდან მხოლოდ ათი წამი რჩებო-  
და და კოსმა მოასწრო თქმა, რომ ტომას

ელიოტის პოემის „ცარიელი ადამიანების“ დასასრულის ეს სიტყვები კონვენიალურია „დასასრულის პოემის“ დასასრულისა (ორი დასასრული ერთმანეთს თითქოს ერითმება):

И в полые волны  
Мглы – сторблен и равн –  
Бесследно – безмолвно –  
Как тонет корабль.

და პაპაიანის საათში ქვიშის უკანასკნელი მარცვალი ჩამოვარდა.

მარინა ცვეტაევასა და, საერთოდ, პოე-ზიის სიყვარულმა, რომელიც მანამდე მეც-ნიერებატევად (ვადიმის მიმართ ამ ტერმინს – науко-ёмкий, რომელიც ტექნოლოგიებს და, საერთოდ, სანარმოო სფეროს განეკუთვნება და პერსტროიკის ეპოქაში გააქტიურდა, ხმარობდა პოეტი და ფსიქოლოგი მანლოვიჩი) იანკოვს არასოდეს გამოუვლენია, დიამეტრულად შეცვალა ვადიმისადმი დამოკიდებულება, ამ მხრივ ცვლილება განსაკუთრებით უორას დაეტყო. რუსეთის დედაქალაქთა საუკუნოვანი კონკურენციის მიუხედავად, მთავარმა პიტერელმა მიშა პოლიაკოვმაც აღნიშნა, *Да уж, Вадим удивил-ო*. ერთადერთი კაცი, ვისზეც ცვეტაევამ საუბრისას ვადიმ იანკოვის თვალზე მომდგარმა ცრემლმა გავლენა ვერ მოახდინა, ჯონი ლამქარაშვილი იყო – მსახიობია, რამ გაგაკვირვა, რა ხართ ეს გურულები, კურცხალი თუ დაინახეთ, ყველაფერს აპატიებთ კაცს, შენ გირჩევნია ის გაიხსენო, იდიოტური „სიცოცხლის პარადიგმის“ გავლენით უდაბნოში წყალს რომ არ გაძლევდა და სასიკვდილოდ გიმეტებდაო. მაგათმა სოლჟენიცინმა არ თქვა, – ზონაში მთავარი გმირობა ის კი არ არის, სუფი იშოვო, გმირობა ისაა, ეს სუფი

ვინმეს გაუნაწილო? როგორ ამეხსნა ურნ-მუნო ჯონისთვის, რომ „დასასრულის პოემის“ ფინალის ციტირებისას ვადიმმა ყველას სწორედ თავისი სულის ნაწილი გაგვიზიარა?

ვადიმ იანკოვი ზონიდან 1986 წლის აგვისტოში გაიყვანეს და გადასახლებაში ეტაპით გადააგზავნეს. წასვლის წინ, ბანაკის ტრადიციისამებრ, თავისი ნივთები დაარიგა. მე დამრჩა მთელი მისი ბიბლიოთეკა – ასამდე წიგნი, მათ შორის სობოლევსკისეული ბერძნული ენის სახელმძღვანელო და ჩემ მიერ ნაჩუქარი ევრიპიდეს „ალკესტისის“ ტომი მინანურებით, შენიშვნებით და ერთ-ერთ გვერდზე ევრიპიდესთან ძველბერძნულ ენაზე ცხარე პოლემიკით.

დღეს სამოცდაათოხმეტი წლის ვადიმ იანკოვი მოსკოვში, რუსეთის სახელმწიფო ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს ისტორიის ფილოსოფიისა და მათემატიკაში; თავისი ძველი პრინციპი – *Nulla dies cum linea* დაივინყა, თუმცა არც კლასიკურ *sine linea*-ს დაბრუნებია – მხოლოდ რამდენიმე სტატია დაწერა და გამოაქვეყნა. ექსპერტები განსაკუთრებით ხშირად ახსენებენ მის სტატიას „ნივთიერების აგებულება ანაქსაგორასთან“. ელცინის ეპოქაში რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა სცადა, მაგრამ დუმის არჩევნებში წარმატებას ვერ მიაღწია, ზიუგანოვის კომუნისტმაც გაუსწრო და ჟირინოვსკის ლიბერალ-დემოკრატმაც. ჩემი აზრითაც, რუსეთის დუმას ეს სიმალე არაფერში სჭირდებოდა. როგორც მარინა ცვეტაევას ბედისწერაზე საუბრისას ვადიმმა თვითონ გაიხსენა, რუსეთში (მეზობელ ქვეყნებშიც) ყოველთვის მოიძებნება „უფრო ღირსეული კანდიდატურა“.



# ORGANICA

ორგანული და ადგილობრივი  
საკვები პროდუქტები

მისამართი: ჭავჭავაძის 62  
(ბერძენიშვილის და მოსაშვილის ქუჩების კვეთა)

# XIV საერთაშორისო შეჯიბრებები სპორტულ ცეკვებში **მძრმს საჭმისი 2009**

სლოვენია – სლოვაკეთი – ისრაელი – ლატვია – ლიტვა – რუსეთი – ბალარუსი  
 უკრაინა – მოლდოვა – თურქეთი – სომხეთი – აზერბაიჯანი – საქართველო



**13-14-15 ნოემბერი, 2009**  
 თბილისის ძიუდოს სპორტის სასახლე  
 (ბელიაშვილის ქ. 5)

წარმომადგენთ:

**IDSF** აღმოსავლეთი ევროპის ჩემპიონატს  
 ლათინურ-ამერიკულ ცეკვებში

IDSF საერთაშორისო რეიტინგულ შეჯიბრებებს  
 ლათინურ-ამერიკულ და ევროპულ ცეკვებში

IPDSC პროფესიონალ მოცეკვავეთა შეჯიბრებებს  
 ლათინურ-ამერიკულ და ევროპულ ცეკვებში

ორგანიზატორები:



ოფიციალური მასპინძელი:



სპონსორები:



მედია მხარდაჭერები:



**პილეთები: 890 34 41 51**



**რადიო „ნაცნობი“ გეკავტიშებათ  
კლუბში „ნაცნობი“**

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- სოცხალი მუსიკა



MON  
group



# VONG

asian fusion

Restaurant - Cocktail Lounge  
1:00 pm - 2:00 am  
29 I. Abashidze st.  
Tel: 29 25 70

**UP**grade Your Life  
with new menu in Vong



**WWW.LIBERALI.GE**

